PRIME Time

N19 (269) ორშაბათი, 19 მაისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge




# ექსკლუზიური ინტერვიუ ხუან ბაგრატიონთან



„მე ლეგიტიმური კანდიდატი ვარ, დაბადებიდან სიკვდილამდე“

**ხუან ბაგრატიონი:** „ოფიციალურად არავინ აღიარებს პრინც გიორგის, როგორც იმ ტახტის მემკვიდრეს, რომელიც ამ დროისთვის საერთოდ არ არსებობს“

EXCLUSIVE



**თამუნა ჯანელიძე:** „ეთერში მალე გავდივართ, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცით. მოლაპარაკება არ არის დასრულებული და დეტალები გასარკვევია... ანუ „რუსთავი 2“ ჩვენგან პროდუქტს ყიდულობს“

## ატეხილი ხმაურის მიუხედავად, ნათია მიქიაშვილის გადაცემა „რუსთავი 2“-ზე მაინც გავა



**გია ვოლსკი:** „ეჭვი მაქვს ლევან ვასაძემ არ იცის რეალური სიტუაცია და ვფიქრობ, მან არ იცის არც კანონის შინაარსი. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ვასაძე ან აჩქარდა ან პოლიტიკური ამბიცია აქვს, რომელსაც ვერ იკავებს“

# პირველად „პრაიმტაიმში“

## ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ნარმანიასთან



„მე პირადად, როგორც მმართველი გუნდის წევრი, გუნდში დაპირისპირების ნიშნებს ვერ ვხედავ. ესეც ხელოვნურად ინსპირირებული თემაა“

„აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი არგუმენტაცია არსებობს საიმისოდ, რატომ არ აპირებს ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დატოვებას. მას უნდა, რომ მისი ქვეყანა თავისუფალი, განვითარებული იყოს, რათა უფრო მშვიდად იცხოვროს თავის ქვეყანაში“

EXCLUSIVE

„გამოძიება არის ის ორგანო, რომელმაც ყველა შეკითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი, საიდან, ვის ხელში მოხვდა. რატომ მოხდა მისი გასაჯაროება, ვის ჰქონდა წვდომა, რა აპარატურით კეთდებოდა, დღეს სად არის ის აპარატურა, გატანილია თუ არა. ძალიან ბევრი კითხვაა, რომელსაც გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს“

„ჩემს კანდიდატურასთან და არათბილისელობასთან დაკავშირებით არსებულმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ჩემზე დადებითად იმოქმედა“




მებრძოლი სალომე ტეტიაშვილი თავისი ცხოვრებისეული პრინციპებით

## რატომ ამბობს უარს გენერლების რჩევაზე ირაკლი ალასანია?

რა წერია თავდაცვის სამინისტროს დასკვნაში და რა ხდებოდა რეალურად აგვისტოს ომის დროს?





## ვანო მერაბიშვილს ბიუჯეტის კუთვნილი 800 ათასის მითვისებაში ადანაშაულებენ?

რა კავშირშია ყოფილი პრემიერი ქართულ-ბრიტანული ფილმის დაფინანსებასთან?

# არჩევნების შემდეგ მთავრობაში საკადრო ცვლილებები იგეგმება



თამარ სანიკიძე, გია შარვაშიძე, დავით დარახველიძე, სოფო ხორგუანი, ვახტანგ ყოლბაია, გურამ ოდიშარია, მანანა ბერიკაშვილი, დავით მაღრაძე, ნოდარ ხადური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 17 მაისი - პარლამენტის

ხათუნა მგალობლიშვილი

**ლევან ვასაძე მოქმედი პარლამენტის დაუყოვნებლივ დაშლასა და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. მას არ აინტერესებს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ვადამდელ არჩევნებს, არც ის აინტერესებს, ვინ გახდება ახალი პარლამენტის „პატრონი“. აცხადებს, რომ პოლიტიკოსი არ არის და შესაბამისად, არც პოლიტიკური დასკვნების გაკეთებას სთხოვს საკუთარ თავს, თუმცა ზუსტად იცის, რომ ხელახალი არჩევნების შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობა რადიკალურად განსხვავებული შემადგენლობის იქნება. ვის ხილვას ისურვებდა ვასაძე საპარლამენტო უმრავლესობის სავარძლებში, ამის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს. ზოგადად, ყველა პოლიტიკურ კითხვას მარტივი პასუხით ირიდებს – მე არ ვარ პოლიტიკოსი. თუმცა ჯერჯერობით. მისი განცხადებებიდან გამომდინარე, ის ძალიან მალე იტყვის, რომ პოლიტიკურმა ვითარებამ იძულებული გახადა, პოლიტიკაში ჩართული. თავად ბიზნესმენს არაფერი უთქვამს, მაგრამ აღნიშნული მინიშნება უცხოელი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაკეთდა.**

17 მაისს თბილისს სიმბოლურად ეწვია ოჯახის მსოფლიო კონგრესის რეგიონალური დელეგაცია. წარმომადგენლები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან და რუსეთიდან. შეხვედრის თემა იყო – „ოჯახური ღირებულებები თანამედროვე მსოფლიოში“. ბუნებრივია, თემაც კონკრეტული მიზნით იყო შერჩეული. თუმცა ყველაზე საინტერესო ამ შეხვედრაზე სტუმრების განცხადებები გახლდათ, რომლებიც ლევან ვასაძესთან დაკავშირებით გაკეთდა. ფრანგი წარმომადგენლის განცხადებით: „ლევან ვასაძე არის საქართველოს იმედი“, ხოლო ამერიკელი წარმომადგენლის განცხადებით, „როდესაც ქვეყანაში პრობლემებია, ასეთ დროს საჭირო ხდება ერთი კაცისა და მისი რწმენის გამოვლინება. ეს არის ლევან ვასაძე“.

„საქართველოს იმედად“ დასახელება ვასაძეს არ გაუპროტესტებია. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენი აცხადებს, პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებო, აბსოლუტურად საწინააღმდეგოზე მეტყველებს მისი განცხადებები, რომლითაც ის ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს უპირისპირდება.

**ლევან ვასაძე:**

**– თქვენ ვადამდელ არჩევნებს ითხოვთ, როგორ ფიქრობთ, ამას ქვეყნისთვის არასასურველი ძალები არ გამოიყენებენ?**

– ამაზე უარესი კანონი არ მიღებულა საქართველოს ისტორიაში. ეს არის ქვეყნის დაღუპვა, ამაზე ცუდი ვერაფერი მოხდება. მე არ ვამბობ, რომ გაურკვეველი ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში, მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე არ ვაკეთებ პოლიტიკურ განცხადებებს, მაგრამ ის, ვინც ამ კანონს იღებს, არის საქართველოს მტერი.




## ლევან ვასაძე: „უსუფაშვილს არ გამოუხატავს ჩემთან შეხვედრის სურვილი“

**– ანუ შედეგებზე არ ფიქრობთ?**

– ეს კანონი უკვე არის ყველაზე ცუდი შედეგი, რაც კი საქართველოსთვის მომხდარა.

**– კანონის გაუქმება არ გამოიწვევს დასავლურ გზაზე პრობლემების წარმოქმნას?**

– საბერძნეთი და უნგრეთი ევროკავშირის წევრები არიან, მაგრამ ეს კანონი არ მიუღიათ. ეს ქვეყნები ევროკავშირის წევრები არიან, რომელიც ჩვენ არც კი დაგვესიზმრება არასდროს...

**– თქვენი განცხადების შემდეგ უსუფაშვილს არ გამოუთქვამს თქვენთან შეხვედრის სურვილი?**

– არა, უსუფაშვილს არ გამოუხატავს ჩემთან შეხვედრის სურვილი. მე არ ვარ პოლიტიკოსი.

**– თქვენ ითხოვთ ამ კანონის გაუქმებას, თუ კონკრეტული მუხლების ამოღებას?**

– მე კატეგორიულად მოვითხოვ ამ კანონის გაუქმებას, უარეს შემთხვევაში მე მოვითხოვ სრულ გადაკეთებას, ისე, რომ მან ასახოს ქართველი ერის ნება და არ იყოს თავსმოხვეული ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო აქტი, რომლის გატარების შემდეგაც ჩვენ გვმოძღვრავენ ჩვენი ხელისუფალნი, რომ ეს არის საერთო საკაცობრიო მონაპოვარი.

**– თქვენ მზად ხართ, პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– მე ყოველთვის მზად ვარ, ვესაუბრო პარლამენტის თავმჯდომარეს ამ საკითხზე, გამოვიწვიო ის დებატებში და დავუმტკიცო მისი ნაბიჯების არადემოკრატიულობა.

**– უცხოელი კოლეგები როგორ აფასებენ ამ კანონს?**

– კონფერენციის ორგანიზატორებმა მოამზადეს რეზოლუცია, მას ხელს აწერს 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ქართულ მთავრობას პირდაპირ ასე ეუბნება: ეს რა სისულელე გააკეთეთ!

**– თუ კანონი არც შეიცვლება და არც გაუქმდება დააყენებთ პარლამენტის დაშლის აუცილებლობის საკითხს?**

– მე მითქვამს და კიდევ ვამბობ, რომ ეს პარლამენტი სასწრაფოდაა დასაშლელი და ახალია ასარჩევი.

**– არ ფიქრობთ, რომ ეს პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს?**

– მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე ვარ ჩემი ქვეყნის მოქალაქე და და პატრიოტი. მე ვხედავ, რომ ეს ხალხი ავნებს საქართველოს.

**– რაც შეეხება კონფერენციასა და იქ მიღებულ რეზოლუციას, ამით ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მოუწოდებთ, უკან წაიღონ საკუთარი გადაწყვეტილება?**

– ეს არის კონფერენცია, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახური ღირებულებების დამცველი ორგანიზაცია ატარებს – მსოფლიოს საოჯახო კონგრესი. ეს აერთიანებს 80 საერთაშორისო ორგანიზაციას. თბილისში პირველად ტარდება მათი გასვლითი კონფერენცია. მე ვარ მოწვეული სტუმარი, როგორც მომხსენებელი. წარმომადგენლები არიან კონგრესის ელჩი გაეროში, საფრანგეთში და ასევე, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც იყო „Fox News“-ის დირექტორი. კონფერენციის თემა არის ოჯახური ღირებულებები თანამედროვე სამყაროში. მე გავუკეთე ჩემი მიმართვა მთავრობას, პრეზიდენტს, პრემიერს ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით. იცით, რომ 17 მაისი უწმინდესმა გამოაცხადა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დაცვის დღედ. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ დღეს ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მე დავესწარი პარაკლისს, რომელიც პატრიარქმა ჩაატარა. მაგრამ საზეიმო და გასახარებელი ბევრი არაფერი გვაქვს, რადგან პარლამენტმა ქართული ტელევიზიების მხარდაჭერით მიიღო ანტიდემოკრატიული კანონი ერთხმად, რომელსაც არ უჭერს მხარს მოსახლეობის 99%-ზე მეტი. ამით ხელისუფლებამ ჩაიდინა სრულიად ანტიდემოკრატიული ქმედება. ეს კანონი არის საერთაშორისო პროგრამის ნაწილი, რომელიც მიმართულია ოჯახური და სულიერი ღირებულებების წინააღმდეგ, მის დეგრადაციასა და სულიერ გარყვნაზე. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელსაც, თუ არ შევაჩერებთ და არ შევატრიალებთ, მოჰყვება მეორე, მესამე და კიდევ ბევრი და კიდევ უარესი ნაბიჯები, რომლებიც თითოეული თქვენგანის ოჯახამდე მოაღწევს.







## გიორგი ცაგარეიშვილი: „ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ემუქრება საქართველოს პარლამენტს დაშლით, გამოყრით... მე მათ მინდა ვუთხრა, რომ გარეთ არის 21-ე საუკუნე“...

ხათუნა მგალობლიშვილი

**თენგიზ კიტოვანის რუსთაველზე გამოჩენამ საპარლამენტო უმრავლესობაში ერთნაირი რეაქცია გამოიწვია: რაც უფრო ნაკლებს ვისაუბრებთ ასეთ ადამიანებზე მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის, – ასე ფიქრობენ „თავისუფალი დემოკრატები“, იგივე აზრზე არიან „რესპუბლიკელებიც“. კოალიციაში მიაჩნიათ, რომ კიტოვანი ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნის ქვეყანას, მისი მაქსიმუმი საკუთარი აზრის გამოხატვაა, რომელიც არავის აღარ აინტერესებს...**

**გიორგი ცაგარეიშვილი:**

– კიტოვანის თემაზე კომენტარის გაკეთება ზედმეტი მგონია. რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ ასეთ კომენტარებს და ასეთ ადამიანებს, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. კიტოვანს თუ თავი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჰგონია, როდესაც მან ათასი რჯულის ნაძირალასთან ერთად დაამხო კანონიერი ხელისუფლება, სასიკვდილოდ გაწირა საქართველოს პრეზიდენტი და ათასი უბედურება მოუტანა ამ ქვეყანას, რის ნაყოფსაც ახლაც ვიმკით, ძალიან შემცდარა. კიტოვანი აცდენილია დროში, მე ნაკლებად მაღელვებს, რას საუბრობს ის, ბევრად უფრო მაღელვებს იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ამ საშინელი სტიქიური უბედურების შემდეგ მოყვნენ ღვარცოფში. მე არ მაინტერესებს არც მისი ბიჭები, არც ლეგენდები მათზე, ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ მისი და მისი ბიჭების ნამოქმედარი რუსთაველის გამზირზე. მე ჩემი თვალით ვნახე ეს ყველაფერი, ჩემ თვალწინ განხორციელდა ძმათამკვლელი ომი, სწორედ კიტოვანის მიერ გაჩაღებული, მე მახსოვს გაპარტახებული ქვეყანა, დანგრეული რუსთაველი, დაცემული სოხუმი და კიდევ ბევრი. ამიტომ არა მგონია, რომ კიტოვანის აჩრდილი თბილისის ქუჩებში დადიოდეს.



**– არ გგონიათ, რომ თავის დროზე რომ არ დაისაჯა კიტოვანი, სწორედ ამიტომ ბედავს ის დღეს მსგავსი განცხადებების კეთებას...**

– ბატონი კიტოვანი არის ამ ქვეყნის მოქალაქე. მას აქვს სრული უფლება, ისაუბროს, გამოხატოს თავისი აზრები. როგორც თქვენი, ჩემი, ასევე კიტოვანის გამოხატვის თავისუფლება არის დაცული კონსტიტუციით. კიტოვანის ენას ძვალი არ აქვს, ისაუბროს, ეს მისი უფლებაა. არა მგონია, მისმა საუბარმა ამ ქვეყანას საფრთხე შეუქმნას. ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ემუქრება საქართველოს პარლამენტს დაშლით, გამოყრით...

**– ვასაძეს გულისხმობთ?**

– ყველას ვგულისხმობ ერთად, ვინც ამ ბოლო დროს ამ სიტყვებს იმეორებს. ყველას შევახსენებ, ახლა გარეთ არის 21-ე საუკუნე და ძალიან შორს ვართ იმ უბედურებისგან, რაც ამ ადამიანებმა თავის დროზე დაატრიალეს თბილისის ქუჩებში. ჩვენ მუქარები არ გვჭირდება, ჩვენ გვჭირდება შრომა. მინდა ვიფიქრო, რომ ეს ემოციური წამოძახილები დარჩება ემოციურ განცხადებებად და არ შეიძენს რეალურ სახეს.

**თენგიზ კიტოვანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:**

– ყველაფერი არის პარლამენტის ბრალი, რომ არ მიელო ეს უსუსური კანონი, რომლითაც ვითომ გაუსწორდნენ ევროპას, იმიტომ მოხდა ყველაფერი. მაგრამ ეს დასაწყისია, ამას მოჰყვება ძალიან ბევრი ამბავი. ჩემი აზრით, გაგრძელება მოჰყვება ის, რომ პარლამენტი დაიშლება. მიმაჩნია, რომ პარლამენტი, რომელმაც ჰომოსექსუალების შესახებ კანონი მიიღო, უნდა დაიშალოს და არ უნდა არსებობდეს საერთოდ საქართველოში. მე ავად ვარ, ფილტვების ანთება მაქვს, თორემ ნახევარი, ვინც აქ დგას, ჩემი ბიჭები არიან. გაიგოს უსუფაშვილმა, რომ ამ კანონის მიღება მაგისთვის ძალიან ცუდად დამთავრდება.

დაანონსებული „დასაწყისის“ მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობაში კიტოვანის მუქარას არასერიოზულად იღებენ...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაშლის მოთხოვნის დღე

ხათუნა მგალობლიშვილი

**სასულიერო პირები მრევლს მოუწოდებენ, საპროტესტო აქციების მუხტი შეინარჩუნონ მანამ, სანამ მათი სურვილი არ შესრულდება. სურვილი კი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა პარლამენტის მიმართ რადიკალური აგრესია გამოიწვია. მამა ელიზბარ დიაკონიძე პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს პარლამენტის დათხოვნასა და ნდობის თავიდან მოპოვებას ურჩევს...**



## მამა ელიზბარ დიაკონიძე: „ეს დახვეწილი არამზადები ცდილობენ, შემოგვაპარონ ეს კანონი სწორედ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ფონზე“

## „მეტი საქმე არ აქვთ ამ დეპუტატებს? მარტო ის დარჩათ გასარკვევი, ვის რა ზომის პრეზერვატივი აცვია და ვინ რა ორიენტაციის არის?“

## „ეს პარლამენტი შენობიანად დასაშლელია“

**მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

– რა თქმა უნდა, პარლამენტმა უკან უნდა წაიღოს ანტიდისკრიმინაციული კანონი, მაგრამ ამაში ნაკლებად ვარ დარწმუნებული. ისინი ხალხის სასიკეთოთ არ მოიქცევიან, როდესაც უმცირესობის სასიკეთოდ პრობლემას აგვარებ და მიკანონებ მის ხელშეუხებლობას, ამით ხელს უწყობ სექსუალურად გაუკუღმართებული ხალხის გამრავლებას. ამიტომ ჩვენ ვგმობთ ამ საქციელს. თუმცა რუსთაველზე ზეიმისთვის შევიკრიბეთ. ეს ზეიმი თავისთავად არის პროტესტი გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების წინააღმდეგ.

**– თუმცა სასულიერო პირების ნაწილი ვერაფერ ანტიქრისტიანულს ვერ ხედავს აღნიშნულ კანონში...**

– სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა არ არის უკუღმართობა?

**– კანონში დაცულია რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების უფლებები...**

– გენდერული იდენტობა წერია და ამით რა უნდათ, რომ მითხრან? მე და ჰომოსექსუალი ერთი და იგივე ვართ? არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, რომლის ხელისუფლება ცდილობს, გენდერულად გამაიგივოს სექსუალურად გაუკუღმართებულ ადამიანთან. ეს დახვეწილი არამზადები ცდილობენ, შემოგვაპარონ ეს კანონი სწორედ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ფონზე. საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები ყოველთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ რელიგიის ნიადაგზე შუღლი არასოდეს ყოფილა. მათ მთელი კანონი იმიტომ მიიღეს, რომ სწორედ ეს ორი ფრაზა: გენდერული თანასწორობა და სექსუალური უმცირესობები გაეპარებინათ, რომ შემდეგ ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელი. მე მაქვს კითხვა, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას რაში სჭირდებოდა ჩვენი ერის ასთორმეტიზირება? სწორედ 112-მა ადამიანმა მისცა ხმა პარლამენტში ამ კანონს.

## „თუ ვაჟკაცები არიან, დაშალონ პარლამენტი და ხელახლა მოიგონ არჩევნები“



**– თუ კანონს უკან არ წაიღებენ, როგორც თქვენ ითხოვთ, ან ცვლილებებს არ შეიტანენ, გაქვთ გეგმა?**

– სჯულის კანონის დაცვით... როგორ? საშვილიშვილო შეჩვენება და ანათემას გადაცემა ემუქრებათ.

**– ბიზნესმენი ლევან ვასაძე პარლამენტის დაშლას ითხოვს...**

– ეგ გარდაუვალია, ნამდვილად მოუწევს ამ პარლამენტს დაშლა და ახალს ავირჩევთ. ეს პარლამენტი შენობიანად დასაშლელია და გადმოსატანია უკან, სადაც იყო. ამ გადაწყვეტილების მისაღებად ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება არ კმარა? მანამდე რა მიიღეს? პირველი კანონი, რომელზეც იმსჯელეს, პრეზერვატივებს ეხებოდა. მეტი საქმე არ აქვთ ამ დეპუტატებს? მარტო ის დარჩათ გასარკვევი, ვის რა ზომის პრეზერვატივი აცვია და ვინ რა ორიენტაციის არის? ასე აქვთ ყველაფერი დაწყობილი ოჯახში? მათ ჩემი და თქვენი ოჯახები აღარ აინტერესებთ და მარტო რეზინის ბუშტებზე ფიქრობენ. ამ კანონის მიღებას აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება იქამდე, სანამ პარლამენტი არ იქნება დაშლილი. თუ ვაჟკაცები არიან, დაშალონ პარლამენტი და ხელახლა მოიგონ არჩევნები. ნამეტანი ცუდი არჩევანია, ძალიან არ მოგვწონს.

# „მგონია, რომ ვასაძე ან აჩქარდა, ან პოლიტიკური ამბიცია აქვს, რომელსაც ვერ იკავებს“

ხათუნა მგალობლიშვილი

**ლევან ვასაძის ულტიმატუმმა საპარლამენტო უმრავლესობაში ადეკვატური რეაქციები გამოიწვია. დეპუტატები ბიზნესმენს ურჩევენ, პოლიტიკისგან თავი შორს დაიჭიროს და საკუთარი ქველმოქმედება ამბიციას არ შესწიროს. დიდი ალბათობით, ვასაძე ყოფილი მეგობრების რჩევებს არ გაითვალისწინებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ საკუთარი კატეგორიული ტონით ის სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს.**



**ლევან ვასაძე:**

– მესმის, რომ ჩემი განცხადებით საკუთარ თავს ვავნებ, მაგრამ რა გაეწყობა. თქვენ მე მიწყრებით, მაგრამ თქვენ სამშობლო გაგიწყრებათ ამ გაუგონარი საქციელისთვის. იძულებული ვარ, მოგახსენოთ, რომ ამ კანონის მიღებით თქვენ საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო საკანონმდებლო აქტის ავტორები გახდით. ისეთი რამ ჩაიდინეთ, ამის ართქმა საქართველოს ღალატს უდრის...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ვოლსკი ვასაძის განცხადებას პოლიტიკურ მესიჯად აღიქვამს. რამდენად შეიძლება მოიაზრებოდეს ბიზნესმენის უკან კონკრეტული პოლიტიკური ძალა, ამაზე საუბარი დეპუტატებს უჭირთ. თუმცა ფაქტია, რომ მარგველაშვილი ვასაძის უახლოესი მეგობარია, ირაკლი ალასანიაზე კი ბიზნესმენმა თავად გააკეთა მინიშნება, რომ მასთან ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებს... ასე რომ, არ არის გამორიცხული, კოალიციის დღევანდელი წევრები სულ მალე ვასაძის ახალ პოლიტიკურ ერთობაში აღმოჩნდნენ...

**გია ვოლსკი, პარლამენტის წევრი:**

– ეჭვი მაქვს ლევან ვასაძემ არ იცის რეალური სიტუაცია და ვფიქრობ, მან არ იცის არც კანონის შინაარსი. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ ვასაძე ან აჩქარდა ან პოლიტიკური ამბიცია აქვს, რომელსაც ვერ იკავებს.

**– შესაძლებელია, რომ შედგეს შეხვედრა?**

– ვასაძე საკმაოდ გონიერი ადამიანია იმისთვის, რომ მოუფიქრებლად გადაედგა ნაბიჯი. ვფიქრობ, მას გარკვეული ამბიცია გააჩნია და სურს ტემპერატურის აწევა, რომელსაც საკმაოდ კარგად და შორსმჭვრეტელური გონიერებით არეგულირებს საპატრიარქო და პატრიარქი პირადად. ვფიქრობ, მას რაღაც არ მოსწონს ტემპერატურის დაწევა, სტაბილურობის შენარჩუნება დაძაბულობის განელება – ეს არის საპატრიარქოს პოზიცია. მეორე საკითხი ის არის, რომ ლევან ვასაძე ან არ იცნობს, ან არ უნდა გაიგოს, რას გულისხმობს ეს კანონი. მესამე – პირველი და მეორე დასკვნიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ვასაძეს თავისი მსოფლმხედველობა აქვს, ან რაიმე გეგმა, რომელიც, ვფიქრობ, სიკეთის მომტანი არ უნდა იყოს.

**– შეიძლება ვასაძე პოლიტიკაში ვიხილოთ?**

– ვფიქრობ, ვასაძის განცხადება სწორედაც რომ პოლიტიკურია...

**– ფიქრობთ, რომ ეს უშუალოდ ვასაძის გადაწყვეტილებაა, თუ მის უკან კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას მოიაზრებთ?**

– იცით, თავად ლევან ვასაძეს მშვენიერი პროექტები აქვს განხორციელებული. იმდენად კარგები, რომ ნაკლს ვერ უპოვი, თუნდაც ის სკოლა, რომელიც მან დააარსა, თუნდაც ის ვითარება, რომელიც მან შექმნა ამ სკოლის გარშემო. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამ ქველმოქმედებას ამბიციას დაუქვემდებარებს.

**– თუ ვასაძე პოლიტიკაში მოვა, რამდენად შეიძლება მის გვერდით აღმოჩნდნენ კოალიციის დღევანდელი წევრები?**

– არა მგონია, ასე მოხდეს, რადგან ლევან ვასაძის პოლიტიკური ამბიცია არავითარ შემთხვევაში არ გამართლდება. ბუნებრივია, დემოკრატიაა და მას აქვს სრული უფლება, წამოსწიოს თავისი ფიგურა, ვასაძეს ამის რესურსიც გააჩნია, მაგრამ სამწუხარო იქნება, თუ ამდენი სიკეთის კეთების შემდეგ ის გადაწყვეტს, პოლიტიკურ თემას დაუქვემდებაროს. ვფიქრობ, რომ პოლიტიკისგან გამიჯნული უნდა იყოს, ეს ჩემი რჩევაა.



## გია ვოლსკი: „ვფიქრობ, ვასაძის განცხადება სწორედაც რომ პოლიტიკურია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სუსტი რგოლები და



მირიან ბოქოლიშვილი

# არჩევნების შემდეგ მთავრობაში საკადრო ცვლილებები იგეგმება

**ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებები იგეგმება. როგორც „პრაიმტაიმს“ სახელისუფლებო კულუარებიდან აცნობეს, არჩევნების შემდეგ თანამდებობას რამდენიმე მინისტრი გამოემშვიდობება. ჩვენი წყარო იმ ოთხეულს გვისახელებს, რომლებსაც ღარიბაშვილი თანამდებობას დაატოვებინებს. მივყვეთ თანმიმდევრობით.**

პირველი, ვინც სუსტ რგოლად განიხილება, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძეა. არავისთვისაა დასამალი, რომ სანიკიძე პრეზიდენტ მარგველაშვილის ახლო მეგობარია, ხოლო ხმები მისი გათავისუფლების შესახებ მაშინვე გავრცელდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა მოქმედი პრეზიდენტი საჯაროდ გაკიცხა. თამარ სანიკიძე ღარიბაშვილის კაბინეტშია, თუმცა მარგველაშვილის გუნდში რჩება. გამომდინარე იქიდან, რომ ღარიბაშვილ-მარგველაშვილს შორის მაინცდამაინც დიდი სიამტკბილობა არ სუფევს, ეს საკადრო ცვლილებაც ადვილი ასახსნელი ხდება. თუმცა ამის იქით არის კიდევ ერთი ინტრიგა. პოლიტიკურ კულუარებში 53-ე სკოლასთან დაკავშირებით განათლების მინისტრის ხისტ გადაწყვეტილებას საბოტაჟს უკავშირებენ. ამბობენ, რომ მაშინ განათლების სამინისტროს გენინსპექციამ სკოლაში გარკვეული გადაცდომები მართლაც დააფიქსირა, თუმცა არც იმ მასშტაბის, რომ მინისტრს რადიკალური გადაწყვეტილება მიეღო, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა დირექტორი და ბიძგი მიეცა სკოლის მოსწავლეების ანტისახელისუფლებო გამოსვლისთვის. ამბობენ, რომ ამით, სანიკიძემ, ერთი მხრივ, საკუთარი ძალა აჩვენა და მეორე მხრივ, საზოგადოების გარკვეული სეგმენტი მთავრობის საწინააღმდეგოდ განაწყო. შეგახსენებთ, რომ 53 სკოლის მოსწავლეებმა დირექტორის მარიამ რამინაშვილის განთავისუფლება სასწავლო პროცესის ჩაშლითა და რამდენიმედღიანი აქციით გააპროტესტეს.

თუმცა 53-ე სკოლის სკანდალი არ გახლავთ ერთადერთი, რომელშიც თამარ სანიკიძე გაეხვია. სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში, სადაც არამიზნობრივ ხარჯებზეა საუბარი, წინა პერიოდებთან ერთად, სანიკიძის მინისტრობის პერიოდიც მოექცა და დადგინდა, რომ, საერთო ჯამში, 2 მილიონი ლარი არაეფექტურად გაიხარჯა. განათლების სამინისტროს მიერ თანხების არაფექტურ ხარჯვაზე სტატია შეგიძლიათ „პრაიმტაიმის“ ამავე ნომერში წაიკითხოთ, რომელიც სკოლებისთვის ავტოსატრანსპორტო მომსახურების შესყიდვას ეხება და სადაც, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ, კორუფციული სქემა იკვეთება... ასევე, სერიოზული ხმაური მოჰყვა განათლების სამინისტროს სკანდალურ ინიციატივას, რომელიც სკოლებში ჰიპნოზის დანერგვას გულისხმობს. როგორც ცნობილია, მანდატურის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრი, თუმცა ფსიქოლოგების გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათი მუშაობის პროცესი ვიდეო და აუდიოჩაწერას უნდა დაექვემდებაროს. განათლების სამინისტროში კი ჩანაწერის გაკეთებას ჰიპნოთერაპიის კურსებით ხსნის და აცხადებს, რომ „არსებობს თერაპია, რომლის ჩაწერაც არათუ საჭირო, არამედ აუცილებელია – ეს გახლავთ ჰიპნოთერაპია! ეს ასეც არის, არც ერთი პროფესიონალი ჰიპნოლოგი არ დასთანხმდება ჰიპნოთერაპიაზე, თუ პაციენტი უარს ამბობს სესიის ვიდეოჩანაწერზე“.

თავად თამარ სანიკიძე დაახლოებით ერთი თვის წინ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ საკადრო ცვლილებების შესახებ მინისტრთა კაბინეტში განხილვა არ ყოფილა.

„საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ. ამის შესახებ განხილვა არ გვქონია. შეუცვლელი არავინ არის. არც მე მოვსულვარ იმ იმედით, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები. მთელი ჩემი ყურადღება მიმართულია განათლების სისტემის გამოწვევებზე და ამ გამოწვევებთან დაკავშირებული გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე. სამო-



თამარ სანიკიძე



გია შარვაშიძე



დავით დარახველიძე



სოფო ხორგუანი



ვახტანგ ყოლბაია



გურამ ოდიშარია


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მათი შემცვლელები



## განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის შემცვლელად გია შარვაშიძე სახელდება

## დავით დარახველიძეს სოფო ხორგუანი, ან ვახტანგ ყოლბაია ჩაანაცვლებს

## კულტურის მინისტრის პოსტზე გადაინაცვლებს მანანა ბერიკაშვილი... ამავე თანამდებობაზე განიხილება დავით მაღრაძეც

## ნოდარ ხადურის ბოლო შანსი – როგორი იქნება ბიუჯეტის ზრდის მონაცემი?

მავლო საკადრო გადაწყვეტილებები მეორეხარისხოვანია“, – განგვიმარტა განათლების მინისტრმა.

ამის მიუხედავად, სამთავრობო წრეებში უკვე აქტიურად ეძებენ თამარ სანიკიძის შემცვლელს. განათლების მინისტრის პოსტზე განიხილება თამარ სანიკიძის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, რომელიც ღიად არა, მაგრამ პირად საუბრებში ადასტურებს, რომ შესაძლოა, მალე მინისტრის პოსტი ჩაიბაროს. შარვაშიძე ამ სისტემაში ჯერ კიდევ 1998 წლიდან საქმიანობს. ის გახლდათ ალექსანდრე კარტოზიას პირველი მოადგილეც. პარალელურად ის ბიზნესსაქმიანობასაც ეწევა. გიორგი შარვაშიძე გახლავთ კომპანია „შატო მარანის“ ერთ-ერთი პარტნიორი.

მოსახსნელ მინისტრებს შორის სახელდება დევნილთა და განსახლების მინისტრი დავით დარახველიძეც. სკანდალები და ბრალდებები არც მას აკლია. ამბობენ, რომ მისი მინისტრობის დროს საეჭვო ტენდერებმა და ნეპოტიზმმა იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ ამ თემას საგამოძიებო ორგანოებიც კი სწავლობენ, თუმცა ჯერჯერობით არ ახმაურებენო. ჩვენი წყარო ყვება, რომ ღარიბაშვილს დარახველიძის მოხსნა რამდენჯერმე ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა დავით საგანელიძის თხოვნით თავი შეიკავაო. მკითხველს აქვე განვუმარტავ, რომ დავით დარახველიძის სიმამრი, აწ გარდაცვლილი პეტრე საგანელიძე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით საგანელიძის ბიძა გახლდათ.

სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ „პრაიმტაიმმა“ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ 2003 წელს დარახველიძის გუბერნატორობის დროს, მის სიმამრს ამბროლაურის სატყეო მეურნეობის საკმაოდ ძვირადღირებული ქონება მიზერულ ფასად გადაეცა. სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი 2003 წლის ოქტომბრით თარიღდება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მწიფდებოდა, დარახველიძე კი გუბერნატორის პოსტზე ბოლო დღეებს ითვლიდა. რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე ჩატარდა აუქციონი ამბროლაურის სატყეო მეურნეობის სახელზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე გახდა ინდსაწარმო „საგანელიძე პეტრე“. ამ საწარმოს უკან რომ რეალურად იმდროინდელი გუბერნატორი, დავით დარახველიძე იდგა, ადგილობრივებს ეჭვიც არ შეჰპარვიათ, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, პეტრე საგანელიძე, დარახველიძის სიმამრი გახლავთ. თუმცა ეს უკვე წარსულია... ახლა დარახველიძე, სავარაუდოდ, ბოლო დღეებს უკვე მინისტრის პოსტზე ითვლის, მანამდე კი მან სოლიდური პრემიის აღებაც მოასწრო. მხოლოდ 2013 წელს მას, ხელფასის გარდა, პრემიის სახით 47 685 ლარი აქვს გამოწერილი. ამის პარალელურად კი მას დევნილთა რაოდენობის ხელოვნურ შემცირებაში ადანაშაულებენ, რათა ამ გზით გაცხრილოს დევნილებზე გასაცემი დახმარებები.

დავით დარახველიძის შემცვლელადაც ძირითადად ორი კანდიდატურა განიხილება. ერთ-ერთი ვერსიით, ამ პოსტისთვის სახალხო დამცველის ყოფილ მოადგილეს სოფო ხორგუანს ამზადებენ. თავად ხორგუანი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. ის სოზარ სუბარის კადრად განიხილება. დევნილთა და განსახლების მინისტრის თანამდებობაზე მოიაზრება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაიაც, რომელიც წარსულში ნინო ბურჯანაძის პარტიული სახე გახლდათ.

წამსვლელთა რიგებში სახელდება კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარიაც. მისი გადადგომის შესახებ ინფორმაცია აქამდეც არაერთხელ გავრცელდა, მაგრამ არ დადასტურდა. ახლა კი, როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, ოდიშარიას ბედი უკვე გადაწყვეტილია და მას მინისტრთა კაბინეტი სწორედ არჩევნების შემდეგ დაემშვიდობება.

არაერთი გახმაურებული საქმიდან ოდიშარიას თანამდებობრივ კარიერაში ყველაზე რეზონანსული მაინც საყრდისის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია. ეს თემა გახდა უთანხმობის მთავარი მიზეზი მასა და მის ყოფილ მოადგილე მარინა მიზანდარს შორის, რომელიც საბოლოოდ თანამდებობიდან გაათავისუფლა. ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ოდიშარიას საჯაროდ მოუწოდა, საყდრისთან დაკავშირებული პრობლემა სასწრაფოდ მოაგვაროს, რათა ამ საკითხზე სპეკულაციები ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს. ეს დავალება მან ოდიშარიას მთავრობის სხდომაზე მისცა.

„ექსპერტებმა უკვე დადეს დასკვნა, რომ ეს არ არის ოქროს უძველესი მაღარო, რის საფუძველზეც მთავრობამ გადაწყვიტა, რომ კომპანია „ერ-ემ-ჯი გოლდს“ სამუშაოები გაეგრძელებინა და ასეც მოხდა. მინდა, შევახსენო მათ, ვინც ძეგლის „დასაცავად“ აქციებს მართავს, რომ ამ ორგანიზაციაში 3000-მდე ოჯახია დასაქმებული და კარგად უნდა გაიაზრონ და გაითვალისწინონ ის პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრებათ, თუ ამ კომპანიას რაიმე შეფერხება შეექმნება. მინდა, მოგიწოდოთ, ბატონო გურამ, სასწრაფოდ მოაგვაროთ ეს პრობლემები, რათა ამ თემაზე ყოველგვარი სპეკულაცია შეწყდეს“, – განუცხადა პრემიერმა კულტურის მინისტრს.

ამ მითითებამდე კი გურამ ოდიშარია თითქმის ერთთვიან შვებულებაში იმყოფებოდა. ზოგადად, კულტურის მინისტრი შვებულებებისა და მივლინებების დიდი მოტრფიალეა, პარალელურად არც მაღალ პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე ამბობს უარს. ასე, მაგალითად, 2013 წლის განმავლობაში მას, პრემიის სახით, 50 ათას ლარზე მეტი აქვს აღებული.

ვინ დაიკავებს კულტურის მინისტრის პოსტს? ამას ჩვენი წყარო ვერ აკონკრეტებს, თუმცა არ არის გამორიცხული, ამ თანამდებობაზე მინისტრის მოადგილემ, მანანა ბერიკაშვილმა გადმოინაცვლოს. ასევე, ამბობენ იმასაც, რომ ამ თანამდებობაზე შეთავაზება ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილისგან მიიღო მწერალმა დავით მაღრაძემ.

დაბოლოს, დიდი ალბათობით თანამდებობასთან გამომშვიდობება მოუწევს ფინანსთა მინისტრსაც, რომელიც ბოლო პერიოდში იმდენად ოდიოზურ ფიგურად იქცა, რომ სატელევიზიო ეთერსაც კი მაქსიმალურად ჩამოაშორეს. გარღვეულ ბიუჯეტზე აღარაფერი რომ ვთქვათ, ნოდარ ხადურის სმა-ჭამა იქცა თითქმის ყველა იუმორისტული გადაცემის შთაგონების წყაროდ. 50 პორცია ღორის მწვადი, 23 წიწილა ტაბაკა, 300-ლარიანი ციკანი თონეში – ეს არის არასრული მენიუ რომლითაც ფინანსთა სამინისტრო ოფიციალურ დელეგაციას ერთ კონკრეტულ რესტორანში გაუმასპინძლდა და ბიუჯეტს ეს ვახშამი 7 ათას ლარზე მეტი დაუჯდა. თუმცა ეს არ არის გამონაკლისი. ხადურის უწყების მიერ შეკვეთილი მენიუები პრესაში რამდენჯერმე მოხვდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უწყებამ „პრევენციის“ მიზნით, დაგეგმილი მოლხენის ხარჯთაღრიცხვა თავადვე პრესრელიზის სახით გაავრცელა.

წყაროს ინფორმაციით, ბევრი უკმაყოფილების მიუხედავად, ნოდარ ხადურის ბედი ჯერ ბოლომდე მაინც არ არის გადაწყვეტილი. როგორც ჩანს, ღარიბაშვილი მას ბოლო შანსს აძლევს და მისი განთავისუფლება მთლიანად იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი იქნება ბოლო კვარტალის ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებელი.

მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ არჩევნებს და ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას. საკადრო ცვლილებები რომ გარდაუვალია, ამას არც ექსპერტები უარყოფენ. ყველას თავისი სუსტი რგოლი ჰყავს, თუმცა ამ ეტაპზე ცვლილებები მხოლოდ ამ მიმართულებით შემოიფარგლება. ვინ იქნება შემდეგი, ამას მომავალი გვიჩვენებს.



მანანა ბერიკაშვილი



დავით მაღრაძე



ნოდარ ხადური

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ





## „ჩემს კანდიდატურასთან და არათბილისელობასთან დაკავშირებით არსებულმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ჩემზე დადებითად იმოქმედა“

სალომე გოგოხია

**„პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიასთან. მაშ ასე, როგორია ნარმანიასეული დედაქალაქის განვითარების გეგმა, არის თუ არა შიდა დაპირისპირება მმართველ გუნდში, აპირებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წასვლას და ვარაუდობს თუ არა არჩევნების მეორე ტურს?**

**– ბატონო დავით, „ქართული ოცნების“ მხრიდან მერობის კანდიდატად თქვენს წარდგენას იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ბევრმა არათბილისელობის გამო „დაგიწუნათ“. როგორ ფიქრობთ, ეს დამოკიდებულება შეიცვალა?**

– ამომრჩევლებთან ურთიერთობის დროს ამას აბსოლუტურად ვერ ვგრძნობ. ჩემს კანდიდატურასთან და არათბილისელობასთან დაკავშირებით არსებულმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ჩემზე დადებითად იმოქმედა. მეტი ენერგია შემძინა იმისთვის, რომ უფრო უკეთ წარმომეჩინა ჩემი ხედვა თბილისთან დაკავშირებით, ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, ყველა სეგმენტთან დაკავშირებული საკითხები შევისწავლე, რომ საზოგადოებამდე ეს მიმეტანა. უფრო მობილიზებული გავხდი. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე მსგავს დამოკიდებულებას ვერ ვგრძნობ.

**– დედაქალაქში განსაკუთრებით მწვავედ დგას ძველი თბილისის საკითხი; ერთი მხრივ, ავარიული სახლების პრობლემაა, მეორე მხრივ კი, ქალაქის ამ ნაწილს ძველი იერსახე უნდა შეუნარჩუნდეს. გაქვთ კონკრეტული გეგმები ამ მიმართულებით?**

– უმუშევრობისა და სოციალური ფონის შემდეგ, ავარიული სახლები სიმწვავით ყველაზე დიდი პრობლემაა. რა თქმა უნდა, ამ საკითხების გადაჭრასთან დაკავშირებული ხედვები და ძირითადი მიმართულებები გვაქვს. ჩვენს პროგრამაში საკითხი სამ ნაწილად იყოფა: პირველი – ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, მათთვის იერსახის შენარჩუნება აუცილებელია. ამაზე მზრუნველობა თბილისის მერიას მოუწევს; მეორე – ავარიული სახლები, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობას არ განეკუთვნება, მაგრამ კერძო მფლობელობაშია; და მესამე – ავარიული საცხოვრებელი კორპუსები. ამ საკითხებთან მიმართებაში ჩვენ ვირჩევთ საჯარო კერძო პარტნიორობის ფორმას, სადაც მერია და კერძო სექტორი ერთობლივად იქნება ჩართული პრობლემების მოგვარებაში. მერია საჯარო ინფრასტრუქტურას, კომუნიკაციებს მოაწესრიგებს, გზას გააკეთებს, წყალს გაიყვანს და ა.შ. უშუალოდ მშენებლობა დაკავშირებული იქნება კერძო სექტორის საქმიანობასთან. რა თქმა უნდა, კერძო სექტორმა მოგება უნდა ნახოს. ამიტომ, ისეთი პროექტები უნდა მომზადდეს, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი იქნება. იქ მცხოვრები მოსახლეობაც უნდა დაკმაყოფილდეს შესაბამისი ფართებით და კერძო სექტორს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობაც მიეცეს. თუმცა, ეს ძალიან რთული საკითხია. ამ პრობლემის სრულად მოგვარება ოთხწლიანი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი იქნება; ამას ამომრჩეველს თავიდანვე ვეუბნებით. პირველი წელი მდგომარეობის სრულად შესწავლის პერიოდი იქნება. ისეთი სახლები, რომლებიც გამაგრებას ექვემდებარება, დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო იმ ავარიულ სახლებთან დაკავშირებით, რომლებიც გამაგრებას არ ექვემდებარება, ინვესტორებთან მოლაპარაკებები დაიწყება. გასათვალისწინებელია ერთი მომენტი, წინა ხელისუფლების პირობებში ძალიან ბევრი ოჯახი ქირით ჰყავთ გაყვანილი, მაგრამ საკითხი ჯერ დაძრული არ არის, მშენებლობები არ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ესეც ვალდებულებაა, რომელიც საკმაოდ მძიმეა და ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო ამ ვალდებულების მიღებაც და შესაბამისად, ამ საკითხზე ზრუნვაც.

**– თქვენ ხშირად ახსენებთ თბილისის განვითარების გეგმას, რომლის შემუშავებასაც აპირებთ. რაზე იქნება დაფუძნებული გენერალური გეგმა და რა სარგებელს მისცემს ეს დედაქალაქს?**

– ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმა ძირითადი ფუნდამენტური ჩარჩო დოკუმენტი იქნება, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ქალაქის სივრცითი ტერიტორიული განვითარება. ამ გეგმის მიხედვით, ცალკე უნდა გამოიყოს გამწვანების ზონები, რეკრეაციული ტერიტორიები, სადაც შეუძლებელი იქნება მშენებლობები და ასეთი ტერიტორია მხოლოდ პარკების, სკვერებისა და რეკრეაციული ზონების განვითარებას მოხმარდება. იგივე გეგმით, განაშენიანებისთვის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელი იქნება სახლების, საოფისე ფართების და კომერციული ობიექტების მშენებლობა, ცალკე გამოვყოფთ. ასევე, გამოყოფილი იქნება სამრეწველო ზონები, სადაც ამა თუ იმ საწარმოებისა და კერძო ობიექტების მშენებლობა იქნება შესაძლებელი. ამ დოკუმენტის მიხედვით მოხდება, ერთი მხრივ, პოლიტიკის წარმოება მშენებლობასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ეს დოკუმენტი იქნება გარკვეული მარეგულირებელი დოკუმენტი სივრცით განვითარებასთან დაკავშირებით. იქნება ზონები, სადაც მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა შეიზღუდება. ასეთ ზონებში მაღალსართულიანი მშენებლობები საფრთხის შემცველია, თანაც ასეთი ზონები ვერ იტანს მაღალ მშენებლობებს, რადგან იერსახე უარესდება. თუმცა, იქნება ცალკე ზონები, სადაც შედარებით მაღალსართულიანი მშენებლობები დაშვებული იქნება. ამ გეგმის მომზადებას დაახლოებით ერთი წელი დასჭირდება. თუმცა, საორგანიზაციო და მოსამზადებელ სამუშაოებს მალე, ამ ზაფხულს დავიწყებთ. სამუშაო ჯგუფი კვალიფიციური ექსპერტებისგან დაკომპლექტდება. ჯგუფთან ერთად აქტიურ მუშაობას დავიწყებთ, რათა შრომატევადი საქმე დროულად დავასრულოთ, გავიტანოთ საკრებულოზე და ქალაქს თავისი განვითარების გეგმა ჰქონდეს.

**– დედაქალაქის ერთ-ერთი პრობლემა გზების გადატვირთულობაა, გაქვთ თუ არა კონკრეტული გეგმა, რომ სატრანსპორტო ნაკადები განიტვირთოს?**

– პრობლემების ათეულში შედის დედაქალაქში არსებული საცობები. ამის განტვირთვა მარტივი ღონისძიება არ არის. რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული აქტივობა გვაქვს დაგეგმილი, რომელიც შედეგს აუცილებლად გამოიღებს. პირველ რიგში, ეს არის ცალკეულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის ადგილზე განტვირთვა. ესტაკადების მშენებლობა, ქუჩების გაგანიერება, სადაც ეს შესაძლებელია. ამ მიზნით ათი პროექტი უკვე გვაქვს. ერთ-ერთი მთავარი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავ, პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენაა. მოეწყობა მსუბუქი კონსტრუქციის აივნები ორზოლიანი ორმხრივი მოძრაობით, ხოლო ღია სამუზეუმო მოედანი არსებული სახით შენარჩუნდება. დაგეგმილი გვაქვს თამარაშვილის ქუჩაზე იპოდრომის მაგისტრალისა და უნივერსიტეტის ქუჩის მიერთებასთან არსებული სატრანსპორტო კვანძის განტვირთვაც, რისთვისაც საბურთალოსა და ვაკის მიმართულებით ესტაკადები აშენდება.



**2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. ხალხს დევნიდნენ, უთვალთვალებდნენ, სიტყვის თავისუფლება შეზღუდული იყო და ა.შ. ძალიან ბევრი ადამიანი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგიც დააპატიმრეს**

სატრანსპორტო კვანძის გახსნას ვგეგმავთ საბურთალოსა და კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზეც, სადაც ამჟამად მხოლოდ ერთი კვანძი არსებობს და ამის გამო საცობები წარმოიქმნება. გვირაბის მოწყობას ვგეგმავთ მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის ხიდის ქვეშ, სადაც შევიწროებული გზა ვერ უზრუნველყოფს ავტომობილების ნაკადის გატარებას და ამის გამო მუდმივად საცობები იქმნება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, თამარ მეფის ხიდის მისასვლელთან კლდოვან მასივში მოეწყობა გვირაბი, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს მოძრაობის უსაფრთხოებას და ამ ტერიტორიას საცობებისგან განტვირთავს. კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ვგეგმავთ, თბილისის ზღვის გარშემო გზის რეკონსტრუქციასა და ვარკეთილიდან გლდანამდე ოთხზოლიანი გზის მოწყობას ითვალისწინებს. ვგეგმავთ, ასევე, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გალაკტიონ ტაბიძის ხიდთან უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ამოსასვლელი ახალი გზის მშენებლობასაც, რაც ამ ტერიტორიაზე წარმოქმნილი საცობების პრობლემას მოაგვარებს. ვაპირებთ, ასევე, მუხრან მაჭავარიანის ქუჩიდან მარშალ გელოვანის მოედნამდე ოთხზოლიანი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობასაც, რაც ვაშლიჯვრის დასახლებიდან მტკვრის სანაპიროზე ჩასასვლელთან არსებული საცობების პრობლემას ნაწილობრივ მოხსნის. დაგეგმილი გვაქვს, ასევე, ჭავჭავაძის გამზირისა და კავსაძის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული სატრანსპორტო კვანძის გახსნაც. საავტომობილო მოძრაობის განტვირთვა იგეგმება შეშელიძის ქუჩაზეც. ვმუშაობთ დამატებით პროექტებზეც. ეს პროექტები წინასაარჩევნო პერიოდში უბნების მიხედვით იქნება განხილული და გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის აქტიური ჩართულობით მოხდება. მეორე საკითხია ქალაქის ვიწრო ქუჩებში პარკირების პრობლემების მოგვარება. ასეთ უბნებში მრავალსართულიანი პარკინგის სისტემების განვითარებას ვაპირებთ, რათა ტროტუარებზე და ქუჩის განაპირას მდგომი ავტომანქანებისგან განვტვირთოთ ეს ნაწილი. ამით ერთი დამატებითი ზოლის სამოძრაოდ გამოყენება გახდება შესაძლებელი. ასევე, ვგეგმავთ დღის განმავლობაში დასუფთავების ავტომანქანებისა და ცალკეული სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის შეზღუდვას ისეთ უბნებში, სადაც ვიწრო გზებია. ამით ავტომანქანებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცემათ. ვგეგმავთ სატრანსპორტო ნაკადების შესწავლას, რომლის საფუძველზეც სატრანსპორტო ნაკადები, განსაკუთრებით საქალაქო-სამგზავრო მოძრაობა სხვანაირად უნდა გადალაგდეს. ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია შედეგების მიღება.

**– თქვენ ხშირად ამბობთ, რომ დედაქალაქის წინა ხელისუფლებამ ვერ მოაწესრიგა ქალაქის ინფრასტრუქტურა. თავად როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?**

– ამის მაგალითია გზები, რომელიც დღემდე მოუწესრიგებელია. ეს საბოტაჟის კლასიკური მაგალითია, რომელსაც ისინი ეწევიან. სხვა შემთხვევაში, მათ ოთხთვე-ნახევარი ჰქონდათ იმისთვის, რომ სამუშაოები დაეგეგმათ, გამოეცხადებინათ ტენდერები და გაეუმჯობესებინათ გზების მდგომარეობა. თუმცა, ამას არ აკეთებდნენ. საგზაო ინფრასტრუქტურა ის თემაა, რაზეც მე საკმაოდ დიდი გამოცდილება მომყვება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. რეგიონებში ძალიან ბევრი სამუშაო შევასრულეთ. ჩემი ჩართულობით იგეგმებოდა ეს სამუშაოები, ხშირად ვიყავი მონიტორინგზე, მშენებლობის დროს ხარისხს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი. თუმცა, დედაქალაქში მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურა არ არის მოსაწესრიგებელი. იგივე ტროტუარები, გადასასვლელები, ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი.

**– გარდა ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რის გაკეთებას გეგმავთ, მაგალითად, სოციალური ან თუნდაც დასაქმების მიმართულებით?**

– ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა გვაქვს დაგეგმილი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალური პროგრამების გაფართოებას ვგეგმავთ, რისთვისაც 4 წლის განმავლობაში 800 მილიონ ლარზე მეტს დავხარჯავთ. სოციალურად დაუცველ ყოველ ახალშობილზე 500-ლარიან დახმარებას გავცემთ; ასეთი ოჯახებისთვის კომუნალურ გადასახადებსა და მუნიციპალურ ტრანსპორტზეც გაიზრდება შეღავათები. განსაკუთრებით ვიზრუნებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. ამ კატეგორიის პირთათვის შევქმნით ადაპტირებულ, სრულყოფილ გარემოს. რაც შეეხება დასაქმების საკითხებს, როგორც იცით, თვითმმართველობის ორგანოები არ ქმნიან სამუშაო ადგილებს. უნდა შეიქმნას გარემო იმისთვის, რომ ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდეს. თუმცა, ვგეგმავთ მცირე, საშუალო და დამწყები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე 100 მილიონ ლარს დავხარჯავთ. გარდა ამისა, ამავე მიმართულებისთვის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ფონდს 140 მილიონი ლარი აქვს გათვალისწინებული; მოხდება დამწყები და მოქმედი მეწარმეების გადამზადება, კონსულტაციების გაწევა, მარკეტინგისა და ბიზნესგეგმების მომზადებასა და უცხოური გამოცდილების მიღებაში დახმარება; ეს ყველაფერი დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, ვგეგმავთ დედაქალაქში ტურიზმის განვითარებასა და ახალი ტურისტული ცენტრების შექმნას, რაც, ასევე, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას შეუწყობს ხელს. გარდა ამ ორი მიმართულებისა, სხვა გეგმებიც გვაქვს. მაგალითად, ვაპირებთ თბილისის ყველა რაიონში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრების გახსნას. არაერთი ასეთი სოციალური პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი.

**– წინასაარჩევნო კამპანიის კვალდაკვალ NDI-მ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა 41% მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, როგორია თქვენი პოზიცია?**

– 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ქვეყანაში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. ხალხს დევნიდნენ, უთვალთვალებდნენ, სიტყვის თავისუფლება შეზღუდული იყო და ა.შ. ძალიან ბევრი ადამიანი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგიც დააპატიმრეს. არჩევნების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ადამიანებს დაუბრუნდათ ღირსება და თავისუფლება. დემოკრატიულად ჩავატარეთ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. პოლიტიკური კუთვნილებიდან გამომდინარე არავინ იდევნება. იგივე საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ იქნა საქართველოში დემოკრატიული თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები. თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღემდე მაინც ფიქრობს, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არის, შეიძლება მათ ინფორმაციის ნაკლებობა აქვთ. ასევე, დემოკრატიის გამოვლინებაა ისიც, რომ სწრაფად მივიწევთ ევროკავშირისკენ და ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ვადამ, ნაცვლად შემოდგომისა, ზაფხულში გადმოიწია. ევროპული სტრუქტურები ძალიან კარგად ხედავენ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. ამ თვალსაზრისით, მე მაქვს უფლება და NDI-ს გამოკითხვის ამ ნაწილს ეჭვქვეშ დავაყენებდი.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უ დავით ნარმანიასთან



## „მე პირადად, როგორც მმართველი გუნდის წევრი, გუნდში დაპირისპირების ნიშნებს ვერ ვხედავ. ესეც ხელოვნურად ინსპირირებული თემაა“

**„მე არ ვფიქრობ, რომ ის ადრესატი ვარ, რომელსაც ეს კითხვა ეკუთვნის. მე შემფასებლად ვერ გამოვდგები იმიტომ, რომ არასდროს არ მიკითხავს ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, რატომ გააკრიტიკა გიორგი მარგველაშვილი“**



**„მეორე ტური მხოლოდ და მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები. პრაქტიკულად, ამ მოცემულობაში, მეორე ტურის რაიმე ნიშნებს ვერ ვხედავ“**

**EXCLUSIVE**

**„დავაზუსტოთ, ერთ მილიონამდე ხე. ჩემმა ოპონენტებმა ძალიან საინტერესო სურათი დახატეს და „დადეს“. თბილისს ჯუნგლებად არ ვაქცევთ, მაგრამ ისე გავამწვანებთ, რომ ყველას გაუკვირდება. მათი რეაქცია არ გამკვირვებია, რადგან სწორედ იმ გუნდმა, ვისგანაც ყველაზე მეტი კრიტიკა და ქილიკი წამოვიდა, გაჩეხა და გაანადგურა თბილისში მწვანე საფარი“**

**– ამავე ორგანიზაციის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა (31%) მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების საქმიანობაზე კვლავ რჩება გადაწყვეტილების მიმღებ პირად, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

– საინტერესოა. მე ჩავეკითხები ამ ადამიანებს, რას ეყრდნობიან, რა ინფორმაცია აქვთ ან რას გრძნობენ ამასთან დაკავშირებით, როცა ასეთ პასუხს გასცემენ. ხომ არ არის ეს იმ საინფორმაციო ველის გავლენა, სადაც ჩვენი ოპონენტები მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი იღებს ყველა ძირითად გადაწყვეტილებას ქვეყანაში. მე კითხვას ასე შემოვატრიალებდი და ასეთი ფორმით დავტოვებდი. მე ვფიქრობ, რომ ზედმეტად აჟიტირებული თემაა, რომელიც წინა პლანზე წამოწეულია სწორედ ჩვენი ოპონენტების მხრიდან. მე ასე არ მივიჩნევ.

**– კარგა ხანია, რაც მედიით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოდან წასვლას, აქაური ბიზნესის დატოვებას აპირებს. გვიდასტურებთ ამ ინფორმაციას თუ არა?**

– მე ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი არსად წასვლას არ აპირებს. ის არის ქვეყნის პატრიოტი. რაც მან ამ ქვეყნისთვის გააკეთა, რომ არა ყველაზე მაღალი პატრიოტული გრძნობები, რაც ამ ადამიანს ამოძრავებდა, სხვა შემთხვევაში, ის ამას არ გააკეთებდა. ასეთი რესურსების მქონე ადამიანი, რომელსაც არაფერი აკლდა, გარდა იმისა, რომ მისი ქვეყანა თავისუფალი არ იყო, მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ქვეყანა შემოეტრიალებინა და განვითარების გზაზე დაეყენებინა. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი არგუმენტაცია არსებობს საიმისოდ, რატომ არ აპირებს ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დატოვებას. მას უნდა, რომ მისი ქვეყანა თავისუფალი, განვითარებული იყოს, რათა უფრო მშვიდად იცხოვროს თავის ქვეყანაში.

**– რაც შეეხება მმართველ გუნდს, ხომ არ არის შიდა დაპირისპირება?**

– მე პირადად, როგორც მმართველი გუნდის წევრი, გუნდში დაპირისპირების ნიშნებს ვერ ვხედავ. ესეც ხელოვნურად ინსპირირებული თემაა.

**– შეგახსენებთ, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პრეზიდენტი სახალხოდ გააკრიტიკა, როგორია თქვენი მოსაზრება?**

– ეს სჯობს, მას ვკითხოთ, რატომ გააკრიტიკა და თან ამ ფორმით. მე არ ვფიქრობ, რომ ის ადრესატი ვარ, რომელსაც ეს კითხვა ეკუთვნის. მე შემფასებლად ვერ გამოვდგები იმიტომ, რომ არასდროს არ მიკითხავს ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, რატომ გააკრიტიკა გიორგი მარგველაშვილი.

**– რას ფიქრობთ იმ ფარულ ჩანაწერებზე, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა? შს მინისტრმა განაცხადა, რომ მოსასმენი აპარატურა „ნაცმოძრაობამ“ მოიპარა და ახლა მთავრობას უსმენენ. როგორ ფიქრობთ, გამოძიება ხომ არ აჭიანურებს იმ პირთა ვინაობის გამოვლენას, რომლებმაც გაავრცელეს ფარული ჩანაწერები? წესით, ამის დადგენა გამოძიებას არ უნდა გაუჭირდეს.**

– ჩვენი ოპონენტები რაღაც მანქანებით ცდილობენ, რომ გარკვეული ჩანაწერები, რაც მათ ან მათი ახლობლების ხელში იყო, გამოიყენონ იმისთვის, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქციონ გარკვეული თვალსაზრისით. ვფიქრობ, გამოძიება არის ის ორგანო, რომელმაც ყველა შეკითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი, საიდან, ვის ხელში მოხვდა. რატომ მოხდა მისი გასაჯაროება, ვის ჰქონდა წვდომა, რა აპარატურით კეთდებოდა, დღეს სად არის ის აპარატურა, გატანილია თუ არა. ძალიან ბევრი კითხვაა, რომელსაც გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს. ვფიქრობ, ამის დადგენა არ გაუჭირდებათ.

**– საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე თქვენ სოციოლოგ ლევან თარხნიშვილის BCG კომპანიაში მთავარ ბუღალტრად მუშაობდით. მართალია?**

– ეს არის სიცრუე. მე თარხნიშვილის კომპანიაში არ მიმუშავია. მე ვმუშაობდი ბიზნეს კონსალტინგის გენერალურ დირექტორად და არა – ბუღალტრად. ეს იყო საკონსულტაციო ორგანიზაცია ეკონომიკური კუთხით. 2004-2005 წლებში ვმუშაობდი ამ ორგანიზაციის დირექტორად, რომელიც მოგვიანებით გახდა იმ ჯგუფის წევრი, სადაც თარხნიშვილი ეწევა სოციოლოგიურ კვლევებს, თუმცა, ამ დროს მე უკვე იქ აღარ ვმუშაობდი. მანამდე ეს ორგანიზაცია წმინდა საკონსულტაციო ორგანიზაცია იყო. ეს ინფორმაცია მიწერია შრომის წიგნაკშიც, ჩემს „სივი“-შიც და არასდროს დამიმალავს.

**– დავუბრუნდეთ წინასაარჩევნო კამპანიას, რომელიც აქტიურ ფაზაში შედის, როგორ შეაფასებთ საარჩევნო გარემოს? რამდენად დაბალანსებულია?**

– ვფიქრობ, საარჩევნო გარემო დემოკრატიულია, სიტყვის თავისუფლება ბოლომდე დაცულია და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო არავის დევნიან. ჩვენი გუნდი უარს ამბობს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე და სხვა ისეთ ქმედებებზე, რაც კანონსაწინააღმდეგოა. მუშაობს უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს, სადაც არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები იხილება და რეკომენდაციების მომზადება ხდება. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები აკვირდებიან პროცესებს და, ჯერჯერობით, მათი მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი კრიტიკა არ ისმის. ამიტომ საკმაოდ მოწესრიგებული, დალაგებული წინასაარჩევნო პროცესი გველოდება. ოპონენტები ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ცემა-ტყეპა აღარ არის, როგორც ეს 2012 წლის არჩევნების დროს იყო. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან დემოკრატიულად ჩავატაროთ. საარჩევნო სივრცე იყოს ღია, თავისუფალი, თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის. ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკმაოდ მნიშვნელოვანი კოდექსი მივიღეთ და ამით დემოკრატიული ნაბიჯები გადავდგით. დამატებით შვიდი ქალაქი, ნაცვლად არსებული ხუთი ქალაქისა, გახდა თვითმმართველი ქალაქი და მერები პირდაპირი წესით აირჩევიან. ასევე, პირდაპირი წესით აირჩევა საქართველოში 59 გამგებელი. გარდა ამისა, საარჩევნო ბარიერი 50%-მდე გაიზარდა, ნაცვლად 30%-სა. თვითმმართველობების უფლებამოსილებები უფრო დაკონკრეტდა და დამატებითი უფლებამოსილებები გადაეცა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მნიშვნელოვანი რეფორმის, რაც გავატარეთ. ჩვენი მიზანია, ადგილობრივი დემოკრატია უფრო განვითარდეს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, 20 წლის განმავლობაში ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

**– საუბარია არჩევნების მოსალოდნელ მეორე ტურზე, თქვენ რას ვარაუდობთ? იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტური გარდაუვალი იქნება, ვის მოიაზრებთ შემდგომ ტურში?**

– მეორე ტური მხოლოდ და მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები. პრაქტიკულად, ამ მოცემულობაში, მეორე ტურის რაიმე ნიშნებს ვერ ვხედავ.

**– მერის არჩევნების პარალელურად, საუბარია იმაზეც, რომ არჩევნების შემდეგ მერიის თანამშრომლები ავტომატურად გახდებიან დროებითი მოვალეობის შემსრულებლები, მოუწევთ კონკურსის გავლა. ბევრი შიშობს, რომ დაიწყება მასობრივი განთავისუფლებები. იქნებ, უფრო დაწვრილებით გვითხრათ ამის შესახებ?**

– არავითარი რეპრესიები არ იქნება, არც ადამიანების მასობრივი განთავისუფლება არ მოხდება. ყველა კვალიფიციური კადრი, ვინც მერიის სტრუქტურებშია, მუშაობას გააგრძელებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, 120 დღის ვადაში თვითმმართველობებში შესაბამისი რეორგანიზაცია უნდა ჩატარებულიყო და შემდეგ კონკურსები უნდა გამოცხადებულიყო. თუმცა, ეს ნორმა სახალხო დამცველის აპარატმა გაასაჩივრა. მანამდე საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხებზე იმსჯელა; მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. ვნახოთ, როგორ იქნება მიღებული და რა დავალება გვექნება მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჩავატარებთ კონკურსებს. ჩვენთვის ფასეულია პროფესიონალები. თუმცა, იმის საშუალება და ფუფუნება არ გვექნება, რომ არაპროფესიონალები თვეობით დავტოვოთ. მათ შორის, ის ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, საბოტაჟს ეწეოდნენ.

**„არავითარი რეპრესიები არ იქნება, არც ადამიანების მასობრივი განთავისუფლება არ მოხდება. ყველა კვალიფიციური კადრი, ვინც მერიის სტრუქტურებშია, მუშაობას გააგრძელებს“**

**– დაბოლოს, წინასაარჩევნო დაპირებებში განაცხადეთ, რომ მერობის შემთხვევაში თბილისში მილიონ ხეს დარგავდით, რამაც თქვენს ოპონენტებს ქილიკის საბაბი მისცა და ინტერნეტში ლამის ჯუნგლებადქცეული თბილისის ფოტოებიც გაჩნდა. თქვენი აზრით, ეს საკითხი ხუმრობის თემა რატომ გახდა?**

– დავაზუსტოთ, ერთ მილიონამდე ხე. ჩემმა ოპონენტებმა ძალიან საინტერესო სურათი დახატეს და „დადეს“. თბილისს ჯუნგლებად არ ვაქცევთ, მაგრამ ისე გავამწვანებთ, რომ ყველას გაუკვირდება. მათი რეაქცია არ გამკვირვებია, რადგან სწორედ იმ გუნდმა, ვისგანაც ყველაზე მეტი კრიტიკა და ქილიკი წამოვიდა, გაჩეხა და გაანადგურა თბილისში მწვანე საფარი. პრაქტიკულად, მოსპო რეკრეაციული ზონები. ერთ მილიონამდე ხის დარგვა შეუძლებელი არ არის. მე ციფრებს ჰაერში არასდროს ვამბობ. ეს გარკვეულ გაანგარიშებებს ეყრდნობა. ექსპერტებთან კონსულტაციები, რომელიც მე პროგრამის მომზადების დროს მქონდა, ამასვე ადასტურებს. ოთხ წელიწადზე გავყოფთ შესაბამის სამუშაოებს. ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმით გამოიყოფა ტერიტორიები, რომლებიც გამწვანებისთვის იქნება განკუთვნილი. თბილისის გარშემო სამი ქარსაცავი ზოლი უნდა გაშენდეს – აეროპორტის, დიდი დიღმისა და ნუცუბიძის პლატოს მიმდებარე ტერიტორიებზე, რათა დედაქალაქი ქარისგან და მტვრისგან დავიცვათ. ასევე, ძალიან ბევრი პარკი და სკვერი გვაქვს, სადაც ხეები გაჩეხილია. თუმცა, სივრცე ცარიელია და იქაც დამატებით უნდა დაირგოს. მერია უზრუნველყოფს ნიადაგის შესწავლას, შესაბამისი ჯიშების შერჩევას, ტერიტორიების შემოღობვას, ზაფხულის პერიოდში ხეების მორწყვას. რაც შეეხება ხეების დარგვის პროცესს, ეს მოქალაქეების აქტიურობითა და ჩართვით მოხდება. შეუძლებელი არაფერია და სკეპტიკოსებს მოვუწოდებ, ჩაერთონ გამწვანების აქციებში, რომელსაც ჩვენ სეზონის დადგომისთანავე დავიწყებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ატეხილი ხმაურის მიუხედავად ნათია მიქიაშ



my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**ასეთი მრავალფეროვანი ცვლილებები ახალი სატელევიზიო სეზონის დროსაც კი არ არის ხოლმე. ანუ მაშინ, როდესაც თითოეული დეტალი წინასწარ, დიდი ხნით ადრე იგეგმება, მუშავდება და მზადდება. ამ შემთხვევაში ტელევიზიებში ცვლილებები პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა. სიახლეებია „რუსთავი 2“-ზეც და ტელეკომპანია „იმედშიც“. თუმცა „იმედი“ ჯერჯერობით ცდილობს, საკუთარი გადაწყვეტილებები საიდუმლოდ დატოვოს. სწორედ ამიტომ ისინი კომენტარებისგან თავს იკავებენ. ხოლო ის, ვინც კომენტარზე მოდის, ცდილობს, არაფერი შეიმჩნიოს, თუმცა აღელვებას მაინც ვერ ფარავს. როგორც ჩანს, „იმედში“ ცვლილებებისგან არავინაა დაზღვეული.**

## ჯონი კალანდაძე: „საინფორმაციოს არანაირი ცვლილება და შემცირება არ შეხებია, საინფორმაციოს გარეთ თუ რამე ხდება, ვერაფერს გეტყვით“

უკვე ერთი კვირაა, აქტიურად განიხილება ტელეკომპანიიდან ჟურნალისტების გაშვების საკითხი. ისიც კი ითქვა, რომ თანამშრომლების ნაწილი უკვე დაითხოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობები დატოვეს პროგრამების თანამშრომლებმა, ტექნიკურმა პერსონალმა და დაცვის რამდენიმე წევრმა, რომლებიც ტელევიზიაში 2012 წლიდან მუშაობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, დათხოვნილი თანამშრომლებისთვის არავის არაფერი აუხსნია. შემცირებებზე და ცვლილებებზე არც არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსს სურს საუბარი და არც არხის გენერალურ დირექტორს. საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერის, ჯონი კალანდაძის განცხადებით კი, ცვლილებები მხოლოდ ტექნიკურ სამსახურს შეეხო.

**ჯონი კალანდაძე:**

– ვერაფერს გეტყვით, ჟურნალისტები გაუშვიათ, საინფორმაციოს არანაირი ცვლილება და შემცირება არ შეხებია. საინფორმაციოს გარეთ თუ რამე ხდება, მე არ ვარ კომპეტენტური, ვერაფერს გეტყვით.

**– ითქვა, რომ შემცირება იგეგმება...**

– არაფერი არ იგეგმება, ყოველ

## „ადამიანები ასეთ პოსტებს ადვილად არ ტოვებენ“

შემთხვევაში საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირებით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტექნიკურ სამსახურში იგეგმება ცვლილებები, მე ნამდვილად არ ვიცი.

მიუხედავად კალანდაძის მტკიცებისა, კულუარებში აქტიურად ვრცელდება გენერალური დირექტორის შესაძლო შეცვლის საკითხი. რევაზ საყევარიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე მეორედ არის დანიშნული. პირველად პოსტზე 2012 წლის 9 ნოემბერს დაინიშნა. მაშინ საყევარიშვილმა დენ ბეიტსი ჩაანაცვლა. თუმცა გენდირექტორის პოსტი იმავე წლის 14 თებერვალს დატოვა. მეორედ არხს 2013 წელს დაუბრუნდა და პოსტს დღემდე ინარჩუნებს. თავად საყევარიშვილი ცვლილებებზე კომენტარს არ აკეთებს.

ცვლილებების მიზეზად ორი ვერსია განიხილება. ტელეკომპანიიდან დაცვის გაშვებას ავტომატურად უკავშირებენ „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელების ფარულ ჩანაწერებს. სხვათა შორის, ინფორმაციის გავრცელებისას აქცენტი სწორედ თანამშრომლების ტელეკომპანიაში მისვლის თარიღზე გაკეთდა. ითქვა, რომ დაცვის წევრები „იმედში“ 2012 წლიდან მოყოლებული მუშაობენ... მეორე ვერსიის თანახმად კი, არხის ხელმძღვანელობამ ცვლილებები რეიტინგის ასამაღლებლად დაგეგმა...

„იმედისგან“ განსხვავებით, ყველა სიახლე უკვე დადასტურებულია „რუსთავი 2“-ზე. ერთადერთი კითხვა, რომელიც არსებობს, ნინო შუბლაძის გადაწყვეტილებას უკავშირდება. არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ პოსტის დატოვების „საიდუმლოს“ გახსნას მედიაექსპერტები რამდენიმე დღეში ვარაუდობენ. ამბობენ, რომ ასეთ დროს, რეალური მიზეზი ყოველთვის სახელდება და გამონაკლისს ისინი არც ახლა ელოდებიან.

შუბლაძის წასვლამ დღის წესრიგში ავტომატურად დააყენა გადაცემა „პოზიციის“ წამყვანის საკითხი. შუბლაძის შემცვლელად ტელევიზიაში ორი ჟურნალისტი დასახელდა: თამარ ბაღაშვილი და პაატა იაკობაშვილი.

**თამარ ბაღაშვილი, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი:**

– ნიკა თათბირს გვიტარებდა და ეს იდეა ჩემზე და პაატა იაკობაშვილზე წამოჭრეს. ჩემი კანდიდატურა სერიოზულად არ განხილულა. მე წამყვანობის გამოცდილება არ მაქვს. არც სურვილი. იქვე ვთქვი უარი. მგონია, რომ ამ ეტაპზე მე „კურიერში“ უფრო საჭირო ვარ. ჩემი მოწოდება ჟურნალისტობაა. ჯერჯერობით, წამყვანობაზე არ ვფიქრობ. პაატა არ ყოფილა თათბირზე. ეს ნიკა გვარამიას გადასაწყვეტი იყო.



## ია ანთაძე: „ძალიან მალე გავიგებთ, რა პროცესი მიმდინარეობს „რუსთავი 2“-ში“

რაც შეეხება ნათია მიქიაშვილის „რუსთავი 2“-ზე „გადაბარგების“ საკითხს, როგორც ამბობენ, დაახლოებით იგივე რეაქცია მოჰყვა, როგორიც თავის დროზე ეკა კვესიტაძის არხზე გადასვლას. გავრცელებული ინფორმაციით, მიქიაშვილის „რუსთავი 2“-ზე გადასვლის საკითხი ჟურნალისტების უმრავლესობამ მწვავედ გააპროტესტა. თუმცა მიქიაშვილის გამო დაპირისპირებას უარყოფს „ანატომიის“ პროდიუსერი, თამუნა ჯანელიძე. მისი განცხადებით, „რუსთავი 2“-ში მისი ბევრი მეგობარი მუშაობს და დაპირისპირების შემთხვევაში ინფორმაცია მასთან ადვილად მიაღწევდა.

თამუნა ჯანელიძის განცხადებით,



## „შუბლაძის ნაბიჯი ძალიან მოულოდნელი იყო და არ შეიძლება, რეალურმა მიზეზმა არ გაჟონოს. მიზეზი დიდხანს საიდუმლოდ ვერ დარჩება“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვილის გადაცემა „რუსთავი 2“-ზე მაინც გავა



„ანატომია“ „რუსთვი 2“-ის ეთერში მალე გავა.

**თამუნა ჯანელიძე, გადაცემა „ანატომიის“ პროდიუსერი:**

– ეთერში მალე გავდივართ, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცით. მოლაპარაკება არ არის დასრულებული და დეტალები გასარკვევია. ჩვენ არ გადავდივართ „რუსთვი 2“-ზე სამუშაოდ. ჩვენი სტუდიით ვიქნებით შესულები და არხი მხოლოდ დროს დაგვითმობს. ანუ „რუსთავი 2“ ჩვენგან პროდუქტს ყიდულობს.

არის თუ არა კავშირი „რუსთავი 2“-ზე გატარებულ ცვლილებებსა და „იმედში“ კულუარულად დაანონსებულ ცვლილებებს შორის? მედიაექსპერტების განცხადებით, დასკვნების გამოსატანად გარკვეული პერიოდი და საბოლოო გადაწყვეტილებების გაგებაა საჭირო. მას შემდეგ, როცა გაირკვევა, რატომ დატოვა არხი საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, გადაწყდება ნათია მიქიაშვილის „ანატომიის“ ბედი და დადგინდება, რეალურად უშვებენ თუ არა „იმედიდან“ ძველ თანამშრომლებს, სწორედ მაშინ გახდება მარტივი პროცესისთვის სახელის დარქმევა... თუმცა წამყვან ტელეარხებზე ცვლილებებს შორის კავშირს წინასწარვე ხედავენ...

**ია ანთაძე, მედიაექსპერტი:**

– ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა ტიპის ცვლილებები იგეგმება „იმედზე“. მე როგორც გავიგე, არხზე შეიძლება შემცირებები განხორციელდეს და არა ცვლილებები. შემცირებები ერთია და ჩანაცვლება მეორე. რომ გითხრათ, სადმე მეგულება გუნდი, რომელსაც არხზე მიიყვან და უკეთეს პროგრამას შეადგენს, ნამდვილად არ ვიქნები გულწრფელი. ასეთი გუნდი არ მეგულება. თუ საუბარია სხვადასხვა ტელევიზიებიდან თანამშრომლების გადაბირებაზე, რომ ბევრად ხარისხიანი გადაცემები და უკეთესი საინფორმაციო გააკეთონ, ამასაც მალე გავიგებთ. ის რესურსი, რაც ამ ტელევიზიას აქვს, მთლიანობაში გულისხმობს, რომ უფრო ხარისხიანი და პროდუქტიული უნდა იყოს, თუმცა შეიძლება მათ მოსწონთ ისეთი ტელევიზია, როგორიც ახლა აქვთ. თუ არ მოსწონთ, მაშინ ძალიან ბევრი ცვლილების გატარება მოუწევთ იმისთვის, რომ არხი გახდეს ბევრად უფრო სერიოზული ფაქტორი ქართულ ტელესივრცეში.

**– ცვლილებებია „რუსთავი 2“-ზეც. როგორ ფიქრობთ, უბრალოდ, დაემთხვა ერთმანეთს?**

– რამდენადაც არ ვიცი, რა იქნება ამ ცვლილებების არსი, გამიჭირდება კომენტარის გაკეთება. ვნახოთ, ჯერ რა ცვლილებები იქნება „იმედზე“ და ასევე, „რუსთავი 2“-ზე. ვნახოთ, „რუსთავი 2“-დან ნინო შუბლაძის წასვლა გახდება თუ არა მთლიანი ჯაჭვის ერთი რგოლი, ანუ გაგრძელდება თუ არა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დავინახოთ კავშირი.

## ია ანთაძე: „მაქსიმუმ რამდენიმე დღეში გაირკვევა შუბლაძის წასვლის რეალური მიზეზი“



ჯერჯერობით ისიც არ ვიცით, როგორ გადაწყდება ნათია მიქიაშვილის საკითხი. ფაქტია, რომ რაღაც პროცესი მიმდინარეობს სატელევიზიო მედიაში, თუმცა შესაფასებლად ცოტა დრო დაგვჭირდება.

**– რამდენად დასაჯერებელია შუბლაძის წასვლის მიზეზი?**

– ერთი ეჭვი, რა თქმა უნდა, არსებობს, რომ ადამიანები ასეთ პოსტებს ადვილად არ ტოვებენ. ნინო შუბლაძის წასვლა არხიდან უცნაური იყო იმ დროს, როდესაც ტელეკომპანიას უჭირს, მით უმეტეს ასეთი პოსტი არ უნდა დაეტოვებინა იმ დროს, როდესაც ტელევიზიაში პრობლემებია.




ასეთი ნაბიჯით შუბლაძე თითქოს პრობლემებს უფრო გაექცა. მეორე მხრივ, ითქვა, რომ შუბლაძეს გაუჩნდა უნდობლობა იმ გუნდის მიმართ, რომელთან ერთადაც მუშაობდა. არ ვიცი, რამდენად შეიძლება ეს რეალური იყოს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ „რუსთავი 2“-ში პროცესები დაიწყო მაშინ, როდესაც ტელევიზიის რეიტინგი დადგა ეჭვქვეშ. სწორედ ამ საკითხს მოჰყვა თვალთვალის შესახებ მასალების გამოქვეყნება, პროცესი შუბლაძის წასვლით გაგრძელდა, მოგვიანებით მიქიაშვილის საკითხი დაემატა და ასე შემდეგ. პროცესი ძალიან სერიოზულია და ვფიქრობ, ეს ყველაფერი შუბლაძის წასვლასთან კავშირშია. მე პირადად მგონია, რომ მაქსიმუმ რამდენიმე დღეში გაირკვევა შუბლაძის წასვლის რეალური მიზეზი – იყო ეს პირადი პრობლემა, ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებით გამოწვეული თუ კიდევ სხვა რამ. მსგავსი საკითხები, როგორც წესი, არ იმალება ხოლმე, ყოველ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ჩვენ ძალიან მალე გავიგებთ, რა პროცესი მიმდინარეობს „რუსთავი 2“-ში. თუ ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება, სავარაუდოდ, იქნება კავშირში იმასთან, რომ არხი ძალიან დაახლოებული იყო წინა ხელისუფლებასთან, ახალი ხელისუფლების პირობებში კი ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

**– შუბლაძის წასვლის რეალური მიზეზის გარკვევას რამდენიმე დღეში რაიმე კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვარაუდობთ?**

– შუბლაძის ნაბიჯი ძალიან მოულოდნელი იყო და არ შეიძლება, რეალურმა მიზეზმა არ გაჟონოს. მიზეზი დიდხანს საიდუმლოდ ვერ დარჩება.

**– „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ცნობილი განცხადება უმრავლესობის წევრებმა პოლიტიკურ განცხადებად აღიქვეს და მუქარის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დაინახეს...**

– როდესაც რეიტინგების მიხედვით, ყველაზე ძლიერი ტელევიზიის პირველი პირი ემუქრება ხელისუფლებას ჯოჯოხეთის მოწყობით, ცხადია, რომ ის ამ დროს არის მხარე და არ არის ნეიტრალური ადამიანი. ეს ნამდვილად არ ყოფილა ნეიტრალური ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვები. მე მიმაჩნია, რომ ნიკა გვარამიას მხრიდან მსგავსი სიტყვების წარმოთქმა ძალიან დიდი შეცდომა იყო, თუმცა „რუსთავი 2“ დიდად არც არასდროს უარყოფდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ მათ საკუთარი დამოკიდებულება და სიმპათიები ჰქონდათ. მინდა შევეხო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონს. ის არის ძალიან ლიბერალური და ჩვენ, ჟურნალისტები, ამ კანონს მთლიანად ვეთანხმებით. კანონში წერია, რომ შესაძლებელია ჩინოვნიკსა და ჟურნალისტს შორის წარმოიშვას დავა, ამ შემთხვევაში კანონი იცავს ჟურნალისტს. ასევე, ჟურნალისტს იცავს იმისგან, რომ მან არ გაამჟღავნოს თავისი წყარო. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველაზე მთავარი საფრთხე, რაც ფარული ჩანაწერების გავრცელების შემდეგ დადგა, იყო სწორედ წყაროს გამჟღავნების მოთხოვნის საკითხი. ვფიქრობ, ეს ყველაზე მთავარი მონაპოვარია, რომელიც ერთად უნდა დავიცვათ. ჟურნალისტებს არ უნდა მოუწიოთ პასუხისგება იმის გამო, რომ უარს იტყვიან წყაროს დასახელებაზე. ცვლილებები არც აღნიშნულ და არც სხვა კანონში არ უნდა მოხდეს იმ მიზნით, რომ ეს უპირატესობა ჟურნალისტს მოუსპონ.

**– ანუ ამის საშიშროება არსებობს?**

– ამის საშიშროება არის და სწორედ ამაზე ვსაუბრობ. ამბობენ, რომ ორი სხვადასხვა კანონი ეჯახება ერთმანეთს და შეიძლება, ჟურნალისტებს პასუხი მოსთხოვონ საკუთარ გადაცემაში გამჟღავნებული ინფორმაციის გამო. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ჟურნალისტები და გამომძიებლები, თუკი საფრთხე დაემუქრებათ.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 9 ტყვიით მოკლულ

სალომე გოგოხია

**ვარკეთილში, ე.წ. „დამპალოს“ დასახლებაში, 14 მაისს, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 27 წლის სოფო ზურებიანი ყოფილმა მეუღლემ, 32 წლის ალექსანდრე ცოცხალაშვილმა სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო ცოლისძმა - თემზა ზურებიანი მძიმედ დაჭრა.**

მოკლული სოფო ზურებიანი იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში ტექნიკური არქივის სპეციალისტად მუშაობდა, ხოლო მისი ყოფილი მეუღლე, ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმში ირიცხებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ცოცხალაშვილი ყოფილი გენპროკურორის ოთარ ფარცხალაძის პირად დაცვაში იყო. ამის შესახებ საუბრობს მოკლულის ოჯახიც.

თუმცა, სამართალდამცავ ორგანოებში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. როგორც ამავე უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, ცოცხალაშვილი მხოლოდ სპეცდანიშნულების რაზმში იყო.

„ცოცხალაშვილი ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმში 2011 წლის აგვისტოდან მის დაკავებამდე იყო. რაც შეეხება ინფორმაციას, თითქოს ფარცხალაძის დაცვა და მძღოლი იყო, სიმართლეს არ შეესაბამება. ეს ინფორმაცია საიდან მოიტანეს, არ ვიცი. მას იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. იგი სამსახურის ტაბელურ იარაღს ატარებდა“, - განაცხადა გრძელიშვილმა.

შემზარავი მკვლელობა დაახლოებით ღამის ათ საათზე მოხდა. თვითმხილველების ნაამბობის მიხედვით, ყოფილ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტს სოფოს ძმა შეესწრო, რომელსაც ყოფილმა სიძემ უსიტყვოდ ესროლა. თემზას ორი ტყვია ფეხში მოხვდა. დაჭრილი ძირს დაეცა. მან დას დაუყვირა, რომ გაქცეულიყო. სოფო ასეც მოიქცა, იქვე მდებარე საცხოვრებელი კორპუსისკენ გაიქცა, სადარბაზოში შესვლა სცადა, მაგრამ სიბნელეში ფეხი რაღაცას წამოკრა და შებორძიკდა. ამ დროს ცოცხალაშვილი მიუახლოვდა და ცხრა ტყვია ესროლა. გოგონას ჭრილობები წელს ქვემოთ მიაყენა. იგი იქვე დავარდა. თავად ცოცხალაშვილი გაიქცა, გზადაგზა რამდენჯერმე გაისროლა, კედლებს ესროლა. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა.

სროლის ხმაზე მეზობლები გამოცვივდნენ. თავიდან მათ ვერ იცნეს თემზა და სოფო. თუმცა, დაჭრილის ყვირილზე, სოფოს მიხედეთო, მას მისცვივდნენ. ის კი დის შველას ითხოვდა. კორპუსი, რომლის წინაც ცოცხალაშვილმა ყოფილი მეუღლე ჩაცხრილა, ჩაბნელებული იყო, რამაც სოფოს პოვნა გააჭიანურა.



„გზაში სოფოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ექთანი გვამშვიდებდა, გადარჩებაო, მაგრამ გოგო უკვე სისხლისგან დაცლილი იყო. როცა „არამიანცში“ შევიყვანეთ, თემზამ გვკითხა, სოფო ცოცხალიაო? კი-მეთქი და გონი დაკარგა. სოფო საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა... ისე წავიდა იმ ქვეყნად, რომ ეგონა ქმარმა ძმა მოუკლა“

არ ვიცით ბავშვს ეს ამბავი როგორ უნდა ვუთხრათ. ჯერ დედის სიკვდილი როგორია და მერე როცა გაიგებს, რომ დედა მამამ მოუკლა...“

ამ ადგილას სისხლის ნაკვალევი დღესაც ამჩნევია

„დავინახე სისხლის გუბე, რომელშიც სოფო ეგდო. თავი ჩამოჰკიდებოდა. ვეცი, სოფო მე ვარ, ირმა-მეთქი. ამის თქმაზე მაჯაზე ხელი ოდნავ მომიჭირა. ძალა საერთოდ არ ჰქონდა. გონს ჰკარგავდა. ვიღრიალე, აქეთ-მეთქი. ამასობაში პატრული მოსულიყო. თავიდან, როცა სროლის ხმები გავიგე, ინსტინქტურად 112-ზე დავრეკე, ვიღაცას კლავენ და მოდით-მეთქი. პატრულს ვეხვეწებოდით, მანქანის კარი გააღეთ, რომ მომაკვდავი დავაწვინოთ-მეთქი. არაო, ამის უფლება არ გვაქვსო. შემდეგ მოვიდა სასწრაფო და და-ძმა წაიყვანა. გზაში სოფოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ექთანი გვამშვიდებდა, გადარჩებაო, მაგრამ გოგო უკვე სისხლისგან დაცლილი იყო. როცა „არამიანცში“ შევიყვანეთ, თემზამ გვკითხა, სოფო ცოცხალიაო? კი-მეთქი და გონი დაკარგა. სოფო საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა... ისე წავიდა იმ ქვეყნად, რომ ეგონა ქმარმა ძმა მოუკლა“. - გვიამბო სოფოს ახლობელმა ირმამ, რომელიც შემთხვევის თვითმხილველია.

„იმხელა სტრესი მივიღე, ახლაც შოკში ვარ. სოფო ხელებში ჩამაკვდა. მე ქმარი გარდაცვლილი მყავს, პატარები ობლებად დამრჩნენ. მათ გაზრდაში სოფო დამეხმარა. ერთი ოჯახივით ვიყავით. სოფოს შვილი ახლა ჩემთან არის. დედა სად არის, ამდენი ხანი სამსახურიდან რით ვერ მოვიდაო. ბავშვი ტანსაცმელს არ იხდის, არ იძინებს, დილის ექვს საათზე ოთახიდან ოთახში დადიოდა, დედა სად არისო, კითხულობს. თავს იმშვიდებს, დედა ისეთ დროს მიდის სამსახურში და ბრუნდება, როცა მე მძინავსო. არ ვიცით ბავშვს ეს ამბავი როგორ უნდა ვუთხრათ. ჯერ დედის სიკვდილი როგორია და მერე როცა გაიგებს, რომ დედა მამამ მოუკლა...“ - ცრემლები მოერია ირმას.

„ეს მე ჩავიდინეო, რაღაცნაირი სინანულით, მომტირალი ხმით მითხრა და ტელეფონი გათიშა. ალბათ, აინტერესებდა სოფო ცოცხალი იყო თუ არა“

მომხდარის შემდეგ ალექსანდრე ცოცხალაშვილი პოლიციამ დააკავა. ერთი-ერთი ვერსიით, იგი პოლიციას თავად ჩაბარდა. გარდაცვლილის ოჯახი ამბობს, თითქოს ის პროზექტურაში მივიდა და სოფოს ცხედრის გატაცებას ცდილობდა.

როგორც ოჯახის ახლობელმა გვიამბო, დაჭრილების „არამიანცში“ მიყვანიდან რამდენიმე წუთში ცოცხალაშვილმა დარეკა.

„როცა მითხრა, ალექსი ვარო, ყვირილი დავიწყე, სად ხარ ალექს, ჩვენს თავს უბედურება დატრიალდა, სოფო და თემზა დაჭრილები მოვიყვანეთ საავადმყოფოში-მეთქი. ეს მე ჩავიდინეო, რაღაცნაირი სინანულით, მომტირალი ხმით მითხრა და ტელეფონი გათიშა. ალბათ, აინტერესებდა სოფო ცოცხალი იყო თუ არა“.

„პრაიმტაიმი“ სოფო ზურებიანის ოჯახს ესტუმრა. მათ ოჯახში ენით აუწერელი ტრაგედია ტრიალებს. ოჯახი გარდაცვლილ შვილს დასტირის, მეორე შვილი კი საავადმყოფოშია და სიკვდილს ებრძვის. დაჭრილის მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ის ხელოვნურ აპარატზეა შეერთებული. ურთულესი ოპერაცია ჩაუტარეს, მარჯვენა ფეხის მუხლი ჩამსხვრეული აქვს.

სოფოს ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია. ომის შემდეგ ოჯახი თბილისში დამკვიდრდა. სოფო შვილთან ერთად მამასთან და ძმასთან ცხოვრობდა. ამ დროისთვის ის ქმარს გაშორებული იყო. თუმცა, ოჯახის განმარტებით ალექსის მხრიდან შერიგების მცდელობა არაერთხელ ყოფილა, რასაც პასუხად სოფოს სასტიკი უარი მოჰყოლია. ცოლ-ქმარი ოფიციალურად არ განქორწინებულა. თუმცა, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ცოცხალაშვილი სოფოს ოჯახში ხშირად მოდიოდა. შაბათ-კვირას ბავშვი თავისთან მიჰყავდა.





„ერთხელ ჩემი მეუღლე შეესწრო მათ კამათს და გაიგონა ქმარი როგორ ემუქრებოდა, მეოთხე სართულიდან გადაგაგდებო. ბოლო ხანებში მოკვლით ემუქრებოდა. შვილი სახლის ჭიშკართან მომიკლა კიდეც“, - ამბობს სოფოს მამა“

ოჯახის თქმით, ის შერიგებას ცდილობდა, სოფო უარობდა. ამის გამო მოკვლით ემუქრებოდა.

მოკლულის ოჯახის თქმით, სოფომ და ალექსმა ოჯახი შვიდი წლის წინ შექმნეს. ცოცხალაშვილი მთიულია, ხუთი წლით უმცროსი სოფო მოიტაცა. სოფოც დარჩა მასთან. შემდეგ შვილი შეეძინათ. ოჯახური კონფლიქტი დიდი ხანი მიმდინარეობდა. თურმე, სოფო ამბობდა, რომ ქმრის რთულ ხასიათს ვერ ეგუებოდა. ქმარი ლამაზ ცოლზე ეჭვიანობდა, კონფლიქტიც აქედან დაიწყო.

სოფოს მამიდა გვიამბობს, რომ ყოფილი სიძე მის ძმისშვილს მოკვლით ემუქრებოდა.

„სოფო ულამაზესი გოგო იყო, სიცოცხლით სავსე. ერთმანეთს საერთოდ არ შეეფერებოდნენ, მაგრამ ალეკომ სოფო მოიტაცა, თიანეთში წაიყვანა. როცა იქ მივედით, იარაღით შეიარაღებულები დაგვხვდნენ. თან ხომ იცით ქართული მენტალიტეტი და სოფო დარჩა. მერე შვილი გაუჩნდათ. სამი წელი სოფოს მშობლების ოჯახში ცხოვრობდნენ. ჩვეულებრივი ბიჭი ჩანდა, ამას ვინ იფიქრებდა, რომ ვამპირი იყო? შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. სოფოს ერთხელ ზღვაში ახრჩობდა, ერთხელ უკამათიათ და დამუქრებია, მეოთხე სართულიდან გადმოგაგდებო. ბოლოს სოფო დაშორდა. ის არ ეშვებოდა, შემირიგდიო, მაგრამ სოფო უარზე იყო. ეუბნებოდა, ვინ არ დაცილებია ერთმანეთს, შენ შენს გზაზე, მე ჩემსაზეო. შვილს გიზრდი, არ გიშლი მის ნახვასო. იმ საღამოს სახლთან დახვდა. სოფო მაღაზიაში უნდა შესულიყო. კამათი მოუვიდათ. სოფომ თავის ძმას მისწერა, რომ მოსულიყო. როცა თემზა დაინახა, ალეკომ მაშინვე ესროლა, სიტყვის თქმა არ აცალა. ორი ტყვია ფეხში მოხვდა. თემზა ძირს დავარდა და სოფოს დაუყვირა, გაიქეციო. სოფო იქვე მდებარე კორპუსისკენ გაიქცა. ალეკო გაეკიდა. კარებში შესვლა უნდოდა, მაგრამ რაღაცამ ხელი შეუშალა და ვერ შევიდა. ამ დროს ალეკომ ესროლა. ცხრა ტყვია ესროლა. მაგას მოხვდეს ცხრა ტყვია გულში. სროლის ხმაზე ჩემი ძმა გავიდა. იმ დროს შინ იყო ანდრიასთან ერთად. კიდევ კარგი, რომ ბავშვი სახლში დატოვა და დედის სიკვდილი არ ნახა. სოფო კარგა ხანს ითმენდა, ოჯახის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ ბოლოს მისგან წამოვიდა. ვერ გაუძლო. ცოლ-ქმარი ერთმანეთს როგორ არ გაცილებია, მაგრამ ამის გამო ვინმეს კლავენ? რა ვუთხრათ მისი ხუთი წლის შვილს?! ბავშვი სულ დედას კითხულობს. სად არის, აქამდე რით ვერ მოვიდა სამსახურიდანო. როგორ ვუთხრათ, რომ დედა აღარ ჰყავს? ან როცა გაიგებს, რომ დედა მამამ მოუკლა, რა დაემართება“? - ცრემლებს ვერ იკავებდა სოფოს მამიდა მზია ზურებიანი.

სოფოს მამა ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ბოლო დროს ყოფილი სიძე მის შვილს მოკვლით ემუქრებოდა. ჩვენთან საუბარში იგი მკვლელობის ღამეს იხსენებს.

„იმ დღეს სოფოს ბავშვი ბაღიდან ჩემმა ბიჭმა გამოიყვანა. საღამოს ვიღაცამ დაურეკა, ვინ არ ვიცი. ალეკოს სოფო დაჭერილი ჰყავს და არ უშვებსო. თემზამ ალეკოსთან დარეკა, მაგრამ მან ტელეფონი გაუთიშა. თემზამ, ტაქსით წავალ და სოფოს მოვძებნიო. მე ვერ გავყვებოდი, რადგან ბავშვს მარტო ვერ დავტოვებდი. თემზა გავიდა თუ არა, რამდენიმე წუთში გასროლის ხმა გაისმა. ბავშვი ატირდა. გარეთ გავედი და დაჭრილი თემზა დავინახე, რომელიც ასფალტზე ეგდო. „მამა ნუ გეშინია, მე არაფერი მიჭირსო“, - მითხრა. ამ დროს

„დაობლებული 5 წლის ბიჭი დედას ელოდება, ამდენი ხანი სამსახურიდან რატომ არ მოვიდაო, კითხულობს ბავშვი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ყოფილი მეუღლე



„სოფო მალაზიაში უნდა შესულიყო. კამათი მოუვიდათ. სოფომ თავის ძმას მისწერა, რომ მოსულიყო. როცა თემზა დაინახა, ალეკომ მაშინვე ესროლა, სიტყვის თქმა არ აცალა. თემზა ძირს დავარდა და სოფოს დაუყვირა, გაიქეციო. სოფო იქვე მდებარე კორპუსისკენ გაიქცა, მაგრამ რაღაცამ ხელი შეუშალა და ვერ შევიდა. ამ დროს ალეკომ ესროლა... ცხრა ტყვია...“



# რა გახდა ვარკეთილში მომხდარი შემზარავი მკვლელობის მიზეზი?



# მკვლელობის დეტალები „პრაიმტაიმში“ EXCLUSIVE

აზრზე არ ვარ რა მოხდა. სოფოს ამბავი არ ვიცი. ამასობაში სასწრაფო მოვიდა და და-ძმა საავადმყოფოში წაიყვანა. სოფოს ჯერ კიდევ სუნთქავდა. თემზას ოპერაცია შვიდი საათი მიმდინარეობდა. ასე მომიკლა შვილი... ბავშვს, რომ დედას მოუკლავს, ის კაცია? იმან უნდა იცოცხლოს? ბავშვი დედის გარეშე არ ჩერდებოდა. ბავშვს გვინდა ვუთხრათ, რომ დედა არ ჰყავს, მაგრამ მეშინია არ შეიშალოს. სამი-ოთხი თვის წინ წამოვიდა სოფო ქმრისგან. ის შერიგებას სთხოვდა, მაგრამ სოფო უარზე იყო. ალეკოს ვეუბნებოდი, ცოტა ხანი ვაცადოთ, გაბრაზება გაუვლის-მეთქი. ერთხელ ჩემი მეუღლე შეესწრო მათ კამათს და გაიგონა ქმარი როგორ ემუქრებოდა, მეოთხე სართულიდან გადაგაგდებო. ბოლო ხანებში მოკვლით ემუქრებოდა. შვილი სახლის ჭიშკართან მომიკლა კიდეც“, - ამბობს სოფოს მამა.

მისი თქმით, სიძეს ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმში მუშაობა მათმა ოჯახმა დააწყებინა.

„ფარცხალაძის (ყოფილი გენპროკურორი) დროს ფინანსური პოლიციის სპეცრაზმში იყო. როცა ფარცხლაძე პროკურატურაში გადავიდა, ის მის პირად დაცვაში გადაიყვანეს. ჩვენ მოვაწყვეთ სპეცრაზმში და ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ მოგვიშვირა ის იარაღი. ჩვენ ვპატრონობდით. სამი წელი ჩვენთან ცხოვრობდნენ. შემდეგ ცალკე გადავიდნენ. რაც იქ მუშაობა დაიწყო, ალეკო შეიცვალა. სხვანაირად გაიშალა. იარაღი ჩამოკიდებული ჰქონდა და სოფოს ემუქრებოდა, თუ არ შემირიგდები, მოგკლავო“, - ამბობს მოკლულის მამა.

ბიჭიკო ზურებიანი აცხადებს, რომ ყოფილ სიძეს მისი შვილების მკვლელობა წინასწარ განზრახული ჰქონდა. მოკლულის ოჯახი შიშობს, რომ შესაძლოა, გამოძიებამ ცოცხალაშვილს ხელი დააფაროს. ამის თქმის საფუძველს ისიც აძლევს, რომ სისხლის სამართლის საქმე არა განზრახ მკვლელობის მუხლით, არამედ ჯანმრთელობის განზრახ მძიმედ დაზიანების მუხლით არის აღძრული.

„მკვლელობა წინასწარ განზრახული ჰქონდა. ისიც კარგად იცოდა, რომ წელს ქვემოთ თუ ესროდა, საქმეს მკვლელობის მუხლით არ აღძრავდნენ. ჩემს შვილებს წელს ქვემოთ ესროლა. გამომძიებლები მოვიდნენ, ოქმზე ხელი მოგვიწერეთ, თითქოს თემზამ შეურაცხყოფა მიაყენა და ალეკომ თავდაცვის მიზნით ესროლაო. ხელი არ მოვაწერე. ან ახლა სხვა რამის თავი მაქვს? ერთი შვილი სახლში მისვენია, მეორე სიკვდილს ებრძვის, აპარატზეა შეერთებული... მან იცოდა, რომ წელს ქვევით სროლა განზრახ მკვლელობაში არ ჩაეთვლებოდა. ამიტომ, ორივე ფეხებში დაჭრა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს წელს ქვემოთ დაჭრილი მოკვდები თუ წელს ზემოთ?“ - ამბობს მოკლული გოგონას მამა.

სოფოს მამიდის თქმით, გასროლამდე სოფოს ყოფილ ქმართან შეკამათება მოუვიდა.

„სოფოს ეჩხუბებოდა, აგინებდა, შეურაცხყოფა მიაყენა. ხელიც დაარტყა. სოფომ უთხრა, შენს გზაზე წადიო. ამ დროს თემზამ გამოიარა. მის დანახვაზე უცებ იარაღი ამოიღო, ალბათ, შეეშინდა, რადგან ჯანღონით სავსე ბიჭია. სიტყვის თქმა არ დააცადა, მაშინვე ესროლა. ეს იყო წინასწარ განზრახული მკვლელობა. შემთხვევის ადგილიდან იმდენი ტყვია ამოიღეს, რომ ალბათ, ომში მიაქვთ ამდენი ტყვია. სროლის ხმაზე მეზობლები გამოცვივდნენ, მათი მისამართითაც გაისროლა. საბედნიეროდ, ყველა გადარჩა. ჩემს სოფოს არაფერი ეშველება თორემ... როცა და-ძმას ესროლა, შემდეგ გაიქცა, თან გარბოდა, თან უკან ისროდა. არ ვიცი რისი ეშინოდა, ვის უნდა ესროლა მისთვის? ეს რომ კაცი ყოფილიყო, ერთ ტყვიას თვითონ დაიხლიდა. სოფოს ისე აწამებდა, რომ ბოლოს სოფო წამოვიდა. თავმოყვარე ოჯახი გვაქვს. ჩუმად ვიყავით, არ გვინდოდა გაგვეხმაურებინა. აფხაზეთის ომს გადავურჩით, ბავშვები წვალებით გაზარდეს და აქ მისმა ტყვიამ მოკლა. რაც აფხაზს არ გაუკეთებია, ის ამ ბიჭმა გააკეთა“, - ამბობს სოფოს მამიდა.

სოფოს დედა შვილის გარდაცვალებას არ შესწრებია. ის ამ დროს ისრაელში იმყოფებოდა. საქართველოში მეორე დღესვე ჩამოფრინდა. შვილის სიკვდილის შესახებ აეროპორტში უთხრეს.

„როგორ გვეთქვა, რომ სოფო აღარ ჰყავდა? დავურეკეთ და ვუთხარით, თემზა მსუბუქად დაჭრილია და შენი გვერდში დგომა სჭირდება, ჩამოდიო. აეროპორტში დავხვდით და სიმართლე მაშინ ვუთხრაით“, - გვიამბობს მზია ზურებიანი.

„ჩემი ლამაზი გოგო, ცხრა ტყვიას რა უნდოდა შენს სხეულში? შენს შვილს რა ვუთხრათ, რომელიც წარამარა კითხულობს, დედა სად არისო“? - დასტიროდა შვილის ცხედარს დედა.

„ეს იყო წინასწარ განზრახული მკვლელობა. შემთხვევის ადგილიდან იმდენი ტყვია ამოიღეს, რომ ალბათ, ომში მიაქვთ ამდენი ტყვია. სროლის ხმაზე მეზობლები გამოცვივდნენ, მათი მისამართითაც გაისროლა. საბედნიეროდ, ყველა გადარჩა“

„პრაიმტაიმი“ ალექსანდრე ცოცხალაშვილის ოჯახთან დაკავშირებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. ოჯახი კონტაქტზე არ გამოდის. როგორც შევიტყვეთ, მისი ოჯახი თიანეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. როგორც ზურებიანების ოჯახმა გვითხრა, მომხდარის შემდეგ ცოცხალაშვილის ოჯახიდან მათ არავინ გამოხმაურებია.

თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმე 117-ე მუხლის მე-2 და მე-7 ნაწილებით აღიძრა. მოგვიანებით ბრალი გადაკვალიფიცირდა და ცოცხალაშვილის მიმართ 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით აღიძრა, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ მძიმედ დაზიანებას, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. აღნიშნული დანაშაული 10-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცოცხალაშვილმა ყოფილი მეუღლე ფინანსური პოლიციის კუთვნილი ტაბელური იარაღით მოკლა.

როგორც „პრაიმტაიმს“ მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თემურ დოლიძემ განუცხადა, დაკავებული ბრალს აღიარებს. მას ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას ჩაუტარებენ.

სოფო ზურებიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტრომ სამძიმრის განცხადება გამოაქვეყნა. სამინისტრო უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, იმედოვნებს, რომ დამნაშავე ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებს.

რაც შეეხება თემზა ზურებიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. იგი კვლავ ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა შეერთებული. ექიმები ცდილობენ, რომ ახალგაზრდა ბიჭს ფეხი შეუნარჩუნონ. ამ ეტაპზე მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



„სოფო ულამაზესი გოგო იყო, სიცოცხლით სავსე. ერთმანეთს საერთოდ არ შეეფერებოდნენ, მაგრამ ალეკომ სოფო მოიტაცა, თიანეთში წაიყვანა. როცა იქ მივედით, იარაღით შეიარაღებულები დაგვხვდნენ. თან ხომ იცით ქართული მენტალიტეტი და სოფო დარჩა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პოლიტიკური კრიზისი

ქეთი ხატიაშვილი

**უფრო ახლა, ვიდრე ადრე, ნათელი ხდება, რატომ „დაბრაკა“ ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის პოსტზე ირაკლი ალასანია და რატომ დადო ფსონი გიორგი მარგველაშვილზე. პრეზიდენტის ფუნქციებზე მაშინდელმა პრემიერმა იმთავითვე გააკეთა განცხადება. ივანიშვილის განმარტებით, „პრეზიდენტს უფრო კრიზისის შემთხვევაში მომრიგებლის როლი აქვს...“ ანუ ივანიშვილი ეძებდა აპოლიტიკურ ფიგურას ამ პოსტზე.**

**ირაკლი ალასანია კი, როგორც მოგვიანებით უკვე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ განაცხადა, ამ ეტალონში ვერ ჩაჯდა. ალასანიას სწორედ ზედმეტი პოლიტიკური ამბიციები დაუწუნეს. მაშინ პრემიერმა ივანიშვილმა მინიშნებაც კი გააკეთა: თუ ალასანიას ამბიციები აქ არ ეტევა, წავიდეს და დამოუკიდებლად სცადოს ბედიო:**

– საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის ალასანიას, ყველაფრის უფლება აქვს. თვითონ თუ მოუნდება, გუნდის ნებისმიერ წევრს შეუძლია, ეს გააკეთოს, ოღონდ ფორმები დაიცვას სწორად. თუ კოალიციაშია, კოალიციას შეეკითხოს, თუ მის აზრს არ გაიზიარებს, გადის კოალიციიდან და აკეთებს, რისი სურვილიც აქვს. კოალიციაში ამის განხილვა არ დაგვიწყია. შესაბამისად, პასუხი არ გვაქვს, თუმცა ჩემი პირადი გადმოსახედიდან, ალასანია ამ ეტალონს, რაზეც უკვე ვისაუბრე, ვერ ერგება, მაგრამ მე მარტო არ გადავწყვეტ ამ საკითხს, გარწმუნებთ.

საბოლოოდ ფსონი გიორგი მარგველაშვილზე დაიდო. სავარაუდოდ, მისი ზომიერებისა და პრაგმატულობის გამო. ალბათ, მთავარი ივანიშვილისთვის მაინც ის იყო, რაც მარგველაშვილს ალასანიასგან განასხვავებდა – გიორგი პოლიტიკური ფიგურა არ იყო და არც პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა.

ამ გათვლამ, შეიძლება ითქვას, ახლა გაამართლა. ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას, ამაზე ახლა ყველა დაობს, თავად პრეზიდენტისა და პრემიერის გარდა. საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებს ხელს პრეზიდენტი აწერს, თუმცა, კონსტიტუცია პრეზიდენტს ამ უფლების დელეგირების საშუალებასაც აძლევს. ანუ, მარგველაშვილმა შეიძლება ღარიბაშვილს მისცეს უფლება, ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს.

**ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით:**

– „მომავლის ინიციატივების ცენტრის“ ხელმძღვანელი, იურისტი ლევან ალაფიშვილი „ეტანიუსთან“ ამბობს, რომ ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, პრემიერს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლება იმ შემთხვევაში აქვს, თუ მასზე უარს კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტი იტყვის... იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება, კანონით ასეა განსაზღვრული და პროცესი შეიძლება ორი გზით წარიმართოს: პირველი – ხელს აწერს სრულიად სახელმწიფოს მეთაური, ანუ პრეზიდენტი, ან მეორე – პრეზიდენტი ახდენს ნაწილობრივ დელეგირებას, პრემიერი იქნება ეს თუ სხვა პირი. პრეზიდენტს შეუძლია სრული ან ნაწილობრივი დელეგირება მოახდინოს.

**„არ არის გამორიცხული, ხელი დოკუმენტს ორივემ მოაწეროს“**

ირაკლი ალასანია რომ იყოს პრეზიდენტი, მის პოლიტიკურ ამბიციებთან დაპირისპირება უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე გიორგი მარგველაშვილის პრაგმატიზმთან. ამ უკანასკნელის შემთხვევაში საქმე დაპირისპირებამდეც არ მივა.

ალასანიამ თავიდანვე ხისტი პოზიცია დაიკავა. ის ღიად დაუპირისპირდა ღარიბაშვილს და ახალგაზრდა პრემიერს ჯერ მუშაობის ხარისხი დაუწუნა, შემდეგ სტილი.

გიორგი მარგველაშვილის შემთხვევა უფრო სხვაგვარია, კონფლიქტი, თუკი ასეთი არსებობს, გარეთ არ გამოდის. პრეზიდენტმა ისე აღიდგინა საკუთარი უფლება მოქალაქეობის მინიჭების ნაწილში, რომ თავად პანიკა არ აუწევია.

ალასანიამ კი ამ დაპირისპირებაში დაკარგა ყველაფერი, ვიცე-პრემიერის ტიტულიც კი.

შესაბამისად, ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ხელმოწერაზეც ირაკლი ალასანიას პოზიცია უფრო ხისტი იქნებოდა. შესაძლოა, მის პოზიციას სერიოზული პოლიტიკური ძვრებიც კი გამოეწვია ხელისუფლებაში.

ეს, რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის არჩევანს ალასანიასა და მარგველაშვილს შორის. რაც არ უნდა იყოს, ივანიშვილის გათვლა მაინც სწორი იყო, ალასანია ხელისუფლებაში უფრო მეტ დისონანსს შეიტანდა, პროცესებს უფრო მეტად შეიყვანდა პოლიტიკურ ჩიხში.

ირაკლი მოუსვენარია, ალბათ, მაინც ამბიციურობის გამო. პრემიერთან დაპირისპირების შემდეგ მან პრეზიდენტ მარგველაშვილთანაც სცადა უფლებებში გათანაბრება, როცა ნატოს შეიარაღების საკითხი დასვა. ლევან ალაფიშვილის განმარტებით, ეს პრეზიდენტის კომპეტენციაა და ალასანიას ამ საკითხის წამოწევის უფლება არ ჰქონდა. ალასანიამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტობა ითამაშა, ამბობს ალაფიშვილი.

ასე რომ, მოუსვენარი, ხმაურიანი და დაუოკებელი ალასანია რას იზამდა, ვინ იცის. მარგველაშვილისთვის ივანიშვილი ფაქტორად, როგორც ჩანს, მაინც რჩება. ის დღემდე აღიარებს, რომ მისი რეიტინგის მატებაც და კლებაც მხოლოდ ივანიშვილის დამსახურებაა.

## მარგველაშვილი თუ ღარიბაშვილი

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი უკვე ცნობილია. საქართველო დოკუმენტს 27 ივნისს მოაწერს ხელს, ისევე როგორც მოლდოვა. კიშინიოვს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს, მაგრამ ვინ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან? ჟურნალისტის კითხვაზე პრემიერმა ღარიბაშვილმა უპასუხა: „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს საქართველო და არა პერსონალურად მე“.

უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ კარგი პასუხი იყო. დიპლომატიურიც, სიმბოლურიც, არც კონფრონტაცია იკითხებოდა და არც პიროვნული ამბიციები.

**პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, თავის მხრივ, განაცხადა:**

– რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, ამის თაობაზე მსჯელობას რამდენჯერმე მოვკარი თვალი და შთაბეჭდილება მრჩება, როგორ წელში გამართულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ კამათია იმასთან დაკავშირებით, ვინ მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს. ძალიან მშვიდი და სწორი კომენტარი გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა. მე მივილე და გავიზიარე მისი ეს კომენტარი, რომ რა დროს ამაზე ლაპარაკია. ღარიბაშვილის ეს მშვიდი და სწორი კომენტარი არავისთვის ყოფილა საინტერესო. საინტერესო იყო დებატები ამ თემაზე. ოღონდ ეს ხელშეკრულება შედგეს და ვინ მოაწერს ხელს, მე ვიქნები თუ მთავრობა, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ხშირად, მე ვხედავ კამპანიებს, რომლებიც იწყება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან ამ საკითხებთან დაკავშირებით. ერთი თემა ეხებოდა მოქალაქეობის შესახებ კანონს. ეს თემები არ არის წინააღმდეგობის საკითხები ჩემსა და მთავრობას შორის. ნებისმიერი კორესპონდენცია, რომელიც იგზავნება მთავრობაში ან პარლამენტში და თუ მათგან რომელიმეს ავიღებთ და შევხედავთ, რომ ეს არის წინააღმდეგობა და ეს არის კონფლიქტი, ყველაფერში შეიძლება ასეთი აქცენტი ჩადო. ეს არის მუშა პროცესი. ამაში არავითარი ინტრიგა არ იდო.

როგორც პრემიერმა, ისე პრეზიდენტმა საკმაოდ მშვიდი კომენტარები გააკეთეს. მათ განცხადებებში დაპირისპირების ან შეუთანხმებლობის რაიმე ქვეტექსტის პოვნაც კი ჭირს.

**არ არის გამორიცხული, პრემიე-**







## ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს საქართველო და არა პერსონალურად მე“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თუ პოლიტიკური ერთობა



## გიორგი მარგველაშვილი: „ვინ მოაწერს ხელს, მე ვიქნები თუ მთავრობა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს“





## რისი დემონსტრირება მოხდება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე

**რმა მინიშნებაც კი გააკეთა. ხელმოწერაზე საქართველოს ხელისუფლება შესაძლოა, სრული შემადგენლობით იყოს წარმოდგენილი. ლევან ალაფიშვილის განმარტებით, დოკუმენტს შეიძლება ერთად მოაწერონ ხელი პრეზიდენტმაც და პრემიერმაც.**

– არ არის გამორიცხული, ხელი დოკუმენტს ორივემ მოაწეროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია და მეც კი ვისურვებდი მასზე ხელმოწერას. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მთავრობა სრული შემადგენლობით გაემგზავროს ვილნიუსის სამიტზე. ვფიქრობ, პრემიერმა სწორედ ეს მინიშნება გააკეთა, როცა თქვა, საქართველო მოაწერს ხელსო. ხელისუფლება დააფიქსირებს თავის ერთიან პოზიციას ამ დოკუმენტის მიმართ და არავითარი დაპირისპირება ან კითხვის ნიშნები არ დარჩება. პრეზიდენტს შეუძლია, სრული ან ნაწილობრივი დელეგირება მოახდინოს. ანუ დოკუმენტს თვითონაც და პრემიერმაც მოაწერონ ხელი ან ეს უფლებამოსილება მთლიანად პრემიერს დაუთმოს... პრეზიდენტმა სახელმწიფოებრივად სწორი, გონივრული რამ თქვა – მთავარი ის კი არ არის, ვინ მოაწერს ხელსო, მთავარია, ხელი მოეწეროსო.

თუმცა, ექსპერტების გარკვეული ნაწილი და მათ შორის ოპოზიციაც, „ნაციონალური მოძრაობა“, მიიჩნევს, რომ ხელმოწერა პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა, რომელსაც მას კონსტიტუცია ანიჭებს და ხელიც დოკუმენტს მარგველაშვილმა უნდა მოაწეროს. მსჯელობაში იმდენად შორს წავიდნენ, რომ **გია ბარამიძემ** ისიც კი განაცხადა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა გაბათილდება, თუ მას ხელს პრეზიდენტის გარდა, ვინმე სხვა მოაწერს:

– კონსტიტუციის დარღვევა ხდება, უკეთეს შემთხვევაში, უვიცობის ან შიდა ინტრიგებისა და დაპირისპირების გამო, მაგრამ უბედურება ისაა, რომ შესაძლოა (შეიძლება ივანიშვილი ამას ამიტომაც აკეთებს), რაღაც დროის შემდეგ, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა არალეგიტიმურად გამოაცხადონ, ხოლო ხელშეკრულება – ბათილად.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებენ ექსპერტები, მათ შორის არც ლევან ალაფიშვილი.

**იურისტ ვახუშტი მენაბდის განმარტებით, კონსტიტუცია პრეზიდენტს ავალებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერას:**

– საქართველოს პრეზიდენტი მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს (მუხლი 73.1.ა). მთავრობის უფლებამოსილება ცოტა სხვაგვარადაა ფორმულირებული, ის უკავშირდება უფრო მეტად აღსრულების ნაწილს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში (მუხლი 78.1).

**თუმცა, ლევან ალაფიშვილი ყურადღებას სწორედ ამ ჩანაწერზე ამახვილებს და ამბობს:** „კონსტიტუცია სწორედ მთავრობასთან შეთანხმებით აძლევს პრეზიდენტს უფლებას, საერთაშორისო მოლაპარაკებები აწარმოოს და შეთანხმებები გააფორმოს, მთავრობის ნებართვის გარეშე პრეზიდენტი დამოუკიდებლად ამ უფლებას ვერ აიღებს და შესაბამისად, არ არის გამორიცხული, დოკუმენტს ხელი მოაწეროს როგორც პრეზიდენტმა, ისე მთავრობამ და როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ცერემონიალს ხელისუფლება თითქმის მთლიანი შემადგენლობით დაესწროს“.

### ვერსიები

როგორ განვითარდება მოვლენები, თუკი მარგველაშვილი ჯიუტად იტყვის: ხელშეკრულებას ხელი მხოლოდ მე უნდა მოვაწეროო, ან თუკი ხელმოწერის ცერემონიალზე უხერხული ვითარება შეიქმნება და პრეზიდენტის ნაცვლად მაინც პრემიერი მოაწერს დოკუმენტს ხელს. კონსტიტუციონალები ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე საკონსტიტუციო სასამართლომდე მივა. იმასაც ამბობენ, რომ მარგველაშვილი-ღარიბაშვილის დაპირისპირება ქვეყანას პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანს, რომ ახალი პოლიტიკური რეალობა გაჩნდება.

თუმცა, ეს მხოლოდ ვერსიებია, იმ შემთხვევაში თუ... ლევან ალაფიშვილი დარწმუნებულია, რომ როგორც მარგველაშვილს, ისე ღარიბაშვილს კარგად ესმით, რომ მათ ქვეყანასთან და სახელმწიფო ინტერესებთან აქვთ საქმე. ამდენად, მისი აზრით, დოკუმენტს ხელს ორივე, ანუ საქართველო მოაწერს.

მარგველაშვილი-ღარიბაშვილის დაპირისპირების შესახებ მოარული ხმების ფონზე სოცქსელებში მათი ერთობლივი ფოტოები გავრცელდა. პაპარაცებმა ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერი ერთ-ერთ რესტორანში გადაიღეს, ისინი მაგიდასთან მარტო ისხდნენ.

ირაკლი ალასანიას საკუთარი კომპეტენტური აზრი, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, არ დაუფიქსირებია. სამაგიეროდ, ალექსი პეტრიაშვილმა, რომელიც ალასანიას გუნდის წევრად ითვლება, განაცხადა, რომ დოკუმენტს ხელი აუცილებლად პრემიერმა უნდა მოაწეროს.

და სანამ ოპოზიციას დისკუსია მაინც მეორეხარისხოვან თემაზე გადააქვს – ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებაზე, მთავარზე ისევ თბილისში ვიზიტად მყოფმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ ისაუბრა:

– რეგიონში მომხდარმა მოვლენებმა გვაჩვენა, რომ არსებობს გარეშე გამოწვევა და წარსულში საქართველომ თავის თავზეც იწვნია ეს. როდესაც საქართველომ აირჩია პოლიტიკური და ბაზრის თვალსაზრისით ინტეგრირება ევროგაერთიანებასთან, ეს არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ერთადერთი შესაძლებელი გზა. რუსეთი არის მეზობელი, რომელთანაც საჭიროა თანამშრომლობა, მაგრამ წინაპირობა ამ თანამშრომლობისა არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. საქართველოს უნდა ესმოდეს, რომ მან თავი უნდა დაიცვას შესაძლო რისკებისგან, არ უნდა მისცეს უფლება სხვას, დააშინოს, არ უნდა ჩადგეს მსხვერპლის პოზიციაში იმ ადამიანების, ქვეყნების წინაშე, რომლებსაც უნდათ დაყოფა და გაბატონება...

მოლდოვაშიც რუსეთის მხრიდან პროვოკაციის შესაძლებლობაზე საუბრობენ. საქართველოს ხელისუფლება ასეთი რისკების არსებობას აღიარებს, თუმცა, მათ ანგარიშგასაწევ ძალებად არ მიიჩნევს. ღია განცხადებებში ამბობენ, რომ ეს ძალები საკმაოდ უძლურები არიან და ქვეყანას ევროპული გეზიდან ვერ გადაახვევინებენ.

თუმცა, ექსპერტების შეფასებით, საფრთხეები სერიოზულია და მის გაჩენას თავად ხელისუფლებამ შეუწყო ხელი.

**საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნიკოლოზ ვაშაკიძის განმარტებით:**

– 27 ივნისამდე რისკები არსებობს, მაგრამ მათთან გამკლავება სავსებით შესაძლებელია... რაც შეეხება საფრთხეებს, ჩვენს შემთხვევაში გარე და საშინაო საფრთხე გაერთიანებულია. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე რუსეთს პოლიტიკურად ძალიან გაუჭირდება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ტიპის მოქმედებების ჩატარება. ალბათ, ამისგან თავს შეიკავებენ, მაგრამ სამაგიეროდ, მას მაქსიმალურად აქტიურად აქვს ამოქმედებული შიდა ფაქტორები. ამ შემთხვევაში – მეხუთე კოლონა. ჩვენ ვხედავთ, როგორ არიან ისინი სწორედ ახლა გააქტიურებული...

ასე რომ, ხელმოწერა არის ის პოლიტიკური საკითხი, რომელსაც პოლიტიკური ინტრიგა არ გააჩნია. საქართველო თუ ერთიანი პოზიციით არ გამოვა, რუსეთის მხრიდან მისი ჩაშლის რისკები საკმაოდ რეალურია და მთავარიც ამ რისკების განეიტრალებაა.



## ლევან ალაფიშვილი: „დოკუმენტს ხელი შეიძლება ერთად მოაწერონ პრეზიდენტმაც და პრემიერმაც...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ ამბობს უარს გენერლებ



„ვინც მათთვის არ არის ხელსაყრელი, მოღალატეა, ვინც მათი ყურმოჭრილი მონაა, ის არის ქვეყნის პატრიოტი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეალურად დისკრედიტაცია გაუკეთა არა მარტო დასავლურ ფასეულობებს, არამედ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს ყველაზე ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი, ისეთი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია“

„კოდორის ხეობაში განლაგებული იყო ძალოვანი სტრუქტურის პირადი შემადგენლობა. ეს იყო პოლიციის ქვედანაყოფები, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები. ერთ მშვენიერ დღესაც, ეს ქვედანაყოფები იხსნებიან და ტოვებენ კოდორის ხეობას. დღემდე გვაინტერესებს და ვკითხულობთ: ვისი განკარგულების შესაბამისად მიატოვეს ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო ქვედანაყოფებმა?“

„ეს არ არის ის პროცესი, რომლის საბოლოო მიჩუმათება და თაროზე შემოდება მოხერხდება. კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის მარტო დაკარგული ტერიტორიები, ეს არ არის მარტო დემორალიზებული ჯარი, ეს არის პერსპექტივის მოსპობა მთლიანად სახელმწიფოსთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში“

„დღეს თუ აცხადებენ, დოკუმენტი გასაიდუმლოებულიაო, ეს ნაკლებად გასათვალისწინებელია. ეს არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი და ამ დოკუმენტმა რეალურად უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს პოზიცია არსებული ფაქტისა და არსებული ქმედებების შესახებ“

## რა წერია თავდაცვის სამინისტროს დასკვნაში და რა ხდებოდა რეალურად აგვისტოს ომის დროს?

მარიამ ნადირაძე

**თავდაცვის სამინისტროში ჩატარებული მოკვლევა აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ცხარე დისკუსიის საგნად რჩება. ამის მთავარი მიზეზი ომის დაწყების შესახებ ირაკლი ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილის პოზიციებს შორის რადიკალური განსხვავების გარდა, ხდება ის, რომ დოკუმენტი გასაიდუმლოებულია, რაც კონკრეტულ ექსპერტებს ეჭვების გამოთქმის საფუძველს აძლევს.**

„ეს არ არის გამოძიება, ეს არის მოკვლევა. შემდეგ უკვე გავაცნობთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასაც. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მთავარი ამოცანა არის, შევისწავლოთ ყველა შეცდომა, წარმატება და ეს გახდეს ჩვენი თავდაცვის დოქტრინის კიდევ ერთხელ გაუმჯობესების საფუძველი“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თუმცა, რამდენად შესაძლებელია, რომ მსგავსი დოკუმენტი, ან კვლევა დოქტრინის საფუძველი გახდეს, ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ „გენერალთა კლუბის“ ხელმძღვანელი, კობა კობალაძე ესაუბრა. თუმცა, მანამდე კიდევ ერთი დეტალი:

ალასანიას გამინისტრებისთანავე გაჩნდა იდეა, რომ უნდა შექმნილიყო გენერლებისგან შემდგარი მრჩეველთა საბჭო, რომელიც მას რეკომენდაციებს გაუწევდა. „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იმ ადამიანებმა, რომლებიც ამ საბჭოს წევრებად მოიაზრებოდნენ, მორატორიუმი გამოაცხადეს და სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას 100–დღიანი ვადა მისცეს. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ უნდა ჩართულიყვნენ ისინი რეკომენდატორების სახით... რამდენიმე ასეული დღე გავიდა, მაგრამ ალასანიას მათი რჩევით რატომღაც არ უსარგებლია.

დღეს კი, როდესაც სამინისტრომ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება, როგორც ჩანს, გენერლებს რჩებათ კითხვები და უჩნდებათ ეჭვები, რომ ამ კითხვებზე პასუხები კვლავაც გაუცემელია.

**გთავაზობთ ინტერვიუს გენერალ კობა კობალაძესთან:**

– აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჩვენ, ბუნებრივია, გვაქვს გარკვეული მონახაზები, ვინაიდან პროცესებს დაშორიშორებული არ ვყოფილვართ. შესაბამისად, ჩვენც გვაინტერესებს, რას მოიცავს თავდაცვის სამინისტროში ჩატარებული მოკვლევა. იმედი გვაქვს მისი გაცნობის ღირსად გაგვხდიან. გვაინტერესებს, რამდენად რეალიზებულია ის საკითხები, რაც დღემდე კითხვებად გვაქვს ჩამოყალიბებული.

**– თავშივე იქნა გაცხადებული, რომ ეს არის საიდუმლო დოკუმენტი...**

– თუ ეს დოკუმენტი შიდა სამსახურებრივი სარგებლობისთვის არის, ეს ერთი თემაა, თუმცა მეორეა ის, რომ ჩვენ გვაქვს რეალური განცდაც და ხედვაც იმისა, რომ, სულ მცირე, ვისაუბროთ ძალიან ბევრ სამსახურებრივ გადაცდომაზე. საკმაოდ ბევრი იყო არაკომპეტენტურობა, ხშირ შემთხვევაში დარღვეული იყო განკარგულებების გაცემისა და შესრულების სინქრონიზაცია... ამიტომაც, დღეს თუ აცხადებენ, დოკუმენტი გასაიდუმლოებულიაო, ეს ნაკლებად გასათვალისწინებელია. ეს არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი და ამ დოკუმენტმა რეალურად უნდა განსაზღვროს სახელმწიფოს პოზიცია არსებული ფაქტისა თუ არსებული ქმედებების შესახებ. თუ ამ კვლევამ აღმოაჩინა, რომ ომის დროს არ გამოვლინდა დანაშაულის ნიშნები, ეს მეორე საკითხია. ნებისმიერი კვლევა, რომელიც დანაშაულის ნიშნებს გამოავლენს, უნდა გადაეცეს შესაბამის სტრუქტურას და ამაზე დაიწყოს გამოძიება. დაველოდოთ ამ პროცესს. წინასწარ ვერაფერს ვივარაუდებ, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც საჭიროა არამარტო თეორიულად, არამედ როგორც საჭიროა წესდებიდან გამომდინარე.

**– რა მოლოდინი გაქვთ ამ დოკუმენტისგან? ფიქრობთ, რომ გაგაცნობენ?**

– ჩვენ არ ვართ ორლობიდან გამოსული ბავშვები...

**– თუმცა, თქვენ ხომ თავდაცვის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს წევრი ხართ?**

– მრჩეველთა საბჭო, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვები აღმოჩნდა. იქნებ არსებობს კიდეც ახლა, მაგრამ მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც ამ საბჭოში მოიაზრებოდნენ, დღემდე გალიმებულები რჩებიან.

**– ანუ ამ იდეამ ჩაილურის წყალი დალია?**

– ვერ გეტყვით... რაც შეეხება საიდუმლოებასთან დაშვებას, ჩვენ გვაქვს უმაღლესი სამხედრო წოდებები. ჩვენ გვქონდა დაშვება უმაღლესი რანგის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებთან, იმასთან რაც ჩვენს სპეციფიკასა და კომპეტენციას მოიცავდა. ვნახოთ... ეს არ არის სამზარეულოს პრობლემა, სადაც ერთმა შეიძლება ყველაფერი იცოდეს და მეორემ – არა. ამ დოკუმენტს სჭირდება შესაბამისი ანალიზი და ამის შემდეგ კონკრეტულ ქმედებებს საჭიროებს. მე ასე მგონია.

**– ალასანიამ ამ დოკუმენტის მხოლოდ მცირე ნაწილი გააჟღერა და განაცხადა, რომ ქართულ მხარეს ომი არ დაუწყია. ამან რამე წარმოდგენა შეგიქმნათ კვლევის შინაარსზე?**

– გააჩნია, ჩვენ რას ვეძახით საომარი მოქმედებების დაწყებას. არ უნდა დავივიწყოთ ის ესკალაცია, რასაც მოწინააღმდეგე მხარე მიმართავდა. მათი ინიციატივით, მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის გახიზვნა საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. მოწინააღმდეგის მიერ მოხდა ესკალაცია პირადი შემადგენლობის და სამხედრო ნაწილების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა. პირველი გასროლა ვინ განახორციელა, ამ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილებოდეს აგრესიად. შეიძლება, უბრალოდ, გამოხატული იყო პრევენცია. არ ვიცი, ვარაუდის დონეზე არ მინდა ამაზე საუბარი. თუ იქნება იმის შესაძლებლობა, რომ გავეცნოთ დოკუმენტს, ხომ კარგი. თუ ამის შესაძლებლობა არ იქნება, ჩვენ გვაქვს რამდენიმე უკვე ჩამოყალიბებული კითხვა, რომელსაც ჩვენ რეალიზებას გავუკეთებთ, მივმართავთ კითხვით და დაველოდებით კომპეტენტურ პასუხს.

**– დასკვნის გამოქვეყნებამდე დაააანონსეს, რომ ამ დოკუმენტში მიღწეული დასკვნები მომავალი დოქტრინისთვის იქნება გათვალისწინებული...**

– არ ვიცი, როგორ შეიძლება ეს მომავალი დოქტრინისთვის იყოს გამოყენებული, ვინაიდან ჩვენ ვსაუბრობთ რეალურად ოპერატიულ-ტაქტიკური დონის ქმედებებზე. სახელმწიფოებრივი დოქტრინა კი ეს არის სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელშიც რეალურად ოპერატიულ-ტაქტიკური ოპერაციების განხილვა არ ხდება. ამიტომ, შეუსაბამოა ამაზე საუბარი. ეს არის შენაერთების და მთლიანად სახელმწიფოს რეალური მოქმედებების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველაფერს ერთად და არანაირად ოპერატიულ-ტაქტიკურ დეტალებს. ამიტომაც, ჩვენ რეალურად უნდა გავეცნოთ ამ დოკუმენტს, მის შინაარსს... კიდევ ვიმეორებ, დოქტრინა არის სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტი.

**– ანუ თავდაცვის სამინისტროს მოკვლევის მასალები ვერ გახდება საფუძველი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტის შექმნისთვის?**

– ჩვენ ერთი რამ გვავიწყდება: ვცხოვრობთ კოსმიურ ხანაში. სწრაფი დინამიკით ვითარდება პროცესები. აბსოლუტურად სხვა რამ შემოგვთავაზა იგივე რუსეთმა ყირიმის მიმართულებით. რაღაცა ნაწილში არის თანხვედრა საქართველოს მოვლენებთან, მაგრამ სხვა ნაწილში სხვა ლოკალური აგრესიის ნიშნები შეინიშნება. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ უნდა ვისაუბროთ 2008 წლის ქმედებებზე ისე, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტზე. იმის მერე გავიდა საკმაო ხანი და ბევრი რამე დინამიკურად, სწრაფად შეიცვალა და განვითარდა. ჩვენ პროცესებს





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის რჩევაზე ირაკლი ალასანია?

## „მე, როგორც უმაღლესი რანგის სამხედრო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავის ჰქონდა აზრად თბილისის აღება“

# EXCLUSIVE



არ უნდა ჩამოვრჩეთ. წინ უნდა ვიყუროთ და ამ პერსპექტივით უნდა ვაყალიბოთ სახელმწიფოებრივი დოქტრინა. მე ასე მგონია.

**– ამბობთ, რომ აგვისტოს ომის დროს იყო ბევრი დარღვევა...**

– არ არსებობდა ურთიერთქმედება, არ არსებობდა კონკრეტული გეგმები, როგორც უახლოეს, ისე პერსპექტიულ ამოცანებზე, მორღვეული იყო სხვადასხვა საბრძოლო უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციონირება, საბრძოლო ნაირსახეობების ურთიერთქმედება... არ მუშაობდა კავშირგაბმულობის პროფესიონალური საშუალებები, რეალურად არ იყო ურთიერთქმედება საინჟინრო ქვედანაყოფებს შორის, ეფექტურად ვერ იქნა ორგანიზებული საჰაერო თავდაცვის სისტემის მოწყობა, არაეფექტურად იყო განლაგებული პირადი შემადგენლობა, არ მოხდა რეალურად დასაცავი ტერიტორიების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. არ გვაქვს პასუხი სამშვიდობო ბრძოლის გაფართოებაზე ჩვენი ადეკვატური პასუხის შესახებ, არ გვაქვს პასუხი იმაზე, ვინ იყო პასუხისმგებელი გორის ჩაბარებაზე და თბილისში კონცერტის გამართვაზე. ეს ყველაფერი კომპლექსური თემაა და განცალკევებულად ვერ განიხილება. შესაძლოა, დოკუმენტში იყოს საუბარი საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობის მოწინააღმდეგის მიერ დატაცებაზე... მოხდა საბრძოლო ტექნიკის საბრძოლო არეალში მიტოვების ფაქტები, დაიკარგა მრავალი ცეცხლსასროლი იარაღი, მოხდა ბევრი სამხედრო ნაწილის აღება და ოკუპირება ისე, რომ იქიდან არ იყო გატანილი საიდუმლო დოკუმენტაცია, შეიარაღების ძირითადი ნაწილი. სამხედრო გემები რჩებოდნენ პორტში და არ იყვნენ გასულები შუა ზღვაში დრეიფზე, რათა უზრუნველეყოთ შემდგომი ამოცანის შესრულება. ისინი თოკზე გამობმული ცხვრებივით იქნენ განადგურებული და ფოთის პორტში ჩაძირული, არ იქნა ამუშავებული რეზერვის სისტემის სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოფილი ხელისუფლების პირობებში ყბადაღებული თემა იყო და მომზადების მრავალმილიონიან პროგრამას ითვალისწინებდა. და რაც მთავარია, ამდენი მსხვერპლი... არ იყო შემუშავებული და ამუშავებული მშვიდობიანი მოსახლეობისთვის კორიდორის მიცემა და არ მოხერხდა მათი ორგანიზებული ევაკუირება საბრძოლო მოქმედებების ზონიდან. რატომ იყო ჩვენი პირადი შემადგენლობის რეალური საბრძოლო ნაწილები ჩატოვებული ურთიერთქმედებისა და ევაკუირების შესაძლებლობის გარეშე? ჩვენ მოგვწონს, როდესაც ჩვენი ბიჭების გმირობებზე ვყვებით და ღმერთმა აცხონოს მათი სული, მაგრამ რატომ არ მოხდა მათი დროული გამოყვანა? ჩვენ ხომ არ ვსაუბრობთ კოსმიურ მანძილებსა და ტერიტორიებზე.

**– როცა საუბრობთ დაკარგულ ტექნიკაზე, თქვენც ფიქრობთ, რომ მოხდა გაყიდული ტექნიკის ე.წ. „გაპრავება“?**

– ეს ცოტა არაკომპეტენტური ვარაუდია... თუმცა თუ ჩვენ ვისაუბრებთ „ენ“ რაოდენობის თანხების ათვისებაზე და მათ ანულირებაზე, შეიძლება კონკრეტულ მისამართამდე მივიდეთ. აქ საუბარია სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. თავი რომ დავანებოთ ტექნიკასაც და ტერიტორიებსაც, აქ საუბარი გვაქვს 198 დაკარგულ სოფელზე. სააკაშვილმა რომ ბრძანა, რა მოხდა, რამდენიმე სოფელი აიღო მოწინააღმდეგემო, ეს „რამდენიმე“ იყო 198 სოფელი. ვთქვათ, არ არის საუბარი ტერიტორიაზე, დაკარგულ ტექნიკაზე, მრავალ გაუბედურებულ ოჯახზე, უდიდეს მსხვერპლზე, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ქართველი კაცის მორალური მდგომარეობის დაკნინებაზე, საუბარია იმაზე, რომ რეგიონში მეომარი ქართველი კაცის პოზიცია უცებ დაიკავა შეშინებულმა, დათრგუნულმა, ხელგამოწვდილმა ხელისუფლებამ, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, რომ თავისი ერი გასაცოდავებულად წარმოეჩინა მთელი მსოფლიოს თვალში. ამაზეა საუბარი. საუბარია იმაზე, რასაც ჩვენ ვუყურებთ წეროვანში. ეს ის რეალობაა, რამიც შეგვიყვანეს და დღემდე უტიფრად გამარჯვების სიმბოლოდ გვიფუთავენ. თურმე მადლობა უნდა ვუხადოთ ვიღაცას, რომ თბილისი არ აიღეს. მე, როგორც უმაღლესი რანგის სამხედრო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავის ჰქონდა აზრად თბილისის აღება. ვიღაცას ეს აზრად რომ ჰქონოდა, ის ამას აუცილებლად გააკეთებდა და ამით თავის კონკრეტულ გეგმას დაუსვამდა წერტილს, რადგან თბილისისხელა ქალაქის შენარჩუნება, რომელიც რეალურად გადადის თავდაცვისუნარიანობის ქაოსში, დამიჯერეთ, თუნდაც ისეთ მრავალრიცხოვან არმიას, როგორიც ჰყავს რუსეთს, არ ძალუძს. ეს იქნებოდა დამატებითი მსხვერპლი და ახალი თავის ტკივილი და ეს იქნებოდა მსოფლიოს წინაშე კვლავ სხვა როლში წარმოჩენა.

**– სარეზერვო სისტემებზე მილიონებით დაფინანსებული პროგრამები მუშაობდა. რატომ არ გაამართლა?**

– ჩვენ 9 წლის განმავლობაში ვიყავით ისტერიკის ქვეშ, რომ „მგელი მოდიოდა“. მაგრამ ამის მიუხედავად, ქვეყანაში აბსოლუტურად არ იყო ორგანიზებული წინააღმდეგობის იატაკქვეშა განყოფილებები. არ იყო ქალაქის თავდაცვისუნარიანობა სექტორებად დაყოფილი, არ იყო რეზერვების რეალური ნუსხა შედგენილი. ამიტომ ის კაცუნები იმ პროგრამით, თუ მოესურვებოდათ, ხალხს აშინებდნენ, ხოლო როცა მოესურვებოდათ, თავადვე ერთვებოდნენ ამ პროგრამაზე. ისე როგორი ხერხითაც დღესაც მოქმედებენ – ვინც მათთვის არ არის ხელსაყრელი, მოღალატეა, ვინც მათი ყურმოჭრილი მონაა, ის არის ქვეყნის პატრიოტი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეალურად დისკრედიტაცია გაუკეთა არა მარტო დასავლურ ფასეულობებს, არამედ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს ყველაზე ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი, ისეთი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ყველანაირად ცდილობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, რომ ფრონტის ხაზს საქართველოზე გაევლო არა იმიტომ, რომ ეს საქართველოს სჭირდებოდა, არამედ იმიტომ, რომ თავად წარმოჩენილიყო, როგორც რეგიონის დაუმორჩილებელი და გულადი ლიდერი. რა გულადობით გამოირჩეოდა, მგონი, ყველამ ვიცით – მიწის ზემოთ რომ აღარ ჰყოფნიდა, მიწის ქვეშ თხრიდა გვირაბებს.

**– ამ თემაზე გამოძიება პროკურატურაშიც მიმდინარეობს, თუმცა ჯერ შედეგები არ ჩანს. ხომ არ ფიქრობთ, რომ თავდაცვის სამინისტროს მოკვლევის დასასრულის დაანონსებით პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების გადაფარვა ხდება?..**

– სამსახურებრივი მოკვლევა თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციაა. ეს თავდაცვის სამინისტროს უნდა გაეკეთებინა, შესაბამისად, დასკვნაც უნდა დაედო, რომლის აზრი და არსი ჩემთვის, სამწუხაროდ, უცნობია. მე არ ვიცი, თავდაცვის სამინისტრომ რა პრიორიტეტული მიდგომა განსაზღვრა: ეს იყო ჯარის ოპერატიული მოქმედებები, თუ კონკრეტული, რეალური პირების მოვალეობის შესრულების სისწორე. თუმცა, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ეს ერთი სისტემაა, სადაც მკაცრად არის გაწერილი იერარქია, რომელსაც განსაზღვრავს არსებული სამხედრო წესდება. აქედან გამომდინარე, მე ჯერ არ ვარ გაცნობილი დოკუმენტს და შესაბამისად, მიჭირს საუბარი.

**– თქვენ და თქვენი მეგობრები რატომ არ ჩაგრთეს კვლევის პროცესში? რატომ არ გამოგკითხეს მაინც?**

– მე არ მღრღნის ამბიციის ჭია. თუ ეს შიდა სამსახურებრივი მოკვლევა იყო, ეს სამინისტროს ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა, ვის მოიწვევდა და ვის – არა.

**– თუმცა, იქვე ითქვა, რომ გამოიკითხა უამრავი მონაწილე...**

– თავის დროზე, როდესაც პაატა დავითაიას კომისიამ ჩაატარა გამოძიება, მაშინაც დაკითხეს უამრავი მოწმე.

**– პარალელს ავლებთ? მსგავსებას ხედავთ?**

– პაატა დავითაიას კომისიის გამოძიების პროცესშიც უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა. შეიძლება იგივე მეორდება დღესაც.

**– ფიქრობთ, რომ მოკვლევას ახლაც ფორმალური სახე ჰქონდა?**

– ეს არ არის ის პროცესი, რომლის საბოლოო მიჩუმათება და თაროზე შემოდება მოხერხდება. კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის მარტო დაკარგული ტერიტორიები, ეს არ არის მარტო დემორალიზებული ჯარი, ეს არის პერსპექტივის მოსპობა მთლიანად სახელმწიფოსთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს რეალურად მორალური მზაობის გატეხვის ერთ-ერთი ელემენტია. ამის მიზეზთამიზეზი გამოძიებული უნდა იყოს.

**– ამ ყველაფერზე თქვენ პასუხისმგებლობას ვის აკისრებთ?**

– მოდი, ავხსნათ ერთი რამ: კოდორის ხეობაში განლაგებული იყო ძალოვანი სტრუქტურის პირადი შემადგენლობა. ეს იყო პოლიციის ქვედანაყოფები, თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები. ერთ მშვენიერ დღესაც, ეს ქვედანაყოფები იხსნებიან და ტოვებენ კოდორის ხეობას. დღემდე გვაინტერესებს და ვკითხულობთ: ვისი განკარგულების შესაბამისად მიატოვეს ადგილობრივი მოსახლეობა სამხედრო ქვედანაყოფებმა? თუ ეს უმაღლესი მთავარსარდლის განკარგულება იყო, რომელიც შეასრულეს შემდგომ სამხედროებმა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ნათელია. თუ რეალურად ეს მთავარსარდლის განკარგულების გარეშე მოხდა, ეს თითოეული სამხედრო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაა. გააჩნია, რა მოცემულობა გვაქვს და იმის მიხედვით ვსაზღვრავთ პასუხისმგებელ პირებს. ეს არ არის გამონაკლისი შემთხვევა. ავიღოთ თუნდაც ახალგორი... ყველა ქვედანაყოფს ჰქონდა განსაზღვრული სექტორი. უნდა გამოიკვეთოს, რომელ სექტორზე, კონკრეტულ მიმართულებაზე, ვინ იყო პასუხისმგებელი. ჩვენ ვიცით, რომ იყო მასობრივი ჩართვა და ჩარევა სამოქალაქო პირების მხრიდან სამხედროების გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს სხვა თემაა. მე დავინახე იქ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც ავტომატებით დარბოდნენ იქით-აქეთ...

**– ვინ დაინახეთ? ვის გულისხმობ?**

– სახელმწიფო პირები არ იყვნენ გუბერნატორები, მძღოლებად რომ ემსახურებოდნენ რუსებს? ისინი დღეს სხვებს აგენტებს ეძახდნენ და თავად მძღოლებად ემსახურებოდნენ რუს გენერლებს. ვიღაცა სუფრას უშლიდა და მეგობრობის სადღეგრძელოებს სვამდა... არის კითხვები, რომლებიც ითხოვს პასუხის გაცემას. ეს კი ის თემა არ არის, როდესაც ერთს შეიძლება უნდოდეს პასუხი, მეორეს კი არ ჰქონდეს მისი გაცემის უფლება.

**– ასეთი დეტალები უნდა გამხდარიყო თავდაცვის სამინისტროს კვლევის საგანი?**

– ამ დეტალებისგან შედგება ის პროცესი, რომელსაც დაეთმო კვლევა. თუ ჩვენ პროფესიონალური კუთხით მივუდგებით, ამ დეტალებს ვერ გავექცევით. ძალიან ცუდი სტერეოტიპია ჩამოყალიბებული დღეს მოსახლეობაში. ჯარი მარტო თოფიანი და ჩექმიანი ადამიანი არ არის. სამხედრო – ეს არის უდიდესი აკადემიური მიდგომა და პროცესი, ეს არის საკმაოდ დიდი არა მარტო დაგეგმარების, არამედ მართვის მთელი ტექნოლოგია და ინსტიტუტი. ამას ასე უბრალოდ არავინ ეუფლება. ამას აკადემიებში ასწავლიან. შესაბამისად, ასეთი აკადემიური მიდგომაა საჭირო თემასთან. თუკი ჩვენ თანამედროვე სამხედრო მოქმედებებზე ვსაუბრობთ, ის შედგება სხვადასხვა სამხედრო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების ერთობლიობისგან, სისტემური მართვისგან, დასმული ამოცანების შესრულების კონტროლისგან და ა.შ. ეს არის მთელი პროცესი და როცა არის ამ პროცესზე საუბარი, მას უნდა მიდგომა. ამ პროცესს უნდა გათვლა. სწორი დაგეგმარება აათმაგებს ძალისმიერებას. რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ამაზე გაუთავებელი საუბარი მიდის 1992 წლიდან. გეგმაზომიერი მიდგომა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შლა 10 წლის წინათ დაიწყო და კიდევ კარგი, ღმერთის მადლით გადაიარა საარჩევნო ბოგინმა და ახლა სტაბილიზაციის პროცესი მოდის და ჩემი აზრით, ყველა თავის ფუნქციას უბრუნდება. ჩვენ სხვისი იმედი გვქონდა იმ დროს, როდესაც თავდაცვისუნარიანობა თითქმის მოშლილი გვქონდა. დახმარება, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ დამხმარეზე სუსტი არ უნდა იყოს დასახმარებელი, ყოველ შემთხვევაში, მოტივაციით მაინც.

„მრჩეველთა საბჭო, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვები აღმოჩნდა. იქნებ არსებობს კიდეც ახლა, მაგრამ მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც ამ საბჭოში მოიაზრებოდნენ, დღემდე გაღიმებულები რჩებიან“



„თუმცა თუ ჩვენ ვისაუბრებთ „ენ“ რაოდენობის თანხების ათვისებაზე და მათ ანულირებაზე, შეიძლება კონკრეტულ მისამართამდე მივიდეთ. აქ საუბარია სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. თავი რომ დავანებოთ ტექნიკასაც და ტერიტორიებსაც, აქ საუბარი გვაქვს 198 დაკარგულ სოფელზე. სააკაშვილმა რომ ბრძანა, რა მოხდა, რამდენიმე სოფელი აიღო მოწინააღმდეგემო, ეს „რამდენიმე“ იყო 198 სოფელი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვანო მერაბიშვილს ბიუჯეტის კუთვნილი

**„მიმაჩნია, რომ ეს არის ინკრიმინირებული ქმედება, ჩადენილი საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მაღალი რანგის პირების მიერ. მონაწილეობს პრემიერ-მინისტრი, კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, კინოცენტრის დირექტორი...“**

მარიამ ნადირაძე

**აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების სახეობა: მხატვრული ფილმი;**
**ქრონომეტრაჟი: 90 წუთი;**
**სახელწოდება: „ეპიკი“;**
**ფორმატი: ციფრული 2k;**
**რეჟისორი: ბენ ჰოპკინსი (ბრიტანეთი);**
**სცენარის ავტორი: პაველ პავლიკოვსკი და ბენ ჰოპკინსი (ბრიტანეთი);**
**მთლიანი ბიუჯეტი: 4 599 000 ლარი;**
**ორიგინალური ვერსია ქართული სუბტიტრებით**

**„პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს სწორედ ამ ფილმის შესახებ უამბობს დღეს, თუმცა ჩვენი საუბრის თემა არ იქნება მისი მხატვრული ღირებულება, ან კინოკრიტიკოსთა მოსაზრებები... როგორც შევიტყვეთ, ამ ფილმით შესაძლოა, მალე პროკურატურა დაინტერესდეს. სამართალდამცველების მხრიდან ფილმის მიმართ ინტერესის თამასა უფრო მეტად, ალბათ, იმიტომაც მატულობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე უკვე პატიმრობაში მყოფ ყოფილ პრემიერს, ვანო მერაბიშვილსაც შეეხება. თუმცა, მანამდე, ცნობისმოყვარე მკითხველს, რაღა თქმა უნდა, ფილმის შინაარსსაც შევთავაზებთ მოკლედ:**

როგორც თავის დროზე კინოცენტრში იუწყებოდნენ, „ეპიკი“ არის ფაქიზი შავი იუმორით გაჯერებული ფილმი დაბნეულ ბრიტანელ რეჟისორზე, რომელსაც კინოაკადემიის ჯილდოები აქვს მოპოვებული. მას სტუმრად იწვევს ახლად დაარსებული სახელმწიფო, რათა მან გადაიღოს ეპიკური ფილმი კავკასიის ერთ-ერთ უცნაურ რესპუბლიკაში. ამრიგად, ემილ ფორესტერს მოსდის მოწვევა კარასტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვიზიტის მიზნით. რეჟისორმა ჯერ არ იცის, რომ მის ფერადოვან და მრავლისმომცველ კარიერაში ამ ვიზიტით იწყება ყველაზე გიჟური მოგზაურობა.

ახლა კი იმის თაობაზე, რა კავშირშია ამ ყველაფერთან ივანე მერაბიშვილი და ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის სხვა პირები. ამის გარკვევა რომ დავიწყოთ, შევუდგეთ იმ დოკუმენტების მიმოხილვას, რომელთა ქრონოლოგიით გამოწვეული ეჭვები გახდა იმ საჩივრის საფუძველი, რაც 5 მაისს მთავარ პროკურატურაში ადვოკატმა, ზურაბ თოდუამ შეიტანა. ის მიიჩნევს, რომ მან საკმარისი მასალა წარადგინა გამოძიების დაწყებისთვის და არ გამორიცხავს, ეს ყველაფერი ყოფილი პრემიერის მიმართ ბრალის დამძიმების საფუძველი გახდეს.

რაც შეეხება დოკუმენტებს: პირველი დოკუმენტი ხელმოწერილია 2012 წლის 10 ოქტომბერს. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს არის დრო, როდესაც ნაციონალებმა უკვე იგემეს არჩევნებში დამარცხება და ვანო მერაბიშვილის, როგორც პრემიერის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილია 10 დღე... და რა ხდება ამ დროს?.. გაგაცნობთ მთავრობის განკარგულების შინაარსს:

„საქართველოს მთავრობის განკარგულება ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკის“ შესახებ.

„საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან განახორციელოს ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკის“ თანადაფინანსება 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობით“.

განკარგულებას ხელს, რაღა თქმა უნდა, ვანო მერაბიშვილი აწერს.

**ადვოკატი ზურაბ თოდუა:** „მაშინ, როდესაც მმართველმა პარტიამ წააგო არჩევნები, პრემიერ-მინისტრს დარჩენილი აქვს თავისი უფლებამოსილების ამოწურვამდე დათვლილი დღეები, ამავდროულად ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყებოდა, ამ დროს ასეთი მაღალი რანგის ჩინოვნიკს არა მგონია, იმის განწყობა ჰქონოდა, რომ ეზრუნა ქართული კინოს განვითარებაზე.

**„ჩემი აზრით, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მითვისებას“**


თბსი-35

02-111
15 10. 12

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1871 2012 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი
მხატვრული ფილმი „ეპიკის“ შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან განახორციელოს ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკის“ თანადაფინანსება 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა ივანე მერაბიშვილი

№1

GEORGIAN NATIONAL

-60-

ძალიან დიდ ეჭვს ბადებს, რადგან ამ დოკუმენტის გარდა, ძალიან სწრაფი, სპრინტერული ნაბიჯებით მუშაობს კინოცენტრის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა ამ თანხის გამოსატანად და, საერთო ჯამში, ეს ყველაფერი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საქმე შავ ფულთან უნდა გვქონდეს. ამასთანავე, ეს არის ქართულ-ბრიტანულ-გერმანულ-რუსული პროექტი, რომლითაც უნდა გადაღებულიყო ფილმი „ეპიკი“. ქართული კომპანიის წილობრივი მონაწილეობა 35%-ია. ბრიტანული მხარის წილი – 22%, რუსულის – 17%, გერმანულის – 25%. ბატონმა ვანომ, რაკი ამ პროექტში რუსული მხარე მონაწილეობდა, ამის დასამალად, პროექტს ქართულ-უცხოური უწოდა. ერთი სიტყვით, შენიღბა.

ხსენებული განკარგულების გამოცემიდან მეორე დღესვე, ანუ 2012 წლის 11 ოქტომბერს, კულტურის მინისტრის იმჟამინდელი პირველი მოადგილე, დავით ცხადაძე, რომელიც იმავდროულად მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, გამოსცემს ბრძანებას, სადაც წერია: „გამოიყოს 200 000 ლარი „ქართული კინოს ხელშეწყობის პროგრამის“ სახსრებიდან „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებიდან“.

ანუ მერაბიშვილის განკარგულებით გაცემულ 800 ათასი ლარის გარდა, ფილმისთვის დამატებით კიდევ 200 ათასი გამოიყოფა...

ახლა კი ვნახოთ, როგორ ხდება მათი ათვისება:

კულტურის მინისტრის მ.შ-ს ბრძანების გაცემიდან 6 დღეში, 17 ოქტომბერს სამინისტრო დებს ხელშეკრულებას საპროდიუსერო კომპანიასთან „20 Steps Productions“, რომლის 45%-იანი წილის მფლობელი გახლავთ ვლადიმერ კაჭარავა. ეს ადამიანი ამავდროულად არის ფილმ „ეპიკის“ პროდიუსერი.

**ზურაბ თოდუა:** „ეს ვლადიმერ კაჭარავა ხშირად ფიგურირებს სხვადასხვა კომპანიებში, რომლებიც კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში იმარჯვებენ, თუმცა, ეს საუბრის სულ სხ-








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 800 ათასის მითვისებაში ადანაშაულებენ?



# რა კავშირშია ყოფილი პრემიერი ქართულ-ბრიტანული ფილმის დაფინანსებასთან?

EXCLUSIVE

ვა თემაა"...

17 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას 200 ათასის ასათვისებლად ეძლევა სამი დავალება. გთავაზობთ ამონაწერს ხელშეკრულებიდან: „შემსრულებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული ფილმის სცენარის ორიგინალური ვერსიის შექმნა, გადასაღები მოედნების შერჩევა და კოსტიუმების მომზადება". ამ ვალდებულების შესასრულებლად სამინისტრო კომპანიას ორკვირიან ვადას აძლევს, თუმცა ვლადიმერ კაჭარავა ახერხებს და ამ ყველაფერს ორ დღეში აბამს თავს – ქმნის სცენარს, არჩევს გადასაღებ მოედანს და ქმნის კოსტიუმებს.

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ამ ყველაფრის მოხერხება ორ დღეში გამორიცხულია: „შეუძლებელია... ასეთი რამ არ არსებობს... თუ ვინმეს 200 ათასის გადაყრა მოუნდება, მაშინ ეს შესაძლებელია. ასეთი თანხა შესაძლოა, ფილმის ერთ ეპიზოდზე დაიხარჯოს, მაგრამ, როდესაც შენ კოსტიუმები უნდა შეკერო, გადასაღები მოედანი უნდა მოიძიო და ორიგინალური სცენარი შექმნა. ორიგინალური სცენარის დაწერა 2 დღეში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება"...

როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას ობიექტური, ან სუბიექტური მიზეზებით, არ იზიარებს კულტურის სამინისტრო და ხელშეკრულების დადებიდან 2 დღეში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ისევ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, დავით ცხადაძე ამტკიცებს. ამ აქტით დასტურდება, რომ შემსრულებელმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება – შექმნა სცენარის ორიგინალური ვერსია, შეარჩია გადასაღები მოედანი, მომზადდა კოსტიუმები. შესაბამისად, 23 ოქტომბერს კომპანიას 200 ათასი ლარი გადაერიცხა.

17 ოქტომბერს „20 Steps Productions"-ს მხოლოდ კულტურის სამინისტროსთან არ დაუდია ხელშეკრულება. იმავე დღეს მასთან ხელშეკრულებას აწერს ხელს „კინოცენტრის" ხელმძღვანელობაც და განსაზღვრავს სამ ეტაპს, რა დროშიც უნდა განაწილდეს კომპანიისთვის მისაცემი 800 ათასი ლარი.

17 ოქტომბერსვე გამოიცემა კინოცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სეფაშვილის ბრძანება ამ 800 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე. ამ ბრძანების საფუძვლად მითითებულია ვანო მერაბიშვილის ხელმოწერილი მთავრობის განკარგულება...

ამ ნაწილშიც პირნათლად შეუსრულებია ვლადიმერ კაჭარავას ყველა ვალდებულება 13 ნოემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც კინოცენტრის დირექტორი, თამარ ტატიშვილი ხელმოწერით ადასტურებს, რომ ვლადიმერ კაჭარავას კომპანიის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით, მისთვის გადარიცხული 121 770 ლარი დოკუმენტურად შესრულებულია და გახარჯულია მიზნობრივად.

მომდევნო ტრანშის მიზნობრიობას იგივე ცენტრი ადასტურებს 21 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით. ტრანშის ოდენობა ამ შემთხვევაში 170 620 ლარია.

რაც შეეხება მესამე ეტაპზე ხელშეკრულების მიხედვით გადასარიცხ 507 610 ლარს, მის ბედს მოგვიანებით გავარკვევთ.

**ახლა კი იმის თაობაზე, რატომ იწვევს ეს ყველაფერი ადვოკატ ზურაბ თოდუას ეჭვებს:**

– „ეპიკთან" დაკავშირებული თანხების მოძრაობა, როგორც 800 ათასის, ისე 200 ათასის, ალბათობის მაღალი ხარისხით შემიძლია განვაცხადო, რომ ტოვებს შავი ფულის მოძრაობის შთაბეჭდილებას. მიმაჩნია, რომ ეს არის ინკრიმინირებული ქმედება, ჩადენილი საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების



ზურაბ თოდუა

მაღალი რანგის პირების მიერ. მონაწილეობს პრემიერ-მინისტრი, კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, კინოცენტრის დირექტორი...

**– ფილმი მომზადდა?**

– ვერ გეტყვით. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ფილმი 2013 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო... აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მითვისებას, გაფლანგვას და ვითხოვ სათანადო გამოძიების დაწყებას ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელსაც სათავეში ედგა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ივანე მერაბიშვილი.

**– ვინ არის ვლადიმერ კაჭარავა და თუ ეს ორგანიზებული ჯგუფია, რა ნიშნით ენდობოდნენ მას ასე?**

– ის არის ერთ-ერთი შპს-ს დირექტორი. თუმცა, სხვა ფილმების დაფინანსების შემთხვევაშიც საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს. კონკურსებში ძალიან ხშირად იმარჯვებს მისი კომპანიები. ამ კუთხითაც ვთხოვ პროკურატურას გამოძიების დაწყებას, რადგან ძალიან დიდი ალბათობაა, რომ იქაც შესაძლოა, ე.წ. „ატკატებთან" გვქონდეს საქმე.

**– ანუ, „ეპიკის" შემთხვევაში ფიქრობთ, რომ „ატკატთან" გვაქვს საქმე?**

– დიახ, მე ასე ვფიქრობ. წარმოიდგინეთ, ვანო მერაბიშვილი დაიღალა პამიდვრის კრეფით, არჩევნები რომ მოეგო... მაინც წააგეს არჩევნები. თავზე დაემხოთ ყველაფერი და დამარცხდა ნაციონალების იდეოლოგია... ამ ყველაფრის შემდეგ ის გამოსცემს განკარგულებას ფილმის დაფინანსებაზე, როდესაც ასეთი კრახის შემდეგ 10 დღეში უკვე უნდა გადააბაროს ხელისუფლება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არა მგონია, კინოს განვითარებით ყოფილიყო გულანთებული. მით უმეტეს, რომ ფილმის დაფინანსების ქრონოლოგია ძალიან საეჭვოდ სწრაფად ვითარდება... მგონია, რომ ადგილი აქვს ფულის გათეთრებას. ალბათ, 200 ათასი დაუტოვეს და 800 ათასი „დაააატკატეს". ანუ, 80 პროცენტი წაიღო მერაბიშვილმა თანამდებობიდან წასვლის წინ. ეს ჩემი ვარაუდია, ამის მტკიცებულებას ნურავინ მომთხოვს.

**ლევან ანჯაფარიძე, კინორეჟისორი:**

– ვლადიმერ კაჭარავა არ არის ერთადერთი ფავორიტი პროდიუსერი, თუმცა უამრავ დარღვევაში ისიც ფიგურირებს... დავიწყოთ იმით, რომ „ეპიკი" არ არის ქართული პროექტი. მონაწილეობას არ იღებს არც ერთი ქართველი მსახიობი და რეჟისორი, არც კომპოზიტორი. არანაირი იდეოლოგია... ერთადერთი ქართველი ამ პროექტში არის პროდიუსერი, ვლადიმერ კაჭარავა... თანაც, საქმე იცით, რა არის? მარტო იმაში არ არის დარღვევა, რომ მილიონი ლარი საეჭვო ვითარებაში გადაირიცხა არაეროვნულ ფილმზე, მთავარი ის არის, რომ ეს არის უკონკურსო ფილმზე გადარიცხული. ამისი უფლება არ აქვს არც კულტურის სამინისტროს და არც კინოცენტრს. კონკურსგარეშე მოხდა ეს ყველაფერი...

**– თუმცა, ამ პროექტს მანამდე „ევრიმაჟის" ფონდის მიერ ჩატარებულ კონკურსში გაუმარჯვია...**

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? არსებობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც პროექტებმა, რომლებიც საქართველოს ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს, უნდა გაიაროს კონკურსი.

**– თქვენ თქვით, რომ ვლადიმერ კაჭარავა ფავორიტია. როგორ მოიპოვა მან ეს სტატუსი?**

– ყველგან, სადაც კი დიდი ფულია, ათიდან რვა შემთხვევაში ფიგურირებს კაჭარავა. ისევე, როგორც ფიგურირებს სხვა რამდენიმე საპროდიუსერო კომპანია. ისინი ქმნიან შვილობილ, ქვეკონტრაქტორ სტუდიებს, რომლებიც იმარჯვებენ კონკურსებში. ანუ თანხები ისევ ერთი და იგივე ადამიანების ხელში ხვდება. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ერთი და იგივე სტუდიის სახელი არ დაფიქსირდეს გამარჯვებულ პროექტებში და ვინმეს ეს თვალში არ მოხვდეს.

**– მაგრამ ეს ხომ ყველამ იცის? რატომ ამარჯვებინებენ?**

– ვთქვათ, კონკურსში გამამარჯვებინეთ და მომეცით 500 ათასი. მე თქვენ გიბრუნებთ 300 ათასს და ფილმს დანარჩენი თანხით ვიღებ... ასეთ ურთიერთობაში ერთმანეთი გამოცდილი გვყავს და ამ ჩვენს „შეთქმულებაში" სხვა ცხვირს ვერასდროს შემოყოფს...

**– ვლადიმერ კაჭარავაც ასეთ გარიგებებში შედის?**

– ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც კულტურის მინისტრად ნიკა რურუა დაინიშნა, ის მონაწილეობს გამარჯვებული 10 პროექტიდან რვაში მაინც.

ბუნებრივია, მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა თავად ვლადიმერ კაჭარავას პოზიციაც, მაგრამ ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, ვერც მასთან და ვერც მის პარტნიორთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. როგორც შეგვატყობინეს, პროდიუსერი ამჟამად კანშია. ვინაიდან „პრაიმტაიმი" კინოცენტრში მიმდინარე პროცესების შესახებ მასალას მკითხველს მომავალშიც მიაწვდის, მით უმეტეს, რომ მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნა ამის შესახებ, ვფიქრობთ, ვლადიმერ კაჭარავა ჩვენი მკითხველისთვის მომავალშიც საინტერესო რესპონდენტი იქნება...

მანამდე კი გამოიკვეთება, რა პოზიციაზე დადგება პროკურატურა და გახდება თუ არა ადვოკატის საჩივარი ვანო მერაბიშვილისა და სხვათა მიმართ ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საფუძველი.

**„მგონია, რომ ადგილი აქვს ფულის გათეთრებას. ალბათ, 200 ათასი დაუტოვეს და 800 ათასი „დაააატკატეს"**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ექსკლუზიური ინტერვიუ ხუან ბაგრატიონთან

სოფო დონაძე

**ახლადდაქორწინებული ხუან ბაგრატიონი, მეუღლესთან ერთად, მალე საქართველოს ეწვევა და ქართულ ქორწილს გადაიხდის. მანამდე ის და ქრისტინე ძიძიგური თაფლობის თვეს ესპანეთში ატარებენ. „პრაიმტაიმი“ ხუან ბაგრატიონს სწორედ მადრიდში დაუკავშირდა და მისგან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. რა აზრისაა საქართველოში მონარქიის აღდგენის თემაზე და თუ ჰქონია მსგავსი შეთავაზება ბოლო წლების განმავლობაში - ხუან ბაგრატიონი „პრაიმტაიმის“ კითხვებს პასუხობს.**

**- რა აზრის ხართ საქართველოში მონარქიის აღდგენაზე?**

- მე მგონი უფრო მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია საქართველოში პრიორიტეტული, ვიდრე მონარქიაზე საუბარია. ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი. ეს მისი უწმინდესობის ილია მეორეს, ქართველების და ჩვენი ლიდერების საქმეა.

**- თუ გიფიქრიათ ამ თემაზე?**

- ბუნებრივია, როგორც საქართველოს პრინცს, მიფიქრია ამ თემაზე.



## „ბუნებრივია, როგორც საქართველოს პრინცს, მიფიქრია ამ თემაზე“

„ოფიციალურად არავინ აღიარებს პრინც გიორგის, როგორც იმ ტახტის მემკვიდრეს, რომელიც ამ დროისთვის საერთოდ არ არსებობს“

EXCLUSIVE

## „მე ლეგიტიმური კანდიდატი ვარ, დაბადებიდან სიკვდილამდე“



**- არსებობს ინფორმაცია, რომ როცა საქართველოში მონარქიის აღდგენაზე მიმდინარეობდა საუბარი, ერთ-ერთ კანდიდატად სამეფო კლუბმა სწორედ თქვენ დაგასახელათ, თუმცა, მაშინ თქვენს წინააღმდეგ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წავიდა, ამ ინფორმაციას თუ ადასტურებთ?**

- მე არასოდეს მქონია შესაძლებლობა შევხვედროდი მიხეილ სააკაშვილს. პერსონალურად მიმიწერია სხვადასხვა პერიოდში, თუმცა არასოდეს მიმიღია პასუხი.

**- ერთ-ერთი ინფორმაციით, ესპანეთის მეფეს ხუან კარლოსს თქვენთვის უკითხავს საქართველოს მეფობა ხომ არ გსურდათ, სწორედ იმ პერიოდში საქართველოში თქვენი კანდიდატურა განიხილებოდა, ადასტურებთ თუ არა ამ ინფორმაციას?**

- მის უდიდებულესობა ესპანეთის მეფეს არასოდეს დაუსვამს ეს შეკითხვა. დარწმუნებული ვარ, ქართული მედია უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს იმ საკითხებს, რაზეც წერენ და მათი წყაროებიც უფრო მეტ სიმართლეს ეტყვიან. საქართველოს დინასტიური წესების თანახმად მე ლეგიტიმური კანდიდატი ვარ, დაბადებიდან სიკვდილამდე.

**- გაქვთ თუ არა კონტაქტი სამეფო ოჯახთან (დავითის ან ანა ბაგრატიონის ოჯახთან)?**

- მე ვარ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრი.

**- ცნობილია, რომ დავით ბაგრატიონიც ესპანეთში მოღვაწეობდა, ისევე როგორც თქვენ, ურთიერთობა თუ გქონდათ?**

- იშვიათად. მე პირადად არ ვეთანხმები იმას, რა მეთოდითაც ის ჩვენი ოჯახის სახელს იყენებს. ბოლო პერიოდში შევხვდი მას და ჩემი ბიძაშვილი პრინცი უგოც იყო საქართველოში 2 თვის წინ. მე ვესაუბრე პრინც დავითს, რომ სურვილი მქონდა შევხვედროდი მის ვაჟს და ჩვენ შევხვდით „ვენდის“ რესტორანში, თავის ასისტენტთან, მცველთან და ვაჟთან ერთად. პრინცი გიორგი, ჩემი მეორე ძმისწული, ლამაზი ბავშვია.

**- მას შემდეგ, რაც ტახტის მემკვიდრედ უფლისწული გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონი დაასახელეს, თქვენ რა რეაქცია გქონდათ, რამდენად სამართლიანია ეს?**

- ოფიციალურად არავინ აღიარებს პრინც გიორგის, როგორც იმ ტახტის მემკვიდრეს, რომელიც ამ დროისთვის საერთოდ არ არსებობს.

**- აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით საპატრიარქოში გამათულ მიღებაზე პატრიარქის გვერდით თქვენ გამოჩენას უკვე მოჰყვა საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები. ხომ არ იყო ეს ერთგვარი მინიშნება ეკლესიის მხრიდან, რომ შესაძლოა, ეკლესიამ სწორედ თქვენზე გააკეთოს არჩევანი?**

- მე ყოველთვის მქონდა უპირატესობა და პატივი შევხვედროდი მის უწმინდესობა ილია მეორეს, სრულიად საქართველოს პატრიარქს. მისი უწმინდესობა ყველაზე ბრძენი და კეთილშობილია ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მე მუდმივად ვცდილობ ბევრი რამ ვისწავლო მისგან.

**„მე პირადად არ ვეთანხმები იმას, რა მეთოდითაც ის ჩვენი ოჯახის სახელს იყენებს... მე ვესაუბრე პრინც დავითს, რომ სურვილი მქონდა შევხვედროდი მის ვაჟს და ჩვენ შევხვდით... პრინცი გიორგი, ჩემი მეორე ძმისწული, ლამაზი ბავშვია“**

**- როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას? თუ გიფიქრიათ საქართველოში ცხოვრებაზე?**

- ახლა მადრიდში ვარ, სადაც მქონდა საუბარი ჩემს ბიძაშვილთან, მის უდიდებულესობა ესპანეთის პრინც ფილიპთან. აქედან გავფრინდები ბრიუსელში, რომ შევხვდე საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ჩვენი მთავრობის სხვა წევრებს კონფერენციაზე, რომლის ორგანიზებაში დავეხმარე ჰარვარდის კლუბს. შემდეგ მე და ქრისტინა საქართველოში დავბრუნდებით.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სტაბილურობაში გამოხატული უპირატესობა ანუ რატომ ჯობია „ნაბეღლავი“...

თეა ხომერიკი

**არასტაბილური და სწრაფად ცვალებადი მომხმარებლის მქონე ბაზარზე, განსაკუთრებით კი საქართველოში, და მით უფრო დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, მრავალ კომპანიას გაუჭირდებოდა, ერთგული დარჩენილიყო საკუთარი საწყისი პრინციპებისა და მომხმარებლისთვის შეეთავაზებინა ისეთი პროდუქტი, რომლისადმი ნდობა წლების განმავლობაში ყველანაირ გამოცდას გაუძლებდა.**

არსებობს გამონაკლისებიც და ერთ-ერთ რჩეულ მაგალითს წარმოადგენს „წყალი მარგებელი“. ყველაფერი წინა საუკუნეში, დაახლოებით 17 წლის წინათ დაიწყო.

1997 წელს შვეიცარიელი და ქართველი პარტნიორების მიერ დაარსებული კომპანია, რომელმაც ქართულ ბაზარს „ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ განახლებული წარმოება შესთავაზა, დღეს უკვე ბაზრის ლიდერია.

და მაინც, რამ განაპირობა მომხმარებელთა ასეთი ლოიალობა და სიყვარული ამ ბრენდისადმი? ეს, პირველ რიგში, კომპანიის არსებული გუნდის აქტიური შრომის შედეგია, რომელიც არასტაბილური გარემოს ფონზე მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე. ამასთანავე, არ ივიწყებს კომპანიისა და ბრენდის ტრადიციებს.

ქართულ სინამდვილეში ეს უმრავლესობისთვის რთულად გასაგები და მიუღწეველია, თუმცა „წყალი მარგებელის“ გუნდმა ეს შეძლო.

მაგალითისთვის, ესეც საკმარისია. ტექნიკური ინსპექციის საერთაშორისო ბრენდმა „ბიურო ვერიტასმა“ („Bureau Veritas“, Paris) მინერალური წყლის „ნაბეღლავის“ მწარმოებელ ორგანიზაციაში ს/ს „წყალი მარგებელში“ დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სამუშაოები ჩაატარა და მისი საერთაშორისო სერტიფიცირება მოახდინა. ეს გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი მინერალური წყლის სტაბილურად უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით („ბიურო ვერიტასის“ მხრიდან ჩატარებული რეგულარული ტექნიკური ინსპექტირების პროცესების თანხლებით) და შესაბამისად, მასზე საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნილების პერმანენტულ ზრდას შეუწყო ხელი.

მომხმარებლის ლოიალობის მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოებული პროდუქციის მუდმივად მაღალი ხარისხი და უცვლელი გემო წარმოადგენს. მინერალური წყალიც ბუნებრივია და მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირებულებას მისი შემადგენელი მინერალები განსაზღვრავს.

„ნაბეღლავის“ უპირატესობაც სწორედ მის ბუნებრივ გამორჩეულობაშია. ის განსაკუთრებულია თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და გამორჩეული სხვა მინერალური წყლებისგან. სიღრმისეული წიაღიდან ბურღილებით მიღებული მინერალური წყალი სხვა წინასწარ დამუშავებასა და დასუფთავებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება „ბახმაროს“, ის ბაზარზე გამოჩენის დღიდანვე ქართველი მომხმარებლის საყვარელი წყაროს წყალი გახდა, რაც, პირველ რიგში, მისი ბუნებრივი თვისებების დამსახურებაა, ნამდვილი კავკასიური წყარო ბახმაროს მთებიდან, ნიადაგიდან ამომავალი სუფთა წყალი, რის გამოც მიკრობების გამრავლება ნაკლებად ხდება. მოსახერხებელი შეფუთვა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ფასი – ეს ის ელემენტებია, რომლებიც ერთიან კომპლექსს ქმნის და მომხმარებელს სწორედ ბახმაროს სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებს.




მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი თავად ის ადგილია, სადაც ხდება „ნაბეღლავისა“ და „ბახმაროს“ მოპოვება და წარმოება. კურორტი ბახმარო ყველა ქართველისთვის საყვარელი ადგილია. ამას ემატება ის უნიკალური და სუფთა გარემო, რომელიც ხელს უწყობს წყლის გემოვნური თვისებების ჩამოყალიბებას. მომხმარებელიც თავს დაცულად გრძნობს, როდესაც ამჩნევს, როგორ ხელშეუხებელ გარემოში ხდება ნაბეღლავისა და ბახმაროს წყლების მოპოვება.

ეს სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც ერთდროულად პასუხობს სათაურში დასმულ კითხვას და ამასთანავე, ამართლებს „ნაბეღლავის“ მთავარ სლოგანს:

„...და მართლაც, „ნაბეღლავი“ ჯობია!“

# სპილენძიდან ოქრომდე

თეა ხომერიკი



– რა ასოციაცია გვიჩნდება პირველად ჩეხეთის გაგონებაზე?

– ჩეხეთზე? ლუდი!

დიახ, ჩეხეთი განთქმულია ლუდით. ტერმინები „თხევადი პური“ და „თხევადი ოქრო“ ლუდის სინონიმებად გამოიყენება ყოველდღიურ ჩეხურ ლექსიკონში. სტატისტიკას თუ ვენდობით, ჩეხეთის მოქალაქე წელიწადში 150 ლიტრ ლუდს სვამს. ეს მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნებს შორის რეკორდული მაჩვენებელია.

ლუდის დამზადების/ხარშვისა და სმის კულტურა აქ საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. ჩეხური ლუდის ბრენდებსაც კი საუკუნოვანი ტრადიცია აქვთ. მაგალითად, „კოზელი“ – ლუდის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ „კოზელი“ ჩეხური ლუდია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს ბრენდი მსოფლიოში #1 ჩეხური ბრენდია გაყიდვების მიხედვით და მისი ისტორია 1874 წელს იწყება.

თუმცა, ვიდრე ფრანცისკე მესამე რინხოფერი ლუდის, ანუ „თხევადი ოქროს“ ბიზნესში ჩაებმებოდა, მისი ბაბუა ფრანცისკე პირველი რინხოფერი ჩამოვიდა სოფელ ველკოპოპოვიცეში და სპილენძის საამქრო გახსნა. გადიოდა დრო, ფრანცისკე პირველის საქმიანობას ნაყოფი გამოჰქონდა და ის თანდათან აფართოებდა მოღვაწეობის სფეროებს. რინხოფერების გვარს უკავშირდება საავტომობილო ქარხნის – შკოდას ისტორიაც, მათვე ეკუთვნოდათ „სტირინის“ სასახლე პრაღის აღმოსავლეთით.

როდესაც ფრანცისკე მესამე რინხოფერს ადგილობრივმა სასულიერო პირებმა* (*ევროპაში ხშირია შემთხვევები როდესაც ბერები ხარშავდნენ ლუდს) სპილენძისგან ლუდის სახარში ქვაბის გაკეთება სთხოვეს, მან გადაწყვიტა, თვითონაც აეშენებინა ლუდსახარში. მართლაც, მისი ლუდი მალევე გახდა ძალიან პოპულარული. მიღებული შემოსავლით ფრანცისკემ გარშემო მიწები შეიძინა და გააფართოვა წარმოება. ამჟამად წარმოება ცამეტ-ნახევარ ჰექტარზეა გადაჭიმული. საინტერესო ფაქტია, რომ „კოზელის“ დამზადებისას გამოიყენება მხოლოდ ჩეხური ნედლეული.

1874 წლიდან ჩეხეთში ბევრი ლუდსახარში გაიხსნა, ეკონომიკისა და ბიზნესის უხილავმა ხელმა „აიძულა“ ლუდსახარშის მფლობელები, მოეფიქრებინათ ლუდისთვის რაიმე განმასხვავებელი ემბლემა და ამით გამოერჩიათ თავიანთი ლუდი სხვა ლუდებს შორის. ბედად, სწორედ ამ დროს სოფელს სტუმრობდა ფრანგი მხატვარი. მან გარკვეული დრო დაჰყო სოფელში. ადგილობრივების სტუმართ და შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებულმა ლუდსახარშს საჩუქრად დაუხატა ლოგო – თხა. სწორედ ლოგოს შესაბამისად დაერქვა ბრენდს „კოზელი“ (ჩეხურად კოზელი თხას ნიშნავს), ხოლო დაბადების ადგილიდან გამომდინარე, გემრიელ ბრენდს სახელი „გაურთულდა“ (გაუგრძელდა) და „ველკოპოპოვეცკი კოზელი“ დაერქვა, თუმცა ლუდის ჭეშმარიტი მოყვარულებისთვის ის, უბრალოდ, „კოზელია“.

თუ ოდესმე გადაწყვეტთ, ლუდსახარშის დათვალიერებას, აუცილებლად ესტუმრეთ ოლდა XIV-ს. ოლდა თხაა, რომელიც ქარხანაში ცხოვრობს. ის ამჟამად რამდენიმე თვისაა, მაგრამ ქარხანაში სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრებს (შემდეგ მის საპატიო თანამდებობას მისივე მემკვიდრე დაიკავებს, ასე ხდება 1874 წლიდან) და სიამოვნებით იპოზიორებს თქვენი facebook-ის გვერდისთვის. ბრენდის სიმბოლოს, ამ ლუდის პირველი მხარშავის სახელი დაერქვა.

ლუდის გარდა, რინხოფერები იარაღსაც აწარმოებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან კავშირის გამო მათი ოჯახი გააძევეს ჩეხეთიდან. ამის შემდეგ ლუდსახარში სახალხო გახდა, ხოლო 2002 წელს მსოფლიოში #2 ლუდის მწარმოებელმა კომპანიამ SAB Miller-მა შეიძინა.

გამიკვირდა, რომ გავიგე, რინხოფერების შთამომავლებს ქარხნის დაბრუნება სიამაყის გამო არც უცდიათ, თუმცა ისინი ქარხანას შეძლებისდაგვარად სტუმრობენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქარხანაში ღია კარის დღეა. ეს წელიწადში ორჯერ ხდება (გაზაფხულსა და ზაფხულში) და მაშინ ნებისმიერ მსურველს ქარხნის დათვალიერება უფასოდ შეუძლია.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოში ვირუსული მენინგიტის შემთხვევების მატებას ვარაუდობენ





# ის, რაც ყველა მშობელმა უნდა იცოდეს EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

**თბილისში მენინგიტის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა. ამ დრომდე კლინიკებში 40-მდე შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც „პრაიმტაიმს" დაავადებათა კონტროლის ცენტრში განუცხადეს, საქმე გვაქვს ვირუსულ მენინგიტთან, რომელიც სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და შედარებით მსუბუქ ფორმებში მიმდინარეობს, ვიდრე ბაქტერიული მენინგიტი. ვირუსი ფეკალურ-ორალური გზით გადადის, ამიტომ, მედიკოსები მშობლებს ჰიგიენის წესების მკაცრად დაცვას ურჩევენ.**

ვირუსული მენინგიტი ენტერო ვირუსის ერთ-ერთი გამოვლინებაა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხათუნა ზახარაშვილის თქმით, ვირუსული მენინგიტი ოთხ წელიწადში ერთხელ ვრცელდება. ახლა სწორედ ეს პერიოდია და მედიკოსები ვირუსის აქტიურ ფაზაში გადასვლას ელოდნენ. ვირუსის ინკუბაცია შემოდგომამდე გაგრძელდება.

„ზოგადად, ეს ვირუსი ყოველთვის არის, მაგრამ განსაკუთრებით ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ვრცელდება. ვირუსული მენინგიტის შემთხვევები გვქონდა 2006, 2008 და 2010 წლებში. ახლა 2014 წელს უნდა გვქონოდა და მოიმატა კიდეც. მენინგიტის შემთხვევები აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში დაფიქსირდა და შემდეგ მოიმატა. შემოდგომის დასაწყისამდე გაგრძელდება. ვერ ვიტყვი, რომ წინა წლებთან შედარებით წელს შემთხვევებმა მოიმატა. ასე არ არის. სიტუაცია საგანგაშო არ არის", - აღნიშნა „პრაიმტაიმთან" საუბარში ხათუნა ზახარაშვილმა.

მოცემულ მომენტში ვირუსული მენინგიტის დიაგნოზით იაშვილის კლინიკაში 23 პაციენტი მკურნალობს. სულ კლინიკაში 35-მდე შემთხვევა დაფიქსირდა. ნაწილი უკვე გამოჯანმრთელდა და შინ გაწერეს.

როგორც იაშვილის კლინიკაში აცხადებენ, ამ დიაგნოზით ორიდან 15 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან.



**„ვირუსი საშუალო სიმძიმისაა. დაავადება მიმდინარეობს ცხელებით და ინტოქსიკაციით, რომელსაც ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, შესაძლებელია კუნთების და სახსრების ტკივილიც, თან ერთვის პირღებინება, სინათლისადმი შიში, კისრის კუნთების დაჭიმულობა. ასეთ შემთხვევაში მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს"**

ორი წლისა და ათი თვის ლიზამ იაშვილის კლინიკაში ზუსტად ორი კვირა დაჰყო. როგორც ბავშვის დედამ გვიამბო, პატარას თავის ტკივილი და ღებინება დაეწყო.

„ჩემი შვილი ბატონ ვანიკოსთან დამყავს, იაშვილის მთავარ ექიმთან. ბავშვმა მითხრა თავი მტკივაო, ღებინება დაეწყო. სიცხეც ჰქონდა, ოღონდ მაღალი არა - 38 გრადუსი. სხვა დროს უფრო მაღალი სიცხეც ჰქონდა. დავურეკე ექიმს, მითხრა, ახლავე მოიყვანეო. როცა იაშვილის კლინიკაში მოვედით მენინგიტის დიაგნოზი დაუსვეს. ბაღში დამყავს, მაგრამ ბაღიდან მოიტანა ეს ვირუსი თუ სახლში დაემართა, არავინ იცის. ახლა ბავშვი გამოჯანმრთელდა, ანალიზები გაუკეთეს და დადებითი პასუხებია", - გვითხრა ლიზის დედამ.

თბილისის 208-ე საჯარო სკოლიდან ვირუსული მენინგიტის დიაგნოზით იაშვილის კლინიკაში ხუთი ბავშვი მიიყვანეს. სკოლაში სასწავლო პროცესი ორი დღით შეაჩერეს და სკოლის შენობაში დეზინფექცია ჩაატარეს. ამ დრომდე მოსწავლეებს მკურნალობენ.

მედიკოსების განცხადებით, ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით არ გადადის. მათი რეკომენდაციით, სკოლებსა და ბაღებში სასწავლო პროცესის შეჩერების აუცილებლობა არ არსებობს.

არის თუ არა ქვეყანაში ვირუსის პიკი, რა სიმპტომები ახასიათებს დაავადებას და როგორ გამოვიცნოთ დროულად, როგორ დავიცვათ ბავშვები? ამის შესახებ „პრაიმტაიმი" ხათუნა ზახარაშვილს ესაუბა.

„ქვეყანაში გავრცელებულია ენტერო ვირუსი, რომელიც ბავშვებში მიმდინარე ინფექციური დაავადებაა ფეკალურ-ორალური გადაცემის მექანიზმით. შემთხვევების გავრცელება დაიწყო აპრილის ბოლოს, ერთეული შემთხვევების სახით. ახლა შემთხვევები შედარებით მომატებულია. შემთხვევები არის როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. პაციენტების ნაწილი გამოჯანმრთელდა და კლინიკებიდან გაწერეს, ნაწილი მკურნალობს. ვირუსი საშუალო სიმძიმისაა. ინფიცირება შეიძლება მოხდეს სკოლაშიც, ბაღშიც, სახლშიც. ძირითადად დაუბანელი ხელებით გადადის. ვერ ვიტყვი, რომ თავშეყრის ადგილებია ინფიცირების კერა. ასე არ არის. დაავადება მიმდინარეობს ცხელებით და ინტოქსიკაციით, რომელსაც ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, შესაძლებელია კუნთების და სახსრების ტკივილიც, თან ერთვის პირღებინება, სინათლისადმი შიში, კისრის კუნთების დაჭიმულობა. ასეთ შემთხვევაში მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს". - ამბობს ზახარაშვილი.

მისივე თქმით, ვირუსის თავიდან ასარიდებლად ბავშვებმა ხშირად უნდა დაიბანონ ხელები და მშობლებმა ჰიგიენის წესები მკაცრად დაიცვან.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ვირუსს ლეტალური შედეგი არ ახასიათებს. სრულად გამოჯანმრთელებისთვის შვიდი-ათი დღე საკმარისია.

ვირუსი შედარებით რთულად მიმდინარეობს ნულიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვებში. ასევე, გარკვეულ რისკის მატარებელია იმუნო-დეპრესიულ ავადმყოფებში.

მდგომარეობას საგანგაშოდ არ მიიჩნევს იაშვილის საავადმყოფოს ნეირომეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა ტატიშვილი. თუმცა, ექიმი შემთხვევების რაოდენობის გაზრდას არ გამორიცხავს.

„ეს ვირუსი არ გადადის ჰაერწვეთოვანი გზით, როგორც ჩუტყვავილა, წითელა. თუ ბავშვი იმ ჭიქიდან დალევს წყალს, ვისაც ეს ვირუსი აქვს, მაშინ დაინფიცირდება. ჩვენთან მოთავსებულია 0-დან 15 წლის ჩათვლით ყველა ასაკის ბავშვი. უფრო საყურადღებოა და უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება ნულიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვებში. ზედა ასაკი ნაკლებად სარისკოა. მენინგიტი ენტერო ვირუსითაა გამოწვეული. მენინგიტი ორნაირია - ვირუსული და ბაქტერიული. ვირუსული შედარებით მსუბუქია და გართულებები არ აქვს. კრიტიკულ განყოფილებაში არც ერთი პაციენტი არ წევს. ყველა ნეირომეცნიერულ განყოფილებაშია მოთავსებული",- ამბობს ტატიშვილი.

ექიმის რჩევით, ამ ვირუსის თავიდან არიდება შესაძლებელია მხოლოდ ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით.

„აუცილებელია ხელების ხშირად დაბანა, ბავშვმა სხვისი ჭიქით ან ჩანგლით არ უნდა ისარგებლოს. ენტერო ვირუსი ადამიანის ორგანიზმში ბუდობს და ის ხან ბრონქიტს იწვევს, ხან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებას,ან ვირუსულ მენინგიტს. ადამიანის ორგანიზმის განსაკუთრებით სუსტ ადგილს ირჩევს და იქ გამოვლინდება", -აღნიშნავს ტატიშვილი.

მისივე თქმით, ბოლო სამი წელია, რაც საქართველოში მენინგიტზე ჩვილების აცრა დაიწყეს. მანამდე არ იყო. ხუთკომპონენტიან ვაქცინაში, რომლითაც ახალდაბადებულს აცრიან, ერთ-ერთი სწორედ მენინგიტზეა. ასეთ შემთხვევაში ვირუსით დაინფიცირების შანსი გაცილებით ნაკლებია.

**დღესდღეობით, ამერიკაში პნევმოკოკისა და მენინგოკოკის აცრები უკვე შემოღებულია. ნანა ტატიშვილი იმედოვნებს, რომ სახელმწიფო თანახმა იქნება, რომ ეს ვაქცინები შეიძინოს. ასეთ შემთხვევაში, მომავალი წლიდან, ბავშვების აცრები დაიწყება, თუმცა, ამ თემის განხილვა ჯერ არ დაწყებულა.**







ხათუნა ზახარაშვილი



ნანა ტატიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ხუხაშვილი: „ქვეყანაში შანტაჟის სუნი დატრიალდა“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ნაციონალები საარჩევნოდ ბევრ „სიურპრიზს“ ამზადებენ. ჩანაწერები, რომელიც წინა კვირაში გასაჯაროვდა, სავარაუდოდ, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმასთან შედარებით, რასაც ოპოზიცია ფლობს. შესაბამისად, არ გამორიცხავენ, არჩევნებისთვის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამაგიეროს გადახდის გზა აირჩიოს და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციისთვის სწორედ ფარული ჩანაწერების გზას დაადგეს.**

**ექსპერტის განცხადებით, „რუსთავი 2“ არსებულ სიტუაციაში ყველაზე მცირედი პრობლემაა, რადგან ნაციონალები მომდევნო ნაბიჯისთვის ტელევიზიას დიდი ალბათობით აღარც გამოიყენებენ. ჩანაწერების გავრცელება შეიძლება სულაც „youtube“-ის მეშვეობით მოხდეს. ყოველ შემთხვევაში ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ნაციონალები ტექნოლოგიებს ბევრად უკეთესად ფლობენ გამომდინარე მრავალწლიანი გამოცდილებიდან.**




# EXCLUSIVE

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**

– „რუსთავი 2“-ის პრობლემას მე ნაკლებად ვხედავ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აჩვენა აისბერგის წვერი, რატომ იყო მათთვის მნიშვნელოვანი ამ ჩანაწერების გამოქვეყნება. ის დააჯდა იმ ტალღას, რაც დღეს მოსმენებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, თან მან აჩვენა ხელისუფლებას და ხელისუფლებამაც, როგორც ჩანს, კარგად იცის, რომ მათ მარტო ეს არ აქვთ, მათ აქვთ ბევრად მძიმე ჩანაწერები. ეს კარგად გამოჩნდა კიდეც. ამაზეც იყო საუბარი.

**– ჯოჯოხეთს მოგიწყობთო, რომ ითქვა?**

– რა თქმა უნდა. ეს ნიკა გვარამიამ, როგორც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა კი არ თქვა ეს სიტყვები, მან გაახმოვანა „ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯი. მაგრამ როგორ მოხდება ამ ყველაფრის დისტრიბუცია, ეს ცალკე თემაა. „რუსთავი 2“-ის მეშვეობით გაავრცელებენ თუ „youtube“-ის, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. თუმცა ფაქტია, რომ მათ აქვთ საკმაოდ მძიმე კადრები.

**– საკმაოდ მძიმე როგორი შინაარსის შეიძლება იყოს?**

– აქ ორი ვარიანტია. ერთი ის, რასაც ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციას მართლაც აქვს რაღაც მობილური სისტემები, რომლითაც ხელისუფლებას უსმენენ და თითქოს კომპრომატებს აგროვებენ დღესაც. მეორეა – რომ შიგნიდან ვილაც „ვირთხამ“ გამოიტანა ჩანაწერები და ბუნებრივია, მხოლოდ ამ ჩანაწერებს არ გამოიტანდა. გამოტანილი იქნება დიდი, სერიოზული მასივი, რაც არის ძალიან მძიმე. სავარაუდოდ, „რუსთავი 2“-ით აღარ მოხდება ამ ჩანაწერების გავრცელება. ან შეიძლება ეს ჩანაწერები ვილაცამ გახადოს ვაჭრობის თემა „ქართული ოცნების“ ჩინოვნიკებთან. ფაქტია, რომ ქვეყანაში შანტაჟის სუნი დატრიალდა. სასაცილოა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დღესაც ახერხებს, აშანტაჟოს ხელისუფლება. ვითარებას კარგად უნდა დავაკვირდეთ, რა შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს. ფაქტია, რომ ეს არის ძალიან მასშტაბური ოპერაცია, ეს ასე მარტივად არ მიიფარცხება, ბევრად უფრო ღრმად და მძიმედ არის მდგომარეობა, ვიდრე ვილაცას შეიძლება მოეჩვენოს. ეს სიტუაცია შეიძლება განმსაზღვრელიც კი გახდეს მომავალი პოლიტიკური მდგომარეობისთვის იმ შემთხვევაში, თუ შიგნით დიდი ბომბებია ჩადებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალებს აქვთ ძალიან სერიოზული მასალები. ამ ნაბიჯით, უბრალოდ, ხელისუფლებას მიანიშნეს, რომ აქვთ მასალები. როგორ მენეჯმენტს განახორციელებენ, ყველაფერი შანტაჟისკენ წავა, შეთანხმებებისკენ თუ დაპირისპირების სახეს მიიღებს, ამას უკვე დრო გვაჩვენებს.

**– შეიძლება შეთანხმებები არჩევნებთან დაკავშირებით მოხდეს?**

– ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ დროს. არა მგონია, რომ სისტემურ გარიგებაზე წავიდეს ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ ლოკალური ფაქტები იქნება.

**– ფარული ჩანაწერები შიდადაპირისპირებას შეეხება თუ პირად ცხოვრებას, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს?**

– არ ვიცი, ვერაფერს ვერ გეტყვით. ყველაფერს შეიძლება ეხებოდეს, თუ უსმენ, უსმენ ყველაფერს, პირადსაც და საზოგადოებრივსაც.

**– თქვენ ერთ-ერთი მსხვერპლი იყავით ნაციონალების დროს და როგორ ფიქრობთ, ახლაც გისმენენ, გრძნობთ რამეს?**

– მე არც მაშინ მქონდა პრობლემა და არც ახლა. რასაც ვსაუბრობ ტელეფონზე, იგივეს ვსაუბრობ ღიადაც და თუ მოსმენა უნდათ, მომისმინონ, იქნებ რამე გაიგონ.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად იყო შუბლაძის წასვლა მიბმული ამ თემასთან?**

– უკავშირდება, რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, რომ ნინო შუბლაძე, უბრალოდ, დაიღალა, ის ხედავს, რომ მოხდება ესკალაცია, ადამიანურად მე მისი მესმის. ის გავიდა ომიდან, ქალია და ამის უფლება აქვთ. მობილიზაციის დროს ქალებს ჯარში არ იწვევენ, თუმცა ზეწოლა არა მგონია, ყოფილიყო. ეს იყო მისი პირადი გადაწყვეტილება, გადაიღალა, თან ხვდება, რომ ეს ერთი თვე იქნება ძალიან მძიმე, ძალიან მაღალი ესკალაციის ფონზე წარიმართება ყველაფერი და არ უნდა, ამ ყველაფერში მონაწილეობა. ქალია და ვაპატიოთ.

**– ასოცირების ხელშეკრულებაზე რამდენად უარყოფითად იმოქმედებს ფარული ჩაწერების თემა?**

– ასოცირების თემა იმდენად გადაწყვეტილია, რომ არა მგონია, ამან ხელი შეუშალოს. არა იმიტომ, რომ ჩვენ ვიქცევით კარგად ან ცუდად. როგორც ირკვევა, ევროპას ეს მაინცდამაინც არ აინტერესებს. უბრალოდ, ასოცირების ხელმოწერა შედის ევროპის ინტერესების სფეროში რუსეთის დღევანდელი პოზიციიდან გამომდინარე. ჩვენ გაგვიმართლა, ასოცირების ხელშეკრულება ჩვენთვის უფრო გამართლებაა, ვიდრე რაიმე პოლიტიკის შედეგი.




## „მათ აქვთ საკმაოდ მძიმე კადრები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სააკაშვილის დაბრუნების პო

ქეთი ხატიაშვილი

**დაბრუნდება? თუ კი, როგორ? პასუხები და ვერსიები უფრო ლეგენდებსა და თქმულებებს ჰგავს. არანაირი წინაპირობა პოლიტიკური არეულობისთვის არ არსებობს. თუმცა, არსებობს თეორიული შანსი, შეიქმნას ახალი პოლიტიკური რეალობა. ამისთვის კი მთავარია, ალასანიამ გადაწყვიტოს. სააკაშვილი დევნილი პრეზიდენტი არ არის, მას არც ოფიციალური ბრალი აქვს წაყენებული. და როგორც სხვები, დაბრუნებაზე ისიც ფიქრობს.**

თითქმის ყველა გამორჩეული ლიდერი, რაიმე ნიშნით გამორჩეული, რომელიც ხელისუფლებაში იყო, დაბრუნდა ან სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა დაბრუნებას. ზოგიერთები ისე გაანეიტრალეს, რომ ბრძოლის უნარიც არ დარჩათ.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ხელისუფლებაში ისე დაბრუნდა, რომ თავად ამისთვის არაფერი გაუკეთებია. ჯორჯ ვაშინგტონი და იუნსტონ ჩერჩილი ვერტიკალზე, უბრალოდ, დააბრუნეს. საკუთარი დამსახურების გათვალისწინებით და იმის იმედით, რომ ისინი კიდევ შეძლებდნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ შთამბეჭდავი ვერაფერი გააკეთა, ეს უფრო მათი სიმბოლური დაბრუნება იყო. მსოფლიო ისტორია, ალბათ, თითქმის არ იცნობს მეორედ მოსვლის ტრიუმფატორს. როგორც წესი, ისინი დროებით ბრუნდებიან და საკმაოდ ცოტა ხნით ჩერდებიან ხელისუფლებაში. ზოგიერთები სიმბოლურად იკავებენ პოსტს. მაგალითად, ყირიმის პრეზიდენტი მოსკოვმა ყირიმში 16-წლიანი განდევნის შემდეგ დააბრუნა. იური მეშკოვი თავს რუსეთს აფარებდა.

ახლა რუსეთი უკრაინიდან განდევნილ პრეზიდენტს ვიქტორ იანუკოვიჩს იფარებს, რომელიც მაიდანზე განვითარებულ მოვლენებს შეეწირა. იანუკოვიჩმა უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერაზე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს პირველი შემთხვევა არ არის. ასკარ აკაევი ყირგიზეთის პრეზიდენტი იყო. მისი პრეზიდენტობის დროს გაყალბებულ საპარლამენტო არჩევნებს ტიტების რევოლუცია მოჰყვა. ვარდებისა და... რევოლუციებისგან განსხვავებით, ყირგიზეთში სისხლი დაიღვარა, ისევე როგორც მაიდანზე და აკაევმაც რუსეთს შეაფარა თავს.

ქრონოლოგიისთვის ვიტყვი, რომ უკრაინიდან გაქცეულ იანუკოვიჩს რუსეთში აკაევი დახვდებოდა.

ყირგიზეთის ისტორია რომ გავაგრძელოთ, აკაევის ბედი ერგო ტიტების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულ კურმანბეკ ბაკიევსაც, რომელიც განდევნის შემდეგ თავს უკვე ბელორუსს აფარებს. როგორც ჩანს, მაინც რუსეთის დავალებით. სამშობლოში მას მძიმე კორუფციული ბრალდებები წაუყენეს.

მიხეილ სააკაშვილი დევნილი პრეზიდენტი არ არის და პოსტსაბჭოთა სივრცეში ის პირველი იყო, ვინც დემოკრატიული არჩევნების შემდეგად მარცხი აღიარა და რთული კოჰაბიტაციაც გაიარა. ის დევნილი არ არის, მაგრამ საქართველოში მაინც არ ჩამოდის. საქართველო თითქოს საკუთარი ნებით დატოვა, თუმცა, ჯერ კიდევ ივანიშვილის პრემიერობის დროს ამბობდნენ, რომ საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ხელისუფლება მის დაკავებას აპირებდა, მოგვიანებით კი პროკურატურამ განაცხადა, რომ სააკაშვილთან შეკითხვები აქვს.

პროპუტინური ძალები, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის დაპატიმრებას ითხოვს, როგორც ჩანს, ის საკუთარი პოლიტიკური კერპის პუტინის მოთხოვნას ახმოვანებს. როგორც ჩანს, რუსეთსა და პროპუტინისტებს მისი საქართველოში ხილვა არ სურთ. ამიტომაც ცდილობენ, ისევე გაანეიტრალონ როგორც დასავლეთმა, მაგალითად, მილოშევიჩი გაანეიტრალა. იუგოსლავიის პრეზიდენტი ევროპაში ბოლო დიქტატორად მონათლეს, ის საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა, მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალმა გაასამართლა და ის ციხეში გარდაიცვალა.

როგორ დაბრუნდება სააკაშვილი? ამ კითხვას დღეს ბევრი სვამს. ჯერჯერობით იციან მხოლოდ ის, რომ სააკაშვილი დაბრუნდება, მან თავადაც

**დიმიტრი შაშკინი: „მიხეილ სააკაშვილი პარტიაში ყველაზე რეიტინგული ფიგურაა“**

ღიად განაცხადა ამის შესახებ. ერთ-ერთ ინტერვიუში ხატოვნად თქვა, მე ტალღამ უბრალოდ წამაქცია, ქვემოთ კი არ მომიყოლა და ახლა ვტივტივებ.

იმიტომ რომ თითქმის არ არსებობს შემთხვევა, როცა განდევნილ პრეზიდენტს უკან დაბრუნებისთვის არ ებრძოლა. საქართველოს ეს გამოცდილებაც აქვს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახით. მეორე პრეზიდენტი იძულებული გახდა, სახლში წასულიყო, თუმცა დაბრუნების იმედი მასაც ჰქონდა.



სააკაშვილი უცხოეთშია. მის დაბრუნებაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა განცხადებები კეთდებოდა. მისი მომხრეები კატეგორიული ტონით აცხადებენ, რომ ის აუცილებლად ჩამოვა.

**დიმიტრი შაშკინი:**

– მიხეილ სააკაშვილი პარტიაში ყველაზე რეიტინგული ფიგურაა და ხელისუფლებაში მისი დაბრუნებაც გარდაუვალია. ამ დონისა და წონის პოლიტიკური ლიდერი „ნაციონალურ მოძრაობაში“ მეორე არ მეგულება. მეტიც, სააკაშვილის ეკვივალენტური პოლიტიკური წონის ლიდერი ევროპაშიც იშვიათია. ასე რომ, ის ბევრად მოძლიერებული დაბრუნდება ქართულ პოლიტიკაში, ვიდრე აქამდე იყო...

**ვანო მერაბიშვილი:**

– დარწმუნებული ვარ, რომ მისი პოლიტიკური კარიერა არ არის დასრულებული. სააკაშვილი კიდევ ითამაშებს გადამწყვეტ როლს საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის. როდესაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდება, 3 თვეში შეძლებს ამ ხელისუფლების დამარცხებას. ეს ამბავი იცის ივანიშვილმაც და ამიტომ ამ ხელისუფლების ყოველდღიური მიზანი „ნაციონალური მოძრაობის“ ინფრასტრუქტურის სრული განადგურებაა. არ არსებობს „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული არც ერთი ინიციატივა, განცხადება თუ ქმედება, რომელიც მიმართული არ იქნება ერთადერთი ოპონენტის წინააღმდეგ.

**შალვა ნათელაშვილი:**

– სააკაშვილს არათუ არ დაიჭერენ, ის ძალიან მალე დაბრუნდება საქართველოში, თანაც დიდი პოლიტიკური ამბიციებით. თქვენ ნახავთ, მალე აქ რა მოხდება.

**სოსო გალუმაშვილი, პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი:**

– მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნება თეორიულად არ არის გამორიცხული, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერით მისი მოსვლა შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ დაცლილია იდეებისგან. ისინი ხელისუფლებაში კონკრეტული მიმზიდველი იდეებით მოვიდნენ – არა კორუფციას, დასავლეთისკენ მიმავალი კურსი და ეკონომიკური განვითარება. სამივე ვექტორი ამჟამად „ქართული ოცნების“ ხელთ არის. სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარ ნაკლად კი ის მიმაჩნია, რომ ადამიანები, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში დანაშაულებრივი სისტემები შექმნეს, არ ჩამოიშორეს. ამან კი საზოგადოების ნდობის დაკარგვა განაპირობა.

**ამ თემაზე კომენტარის გაკეთება ერთხელ პრემიერ ღარიბაშვილსაც მოუწია. ატლანტიკურ საბჭოში გამოსვლისას მას სააკაშვილის შესახებაც ჰკითხეს:**

– ის საქართველოს მოქალაქეა, ამიტომ რატომაც არა, მას შეუძლია დაბრუნება. მან ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. ვერ შეგპირდებით, რომ ხალხს ის ენატრება, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეუძლია დაბრუნება. მას ჯერაც საქართველოს მოქმედი პასპორტი აქვს. ასე რომ, ყოველგვარი პრობლემების გარეშე შეუძლია მოგზაურობა.

და რადგან ქართული პოლიტიკა ლეგენდებით უფრო სავსეა, ვიდრე რეალობით, ვერსიები სააკაშვილის დაბრუნებაზეც ზოგჯერ თქმულების ხასიათს იღებს ხოლმე. მიშა, ენერგიულთან ერთად, მოუთმენელია და ის არ ჰგავს იმ დევნილ პრეზიდენტებს, რომლებიც წლები ითმენდნენ და



**შალვა ნათელაშვილი: „სააკაშვილს არათუ არ დაიჭერენ, ის ძალიან მალე დაბრუნდება საქართველოში, თანაც დიდი პოლიტიკური ამბიციებით. თქვენ ნახავთ, მალე აქ რა მოხდება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიტიკური სქემა

# რა მოლაპარაკებებს მართავენ ალასანიასთან

საჭირო დროს ელოდნენ. ზვიად გამსახურდიაც დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე ფიქრობდა. მისი მხიდან ეს უფრო რევანში და შურისძიება იყო, ვიდრე პოლიტიკური ნაბიჯი. სააკაშვილი უფრო პოლიტიკოსია და როგორ აპირებს ის დაბრუნებას?



როგორი ღია განცხადებებიც არ უნდა გაკეთდეს, „ნაციონალურ მოძრაობაში" არიან ისეთებიც, ვინც სააკაშვილს მოთმინებას ურჩევენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ახლა მთავარია, ჯერ პარტია დადგეს ფეხზე მყარად და სააკაშვილის დაბრუნების შესახებ გეგმები შეიძლება მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს. თუმცა, სხვები სხვანაირად ფიქრობენ და, ამ მხრივ, მოვლენების დაჩქარებასაც არ გამორიცხავენ.

სააკაშვილის დაბრუნების ვერსიებიდან ერთი უკვე ცნობილია. ოპონენტები ამბობდნენ, რომ სააკაშვილი შეეცდება, საქართველოში არეულობა მოაწყოს, „მაიდანი" გაითამაშოს იმისთვის, რომ დაბრუნდეს. არგუმენტი: სააკაშვილი არჩევნებით ვერასოდეს დაბრუნდება, ის არჩევნების გზით ხელისუფლებაშიც ვერ მოვიდოდა. „ვარდების რევოლუციის" ტალღაზე გახდა პრეზიდენტი და ახლაც არეულობა დასჭირდება.

მაგრამ „მაიდანი" ჩაიშალა. საქართველოს ხელისუფლება ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს.

თუმცა, ახლა ახალ პოლიტიკურ სქემაზე ალაპარაკდნენ. მსოფლიო ისტორიას ახსოვს კიდევ ერთი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანაში დაბრუნდა. მართალია, 20 წლის შემდეგ და არა ორის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ სქემაზე მუშაობს დღეს სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა. უახლოეს გარემოცვად უკვე დაასახელეს გიგი უგულავა და გიგა ბოკერია. ისინი ხომ თითქმის ყველა ლეგენდის მონაწილე პერსონაჟები არიან.

საუბარია არგენტინის პრეზიდენტ პერონზე, რომელმაც ასევე დატოვა საკუთარი ქვეყანა და შემდეგ დაბრუნდა. თუმცა, იმისთვის რომ დაბრუნებულიყო, მან ფსონი მაშინ გავლენიან ფიგურაზე, კამპორაზე დადო, რომელმაც არჩევნები მოიგო და ხელისუფლებაში პერონი და მისი პარტია მოიყვანა.

ამბობენ, რომ ასეთივე სქემა მუშავდება ახლა ალასანიასთან დაკავშირებითაც. სააკაშვილი მას დაფინანსებასა და მხარდაჭერას ჰპირდება იმ პირობით, რომ შემდეგ ვერტიკალიდან წავა და „ნაციონალურ მოძრაობას" დატოვებს. წავა ან გაიწევა, ისტორია ხომ ორჯერ არასოდეს მეორდება.

„მაიდანის" შემდეგ, სწორედ პერონის ისტორია შეირჩა სააკაშვილის დასაბრუნებლად. თუმცა, როგორც სხვა ყველა დაბრუნებულმა პერონმაც საკმაოდ ცოტა ხნით მართა ქვეყანა. ტრიუმფი, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთხელ ხდება ცხოვრებაში დ მისი გამეორება ძნელია.

გაიმეორებს სააკაშვილი ტრიუმფს? შეძლებს ის აქაც იყოს განსხვავებული და თქვას, რომ მისი ისტორია სხვა არავის ისტორიას არ ჰგავს?

ასე რომ, ახლა ალასანიას გადასაწყვეტია, ამ ტრიუმფში მონაწილეობას მიიღებს თუ არა. მას ერთხელ უკვე ღიად წაუყენეს „ბრალი", ნაციონალებთან ფარულ მოლაპარაკებებს მართავსო. ჯერ კიდევ **ივანიშვილმა** განაცხადა მისი პრემიერობის დროს. პრემიერმა მაშინ თქვა, ნაციონალებს ალასანიას გადაბირების მცდელობა აქვთ, სურთ, რომ გუნდი გახლიჩონ, მაგრამ ვერაფერი გამოუვათო:

– აქვთ მცდელობა, რომ ალასანია გადაიბირონ, ჭორები დადის, რომ ამათ აქვთ კავშირი და კომუნიკაცია ალასანიასთან... ცდილობენ, რომ გუნდი გახლიჩონ, მაგრამ სანამ მე პოლიტიკაში ვარ, ვინც არ უნდა გადახტეს და საითაც არ უნდა გადახტეს, არაფერი მოხდება, საკუთარ თავს დაიზიანებენ მხოლოდ. გარწმუნებთ, რომ მე აბსოლუტურად დალაგებულ გუნდს დავტოვებ და ვინც გადახტება, საკუთარ კისერს მოიტეხს მხოლოდ.

ასე რომ, დახურული შეხვედრების ამბავი გამჟღავნდა, მოლაპარაკებების თემა – არა. რამდენად ეხებოდა ეს შეხვედრები ნაციონალებისა და ალასანიას ალიანსს სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ამაზე ღია კომენტარები არ გაკეთებულა. ითქვა მხოლოდ პერონის დაბრუნების სქემაზე, თუმცა ეს თქმულებას უფრო ჰგავს. თავად ალასანია კი ნაციონალებთან რაიმე სახის კავშირს უარყოფს. დაიჯერა თუ არა თავდაცვის მინისტრის ივანიშვილმა? როგორც ჩანს, არა. ირაკლი პოლიტიკური კარიერის კიბეზე გაჩერდა და მისი დაწინაურება დაპაუზებულია.



**გაიმეორებს სააკაშვილი ტრიუმფს? შეძლებს ის აქაც იყოს განსხვავებული და თქვას, რომ მისი ისტორია სხვა არავის ისტორიას არ ჰგავს?**

# ხმალაძის ხმაურიანი ინიციატივა



**კონსტიტუციის ახალ ვარიანტზე მუშაობა უკვე დაიწყო. დახურული სამუშაო ჯგუფი ჯერჯერობით ბევრ საკითხზე ვერ თანხმდება, მათ შორის არის ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილების გამიჯნის საკითხი და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა.**




**როგორც ცნობილია, პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი ვახტანგ ხმალაძის ვერსიას განიხილავს. დეპუტატის ვერსიას არ ეთანხმება კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი. მან მედიასთან კომენტარი ამ თემაზე უკვე გააკეთა:**

– ვახტანგ ხმალაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს არ ვეთანხმები – არ ვეთანხმები მთავრობის ფორმირების შინაარსსა და შესაბამის პროცედურებს. უმჯობესი იქნებოდა, არსებულ კონსტიტუციაში ნაწილობრივი ცვლილებები შესულიყო, ვიდრე წარმოდგენილიყო ახალი, ჩემი აზრით, უარესი ვარიანტი. მთავარი ის არის, რომ წარმოდგენილი ვერსიით, აბსოლუტურად განსხვავებულია ამ პროცესში მონაწილე სუბიექტთა როლი და მნიშვნელობა. კერძოდ, მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტი მთავრობის ფორმირების პროცესში აბსოლუტურად ნეიტრალურია. მას სადღეისოდ არავითარი გადამწყვეტი დისკრეციული უფლებამოსილება არ გააჩნია. ვახტანგ ხმალაძის ვარიანტის თანახმად, პირველივე ტურში პრეზიდენტს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, პარლამენტს პრემიერმინისტრობის კანდიდატი წარუდგინოს. აქ, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის როლი აშკარად გაზვიადებულია. არსებულ მოდელში პრეზიდენტის როლი განსხვავებულია – მას არ უნდა ჰქონდეს დისკრეციული უფლება, წარადგინოს პრემიერ-მინისტრი, ანუ შექმნას პრეზიდენტის მთავრობა. პარლამენტი ნდობას კი არ უცხადებს მთავრობას, არამედ ირჩევს მხოლოდ პრემიერ-მინისტრს, დანარჩენს მას არ ეკითხებიან, თუ ვინ იქნებიან მინისტრები, არ ამტკიცებს მათ და მხოლოდ პრემიერ-მინისტრს ირჩევს, ანუ დაკნინებულია მთავრობის, როგორც კოლეგიალური ორგანოს, როლი.

მაგალითად, პრემიერ-მინისტრის ასარჩევად გათვალისწინებულია სამი ტური. პირველ ტურში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პრეზიდენტი წარადგენს, მეორე ტურში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას 30 დეპუტატი წარადგენს და შეიძლება კანდიდატურა იყოს 5, ხოლო მესამე ტურში რატომღაც ისევ ყველანი იყრიან კენჭს. ეს პროცედურა აბსოლუტურად ზედმეტია. ამასთანავე, არის ლაფსუსები. კერძოდ, თუ პრეზიდენტმა არ დანიშნა პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, ისინი ავტომატურად დანიშნულად ითვლებიან. ეს როგორ უნდა მოხდეს? მე რომ თანამდებობა დავიკავო, ვინმემ ხომ უნდა დამნიშნოს? მეორეც, რა საჭიროა პრეზიდენტის მიერ დანიშვნა პარლამენტის მიერ დადგენილებით არჩეულ პრემიერ-მინისტრზე? არის სხვა დეტალებიც, რაც იმაზე უარესია, ვიდრე მოქმედ კონსტიტუციაში.


ავთანდილ დემეტრაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# TV3 თუ „რუსთავი 2“





**თითქმის არაფერი ისეთი არ მომხდარა ხმაურიანი მედიასივრცეში, საკადრო თვალსაზრისით, როგორიც ნათია მიქიაშვილის განცხადება იყო: მალე „რუსთავი 2“-ზე ვიწყებ მუშაობასო. როგორც ამბობენ, კვესიტაძის მსგავსად, „რუსთავ 2“-ზე მის გამოჩენასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. სოციალურ ქსელებში სტუდია „ანატომიის“ მიერ გაკეთებული ყველა ის მასალა გაიხსენეს, რომელიც ან სიცრუე იყო, ან ჟურნალისტური ნორმების დარღვევა.**

ისეთი ხმაური ატყდა, რომ საგანგებო განმარტების გაკეთება თავად არხის გენერალურ დირექტორს დასჭირდა. ნიკა გვარამიას თქმით:

– საუბარი არ არის იმაზე, რომ ნათია მიქიაშვილი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი გახდება. ამაზე საუბარი არასდროს ყოფილა. სტუდია „ანატომიასთან“ გარკვეული მოლაპარაკებები გვქონდა იმ პროდუქციის შესყიდვაზე, რასაც ის აწარმოებს. ინფორმაციაზეა საუბარი. ჯერჯერობით ვართ ამ ეტაპზე.

თავად მიქიაშვილი კომენტარს აღარ აკეთებს. თუმცა, მისმა პროდიუსერმა სტუდიის მიერ მომზადებული მასალების „რუსთავი 2“-ზე გასვლა დაადასტურა.

**თამუნა ჯანელიძე, სტუდია „მონიტორის“ პროდიუსერი:**

– ეთერში მალე გავდივართ, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცით. მოლაპარაკება არ არის დასრულებული და დეტალები გასარკვევია. ჩვენ არ გადავდივართ „რუსთავი 2“-ზე სამუშაოდ. ჩვენი სტუდიით ვიქნებით შესულები და არხი მხოლოდ დროს დაგვითმობს. ანუ „რუსთავი 2“ ჩვენგან პროდუქტს ყიდულობს.

როგორც ირკვევა, „რუსთავი 2“-ზე გავა სტუდიის მიერ მომზადებული რამდენიმე გადაცემა. როგორც მიანიშნებენ, მას ნათია მიქიაშვილი თავად არ წაიყვანს.

რა თემებს იყიდის და გაუშვებს „რუსთავი 2“ „მონიტორისგან“, ჯერ არ კონკრეტდება. არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი თემა ცოცხების კადრი იყოს. ირმა ინაშვილმა უკვე განაცხადა, რომ ნაციონალები აპირებენ, ფილმი გადაიღონ და დაადასტურონ, რომ ეს კადრი დადგმულია.

თუმცა, ლადო ბედუკაძემ უკვე დიდი ხანია აღიარა ის ფაქტი, რომ ცოცხების კადრი დადგმულია.

„რუსთავი 2“-ზე ჯერ არაფერს ამბობენ, იმასთან დაკავშირებით, რა თემებით არიან დაინტერესებული. ამბობენ, რომ მთავარი ყურადღება მაინც მიექცევა იმ სტანდარტების დაცვას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ „რუსთავი 2“-ზე ესა თუ ის პროდუქტი მოხვდეს.

POLIT BAZ

POLIT BAZ



# კიტოვანი თბილისში ატომს ეძებდა

**თენგიზ კიტოვანი კი გამოენთო დიდი ვაჟკაცივით იქით გორასა წიხლსა ვკრავ, აქეთ გორასა ძვრას ვუზამო, თუმცა ზღაპრებს უფრო ყვება. ისე, ასაკიც ასეთი აქვს. ასე რომ, თუ გააგრძელებს ზღაპარს მკვეხარაზე, კარგს იზამს. ერთი თემა შეიძლება ჩვენც ვუკარნახოთ. მაგალითად, როგორ ეძებდა 90-იანი წლების დასაწყისში ის ატომს.**

ყოველგვარი ხუმრობის გარეშე – ეძებდა. მაშინ ის თითქმის ყველა მაშინდელ პოლიტიკოსს ეკითხებოდა, ხომ არ იცით, რუსებს სად ჰქონდათ აქ ატომი დამალულიო. ერთ-ერთმა ჰკითხა, კი მაგრამ, რას აიჩემე ატომი, რად გინდაო. როგორ თუ რად მინდა, აფხაზეთში უნდა ვისროლოო. ეს სულაც არ არის ანეკდოტი, ნამდვილი ამბავია.



# თავდაცვის სამინისტრომ სამხედროებისთვის საბავშვო ფეხსაცმელები შეიძინა?

**თავდაცვის უწყების შესყიდვები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დახურული ინფორმაციაა, თუმცა უწყებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კურიოზულია. ამ ინფორმაციის გადამოწმება გასაგები მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა, თუმცა, როგორც ჩვენი წყარო იუწყება, ამაზე თავად სამინისტროშიც ბევრს ხუმრობენ. მოკლედ, ალასანიას უწყებამ სამხედრო ფეხსაცმელების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა, რომელიც ერთ-ერთმა ჩინურმა კომპანიამ მოიგო, თუმცა საქართველოში ჩამოსული პარტია იმდენად პატარა ზომების აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცებმა ფეხი ვერ ჩადგეს. ძირითადი ნაწილი 36-37 ზომის ფეხსაცმელი იყო. როგორ გაგრძელდა გამარჯვებულ კომპანიასთან ურთიერთობა, რომელმაც ქართველ სამხედროებს პრაქტიკულად საბავშვო ფეხსაცმელები შეუკერა, უცნობია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ეს სახელმწიფო ბიუჯეტს საკმაოდ სოლიდური თანხა დაუჯდა.**

„პრაიმტაიმი“ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დადებს, თუმცა პიროვნება, რომელმაც ამის შესახებ გვიამბო, მთელ რიგ საკითხებზე საკმაოდ ინფორმირებულია.



POLIT BAZ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა უნდოდათ ნაცებს სააკაშვილთან

**საგაზაფხულო სესიის ბოლო სამუშაო დღეს პარლამენტში ფარული მოსმენების შესახებ კანონს კენჭი ვერ უყარეს. მიზეზი – კვორუმის არარსებობა. ოპოზიციამ მაშინვე მმართველ კოალიციას წაუყენა ბრალი, არ გინდოდათ ამ კანონის მიღება და იმიტომ არ შედგა კვრუმიო.**

საპასუხო ბრალდებითა და კონკრეტული ფაქტებით მათ მანანა კობახიძემ უპასუხათ. მისი განმარტებით, სხდომას არც ნაიონალები ესწრებოდნენ. თანაც, როგორც ვიცე-სპიკერმა მიანიშნა, მან ვაშაძე და საყვარელიძე ტყუილში გამოიჭირა:

– მე ვფიქრობ, ჯარიმის წესი უნდა გავრცელდეს ყველას მიმართ, ვინც დღეს არასაპატიოდ გააცდინა და არა მხოლოდ დღეს, არამედ მთელი ამ თვის განმავლობაში. ძალიან ზოგადია მითითება, როცა პირი უთითებს, მაგალითად, ოჯახური მდგომარეობის გამო არგამოცხადებას. გაუგებარია, რა არის ეს ოჯახური მდგომარეობა. დავით საყვარელიძე და გიორგი ვაშაძე უთითებენ, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო არ იყვნენ სხდომაზე, მაგრამ




რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, უკრაინაში იმყოფებიან, მიხეილ სააკაშვილთან ერთად.





# ყველაზე ძვირადღირებული მინისტრები და მინისტრის მოადგილეები



**გასულ კვირას „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) გამოაქვეყნა მონაცემები 2013 წელს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ პრემიებისა და სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ. ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობას მის მიერვე დაქირავებული ხელისუფლების შენახვა კვლავაც საკმაოდ ძვირი უჯდება. ზოგის იმდენად ძვირიც, რომ IDFI-თვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე ან საერთოდ უარი თქვეს, ან არასრულყოფილად მიაწოდეს. ალბათ, შემდგომ ხმაურს მოერიდნენ.**

თანამდებობის პირების მიერ მიღებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციისთვის არასრულყოფილად იქნა მიწოდებული შემდეგი სამინისტროების მიერ: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებულია კონკრეტულ თანამდებობებზე გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები ჯამურად (მინისტრის მოადგილეები ერთად, დეპარტამენტის უფროსები ერთად და ა.შ.), ხოლო დანარჩენის შემთხვევაში მხოლოდ 2013 წელს ყველა თანამდებობის პირზე ერთობლივად გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების ჯამური ოდენობა.

„ზემოხსენებული სამინისტროებიდან 2013 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილი სახით მოწოდებისგან თავის არიდება ბადებს ეჭვებს, რამდენად დამსახურებულად ხდებოდა აღნიშნულ სამინისტროებში 2013 წელს კონკრეტული თანამდებობის პირების პრემიებით თუ სახელფასო დანამატებით დაჯილდოება“, – აცხადებენ IDFI-ში.



რაც შეეხება იმ სამინისტროებს, რომლებმაც სრულყოფილად უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, მათ მიერ მიწოდებული მონაცემებით ირკვევა, რომ 2013 წლის მარტის შემდგომ მინისტრების მიერ პრემიის მიღების ფაქტს ადგილი აღარ ჰქონია. ყველაზე დიდი შემოსავალი 2013 წელს სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს თავდაცვის მინისტრს. ირაკლი ალასანიამ ერთ წელში დანამატის სახით 83 076 ლარი აიღო. როგორც სამინისტროს მიერ გაკეთებული განმარტებიდან ირკვევა, თავდაცვის მინისტრის შრომის ანაზღაურება განსხვავებულად ფორმირდება. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, დადგენილი სახელფასო დანამატის (4435 ლარი) გარდა, თავდაცვის მინისტრი ყოველთვიურად იღებს საკლასო ჩინის დანამატს (1239 ლარი), სტაჟის დანამატს (885 ლარი) და საიდუმლოს დანამატს (531 ლარი), რაც ყოველთვიურად სახელფასო დანამატის სახით სულ 6 900 ლარს შეადგენს.

როგორც სამინისტროებიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, მინისტრებისგან განსხვავებით, სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაში კვლავ დაურეგულირებელი რჩება პრემიებითა და სახელფასო დანამატებით დაჯილდოების პრაქტიკა. ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული თანამდებობის პირის თანამდებობრივ სარგოს აღემატება პრემიის სახით მიღებული შემოსავლები. ამასთანავე, სხვადასხვა სამინისტროში პრემიების გაცემის განსხვავებული პრაქტიკა შეინიშნება. მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრის სამ მოადგილეზე 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 186 080 ლარი, მაშინ როდესაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ოთხი მოადგილის 2013 წელს პრემიის სახით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22 220 ლარი. პრემიის სახით ერთობლივად. ყველაზე დიდი თანხა გაცემულია იუსტიციის მინისტრის მოადგილეებზე – 230 322 ლარი (მინისტრის მოადგილეების ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო ფიქსირებულია და შეადგენს: პირველი მოადგილე – 2950 ლარი, მინისტრის მოადგილე – 2720 ლარი).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ინოვაციური შემოთავაზება „ლოტუსისგან“ - პლასტიკური ოპერაციები უპრეცედენტო პირობებით!

თეა ხომერიკი

პლასტიკური ოპერაციები თანამედროვე მედიცინის საკმაოდ წარმატებული და პროგრესირებადი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“ სიახლეს სთავაზობს მომხმარებელს. სხვა ინოვაციურ შეთავაზებებთან ერთად, „ლოტუსს“ სულ ცოტა ხნის წინ პლასტიკური ქირურგიის მიმართულებაც დაემატა. ასე რომ, თუკი თქვენ გარეგნობაში რაიმე არ გაკმაყოფილებთ, „ლოტუსის“ მაღალკვალიფიციური გუნდი მზად არის თქვენი ყველა სურვილი და ახირება რეალობად აქციოს. რაც მთავარია, მოსაზრება, რომ პლასტიკური ოპერაციები ძვირი სიამოვნებაა, აქ მთლიანად დამსხვრეულია. უპრეცედენტო ფასები და აქციები! თორმეტთვიანი განვადება და რაც მთავარია 0%-ად! პლასტიკური ქირურგის უფასო კონსულტაცია! მუდმივად განახლებადი ფასდაკლების აქციები! ეს იმ სერვისების მხოლოდ ნაწილია, რასაც „ლოტუსი“ გთავაზობთ. ახლა ინფორმაცია იმაზე, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებთ! იმისთვის, რომ ჩვენი გალამაზების ბედი სხვას მივანდოთ, პლასტიკურ ქირურგზე, რა თქმა უნდა, ამომწურავი ინფორმაცია უნდა მივიღოთ - თენგო ჩიქვაიძე - გასულ წლებში პოზნანის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგი, პლასტიკური, რეკონსტრუქციული და ესთეტიკური ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; თავისი მრავალწლიანი გამოცდილებით და პროფესიონალთა გუნდით, ახლა თქვენს სამსახურშია.




- **თორმეტთვიანი განვადება და რაც მთავარია 0 %-ად!**
- **პლასტიკური ქირურგის უფასო კონსულტაცია!**
- **მუდმივად განახლებადი ფასდაკლების აქციები!**

რომლებსაც ხარისხის სერტიფიკატი და პასპორტი აქვს.

**ნინო გამყრელიძე („ლოტუსი“-ს პლასტიკური ქირურგიის მიმართულების მენეჯერი):** „ჩვენი ცენტრისთვის სიახლეა პლასტიკური ქირურგიის მიმართულება. წლებია ესთეტიკური მედიცინის სფეროში ვმუშაობთ და ეს მიმართულებაც გვინდოდა მოგვეცვა. ანუ ჩვენ ჩვენს მომხმარებელს მომსახურების სრულ პაკეტს ვთავაზობთ. ჩვენთან გუნდი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რაც, ვფიქრობ, პაციენტებისთვის სანდოობის მაღალი მაჩვენებელია. ფასების თვალსაზრისით მუდმივად გვაქვს უპრეცედენტო აქციები. ყველა პლასტიკურ ოპერაციაზე საბაზრო ფასი მნიშვნელოვნად დაბალია და ეს აქციები მუდმივად განახლებადია“.

ლოტუსი
ესთეტიკური მედიცინის ცენტრი

...იასთან დაკავშირებულ დეტალურ საკითხებზე, „ლოტუსი“-ს პლასტიკური ქირურგი თენგო ჩიქვაიძე საუბრობს.

**თენგო ჩიქვაიძე:** „საქართველოში ისევ და ისევ ყველაზე პოპულარული ცხვირის (რინო) პლასტიკაა. შემდეგ მოდის უკვე ლიპოსაქცია, მკერდის გადიდება და ა.შ. გაგიკვირდებათ და ზაფხულის პერიოდში პლასტიკურ ქირურგიაში ოპერაციების მოზღვავებაა. ზოგი ერიდება ზაფხულში ოპერაციის გაკეთებას, თუმცა, საბედნიეროდ, მედიცინა გარემო პირობებზე არ არის დამოკიდებული და ისევე შეგვიძლია პლასტიკური ოპერაციის გაკეთება ზაფხულში, როგორც წელიწადის ნებისმიერ დროს. ცხვირის ოპერაციას ჩვენ ღია მეთოდით ვაკეთებთ. რინოპლასტიკაში ახალი მიდგომაა ღია მეთოდით მუშაობა. ოპერაცია არმირებით ხდება. ეს არის ცხვირის სტრუქტურისა და ელემენტების მოდელირების ფიქსაცია, რომ უფრო დაცული იყოს ოპერაციის შემდგომი გართულებებისგან, ეს დეფორმაციების განვითარების რისკს მინიმუმამდე ამცირებს. ტამპონების გამოღება მე-4 დღეს ხდება. მცირე ზომის ტამპონებია და მათი ამოღება სრულიად უმტკივნეულოა. მე-7 დღეს ხდება ნაკერების მოხსნა და 10-12 დღის შემდეგ იხსნება თაბაშირი, რის შემდეგაც აღარც ღამე აღარ არის მისი გაკეთება საჭირო. რაც შეეხება რეაბილიტაციის პროცესს, ეს ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია“.




## ● „ლოტუსში“ მკერდის გადიდების ოპერაციები მხოლოდ გერმანული კომპანია POLYTECH-ის უმაღლესი ხარისხის იმპლანტებით ტარდება

„ლოტუსი“-ს პლასტიკური ქირურგიის განყოფილება გთავაზობთ - სახის და სხეულის პლასტიკას: ცხვირის პლასტიკა - ფორმის და ზომის კორექცია სრული გაუტკივარებით და წინასწარი ფოტო-კომპიუტერული მოდელირებით, ნაოპერაციები ცხვირის ფორმის აღდგენა, ჩამოშვებული ქუთუთოების პლასტიკა, ყურის ნიჟარების პლასტიკა, სახის ლიფტინგი ზონების მიხედვით, მკერდის გადიდება სილიკონის იმპლანტებით, მკერდის აწევა და ფორმის შეცვლა, მუცლის პლასტიკა, მშობიარობის და წონის კლების შემდეგ დაკარგული ფორმის აღდგენა, ლიპოსაქცია და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ „ლოტუსში“ მკერდის გადიდების ოპერაციები მხოლოდ გერმანული კომპანია POLYTECH-ის უმაღლესი ხარისხის იმპლანტებით ტარდება, კონსულტაციების დღე „ლოტუსში“ სამშაბათი და პარასკევია. პლასტიკური ოპერაციები კლიენტებს მაღალკვალიფიციურ კლინიკაში უტარდებათ. საქართველოში ყველაზე პოპულარულ პლასტიკურ ოპერაც-



ქირურგი - თენგო ჩიქვაიძე

## ● „ჩვენთან გუნდი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რაც, ვფიქრობ, პაციენტებისთვის სანდოობის მაღალი მაჩვენებელია“

Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკოლებიდან „მოტეხილი“ მილიონები



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ჯერ კიდევ გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის დროს გადაწყვიტა საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფა. 2012 წლის დეკემბერში, ანუ ახალი პრეზიდენტის დანიშვნიდან ზუსტად ერთ თვეში სასკოლო ავტობუსებით საჯარო სკოლების უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადდა ტენდერიც. გამარჯვებული ორი კომპანია – შპს „ვი-ქომ“ და შპს „თაიმსერვისი“ გახდა. სასკოლო პროგრამის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს ევალებათ მოსწავლეებს დათქმული ადგილებიდან, სკოლამდე და სკოლიდან, დათქმულ ადგილამდე მოემსახურონ. ამ პროცესს კოორდინაციას სკოლის ადმინისტრაცია გაუწევს. სასკოლო ავტობუსის გამართულობაზე და საწვავით უზრუნველყოფაზე ზრუნვა სკოლებთან თანამშრომლობის პირობებში თავად კომპანიებს დაევალებათ.**

ცხადია, ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მხოლოდ მისასალმებელია, თუმცა ამ ერთი შეხედვით კეთილშობილური გადაწყვეტილების სიღრმეებში თუ ჩავიხედავთ, აღმოჩნდება, რომ საკმაოდ დიდი თანხები არაეფექტურად არის გახარჯული. მეტიც, საუბარია შესაძლო კორუფციულ სქემაზეც, რომლითაც, წესით, საგამოძიებო ორგანოებიც უნდა დაინტერესდნენ. ვინ დგას ამ სქემის უკან და არსებობს თუ არა პირდაპირი კავშირი განათლების იმდროინდელ მინისტრთან, ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ გადაწყვეტილება გიორგი მარგველაშვილს ეკუთვნის და მასვე აკისრია პასუხისმგებლობა.

მოკლედ, საქმე ის გახლავთ, რომ გამარჯვებულ კომპანიებს სატრანსპორტო მომსახურების სფეროში არანაირი





გამოცდილება არ აქვთ, არც საკუთარი ავტომობილები ჰყავთ და არც ტექსერვისი გააჩნიათ. საძიებო სისტემაში სკოლებთან მათი ერთადერთი შეხება ფიქსირდება – როცა კომპანიის რამდენიმე მფლობელმა მშობლიური ჯვრის #1 საჯარო სკოლას შაშკინის მინისტრობის დროს გამოცხადებულ „ალუმნაიას“ პროექტის ფარგლებში 100-200 ლარი გადაურიცხეს, როგორც წარჩინებულმა ყოფილმა მოსწავლეებმა. ორივე კომპანია ტენდერში საშუამავლო კომპანიის სტატუსით მონაწილეობდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კომპანია „ვი ქომ“-მა ტენდერში გამარჯვების შემდეგ წილი გაასხვისა. შემდგომ სატენდერო დოკუმენტაციაში მის ნაცვლად უკვე შპს „მაიჯიპიესი“ ფიქსირდება. ვინ დგას ამ კომპანიის უკან, ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე მცირე არითმეტიკას მოვუხმოთ:

მოკლედ, როგორც გითხარით, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს არ გააჩნიათ საკუთარი ავტობუსები, ანუ ისინი მხოლოდ შუამავლის ფუნქციას ასრულებენ და სატრანსპორტო საშუალებები მესამე პირისგან იჯარით აქვთ აღებული. ელემენტარული გათვლებით ცხადია ხდება, რომ ამან დაახლოებით 500 პროცენტით გაზარდა პროექტის ღირებულება. გაჩნდა ეჭვი, რომ ეს რთული ფინანსური სქემა ვიღაცის ინტერესებში შედიოდა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდე სახელმწიფო სკოლას, რომელსაც სჭირდებოდა და არ ჰქონდა თავისი ავტობუსი, უხდიდა 2000 ლარს სემესტრში, რაც, დავუშვათ, 800 სკოლაზე 1 მილიონ 600 ათასი ლარი დაჯდებოდა. ახლა კი ეს თანხა ბიუჯეტს 7 მილიონი უჯდება, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება საბაზრო ფასებს. ტენდერის თავდაპირველი ღირებულება 2 მილიონ ლარს შეადგენდა, რატომღაც ერთ წელიწადში ეს თანხა 7 მილიონამდე გაიზარდა.

და კვლავ მარტივი არითმეტიკა: მაგალითად, თბილისის 214-ე სკოლის 16 მოსწავლეს და 102-ე სკოლის 17 მოსწავლეს ემსახურება ავტობუსი, რაშიც გადახდილია 8184 ლარი და 7254 ლარი სემესტრში. სახელმწიფოს 17 ბავშვისთვის რომ მიეცა დღეში 1,5 ლარი, გამოდის, რომ ბიუჯეტს 17 მოსწავლის ტრანსპორტირება დაუჯდებოდა 2371 ლარი, სატენდერო დოკუმენტაციით კი გადახდილია 7254 ლარი, ანუ 3-ჯერ მეტი. ასეც რომ არ იყოს, თბილისის მერიის მუნიციპალური ტრანსპორტით სკოლის მოსწავლეებისთვის მგზავრობა ისედაც უფასოა. საჭიროების შემთხვევაში ისედაც არსებობდა 150 სასკოლო ავტობუსი, თუმცა ტენდერის შემდეგ რა ბედი ეწიათ ამ ავტობუსებს, გაურკვეველია.



პეტრე წურწუმია

ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვა მართლაც ბევრია, თუმცა განათლების სამინისტროსგან ჯერჯერობით პასუხების მიღება ვერ მოვახერხეთ. სტატიაზე მუშაობა პარასკევს დავიწყეთ... დაახლოებით 18:30 საათზე განმარტებებისთვის დავუკავშირდით უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, თუმცა განგვიმარტეს, რომ სამუშაო საათები დასრულებულია და პასუხს ორშაბათამდე ვერ გაგვცემდნენ. ჩვენ სამინისტროს პოზიციას მომავალ ნომერში სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ, რა თქმა უნდა, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ.

მანამდე კი კომენტარი ვთხოვეთ „ანტიკორუფციული მედიაცენტრის“ ხელმძღვანელს, პეტრე წურწუმიას, რომელმაც ამ თემის ირგვლივ ინფორმაცია მოგვაწოდა.

**პეტრე წურწუმია, ანტიკორუფციული მედიაცენტრის ხელმძღვანელი:**

– ეს საკითხი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. არსებობს ბევრი ეჭვი და ვარაუდი, რაზეც განათლების სამინისტრომ არგუმენტირებული პასუხი უნდა გასცეს. დღეს დაახლოებით 7 მილიონ ლარამდე იხარჯება მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის, მაშინ, როცა ეფექტური კალკულაციის შემთხვევაში შეიძლებოდა რამდენიმე მილიონი ლარის დაზოგვა. რატომ არ მოხდა ეს? ამაზე პასუხი არ არის.

**– გამორიცხავთ, რომ ამ გარიგების უკან კორუფციული ინტერესები იდგას?**

– მე არაფერს გამოვრიცხავ. ერთი მარტივი საკითხი იქნა შესწავლილი და აღმოვაჩინეთ, როგორც მინიმუმ, არამიზნობრივი ხარჯვა. კარგია, რომ ეს ინფორმაცია ხდება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. მიზანშეწონილია, რომ ამ საქმით საგამოძიებო ორგანოებიც დაინტერესდნენ და თუ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

**– ჩვენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დავუკავშირდით რამდენიმე სკოლას, რომელსაც ხელშეკრულების პირობებით, წესით, ორი მიკროავტობუსი უნდა ემსახურებოდეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ტრანსპორტია გამოყოფილი... ეს დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს...**

– ასეთი ექსპერიმენტი ჩვენ არაერთ სკოლაში ჩავატარეთ. თუნდაც ერთ მაგალითზეც ადვილი გასაანალიზებელია ამ ტენდერის რაობა და იმ თანხების მიზნობრიობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ იხარჯება. რა თქმა უნდა, დარღვევაა, თუ სკოლაზე გამოყოფილია ორი და რეალურად ემსახურება ერთი მიკროავტობუსი, რადგან ხელშეკრულებაში თანხა ორზეა გაწერილი.

**– თქვენ თუ იცით, რა ბედი ეწია იმ 150 სასკოლო ავტობუსს, რომელიც აქამდეც ემსახურებოდა სკოლებს?**

– უცნობია იმ ავტობუსების ბედი, რომლებიც 2-3 წლის წინათ არსებობდა და ემსახურებოდა სკოლებს. ეს არის შეკითხვა, რომელზეც განათლების სამინისტრომ უნდა უპასუხოს.

**P.S. ტენდერში გამარჯვებული ერთ-ერთი კომპანია წარსულში „ნაციონალურ მოძრაობასთანაც“ ასოცირდებოდა. მაგალითად, „მაიჯიპიესის“ ერთ-ერთი მფლობელი, 40-პროცენტიანი წილის მესაკუთრე დავით ჭიჭინაძე გარემოს დაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი გახლდათ. ეს მაშინ, როცა ამ უწყებას გოგა ხაჩიძე ხელმძღვანელობდა.**

**P.P.S. როგორც უკვე გითხარით, განათლების სამინისტროსგან ჯერჯერობით კომენტარის ჩაწერა ვერ მოხერხდა. „პრაიმტაიმი“, თუ უწყების სურვილიც იქნება, მომავალ ნომერში ამ კითხვებზე პასუხის მიღებას თამარ სანიკიძის უწყებიდან შეეცდება. რა თქმა უნდა, სამუშაო საათებში.**

## „მიზანშეწონილია, რომ ამ საქმით საგამოძიებო ორგანოებიც დაინტერესდნენ და თუ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი“

## რა კავშირი აქვს საქართველოს პრეზიდენტს კორუფციულ სქემასთან?





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თქვენ გელი

# „ცოცხების



# გაიქცევა თუ არა საქართველოდან ირმა ინაშვილი?

მარიამ ნადირაძე

**ნაციონალებსა და ხელისუფლებას შორის გაჩაღებული ომი ერთი შეხედვით მიჩუმდა, თუმცა მის კულმინაციას არჩევნების მოახლოებისთვის ელოდებიან...**

**უკვე ორი წელია, ყოფილი ხელისუფლება იმ ადგილებზე ურტყამს არსებულს, რომელიც მისთვის ორი წლის წინათ ყველაზე სუსტი აღმოჩნდა. უკვე აღარავისთვის არის უცხო, რომ რახანია გირგვლიანის, რობაქიძის, ვალერი გელაშვილის, ცოცხების, რეკეტის ავტორები ცდილობენ ახალი გირგვლიანის, რობაქიძის, გელაშვილის, ცოცხების შექმნას...**

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ადგილობრივი არჩევნები უფრო მეტად მნიშვნელოვანია „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები იყო, ვინაიდან სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებში პოზიციების შენარჩუნებით ჯერ კიდევ ახერხებენ ისინი სახის შენარჩუნებას, გადამწყვეტი ბრძოლაც სწორედ ამ არჩევნების თარიღისთვის მზადდება. ამ ბრძოლაში კი აკრძალული წელი არსად გაიქცევა. ბაჩო ახალაია იქ დარჩება, სადაც არის და ანი ნადარეიშვილს ვურჩევ, გონება მოიკრიბოს და მსგავსი სისულელეების ტირაჟირებისგან თავი შეიკავოს. რა დადგმაზეა საუბარი, არ მესმის. ის კი მესმის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავის წიაღში გეგმავს ახალ ინტრიგას და ახალ პროვოკაციას. ეს პროვოკაცია ცოტა ხნის წინ გავახმაურე და ის, რა თქმა უნდა, ციხის კადრებს უკავშირდება. ეს კადრები „ნაციონალური მოძრაობის“ სუსტი წერტილია. ამ კადრებმა ამხილა სისტემური დანაშაული და რა თქმა უნდა, ისინი ძალიან მწვავედ რეაგირებენ ამაზე. ახლა კი სურთ, რომ ეს თემა კვლავ აქტუალური გახადონ, თითქოს რაღაც დადგმულია.

**– თქვენ რა არგუმენტები გაქვთ ამ მოსაზრების წინააღმდეგ?**

– მე მგონი, მეორეკლასელის ინტელექტი აქვს ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ სადღაც ვიღაცამ რაღაც დადგა. ეს კადრები გადაღებულია 2012 წლის 24 აგვისტოს. ვგულისხმობ კარანტინის დაშლის კადრებს. მე მაინტერესებს, რა არის აქ დადგმული? ის, რომ ციხის მაღალჩინოსნები, დეპარტამენტის მაღალჩინოსნები პატიმრებს უმოწყალოდ სცემენ? ეს ის კადრებია სწორედაც, რომელმაც სისტემური დანაშაულები ამხილა ქართულ ციხეებში. ეს თავად მიხეილ სააკაშვილმაც აღიარა და „ნაციონალური მოძრაობის“ არაერთმა ლიდერმაც. მაგრამ დაუსჯელობის სინდრომმა, რაც საქართველოში „ქართულმა ოცნებამ“ და ახალმა ხელისუფლებამ დაამკვიდრა, ბიძგი მისცა „ნაციონალურ მოძრაობას“ იმისთვის, რომ ასეთი „გონორი“ ჰქონდეს და ასეთი სისულელეების იმპროვიზაციაზე იფიქროს. მე კი ვეუბნები „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, რომ 24 აგვისტოს გადაღებულ კადრებში მონაწილეობს არაერთი მაღალჩინოსანი, რომელიც უშუალოდ სცემს და აწამებს პატიმრებს. რა არის აქ დადგმული?

## რა გზავნილი მიიღო გიორგი ლომიამ ინკოგნიტო ნომრიდან?

სებიც მისაღებია...

რა ტიპის „აკრძალვებს“ მიმართავენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ერთ-ერთ ასეთ ჩანაფიქრზე ირმა ინაშვილმა პირველად „პრაიმტაიმში“ განაცხადა. საქმე კვლავაც ციხის ცნობილ კადრებს შეეხება. ეს განცხადება უკვე ერთი თვეა, ახალი მოლოდინის თემად იქცა და შესაბამისად, „ვარიაციებიც“ უხვადაა. მოსალოდნელი სკანდალი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო კონკრეტულ სახეს იღებს. პირველი განცხადების შემდეგ ჩვენ ვიგებთ, რომ ნაციონალები თავის ჩანაფიქრს ფილმის სახით წარმოუდგენენ მაყურებელს, სადაც დაადასტურებენ, რომ ცოცხების კადრები ინაშვილმა და ბედუკაძემ დადგეს... სულ ახლახან კი ამ ისტორიას კიდევ ერთი ახალი დეტალი შეემატა – თურმე მათ უკვე აქვთ ე.წ. შავი მასალა.

ის, რომ ეს სცენები დადგმულია, პირველად ამის შესახებ ეჭვი უკვე პატიმრობაში მყოფმა ბაჩანა ახალაიამ გამოთქვა: „ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ ყველაფერი არა, იმ კადრებში 90% მაინც დადგმულია. ყველაფერზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ასეთ რაღაცებს აქ ვინმე ჭკუათმყოფელი აკეთებდა“.

სამაგიეროდ, ამ განცხადებიდან ორი წლის შემდეგ მეუღლის მოსაზრების „წყალგაუსვლელობაში“ რწმუნდება ანი ნადარეიშვილი. ის თავის „ფეისბუკის“ გვერდზე წერს: „ირმა ინაშვილი, აგეწვა ხო? შენი დადგმული ფილმის შავი მასალა რომ გავა ეთერში, როგორ დადგით შენ და რამდენიმე ადამიანმა ეს ბინძური ფილმი, მე მგონი, გარბოდე საქართველოდან, ის დროა!“

**ცხადია, „პრაიმტაიმმა“ შესაბამისი ინტერვიუს დასაწყისშივე ამ კითხვით მიმართა ირმა ინაშვილს:**

**– გაიქცევა თუ არა საქართველოდან ირმა ინაშვილი?**

– ირმა ინაშვილი არსად გაიქცევა...

**„ანი ნადარეიშვილს ვურჩევ, გონება მოიკრიბოს და მსგავსი სისულელეების ტირაჟირებისგან თავი შეიკავოს“**

**– როდესაც თქვენ აქცენტს აკეთებთ კარანტინის დაშლის კადრებზე და არა დანარჩენზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ინსცენირებას მაინც ჰქონდა ადგილი, თუნდაც იმ სცენებში, სადაც ცოცხია გამოყენებული...**

– როცა ეს კადრები დასავლეთში გავასაჯაროვე, იქ უმნიშვნელოვანესად ჩათვალეს კარანტინის კადრები. ვინაიდან იქ ჩანდა არაერთი მაღალჩინოსანი, ამიტომ მოჰყვა ამას რეზონანსი. ხოლო ის კადრები, სადაც „დუბინკა“ და ცოცხი ფიგურირებს, აღქმული იყო, როგორც პერსონალური დანაშაული და არა როგორც სისტემური დანაშაული. ეს მე არ გამიმიჯნავს, ეს გააკეთეს საერთაშორისო ექსპერტებმა, უფლებადამცველებმა, ევროდეპუტატებმა. მათ თვითონ შეაფასეს კარანტინის კადრები, როგორც უმნიშვნელოვანესი, რომლებმაც ამხილა სისტემური დანაშაული.

**– თუ საქმე გვაქვს პერსონალურ დანაშაულებთან, თქვენი აზრით, რატომ არ გამოვლინდნენ კონკრეტული დამნაშავე პერსონები?**

– ეს უნდა ვკითხოთ კბილაშვილს, რომელმაც ჩაატარა გამოძიება. როგორც მე ვიცი, ყველა პატიმარი დაკითხულია და ჩვენებები აქვთ მიცემული. არიან ცოცხალი ადამიანები, არასრულწლოვნები, რომლებიც გააუპატიურეს. ამ ადამიანებმა გაიარეს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი. ზოგიერთი მათგანი თოკიდან ჩამოხსნა მშობელმა. მე შევხვდი ამ მშობლებს და მათგან ვიცი ეს ყველაფერი. ბევრ მათგანს უნდა, რომ ანონიმურობა იყოს დაცული, არ ენდობა ჯანდაცვის ცენტრებს და არის ბედის ანაბარა მიგდებული და მიტოვებული.




**– შიშის საფუძველი, წესით, უნდა ჰქონდეთ კიდეც, თუ გავითვალისწინებთ ახალციხის შემთხვევას, სადაც დაზარალებულმა თავი ანონიმურად არ შეინახა, სასამართლომ კი ბრალდებულები დარბაზიდან გაათავისუფლა...**

– თქვენ ხვადაგიანის საქმეზე საუბრობთ. ის დღეს ამბობს, რომ არავითარი შეხება არ ჰქონია ამ ფაქტთან და მეც შემომითვალა, ჩემზე ხშირად



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თ სიურპრიზი“
# სკანდალი“ გრძელდება

EXCLUSIVE




## „ირმა ინაშვილი, აგეწვა ხო?“

საუბრობს და არანაირი დანაშაული არ ჩამიდენიაო. ჩემთვის გაუგებარია, როცა კაცი ღიად გამოდის და ამბობს, ამან და ამან გამაუპატიურაო, ეს რას ნიშნავს? იტყუება?.. ვიქტორ ყაჭეიშვილს, რომელიც თეთრაძის წამების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, მიუსაჯეს სამი წლით და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა. ეს იმ დროს, როდესაც მან გასცა დავალება, ვიდეოკამერით გადაეღოთ თეთრაძის წამება. ერთი წლისა და 6 თვის შემდეგ მას შეუძლია, თანამდებობაზე დაბრუნება. ეს ნორმალურია? ანუ, 2 წლის შემდეგ ყაჭეიშვილს შეუძლია წავიდეს და ისევ გლდანის მერვე დაწესებულებაში დაიწყოს მუშაობა.

**– თქვენი აზრით, სასამართლოს მხრიდან საბოტაჟს აქვს ადგილი?**

– აუხსნელია. ერთი მხრივ, ამბობენ, რომ სასამართლო თავისუფალია, დემოკრატიულია, ეს ხელისუფლება, როცა უნდა, კუბლაშვილს ეფერება, აქებს, გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა კინაღამ გვატირა, თურმე როგორი პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრი ყოფილა კოტე კუბლაშვილი, მეორე მხრივ კი, როცა სჭირდებათ, ამბობენ, ჩვენ რა ვქნათ, სასამართლო ათავისუფლებსო. ეს ორმაგი სტანდარტი სახელმწიფოსთვის დამღუპველია.

**– რამდენი არასრულწლოვანია გაუპატიურებული? ეს სტატისტიკა გაქვთ?**

– 50-ზე მეტი... ეს არის თაობა, რომელიც გააუბედურეს, მოსპეს. და დღეს ბედავს „ნაციონალური მოძრაობა“, რომ მსგავს სისულელეზე ილაპარაკოს?

**– თქვენ ამ არასრულწლოვნებთან კომუნიკაცია გაქვთ?**

– კომუნიკაცია არ მაქვს, მაგრამ ინფორმაცია მაქვს სარეაბილიტაციო ცენტრებიდან. ბოლოს და ბოლოს, კადრში არ ჩანან რეალური ადამიანები? თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ვინმემ ითამაშოს წამება? მაშინ ფელინი უნდა იყო, რომ ეს დადგა.

**– დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები უკვე ფლობენ ინფორმაციას, რომ არსებობს შავი მასალა ფილმისთვის, სადაც თქვენ, ასე ვთქვათ, გაიშიფრებით...**

– მე ვიცი, რა არის ეს ანი ნადარეიშვილის ე.წ. შავი მასალა. ეს არის ანალოგიური რამ, რაც გააკეთეს ჯოლოხავას შემთხვევაში, როდესაც გაიტაცეს უმნიშვნელოვანესი მოწმე, რომელიც ხელს ადებდა ბაჩო ახალაიას წამების ორგანიზებაში. ჩამოართვეს პასპორტი, გენერალ გიორგი კალანდაძის ორგანიზებით გაიტაცეს




უკრაინაში. ამ დანაშაულში მონაწილეობდა ე.წ. ადვოკატი –ზონდერი გიორგი ონიანი და საქმეზე ახლა მიდის გამოძიება. ეს საქმე ასე არ ჩაივლის, დამნაშავე რომ არ დაისაჯოს, რომელმაც ზეწოლა მოახდინა მოწმეზე, დააატერორა, დააშინა და ამ გზით ტყუილი ალაპარაკა. პროკურატურა ინფორმირებულია ამის თაობაზე, ჩვენებები ჩამორთმეულია და მე არ ვურჩევდი არც ანი ნადარეიშვილს, არც ონიანს, არც კალანდაძეს და საერთოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, საერთოდ ილაპარაკონ ირმა ინაშვილზე.

**– თქვენ ამბობთ, რომ „ოცნებამ“ საზოგადოებას დაუსჯელობის განცდა გაუჩინა და ამავდროულად იმედს გამოვთქვამთ, რომ ჯოლოხავას საქმეს აუცილებლად გამოიძიებენ. რა გაძლევთ ამის იმედს?**

– იმედს ის მაძლევს, რომ ქართველი საზოგადოება არ მოითმენს ამ განუკითხაობას. იმედს ისიც მაძლევს, რომ ვიცი, როგორ მუშაობდა პროკურატურა, ვიდრე პრემიერი მორატორიუმს გამოაცხადებდა. ვფიქრობ, რომ არანაირი მორატორიუმი არ იყო საჭირო, როდესაც საუბარი გვაქვს სისხლის სამართლის დამნაშავეებზე.

**– ...და როგორ მუშაობდა პროკურატურა მორატორიუმის გამოცხადებამდე?**

– მუშაობდა ძალიან სწორად. ამ მუშაობის შედეგად უკვე ბევრი მტკიცებულებაც აქვთ, თუნდაც ჯოლოხავას საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ მორატორიუმმა გააჩერა პროკურატურა, რაც თავისთავად ძალიან ცუდია. მაგრამ გაივლის ეს არჩევნებიც და ეს საქმეები არ დარჩება ასე გაუხსნელი.

**– ფიქრობ, რომ ამ მორატორიუმის ფარგლებში შეჩერდა ჟვანიას საქმის გამოძიებაც? თუ თქვენც ფიქრობთ, რომ ეს საქმე პოლიტიკური სპეკულირების საგანია?**

– მორატორიუმი უბრალოდ პრემიერის სიგნალი იყო დასავლეთისთვის, რომ საქართველოში დემოკრატიული ხელისუფლებაა, რაც იმით დასტურდება, რომ თურმე არჩევნების წინ არავის დაიჭერენ. მაგრამ ეს ხელისუფლება ხელისუფლებაში ვერ დარჩება, თუ დამნაშავეებს არ დასჯის. ამას ქართველი ხალხი აღარ მოითმენს და თქვენ ნახავთ, როგორ განვითარდება პროცესები... რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, ისიც ამ მორატორიუმში მოჰყვა. მე მგონია, რომ უკვე გახსნილია არაერთი საქმე, მათ შორის ჟვანიას საქმეც. უბრალოდ, დეტალები ზუსტდება. მე მაქვს მოლოდინი, რომ პროკურატურა დაასრულებს ამ საქმეებს და თუ ეს ასე არ მოხდება, ქართველი ხალხი დაასრულებს ამ ხელისუფლებას.

**– მოდით, ისევ იმ ფილმს დავუბრუნდეთ, რომელიც თქვენს შესახებ იქმნება. რა ინფორმაციას ფლობთ მის გარშემო?**

– მე მაქვს ინფორმაცია, რომ ჰყავთ რამდენიმე ე.წ. „მოწმე“, ისეთივე, როგორიც უნდოდათ, რომ ჯოლოხავა ყოფილიყო და გადაღებულია, როგორ საუბრობენ ეს მოწმეები ერთმანეთში – მოდი, ეს დავდგათ... მოდი, ასე გავაკეთოთ... ასე დაგვავალა ირმა ინაშვილმა, გიორგი ლომიამ და ა.შ.

**– ანუ, ფილმის მიხედვით, თქვენც იქ იყავით, როცა სცენები იდგმებოდა?**

– არა... ამბობენ, რომ ვითომ მე დავაძინებინე ეს მცველები ციხის თანამშრომლებს და შემდეგ ჩემი სცენარით აწამეს პატიმრები... ძალიან უჭირს „ნაციონალურ მოძრაობას“, ასეთ სისულელეს რომ გეგმავს... ცოტა ხნის წინ ჩემმა მეგობარმა, გიორგი ლომიამ, რომელიც ერთ-ერთი მონაწილეა „ციხის კადრების“ გასაჯაროების, მიიღო „ესემესი“ შინაარსით – „თქვენ გელით სიურპრიზი“. ეს გზავნილი და ეს ნომერი პროკურატურას მივაწოდე, რადგან ძიება მიმდინარეობს ჯოლოხავას საქმესთან დაკავშირებით და მე ამ საქმესთან გავავლე პარალელი. მაშინაც გამომიგზავნეს „ესემესი“, ვიდრე ჯოლოხავას ინტერვიუს გამოაქვეყნებდნენ. გზავნილში ეწერა – ჩაწერილი გვყავს ჯოლოხავაო. ასე რომ, სტილი მეცნო. გიორგი ლომიას შემთხვევაში, ნომერი, ცხადია, გამორთული იყო.

**– ლომიასთვის გაგზავნილი „ესემესი“ საკმარისი გახდა თქვენთვის, გაგეთვალათ, რომ ნაციონალები ფილმის მომზადებას აპირებენ?**

– მესიჯმა, უბრალოდ, გაამყარა ჩემი წყაროებისგან მანამდე მიღებული ინფორმაცია ფილმის შესახებ... თუ ვინმეს ჩემთან საუბარი უნდა და რაღაც სიურპრიზი აქვს, შეუძლია, პირადად დამირეკოს, ან შემხვდეს და მელაპარაკოს. მაგრამ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი ფარსი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, მწამებლის სახელი მოიშოროს. სინამდვილეში ხომ ეს იარლიყი არ არის? ისინი ნამდვილად მწამებლები იყვნენ, თანაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები იყვნენ წამების ორგანიზატორები. სულ რომ არ იყოს ციხის კადრები, პატიმრების ათასობით ჩვენებაა, რომლებიც დეტალურად ყვებიან, როგორ აწამებდნენ მათ. ასე რომ, ვერ გაემიჯნებიან „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები წამების ამ ფაქტებს. ახლა თუ არა, მოვა სხვა ხელისუფლება და ის გაასამართლებს მათ.

**– ხშირად ამბობენ, რომ ნაციონალური ხელისუფლების დასრულებაში ლომის წილი აქვს ამ კადრებს და ირმა ინაშვილს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

– მე რას ვთვლი, ეს არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, რა მოხდა რეალურად. დიახ, ამ კადრებმა მოახდინა გარდატეხა და შეუძლებელი გახდა არჩევნების გაყალბება.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# უკრაინა, საქართველო, მოლდოვა

ქეთი ხატიაშვილი

**რატომ უკრაინა? იმიტომ რომ ის საბჭოთა კავშირში რუსეთის შემდეგ ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანია. იმიტომ რომ მისი ბაზრის გარეშე პუტინი ვერააშენებს ევრაზიულ კავშირს და იმიტომაც, რომ მისი შემთხვევა სამაგალითო იყოს სხვებისთვის. სხვებმაც ზუსტად იცოდნენ, რა ელის იმ ქვეყნებს, ვინც კრემლის ინტერესებს ეწინააღმდეგება.**



## რით აშანტაჟებს მოსკოვი პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და ზეწოლის რა ბერკეტები აქვს

სომხეთმა რუსეთის ულტიმატუმი უსიტყვოდ მიიღო, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას ერევანი არ გააფორმებს. დანარჩენი სამი ქვეყანა (უკრაინა, საქართველო და მოლდოვა) გადაწყვეტილებას არ ცვლის და ვილნიუსის სამიტისთვის ემზადება.

თუმცა, ეს სამზადისი სულაც არ არის იოლი. ამ ქვეყნებს ბევრის გარისკვა მოუწევთ. საქართველოს 20% უკვე არის ოკუპირებული, რუსეთი უკრაინის მცოცავ ანექსიას დღითი დღე აფართოებს, ეს არის ანექსია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, რუსეთი გაჩერებას არ აპირებს. მისთვის შემაფერხებელი ფაქტორი არც ამერიკისა და ევროპის სანქციებია, რომელიც მართლაც არ გამოიყურება შთამბეჭდავად. ამას მუქარანარევი განცხადებებიც მოჰყვა.

პრეზიდენტ პუტინის მრჩეველი ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებში უკრაინას აფრთხილებს, რომ ქვეყნის ევროკავშირში შესვლა მათი ეკონომიკური სუიციდის ტოლფასი იქნება. ამის შესახებ ამერიკის ხმა იტყობინება.

რუსეთი უკვე ოფიციალურად ემუქრება მოლდოვასაც. ყირიმის აღიარების შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა Bloomberg-თან საუბარში განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის, ცნოს მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ.

ეს უკვე ნიშნავს გაფრთხილებას – ევროკავშირთან ხელმოწერა შესაძლოა მასაც ძვირად დაუჯდეს, დნესტრისპირეთი იქნება შემდეგი, რომლის აღიარებასაც კრემლი შეეცდება.

ასეთი წინაღობების მიუხედავად, იანუკოვიჩის მსგავსად, ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმას არც ერთი ქვეყანა არ აპირებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მხრიდან სამხედრო ინტერვენცია დროებითია.

ტერიტორიების მიტაცების გარდა, მოსკოვი ცდილობს, ამ ქვეყნების შიგნითაც ააფეთქოს პოლიტიკური ვითარება. თბილისშიც, კიევშიც და კიშინიოვშიც ერთნაირად იფეთქა თქმულებებმა იმის შესახებ, რომ ევროპა სინამდვილეში დამღუპველია და რომ დასავლეთი ერთსქესიან ქორწინებებს ნიშნავს, ამას კი ერთმორწმუნე რუსეთი სჯობიაო.

დიმიტრი როგოზინმა კი მოლდოვას შეახსენა, რამდენად ბედნიერი იქნებოდა რუსეთი, ეს ქვეყანა საბაჟო კავშირში ეხილა. საბაჟო კავშირიდან ევრაზიამდე ნახევარი ნაბიჯია. ამიტომაც, ევროკავშირმაც, თავის მხრივ, გააკეთა მკაფიო განცხადება, როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნები არჩევანის წინაშე დააყენა. ანუ ამ ორ სივრცეს შორის იმდენად განსხვავებული თამაშის წესებია, რომ ორივე კავშირში ყოფნა შეუძლებელია. იანუკოვიჩმა სწორედ ამ არჩევანის გაკეთების დროს დაუშვა შეცდომა, როცა საკუთარი ხალხის ნებას დაუპირისპირდა და ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერაზე უარი თქვა.

რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს ეს ქვეყნები, რომ არანაირი მოგება მათ ევროკავშირთან ურთიერთობას არ ექნება და რომ ევროპა საკმაოდ სუსტია და თავად არის დამოკიდებული რუსეთის ელექტრომატარებლებზე, იმისთვის რომ უკრაინას, ან მოლდოვას, ან საქართველოს რეალური დახმარება გაუწიოს; იმისთვის რომ ეკონომიკური სუიციდი თავიდან აიცილოს. მოსკოვი საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას არ ერიდება. მან მნიშვნელოვნად გააძვირა გაზის ფასი და უკრაინას სხვა სანქციებითაც ემუქრება.

პასუხად უკრაინამ რუსეთიდან გაზის მიწოდებაზე უარი წლის ბოლომდე განაცხადა. ექსპერტების აზრით, კიევი შეეცდება, თბილი ამინდებით ისარგებლოს და ალტერნატიულ საშუალებებზე იზრუნოს, ისევე როგორც საქართველო. თბილისი არ არის დამოკიდებული რუსეთზე და ეს მას ბევრწილად ბრძოლას უადვილებს.

კრემლის განწყობებს ექსპერტები არ იზიარებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ევროკავშირთან ერთად უკრაინას განვითარების მეტი შანსი და პერსპექტივა ექნება.

**მოსკოვის კარნეგიცენტრის დირექტორის დიმიტრი ტრენინის განმარტებით:**

– ეს იქნება მნიშვნელოვანი იმპულსი მოდერნიზაციისთვის, არამხოლოდ ეკონომიკისთვის, პოლიტიკური თუ სამართლებრივი სისტემისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ასე რომ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და პოზიტიური ბალანსია.

მოსკოვის მხრიდან რეპრესიებზე დასავლეთში სულ უფრო მეტს საუბრობენ.



საქართველო უკვე ოკუპირებულია, უკრაინა პროცესშია, მოლდოვა რიგში შემდეგია. ტერიტორიების გარდა, სამივე ქვეყანას ის ეკონომიკური სანქციებით ემუქრება. საქართველოს ეს ნაკლებად ეხება, რუსულ გაზზე აღარ არის დამოკიდებული, კიევს – ყველაზე მეტად.

ასე რომ, ახლა ერთადერთი, რაც რუსეთს შეუძლია, საქართველოში გააკეთოს, ეს შიდაარეულობაა.

**ზურაბ ჭიაბერაშვილის შეფასებით:**

– საქართველოზე გავლენის რა ბერკეტი აქვს რუსეთს?

პასუხი მარტივია: საქართველოში იმგვარი პროცესები უნდა განვითარდეს, რაც დასავლელ პარტნიორებს დააეჭვებს დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებისადმი ჩვენს ერთგულებაში; ქართული ეკონომიკის პოტენციალში; პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში განვითარების პერსპექტივაში.

**ზურაბ აბაშიძემ კი, რომელიც პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელია კარასინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა: რუსეთი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ევროპისკენ მისწრაფებასო.**

– ჩემმა კოლეგამ ცალსახად განაცხადა, რომ რუსეთი არანაირად არ აპირებს, რომ ამ მოსალოდნელ ხელმოწერასთან დაკავშირებით საქართველოზე რაიმე სახის ზეწოლა განახორციელოს. ვნახოთ, დავაკვირდეთ, ივნისი შორს არ არის. ყველაფერი გამოჩნდება. ყოველ შემთხვევაში ის განცხადება, რაც მისი ინიციატივით ითქვა, თავისთავად ვფიქრობ, რომ საინტერესოა.

## ზურაბ აბაშიძე: „ვნახოთ, დავაკვირდეთ, ივნისი შორს არ არის. ყველაფერი გამოჩნდება...“






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ არ აინტერესებს გიორგი მარგველაშვილს 26 მაისის აღლუმი



EXCLUSIVE

## „ცოტა უხერხულია, როდესაც მთავარსარდალმა არ იცის, აღლუმი გაიმართება თუ არა, მაშინ, როდესაც სწორედ მთავარსარდლის გადასაწყვეტი უნდა იყოს, აღლუმი სად, როდის ან რა ფორმით უნდა ჩატარდეს“

ხათუნა მგალობლიშვილი

**გასულ წელს ითქვა, რომ „არ ვართ ის ქვეყანა, სადაც სამხედრო ძალის ჩვენება აუცილებელი იქნებოდა“. გადაწყვეტილება პოლიტიკურ გასაჩივრებას არ დაქვემდებარებია. შესაბამისად, არც სამხედრო მსვლელობა ჩატარებულა და არც თვითმფრინავებს გადაუფრენიათ. ძალოვანი უწყებები ერთი წლის წინათ ტექნიკის გამოფენა-დათვალიერებით შემოიფარგლნენ. თუმცა თითოეულ დეტალში თავისი ქვეტექსტი იკითხებოდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო. აღლუმის ჩატარების შემთხვევაში ახალ ხელისუფლებას მოუწევდა, ნაციონალების რჩეული და ქვეყნის მაშინდელი მთავარსარდალი ამოეყენებინა გვერდით. ამის სურვილი კი „ქართულ ოცნებაში“ ნამდვილად არავის ჰქონია. სწორედ ამიტომ ჯარის მსვლელობის მოწყობა გადაიფიქრეს და განაცხადეს, რომ დამოუკიდებლობა სახალხო ზეიმად უნდა ექციათ. ასეც მოხდა. თუმცა უკვე წელს სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ 2008 წლის ომში დამარცხებულ ჯარს მორალური უფლება არ ჰქონდა, ტრიუმფალური მსვლელობა მოეწყო ხალხის წინაშე.**

მაშინ ცვლილებების გატარებაზე გადაწყვეტილება მოქმედმა პრემიერმა მიიღო. საკითხის მოგვარება განათლების მაშინდელ მინისტრსა და ვიცე-პრემიერს, გიორგი მარგველაშვილს დაევალა და პრემიერ-მინისტრისვე ბრძანებით, სპეციალური კომისია შეიქმნა. წელს სხვა სიტუაციაა. პრეზიდენტი „ოცნების“ რჩეულია, თუმცა აღლუმი მაინც არ იმართება. მეტიც, პრეზიდენტი მარგველაშვილი აცხადებს, რომ საქმის კურსში არ არის, აღლუმი როგორ ან სად ჩატარდება.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– გახსოვთ, შარშან მე ვიყავი კომისიის თავმჯდომარე. მაშინ ინფორმირებული გახლდით დეტალებზე და გიზიარებდით ყველაფერს, რაზეც ვმუშაობდით. ახლა ჩემი ადმინისტრაციის უფროსი, ლაშა აბაშიძეა კომისიის წევრი და დეტალები მე ნამდვილად არ ვიცი. ამაზე მუშაობს კომისია მთავრობასთან შეთანხმებით. დეტალები ნამდვილად არ ვიცი.

ბუნებრივია, სამხედრო ექსპერტები პრეზიდენტის, როგორც ქვეყნის მთავარსარდლის, პასუხს „ბრაკავენ“. მარგველაშვილის პასუხმა პოლიტიკოსებისგანაც კრიტიკა დაიმსახურა.

**დიმიტრი შაშკინი:**

– პრეზიდენტ მარგველაშვილისგან მოვისმინეთ, რომ ის არ არის საქმის კურსში, იქნება თუ არა აღლუმი 26 მაისს. იქნებ ვინმემ აუხსნას ამ კაცს, რომ კონსტიტუციით პრეზიდენტი წყვეტს, აღლუმი იქნება თუ არა. პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი. თუ თავისი მოვალეობების შესრულება არ უნდა და არ აინტერესებს, რატომ იხდის ამდენ ფულს სახელმწიფო ამ კაცის შენახვაში?

ამ დეტალის განხილვით ნაციონალები ხაზს კულუარულ დაპირისპირებას უსვამენ. ბუნებრივია, თავად კოალიციის რეაქცია ერთნაირია. უმრავლესობის ნებისმიერ წევრს ოპოზიციის განცხადებებზე ერთი პასუხი აქვს – „ნაციონალები პოლიტიკური ჭორების გავრცელებით არიან დაკავებულები და ამით საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობენ“... ვინ რას ცდილობს, ეს ცალკე განხილვის თემაა, თუმცა ფაქტია, რომ მარგველაშვილი აღლუმის პროცესებიდან „გათიშულია“...



## „არავის არ აქვს უფლება, შეუზღუდოს მარგველაშვილს დელეგირებული უფლებამოსილება“

აღმოჩნდა, რომ აღლუმის თემა ტაბუდადებულია უმრავლესობაში. გიორგი მარგველაშვილზე და 26 მაისზე საუბრისგან უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინა იმერლიშვილმა თავი შეიკავა. მათი პოზიცია ასეთია: „უარი უნდა გითხრათ ამ საკითხების კომენტირებაზე, რადგან ისინი უშიშროების საბჭოს მდივნის კომპეტენციას არ მიეკუთვნება. გირჩევთ, მიმართოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას – ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე 26 მაისის ღონისძიებათა საორგანიზაციო კომისიის წევრია და აქედან გამომდინარე, უკეთაა ინფორმირებული“.

„უკეთ ინფორმირებულმა“ ლაშა აბაშიძემ, რომლისთვისაც, წესით, პასუხების გაცემა ვალდებულება უნდა ყოფილიყო, მით უფრო 26 მაისთან დაკავშირებით, მაინც უარი განაცხადა, დეტალები ჯერ კიდევ გასარკვევია და ვერაფერზე გაგცემთ პასუხსო...

ექსპერტებს, აღლუმის საკითხებზე საუბრისას პოლიტიკურ თემებზე მეტად მთავარსარდლის მხრიდან უპასუხისმგებლობა უფრო ხვდებათ თვალში. მათთვის მიუღებელია როგორც მარგველაშვილის პასუხი, ასევე მისი დამოკიდებულება საკუთარი ვალდებულებების მიმართ.

## გიორგი თავდგირიძე: „საქმით არ ჩანს, რომ უმაღლესი მთავარსარდალი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს სამხედრო სფეროს “

**გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი:**

– ცოტა უხერხულია, როდესაც მთავარსარდალმა არ იცის, აღლუმი გაიმართება თუ არ გაიმართება. მაშინ როდესაც სწორედ მთავარსარდლის გადასაწყვეტი უნდა იყოს აღლუმი, სად, როდის ან რა ფორმით გაიმართება. როდესაც ის აირჩიეს, მას მიენიჭა ლეგიტიმაცია, ყოფილიყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. შესაბამისად, არავის არ აქვს უფლება, შეუზღუდოს მარგველაშვილს დელეგირებული უფლებამოსილება. შეიძლება პრეზიდენტი მოსახლეობაში იყოს არაპოპულარული, მაგრამ ქვეყნის მთავარსარდლობა უმაღლესი პასუხისმგებლობაა. მოეწონება თუ არ მოეწონება მოსახლეობას მთავარსარდლის მიერ არჩეული ფორმა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისთვის, ეს სხვა საკითხია. სამხედროებს გვაქვს გარკვეული მოსაზრება, სუფთა პროფესიული, თუ როგორი აღლუმი უნდა ჩატარდეს. მე პირადად მიმაჩნია, რომ ქვეყნის დედაქალაქში ტრიუმფალური მსვლელობა შეიარაღებულ ძალებს არ დაუმსახურებია, რადგან 2008 წელს მათ ომი წააგეს. თუმცა ეს არის მორალური მხარე. მარტივად რომ ვთქვათ, მე მაინტერესებს, რომ საქართველოს ჰყავდეს ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი სახელმწიფო არ ნიშნავს პოლიტიკური პირების კარგ ან ცუდ ურთიერთობას. არ მაინტერესებს, ვინ ვის არ ელაპარაკება, ვინ გაბუტულია, ან ვის ვინ არ მოსწონს. ჩემთვის მთავარი ინდიკატორი არის ის, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა არ იცის, ჩატარდება თუ არა აღლუმი და არ აინტერესებს ეს დეტალები. ყველაფერი საქმით უნდა გამოჩნდეს. საქმით კი არ ჩანს, რომ უმაღლესი მთავარსარდალი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს სამხედრო სფეროს. მართალია, სიტყვა მართავს, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ფაქტია, რომ მას აქვს ბერკეტები და ვალდებულება, რომელიც ქართველმა ხალხმა დააკისრა. შესაბამისად, მან უნდა შეასრულოს საკუთარი მოვალეობები და ვალდებულებები. რამდენიც უნდა, იმდენი იდაონ, მთავარია, სახელმწიფომ იმუშაოს გამართულად.





## „არ მაინტერესებს, ვინ ვის არ ელაპარაკება, ვინ გაბუტულია, ან ვის ვინ არ მოსწონს. ჩემთვის მთავარი ინდიკატორი არის ის, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა არ იცის, ჩატარდება თუ არა აღლუმი და არ აინტერესებს ეს დეტალები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თბილისი 2015“-ის გრანდიოზული გახსნის ცერემონია „დინამო არენაზე“ გაიმართება

მაგდა კლდიაშვილი

## ალექსი ახვლედიანი: „ოქროს ფრთაზე“ - ყოველთვის მზად ვარ, მსგავს ღონისძიებას გვერდით დავუდგე. თამამად შეგიძლიათ, მიგულოთ მსგავსი ღონისძიებების მხარდამჭერად, არა როგორც ფესტივალის ორგანიზატორად, არამედ, პიროვნულადაც“



**საქართველო 2015 წელს ევროპის ახ საქართველო 2015 წელს ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. გარდა ამ ფესტივალისა, 2016 წელს თბილისში ძიუდოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება, სადაც რიო დე ჟანეიროს საგზურები გათამაშდება. როგორ ემზადება თბილისი ამ მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის, რა გაკეთდა, როგორი იქნება „ახალი თბილისი“ და რა მოგებას ნახავს ქვეყანა. „პრაიმტაიმი“ „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, ალექსი ახვლედიანს ესაუბრა.**

**- 2014 წლის 21-22 ივნისს თბილისი ძიუდოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. გარკვეულწილად, ამ ტურნირით ხსნის საქართველო მნიშვნელოვანი ღონისძიებების ნუსხას. როგორ ემზადებით?**

- ივნისში 300-400 ოფიციარს ველოდებით. პირველი შემთხვევაა, როცა ევროპული დონის ასეთი ტურნირი ტარდება საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ეს „თბილისი 2015“-ის ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა. მოგეხსენებათ, ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე სპორტსმენების ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ მძლეოსნობაზე მოდის, ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტებში იდენტურია სტრუქტურული ერთეულები. 2015 წელს, ბაქოში ტარდება პირველი ევროპული ოლიმპიური თამაშები დიდებს შორის. თბილისში, 2014 წელს გასამართი ჩემპიონატი კი სალიცენზიო ტურნირად დასახელდა, რამაც მას პრესტიჟი, დიდი მნიშვნელობა და სპორტსმენთა გაზრდილი რაოდენობა მოუტანა.

**- 2015 წელს თბილისი მასშტაბურ ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. როგორ ემზადება დედაქალაქი ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს, იმისთვის, რომ ღირსეული მასპინძლობა შევძლოთ?**

- ის ცხრა სახეობა, რომელშიც ტარდება აღნიშნული ოლიმპიური ფესტივალი, მსოფლიო სტანდარტისა და დონის ახალ ინფრასტრუქტურას ითხოვს. ყველა სახეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის აქტიური მშენებლობა და სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მათი სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ახალი კომპლექსები შენდება. თბილისში გაჩნდება ახალი სარეკრეაციო ზონა, რომელსაც ერქმევა „ახალი თბილისი“, სადაც იქნება განლაგებული ოთხი სახეობის, მძლეოსნობის, ცურვის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშის დარბაზები. ვაშენებთ მაღალი დონის ჩოგბურთის კორტებს. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან კი ხელბურთის ორი დარბაზი დაიდგმება. საკალათბურთო დარბაზი კაპიტალურად შეკეთდება. შედგენილია მკაცრი გრაფიკი, იმ კომპანიას, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა, 10 დღიანი ჩამორჩენა თუ ექნება, მასთან ავტომატურად ვწყვეტთ კონტრაქტს. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ასეთი შემთხვევა არ გვქონია და წინსწრებით ვართ. რამდენიმე კვირის წინ ევროპიდან დამკვირვებელთა მისია იყო ჩამოსული და დადებითი შეფასება მივიღეთ. მომავალი წლის მაისში უნდა დავასრულოთ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი და დავიწყოთ სატესტო შეჯიბრებები.




**- ყველა ასეთ დიდ ფესტივალსა და ოლიმპიადას თან გახსნა-დახურვის ცერემონიალი ახლავს, რომელიც არანაკლებად საინტერესოა ყველასთვის. როგორ აპირებთ ასეთი მასშტაბური ღონისძიების გახსნას, რაიმე მონახაზი და გეგმა გაქვთ?**

- საკმაოდ დიდი დღეები გველოდება. ყველაზე მნიშვნელოვანი, დიდი მოვლენა, რაც ოლიმპიურ ფესტივალს ახლავს, საქართველოს ისტორიაში პირველად შემოვა ოლიმპიური ცეცხლი. ორი თვით ადრე, ოლიმპოს მთაზე ჩავალთ, ავიღებთ ცეცხლს და სარფის საბაჟო გამშვები პუნქტიდან, საქართველოში შემოვა ოლიმპიური ცეცხლი, ის მოივლის ყველა რეგიონს და ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისსი შემოიტანენ. ეს იქნება შოუებით გაფორმებული. ზეიმი, საქართველოს მოსახლეობისთვის ორი თვით ადრე დაიწყება. გახსნის ცერემონიალი იქნება გრანდიოზული. დიდხანს ვფიქრობდით, სად ჩაგვეტარებინა, „ლოკომოტივზე“ თუ „დინამო არენაზე“. გამომდინარე იქიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობა და ინტერესი ახლავს ჩვენი მოსახლეობის ამ ფესტივალს, „დინამოზე“ შევჩერდით. არ გვინდა, ვინმე დარჩეს გულნატკენი. იქნებიან ქართული ჯგუფები. უახლოეს დღეებში გამოცხადდება კონკურსი გახსნის სცენარზე. საკონკურსო კომისიაც დაკომპლექტდება, ეს ყველაფერი საკმაოდ რთულია. ეს ზეიმი დასრულდება ცეცხლის ანთებით. ვფიქრობთ, რომ ეს ისეთი გრანდიოზული უნდა იყოს, რომ იმ ადამიანებმაც კი დაინახონ, რომლებიც სტადიონზე მოსვლას ვერ მოახერხებენ. რადგან თქვენ ექსკლუზივები გიყვართ და ჩემი ინტერვიუც პირველია თქვენთვის, ექსკლუზიურ ინფორმაციას მოგაწვდით. ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე ოლიმპიური პარკი გაიხსნება, სადაც მონუმენტი დაიდგმება, გამწვანდება და სწორედ იქ გაიმართება დახურვის ცერემონიალი.


საქართველოს ისტორიაში პირველად შემოვა ოლიმპიური ცეცხლი


პირველი შემთხვევაა, როცა ევროპული დონის ასეთი ტურნირი ტარდება საქართველოში



**- რა დაუჯდება ეს პროექტი სახელმწიფოს და შეძლებს თუ არა ქვეყანა იმ ინფრასტრუქტურის გამოყენებას მომავალში, რაც ახლა შენდება?**

- აქ მთავარია, რომ ეს პროექტი - „ახალი თბილისი“ თავისი ფინანსური დანახარჯებით გამართლებული იყოს. ვფიქრობ, რომ დაახლოებით, 7-ჯერ, 8-ჯერ მეტ მოგებას მოუტანს ეს ქვეყანას, ვიდრე დანახარჯი იქნება. ეს ფისკალური ეფექტი, რაც შეეხება პრესტიჟს, ცხრავე სახეობას, თამამად შეუძლია უმასპინძლოს, როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ყველა დონის ჩემპიონატს. „თბილისი 2015“-მა მოგვიტანა ის, რომ მძლეოსნობაში 2016 წელს ახალგაზრდულ ჩემპიონატს ვატარებთ. 2017 წელს, ხელბურთში მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები გაიმართება. რომ არა ის გარანტია, რომ ქვეყანა ატარებს „თბილისი 2015“-ს, ზედმეტი იქნებოდა ამ ყველაფერზე ფიქრი.



**- ცოტა ხნის წინ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა, „ოქროს ფრთა“, ჟურნალისტების წლის დაჯილდოება გამართა, სადაც თქვენ ამ ღონისძიების გენერალური სპონსორი იყავით და წილად გხვდათ, დაგეჯილდოებინათ თქვენი რჩეული ჟურნალისტი. რა დატვირთვა ჰქონდა ამას თქვენთვის და საერთოდ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ჯილდოს არსებობა?**



- გამოგიტყდებით, პირველად მივიღე მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა და გამიკვირდა - მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ ამდენი პრობლემა და ცვლილება გადაიტანა, ეს ღონისძიება, რასაც „ოქროს ფრთა“ ჰქვია, ერთადერთია, რომელიც ჟურნალისტებს აჯილდოებს, გამოსვლისას, ვთქვი კიდეც, რამდენიმე ასეული სპორტსმენი მეყოლება დაჯილდოებული, მაგრამ ვერ შეედრება იმ ღელვას, რაც იმ დროს განვიცადე. ეს არის აუცილებელი, რადგან ელემენტარული ჯილდო ათმაგი, ასმაგია, ფინანსურ სარგებელზე მეტია, როდესაც ადამიანს აგრძნობინებ, რომ მის შრომას აფასებ, როგორც მინიმუმ, გახსოვს. რაც არ უნდა ოლიმპიადა, ჩემპიონატები ატარო, არაფერს აზრი არ აქვს, თუ მაღალკვალიფიციური ჟურნალისტის გაშუქება და თანადგომა არ გაქვს. ყოველთვის მზად ვარ, მსგავს ღონისძიებას გვერდით დავუდგე. თამამად შეგიძლიათ, მიგულოთ მსგავსი ღონისძიებების მხარდამჭერად, არა როგორც ფესტივალის ორგანიზატორად, არამედ, პიროვნულადაც.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რამდენ ათას ლარს სთხოვს მანანა არჩვაძე საქართველოს მთავრობას?



## გამსახურდიების ოჯახის ქონებასა და ფინანსურ შემოსავლებს სპეციალური კომისია სწავლობს

## „პრეზიდენტის ქვრივი იღებს ყოველთვიურ პენსიას მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად – 6900 ლარის ოდენობით, ასევე, ზვიად გამსახურდიას ოჯახის საკუთრებაშია წყნეთში მდებარე აგარაკი, ხოლო მანანა არჩვაძე-გამსახურდიას აქვს პერსონალური სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის უფლება“

EXCLUSIVE



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივმა, მანანა არჩვაძე გამსახურდიამ 2 აპრილს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს სპეციალური განცხადებით მიმართა და მისი ოჯახის წინაშე სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესწავლა მოსთხოვა. ღარიბაშვილის ბრძანებით, ამ მოთხოვნებს სპეციალური კომისია შეისწავლის, რომელსაც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ნინო კობახიძე უხელმძღვანელებს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევლენ საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი და სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი.**

რას ითხოვს კონკრეტულად მანანა არჩვაძე-გამსახურდია და როგორია ამჟამად პირველი პრეზიდენტის ოჯახის ფინანსური მდგომარეობა? „პრაიმტაიმი“ ამ თემაზე კომისიის თავმჯდომარეს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, ნინო კობახიძეს ესაუბრა, თუმცა მანამდე მცირე ექსკურსი:

2002 წელს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდიას ოჯახი სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო. დოკუმენტს ხელს აწერს ნინო ბურჯანაძე, მაშინ ბიუჯეტში 130 000 ლარი ჩაიდო, მაგრამ კანონი კანონად დარჩა და როგორც თავად მანანა არჩვაძე-გამსახურდია ამბობდა, მათთვის კაპიკი არავის მიუცია. სავარაუდოდ, სწორედ ამ თანხას ითხოვს მანანა არჩვაძე საქართველოს ხელისუფლებისგან.

1990 წელს ზვიად გამსახურდიას პირად საკუთრებაში გადაეცა დაბა წყნეთში მდებარე აგარაკი, თუმცა რამდენიმე წლის წინათ, ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში დაკრძალვიდან ორ კვირაში, ეს ქონება ჯერ გაიძარცვა, შემდეგ კი გაიყიდა. ქონების მესაკუთრე რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი, ვინმე სომხიშვილი გახდა.

**მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ნინო კობახიძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ წყნეთში არსებული ქონება ახალმა ხელისუფლებამ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას უკვე დაუბრუნა. ამ და სხვა დეტალების შესახებ, გთავაზობთ ინტერვიუს ნინო კობახიძესთან.**

**– ქალბატონო ნინო, რატომ დადგა ამ კომისიის შექმნის აუცილებლობის საკითხი?**

– კომისიის შექმნის აუცილებლობის საკითხი დადგა იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ერთმნიშვნელოვნად არ არის დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახის წინაშე. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, პრეზიდენტის მეუღლეს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას უკვე გადაეცა უძრავი ქონება წყნეთში, თუმცა არსებობს სხვა მოთხოვნებიც, რომლებზეც უკვე სამუშაო ჯგუფი იმსჯელებს.

**– იქნებ დაგვიკონკრეტოთ პირველი პრეზიდენტის მეუღლის მოთხოვნები. რას ითხოვს დეტალურად მანანა არჩვაძე?**

– დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, რამდენადაც ეს სამუშაო პროცესია და აღნიშნული საკითხები ჯგუფმა უნდა განიხილოს. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ საუბარია სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებზე, რაც, ბუნებრივია, შესასწავლია.

**– თქვენ ბრძანეთ, რომ პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, მას უკვე გადაეცა უძრავი ქონება წყნეთში, რომელიც თავის დროზე ჩამოართვეს... კონკრეტულად რა ტერიტორიაზეა საუბარი?**

– საუბარია დაბა წყნეთში, სტალინის ქუჩაზე მდებარე #1, #2 და #3-ში მდებარე შენობა-ნაგებობებსა და მათზე დამაგრებულ 4850 კვ.მ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცა. ეს არის აგარაკი, რომელიც 1990 წლის 14 ნოემბერს ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ გადაეცა. ასევე, 1991 წლის 26 მაისს, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საქმიანობის უზრუნველყოფის, მომსახურებისა და დაცვის შესახებ“ და განისაზღვრა პრეზიდენტის უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში სასამსახურო ბინით თბილისში და ორი აგარაკით. ზვიად გამსახურდიამ თბილისში მდებარე სახლსა და ბობოყვათში მდებარე აგარაკზე უარი განაცხადა და არჩევანი შეაჩერა დაბა წყნეთში მდებარე აგარაკზე. 1991 წლის ივლისიდან განხორციელდა აღნიშნული უძრავი ქონების რეკონსტრუქცია, აშენდა ღია აივნები, შეიცვალა სახურავი და დაიწყო შიდა სარემონტო სამუშაოები, რაც საქართველოში იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო არ დასრულებულა. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთვის აღნიშნული ქონების გადაცემით სახელმწიფომ შეასრულა აღებული ვალდებულება, საპრეზიდენტო უფლებამოსილების გასვლის შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის აგარაკით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

**– ამჟამად, რა ფინანსური და სოციალური დახმარება ვრცელდება გამსახურდიების ოჯახზე?**

– ამჟამად, „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, კანონის შესაბამისად, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახის წევრთა სიცოცხლე ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას, პრეზიდენტის ქვრივი იღებს ყოველთვიურ პენსიას მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად – 6900 ლარის ოდენობით, ასევე, ზვიად გამსახურდიას ოჯახის საკუთრებაშია წყნეთში მდებარე აგარაკი, ხოლო მანანა არჩვაძე-გამსახურდიას აქვს პერსონალური სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის უფლება.

**– კანონი როგორ არეგულირებს ამ საკითხს? რა შეღავათები ვრცელდება ყოფილი პრეზიდენტებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, ეს საკითხი „საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონით რეგულირდება. კანონში მკაფიოდ არის გაწერილი საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები. როგორც მოგახსენეთ, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას, ასევე, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრებს თანაბარი პროპორციით ენიშნებათ ყოველთვიური პენსია – მშობლებს, მეუღლეს ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილს ყოველთვიური პენსია მიეცემათ სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო არასრულწლოვან შვილებს – სრულწლოვანების მიღწევამდე. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ოჯახის წევრს პენსია ენიშნება მოქმედი პრეზიდენტის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად. გარდა ამისა, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ სახელმწიფო აგარაკითა და პერსონალური სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის უფლება. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრებს შეუნარჩუნოს სახელმწიფო დაცვით სარგებლობის უფლება.

**– საინტერესოა, ედუარდ შევარდნაძეზე რა სახელმწიფო შეღავათები ვრცელდება?**

– ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოსგან იღებს ყოველთვიურ პენსიას, 560 ლარის ოდენობით.

**– აღნიშნული მოთხოვნით, შეუძლია თუ არა მოგმართოთ მიხეილ სააკაშვილმაც, ან მისი ოჯახის წევრებმა?**

– კანონი, რომელზეც გესაუბრეთ, მიხეილ სააკაშვილსა და მისი ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება, ვინაიდან ის არეგულირებს გარდაცვლილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრების სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**– ზოგადად, როგორია მოქმედი მთავრობის მიდგომა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურების ფინანსური და სოციალური დაცვის კუთხით?**

– საქართველოს მთავრობის მიზანია, სახელმწიფომ შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები და ყველაფერი განხორციელდეს კანონის შესაბამისად.

**– ვინ იქნებიან ზემოხსენებულ კომისიაში და რა კრიტერიუმით მოხდა კომისიის წევრთა შერჩევა?**

– როგორც მოგეხსენებათ, სამუშაო ჯგუფს მე ვხელმძღვანელობ, ხოლო ჯგუფის შემადგენლობაში არიან მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი თაბუაშვილი. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ჩვენ, ასევე, ვთხოვეთ სახალხო დამცველს, უჩა ნანუაშვილს. რაც შეეხება ჯგუფის წევრთა შერჩევის კრიტერიუმებს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებაში მითითებული საკითხების გადაჭრა ერთი რომელიმე უწყების მიერ გართულდებოდა. საუბარია მის წინაშე სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულების შესწავლაზე და სამუშაო ჯგუფის წევრთა შერჩევაც აღნიშნულის გათვალისწინებით მოხდა. ჩვენ ამ საკითხებზე ვიმსჯელებთ და კონსენსუსის საფუძველზე მივიღებთ ობიექტურ გადაწყვეტილებას.



## „ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფოსგან იღებს ყოველთვიურ პენსიას, 560 ლარის ოდენობით“



## „კანონი, რომელზეც გესაუბრეთ, მიხეილ სააკაშვილსა და მისი ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მეოცე საუკუნის რომეო და ჯულიეტა

რეზო შატაკიშვილი

**პირველად მას შევხვდი 16 წლის წინ და იმ წამსვე დამამახსოვრა თავი – ხელის ძლიერი ჩამორთმევით. ხელმა ცხადყო მისი ბუნება – ბუნება ლიდერის. არა იმიტომ, რომ უმრავლესობის ლიდერი იყო პარლამენტში, არამედ იმიტომ, რომ ყოველთვის ლიდერი იყო ხასიათით – მანამდეც, შემდეგაც და დღესაც. ლიდერი უპირველესად თავის ცხოვრების, ლიდერი რომელიც დღემდე თავს ახვევს თავის ნებას თავის ბედისწერას.**





ამ ინტერვიუსთვის მისულს კვლავ ჩამომართმევს ხელს, აღარ იქნება ის ძალა, (ან უკვე მე გამოვიმუშავე იმუნიტეტი და ასე მეჩვენება...), მაგრამ სწორედ ამ ხელებით მან კიდევ ერთი ჰობის ალაყაფის კარი შეაღო – პურის ცომისგან პატარა მხეცუნებს ძერწავს. ეს მისი ახალი გატაცებაა, თუმცა მას მუდამ ჰქონდა ჩვევად – პურის გულის ზელა. ძველი ჩვევა ახლა უკვე სამხეცედ იქცა – ფერად-ფერად მხეცუნებად. მანამდე იყო ხატვა – ჰობად, ჩოგბურთი, ცურვა, თხილამურები... პოლიტიკა, დიპლომატია – ეს უკვე საქმედ და არც თუ უნაყოფოდ, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს გაევროპელებაში. მახსოვს, მიხეილ სააკაშვილი მიყვებოდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ქალბატონმა ლანამ, როცა პირველად წარსდგა ევროპის საბჭოში თავისი უნაკლო ფრანგულით. პოლიტიკურ ასპარეზამდე იყო კინო და კინო არის ახლაც – მაყურებელმა იხილა მისი „ნაღვლიანი სიხარულის ქრონიკა“... კინომდე იყო თარგმანები, თარგმნას მიუბრუნდა შემდეგაც და მოასწრო კიდეც ერთი მთარგმნელის მოსასწრები.

დაწერა „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, „პარიზული ჩანაწერები“...

ლანა ღოღობერიძე. სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და ულევი ინტერესები. ის მართლაც საარაკო ქალბატონია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგალითი იმისა, როგორ შეიძლება ადამიანი ვერ გატეხოს ვერც დრომ, ვერც სივრცემ, ვერ წაართვას ვერც სიხარულის, ვერც თავისუფლების განცდა, ვერც ბედნიერების, ჰქონდეს საარაკო, მგზნებარე რომანები, ულევი ინტერესები და პრაიმტაიმები. იცხოვროს ისე რომ მის პრაიმტაიმებს ტომები დასჭირდეს.

არადა, ერთი შეხედვით, ყველაფერი რა ნაცრისფრად იწყებოდა იმ შავბნელ, პირქუშ 30-იან წლებში. ადრეული ბავშვობიდან გაუშინაურდა მისი სმენა სიტყვებს „მოხსნა“, „დაჭერა“, „დახვრეტა“, ისე გაუშინაურდა, რომ 4 წლის ლანას, სავარძელში დაღვრემილად მჯდომს, როცა ჰკითხეს, რა მოგივიდაო, „მეც მომხსნეს“ – ყოფილა პასუხი. მოხსნით მას ძალზე გვიან მოხსნიან – ელჩობიდან, დაჭერებისა და დახვრეტების სიმწარეს კი მაშინვე გამოცდის – ბავშვობაში. უეცრად გაღვიძებული 7 წლის ლანა დაინახავს მის საწოლზე თავდახრილ მამას და მის გარშემო იარაღიან კაცებს, თავზარდაცემული წამოხტება და განწირული დაიკივლებს „მამა-ლიმან ფაშისტები მოვიდნენ“... მამას წაიყვანენ ჩეკისტები და ის აღარასოდეს დაბრუნდება. კინორეჟისორ დედას გამოაგდებენ კინოსტუდიიდან... შემდეგ გადაასახლებენ... პატარა ლანა გრძნობდა თავსდატეხილ უბედურებას, მაგრამ უფროსებს აჯერებდა, რომ სჯეროდა, რომ დედა როსტოვში იყო წასული მამის ამბის გასაგებად... ეს მანამ, ვიდრე მასწავლებელმა არ გასცა საიდუმლო ბრიყვულად. პატარა ლანას ლექსები არ წააკითხეს პირველი მაისის ზეიმზე. მასწავლებელმა ჩურჩულით მოუბოდიშა – ჩვენ უფლება არ გვაქვს, ლექსი ვათქმევინოთ ბავშვს, ვისაც მამა დაჭერილი ჰყავს, შენ მამაც დაჭერილი გყავს და დედაცო...

„მე უცებ საშინლად შემეცოდა ჩემი მასწავლებელი, რომელსაც ისე მაგრად ჰქონდა მომუწული პირი, რომ შემეშინდა უპიროდ არ დარჩეს მეთქი, მაგრამ ვერ მოვიფიქრე, რითი დამემშვიდებინა და სიცილი ამივარდა... მე ვფიქრობ, იმ დღეს პირველად აღმოვაჩინე სიცილი, როგორც მძიმე სიტუაციებიდან თავის დახსნის საშუალება...“

პატარა ლანას ბიძა ზრდიდა – რაჟდენ ხუციშვილი, ბერლინში განსწავლული ფიზიკოსი, ვის დიპლომსაც ამშვენებდა აინშტაინისა და პლანკის ხელმოწერები, მაგრამ, როგორც კი ომი დაიწყო, ისიც დაიჭირეს... ლანა 13 წლის იყო...

შემდეგ იყო ოაზისი – პიონერთა სასახლის ლიტერატურული წრე, სადაც „გამოსცემდნენ“ ხელნაწერ ჟურნალს „პატარა ეჟვანს“, რომლის ერთ-ერთ ნომერში ასე მიეგებნენ ლანას – „ლანა, ბედნიერი იყოს შენი მოსვლა პოეზიის ოაზისთან შეკრებილ ბედუინებთან“... ეს ბედუინები იყვნენ გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი, რეზი თვარაძე, არჩილ ბეგიაშვილი, მელორ სტურუა, ზურაბ კაკაბაძე, რამაზ პატარიძე და როგორც თავის ბოლო ფილმში გაიხსენებს – „მართლა ძალიან ლამაზი, მელანქოლიის ნიღაბს ამოფარებული რეზო თაბუკაშვილი“... სწორედ რეზო თაბუკაშვილს შეუყვარდება ლანა და ლანას რეზო... (თუმცა, მოგვიანებით, თამაზ ჩხენკელი საჯაროდ გამოტყდება, რომ ლანა ჩუმად ყველას უყვარდა...), მათი პირველი სიყვარულის ისტორია, და ისიც, რომ რეზო თაბუკაშვილმა არაერთი ლექსი უძღვნა ლანას, ზეპირ ლეგენდად დადიოდა თბილისში. სწორედ იმ პირველი ინტერვიუს დროს ვუთხარი, თქვენ უყვარდით რეზო თაბუკაშვილს და არაერთი ლექსი გიძღვნათ მეთქი. არც უცდია დამალვა, თუმცა სანამ რაიმეს იტყოდა – თვალებმა ისედაც გასცა – თვალები აენთო, სხივი ჩაუდგა და პირველად და ექსკლუზიურად ისაუბრა ღიად პრესაში იმ დიდ გრძნობაზე.

**„ადამიანი ვერ ჭედავს თავის ბედს, მაგრამ ბედისწერას შენი ნება მოახვიო თავს – ეს კი ნამდვილად შესაძლებელია!“**

„...ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ფურცელი იყო. მე ვიყავი 13 წლის, რეზო – 14-ის. თავდავიწყებით გვიყვარდა ერთმანეთი და პოეზია. ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას ლექსებით გამოვხატავდით, რეზო ნამდვილად მშვენიერ ლექსებს წერდა“, – მითხრა მაშინ და ზეპირად გაიხსენა რეზო თაბუკაშვილის რამდენიმე ლექსი. სწორედ მისმა ფენომენალურმა მეხსიერებამ შემოგვინახა რეზო თაბუკაშვილის ლირიკა... არც დაბეჭდილი იყო სადმე და არც ხელნაწერები აღარ არსებობდა...

ისინი ლექსებს უძღვნიდნენ ერთმანეთს, ცხოვრობდნენ პოეზიით. თუმცა, მხოლოდ ისინი არა, პოეზიაში გადავარდნილი იყო მთელი მათი წრე, უფრო სწორად თაობა, რომელიც თავის ბოლო ფილმში მოიხსენია, „ჩვენ თავს დატეხილ მთელი ქარტეხილების მემატიანედ“.



„რა იყო ეს ჩვენი თავგადაკლული გადავარდნა პოეზიაში? რეპრესიებისა და ტერორის პირობებში არსებობა ასატანი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ შესძელი და მშვენიერებას შეაფარე თავი. ეტყობა ჩვენ, ბავშვებმა, ეს ინსტინქტურად ვიგრძენით და ამიტომ პოეზია გახდა ჩვენთვის ნამდვილი ნავსაყუდელი. პოეზიით ვცოცხლობდით, თითქოს არ არსებობდა ის, რომ დედაჩემი სადღაც, უკიდურეს ჩრდილოეთში, კომის ოლქში, ყინულის უდაბნოშია გადასახლებული, და არც კი ვიცი, შევხვდები ოდესმე თუ არა... რომ შიში სუფევს გარშემო, თითქოს შეიძლება დაივიწყო ყველაფერი ეს და ლექსს, სულიერებას, მშვენიერებას შეაფარო თავი. რა ჰქვია ამას, სინამდვილიდან გაქცევა თუ მის მიმართ პროტესტი? ალბათ, ორივე ერთად, ეს იყო გადარჩენის ერთადერთი შანსი, ჩვენც ეს ვიგრძენით და ჩავებღაუჭეთ ამ შანსს“, – გვიამბობს ფილმში. ამ ამბებსაც და თავის პირველ სიყვარულსაც ვრცლად იხსენებს თავის მემუარებში. იხსენებს იმასაც თუ როგორ შეარქვეს მას და რეზო თაბუკაშვილს რომეო და ჯულიეტა: „სულ ერთად დავდიოდით. რეზო დილაუთენია გამომივლიდა და მხოლოდ ღამე ვშორდებოდით ერთმანეთს. ვიღაცამ რომეო და ჯულიეტა შეგვარქვა, რაც ჩვენ სავსებით შევიფერეთ და ასე დავდიოდით ვერასა და სოლოლაკში, ეს რომეო და ჯულიეტად აღიარებული სასაცილო წყვილი – რეზო ჭაბუკს მაინც ჰგავდა, მე კი ჩემს 14 წელთან შედარებითაც კი უფრო პატარად გამოვიყურებოდი. ორივეს „ტელეგრეიკები“ გვეცვა, მე დამატებით კალოშები, თანაც ე.წ „აზიაცკები“, წაგრძელებული და აწეული ცხვირით, რომლებსაც ვერ ვიხდიდი, იმიტომ რომ ფეხსაცმელები ყოველთვის დახეული მქონდა...“



**- ქალბატონო ლანა, ერთ-ერთ თქვენდამი მოძღვნილ ლექსში, რეზო თაბუკაშვილი წერს „გადაივლიან კიდევ ბევრი შემოდგომანი, ჩამივლი გვერდით, შემომხედავ, გაგეცინება, იფიქრებ სადღაც წამიკითხავს ძველი რომანი...“**

- ძალიან მიყვარს ეგ ლექსი...

**- შემდეგ, ცხოვრების მანძილზე, როცა ხვდებოდით, გეცინებოდათ თქვენ და რეზო თაბუკაშვილს?**

- კი, კი, სხვათა შორის... (იცინის) არაჩვეულებრივად კარგი ურთიერთობა გვქონდა, მართლა ვმეგობრობდით. ესეც რაღაც ზოგადსაკაცობრიო ამბავია და ეგზისტენციური ცნებაა – პირველი სიყვარული, ბავშვური... ეს რომ ყოფილიყო, 17, 18, 20 წლის ასაკში, ალბათ, დარჩებოდა ტკივილად ან სხვანაირ განცდად, ეს კი იყო მხოლოდ როგორც სიზმარი, ბავშვური, უაღრესად სასიამოვნო, მთელი თავისი განცდებით და ტკივილებით... სულ ცოტა ხნის შემდეგ რეზოს შეხვდა მედეა ჯაფარიძე, მე – ლადო მესხიშვილი, უკვე ეს პიროვნებები განაპირობებენ იმას, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო... ეს იმდენად კანონზომიერი იყო და განგებით დადგენილი... რეზოსთან, ალბათ, უფრო ბუნებრივად ვითარდებოდა მისი ეს ცხოვრების მთავარი გრძნობა, ჩემთან იმდენ პერიპეტიებთან იყო დაკავშირებული და იმდენ ტრაგიზმთან და ალმაფრენებთან, საოცარ ალმაფრენებთან, იმისი არაფერთან შედარებაც არ შეიძლება, უბრალოდ, ლადო მესხიშვილი არ იყო პოეტი და არ დაუწერია ლექსები, თორემ გრძნობის სიმძაფრე იყო უმაღლესი ხარისხის და არაჩვეულებრივად საინტერესო და ინტენსიური, ინტენსივობით იზომება ყველანაირი გრძნობაც და ადამიანთა ურთიერთობაც, ინტენსივობას არაფერი არ შეედრება...

**- შეგიძლიათ გამოყოთ, ცხოვრების რომელი ეტაპი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- მე ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრების რომელიმე ეტაპი იყო მთელი ცხოვრების განმსაზღვრელი. რეტროსპექტიულად რომ ვიხსენებ, მთელი ჩემი ცხოვრება შედგება არჩევანის გაკეთების აუცილებლობიდან. ადამიანებს შორის ძირითადი განსხვავება მაინც ესაა, ადამიანი ნაფოტივით მიჰყვება დინებას, მიდის დინება და მიჰყავს ადამიანი, თუ თვითონ რაღაცას ცვლის, თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე, არჩევანის წინაშე დგება და იღებს გადაწყვეტილებას და ამითი ბედისწერას თავს ახვევს თავის ნებას. აქედან რომ ვუყურებ ჩემს ცხოვრებას, მგონია, რომ ამ კატეგორიის ადამიანი ვარ. სულ რაღაც გადაწყვეტილებებს ვიღებდი, აი მაშინ, სკოლაში, ლექსი რომ არ წამაკითხეს, იმ დღეს გადავწყვიტე, რომ იმ სკოლაში აღარ მივიდოდი და აღარც მივსულვარ, მოვედი სახლში, ვუთხარი ბიძაჩემს, მაშინვე დამეთანხმა, წამოიღო ჩემი საბუთები სკოლიდან და მე-18 სკოლაში გადამიყვანა. მთელი ცხოვრება ასეთი ნაბიჯები-



რეზო თაბუკაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# – „ტელეგრეიკებსა“ და „კალოშებში“





**„ჟამთააღმწერელს უწერია თამარის სიკვდილთან დაკავშირებით, იწყო კლებამ ქართულმა მხიარულებამანო. თურმე უკვე მაშინ არსებობდა ცნება „ქართული მხიარულება“. მხიარულება როგორც თვისება, როგორც სიცოცხლის სიყვარული და ჟინი იმის, რომ ყველაფრის ჯინაზე იქნები კარგად, ნამდვილად ქართული ხასიათის გამოვლინებაა“**

# ლანა ღოღობერიძის პრაიმტაიმი

## EXCLUSIVE

სგან შედგებოდა, ამიტომ მგონია, რომ პოსტულატი ადამიანი თვითონ ქმნის თავის ბედს, რაღაცა მხრივ სწორია, ყველანაირად არა.

**- მე უფრო თქვენი ფორმულირება მომეწონა, რომ ბედისწერას ახვევ შენს ნებას თავზე, რომელიც ეხმიანება ქართულ სიბრძნეს, თუ კაცი მოიწადინებს, გადუფრენს ბედისწერასა.**

- ეგ მინდა ვთქვა სწორედ, ადამიანი ვერ ქედავს თავის ბედს, იმდენი რამეა ეგზისტენციური, გინდაც ავადმყოფობა, ახლობლის სიკვდილი, რასაც ვერაფერს უზამს ვერც ერთი ადამიანი, მაგრამ ბედისწერას რაღაც მოახვიო თავზე, ეს კი ნამდვილად შესაძლებელია...

**- მახსოვს, „ვინ ვინ არის“-ში, თქვენს კრედოდ გეწერათ „ცხოვრებამ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე“, ამას როგორ ახერხებდით?**

- რამდენიმე ქვეყნის პოეზია ვიცი საკმად კარგად, გინდაც რუსული, ფრანგული, ინგლისური და არსად მეგულება ასე ნათლად გამოკვეთილი კრედო, მართლაც საოცარი სიტყვებია, მართლაც მსოფლმხედველობრივი და ეს არ არის მარტო ვაჟა-ფშაველას კრედო, ესაა საერთოდ ქართული ხასიათის გამოვლენა. გოგი ოჩიაურმა მიამბო, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვში რესტორანში, ერთ მაგიდასთან მსხდარან ქართველები, მეორესთან სომხები, ჩვენ მართლაც ძალიან ვმხიარულობდითო, როგორც საერთოდ მოგვდგამს ქართველებს სუფრასთან, ბოლოს მოვიდა ერთ-ერთი სომეხი და გვითხრა, მთელი საღამოა გიყურებთ, რას ვფიქრობდიო, იცით, ისტორია ერთნაირად ტრაგიკული გვქონდა, თქვენც და ჩვენცო, ყველაფერი ერთი ტიპის გამოვცადეთო, ახლაც, რომ ვთქვათ, რომ დალხინებული ვართ, არ არისო და ჩვენ სულ რაღაცას მივტირით და თქვენ კიდე სულ გიხარიათო, და რაშია საქმეო. ძალიან მომეწონა ეს ისტორია... მე პირადად მგონია, თუ ვინმეს ვგავართ ამ მხრივ ქართველები, ვგავართ სამხრეთელ ფრანგებს. „ბომვივანი“ ფართოდ გავრცელებული ცნებაა ფრანგულ ლიტერატურაშიც და ყოფაშიც, ნიშნავს დალხინებულ ადამიანს. ფრანგი კაცი ასე აღიქვამს თავს – „ბომვივანი“. მათ, ცხადია, ჩვენსავით ტრაგიკული ისტორია არ აქვთ. ჩვენ იმდენი რამ გადავლახეთ და სიცოცხლის სიყვარული მაინც შეგვრჩა. სხვათა შორის, ჟამთა აღმწერელს უწერია თამარის სიკვდილთან დაკავშირებით, იწყო კლებამ ქართულმა მხიარულებამანო. ისე გამიკვირდა ეს, რომ წავიკითხე... თურმე უკვე მაშინ არსებობდა ცნება „ქართული მხიარულება“. მხიარულება როგორც თვისება, როგორც სიცოცხლის სიყვარული და ჟინი იმის, რომ ყველაფრის ჯინაზე იქნები კარგად, ეს ნამდვილად ქართული ხასიათის გამოვლინებაა. ჩემს ბოლო ფილმს „ნაღვლიანი სიხარულის ქრონიკა“ ვუწოდე და ეს სათაური ძალიან მომწონს, „ნაღვლიანი სიხარული“ – ეს არის 14 წლის რეზო თაბუკაშვილის ლექსიდან – „დღეს სიხარულიც ნაღვლისფერია, დღეს ვრაზავ გულის გულცივ დარაბებს, დღეს ზღაპრით ველარ დამღლის ფერია, არ ვგრძნობ არაფერს...“ სიხარული, რომელიც ნაღვლისფერია, მაგრამ მაინც სიხარულია. ძალიან კონცეპტუალურია, რა თქმა უნდა, ინსტინქტურად დაწერილი, 14 წლის ბიჭს ვერ ექნებოდა გააზრებული, მაგრამ ტალანტით ხვდებოდა რაღაცას, ძალიან დიდს. ნაღვლიანი სიხარული, ესაა მთელი ამ ფილმის კვინტესენცია. მუდამ თან მდევს განცდა იმისა, რომ ადამიანი თავის თავისუფლებასაც თვითონ მოიპოვებს, მიუხედავად იმისა რა სიტუაციაში ცხოვრობს. როდესაც, ისევ და ისევ დღევანდელი თვალით ვუყურებ წარსულს, როდესაც ვიხსენებ ჩვენ მაშინდელ ლექსებს, ვხედავ, რომ თავისუფალი ადამიანების შემოქმედებაა, შინაგანად გვქონდა რაღაცნაირად მოპოვებული თავისუფლების შეგრძნება, თორემ ქვეყანაში ომი იყო, ნამდვილი შიმშილი, რაც მთავარია, მძვინვარებდა ტერორი,



## „ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ფურცელი იყო. მე ვიყავი 13 წლის, რეზო - 14-ის. თავდავიწყებით გვიყვარდა ერთმანეთი და პოეზია“



დაჭერები, დახვრეტები ჩვენი ყოველდღიურობა იყო... ვერ ვიტყვი, რომ შემდეგ მთელი ცხოვრება გავატარეთ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა... იმდენი წნეხი იყო ჩვენზე, რა თქმა უნდა, კომპრომისებზე უნდა წასულიყავი, ისეთი ნაბიჯებიც გადაგედგა ცხოვრებაში, რაც ამ ძირითად ცნებას იქნებ არ შეესატყვისებოდა, მაგრამ მიდრეკილება თავისუფლებისადმი მუდამ იყო. ამ სწრაფვის ყველაზე აშკარა და თვალისმომჭრელი გამოხატულება ჩემთვის არის თამაზ ჩხენკელის ლექსი „თავისუფლება“...

**- „მე ვარ ჭრილობა იმ მიწისა, რომელსაც ჰქვია, ღალატი შური და მდუმარე ჭაბუკთა ჟინი...“, ლექსი, რომელიც დაწვით.**

- ზუსტად ეგ... ეგ ლექსი, ხომ იცი, საერთოდ არ იქნებოდა, თამაზს აღარ ახსოვდა, მე რომ არ დამხსომებოდა.

**- ქალბატონო ლანა, რომ არა თქვენი მეხსიერება, არც რეზო თაბუკაშვილის ლირიკა დარჩებოდა...**

- ასე გამოვიდა... ეგ ლექსი ჩვენ დავწვით, მაგრამ თავისუფლება არ დაიწვა, ხელნაწერი რამდენიც გინდა დაწვი, ის რჩება ადამიანში, ადამიანის მეხსიერებაში... როგორ მოიპოვებს ადამიანი თავისუფლებას, ეს ძალიან საინტერესოა, ეს მაღელვებდა ამ ფილმში.

**- როდესაც ქვეყანა მოიპოვებს თავისუფლებას? თქვენ მაშინ აქტიურად იყავით იმ პროცესებში ჩართული, ამ გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვების ის პერიოდი, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო დროა?**

- რა თქმა უნდა! მით უმეტეს თუ დავეთანხმებით თეზისს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება იყოს ადამიანის და ერის ცხოვრებაში, ეს არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მიუხედავად ყველაფრისა და ყველა დანაკარგისა, ჩვენ ეს დამოუკიდებლობა, თავისუფლება მოვიპოვეთ. აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ. პრინციპში საბჭოთა კავშირი დაიშალა და თავისუფლება მოიპოვა ყველა რესპუბლიკამ, უმრავლესობა ნაფოტივით მიჰყვა დინებას, მხოლოდ რამდენიმე იყო ჩვენსავით, ვინც ჩვენი ხელით მოვიპოვეთ ეს თავისუფლება.

**- ზოგი მაგას ნაკლადაც უთვლის ეროვნულ მოძრაობას, რომ არ უბრძოლიათ ბევრ რესპუბლიკას და მაინც გახდნენ დამოუკიდებლები, რას გამოვიდეთ თავი, ჩვენც დაგვეცადა...**

- მე მაგას ვერაფრით გავიზიარებ, კატეგორიულად არ ვეთანხმები. სულ სხვაა ნაყოფი, რომელსაც თავად ზრდი და მოიპოვებ და სულ სხვაა ხიდან ჩამოვარდნილი. სხვა საქმეა, რომ ეს პროცესი ძალიან წინააღმდეგობრივია და ერთი შტრიხით ვერანაირად ვერ შევაფასებ. ერთი შტრიხით ვერ შევაფასებ იგივე 9 აპრილს, რომელიც სრულიად გარდამტეხი მომენტია ჩემი ცხოვრების. ცხოვრება დაიყო – 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ. ცნობიერება, დამოკიდებულება სამყაროსადმი, ყველაფერი შეცვალა იმ ერთმა დღემ. მე მაშინ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიყავი, მაგრამ სულ დავდიოდი იმ საპროტესტო აქციებზე. დინებას კი არ მივყვებოდი, ეს იყო ჩემი არჩევანი, ჩემი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. იმ ღამეს მე და ჩემი შვილი ნუცა იქ ვიყავით, ღამით არ ვრჩებოდი, მაგრამ იმ ღამეს დავრჩი, ვიცოდი, რომ რაღაც ხდება, ყველამ ვიცოდით ეს... დავრჩი, რადგან ვთვლიდი, რომ აუცილებლად უნდა ვიყო იქ, სადაც დგას ჩვენი ხალხი. ასეთი განცდა ერთიანობისა, ჩემს ხალხთან, მე არასოდეს, არც მანამდე და არც იმის მერე არ მქონია, მართლა ვიყავით ერთნი, ერთი ბედისწერით გაერთიანებული ხალხი, ეს იყო არაჩვეულებრივი განცდა, მაგრამ იყო მეორე განცდაც, როდესაც პირისპირ აღმოვჩნდით იმ გაუგებარ აგრესიასთან, როცა მოდიოდნენ ტანკებით, ჩვენ გავრბოდით და მოგვდევდნენ ნაჯახშემართული ჯარისკაცები, მახსოვს, როგორ ჩავხტით მე და ნუცა ქაშუეთის ეზოში... მე მგონია, რომ იმ აგრესიამ შემდეგ თვითონ ჩვენში შვა ექსტრემიზმი, შეურიგებლობა უკვე ერთმანეთის მიმართ, რამაც არაერთი ტრაგედია მოგვიტანა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ქართული“ ჰო











**სალი კიპაროიძე**

ჩვენ ყველანი ერთხმად ვთანხმდებით, რომ ჩვენი არჩევანი გვაქვს და სხვის საქმეში არ უნდა ჩავერიოთ, თუმცა ამ პირობას თითოეული ჩვენგანი დღეში, როგორც მინიმუმ, 10-ჯერ მაინც ვარღვევთ. პატარ-პატარა რაღაცებისგან ვქმნით დიდ პრობლემებს და დაუსრულებლად ვკამათობთ. დღეს კი ყველაზე აქტუალური თემა, დიდ პრობლემად ქცეული ჰომოსექსუალობაა. ფაქტია, რომ ამაზე დიდი პრობლემებიც გვაწუხებს თუმცა ეგ ცალკე საკითხია. რადგან საზოგადოება ითხოვს, მოდით ჩვენც ვისაუბროთ. ამ თემას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნებისმიერი სქესის, ასაკისა და გენდერის ადამიანი ერთნაირი ინტერესით განიხილავს, თუმცა გეოგრაფიული მდებარეობების, განვითარების, რელიგიური მრწამსის და ქვეყანაში არსებული ტრადიციების შესაბამისად, ჰომოსექსუალების მიმართ დამოკიდებულება თითქმის ყველგან განსხვავებულია.

აფრიკის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობისთვის ძირითადად მისაღებია ჰომოსექსუალობის არსებობა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილიც იზიარებს იმ აზრს, რომ ჰომოსექსუალობა საზოგადოებამ ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მიიღოს. რუსეთში, პოლონეთსა და უკრაინაში კი ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულებაა ამ ორიენტაციის მიმართ. აზიის სამხრეთ ქვეყნებში ჰომოსექსუალიზმი არალეგალური მოვლენაა და ზოგ ქვეყანაში ეს სტატუსი სიკვდილითაც კი ისჯება. რაც შეეხება ჩინეთსა და იაპონიას, ამ ქვეყნებში მოსახლეობის აზრი ორადაა გაყოფილი, თუმცა ხშირია შემთხვევებიც, როცა აქ საზოგადოების დიდი ნაწილი, უბრალოდ, ინდიფერენტულია საკითხის მიმართ. იაპონიაში ჰომოსექსუალობის საწინააღმდეგო კანონი არ არსებობს, პირიქით, არსებობს გარკვეული მუხლები, რომლებიც იცავს ჰომოსექსუალების უფლებებს. ამერიკაში მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმი მისაღებია, თუმცა არსებობს საკმაოდ ბევრი გამონაკლისი, აი ლათინო-ამერიკულ ქვეყნებში კი ჰომოსექსუალთა რაოდენობა ნელ-ნელა პიკს აღწევს, თუმცა ისეთი ტრადიციული ქვეყნებისთვის, როგორებიც არიან მექსიკა და ბრაზილია, განსხვავებული ორიენტაცია მაინც მკვეთრად მიუღებელი და ტაბუდადებულია. ჩვენთან ზოგი ტოლერანტულია ჰომოსექსუალობის მიმართ, ზოგი სასტიკად გმობს მას, ზოგისთვის მისაღებია, ზოგიც მარტივად, ამ საკითხის ხსენების დროს მაშინვე გინებაზე გადადის.

ნეგატიური აღზრდის, ფსიქოლოგიური ზეწოლის და სოციალური სანქციების არარსებობის პირობებში, შესაძლებელია ძალიან ბევრ ადამიანს ჩამოუყალიბდეს სქესობრივი ლტოლვა საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მიმართ. ადამიანები, რომელთა ეროტიკული ინტერესები მხოლოდ ერთი სქესით შემოიფარგლება, როგორც წესი, ძირითადად კულტურული გარემოს ზემოქმედების შედეგს წარმოადგენენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იდეალურ სამყაროში ყველას ჰეტეროსექსუალური ქცევა უნდა ჰქონდეს. სექსუალური უმცირესობები ნებისმიერ შემთხვევაში იარსებებდა და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმრავლესობას ჰეტეროსექსუალური მისწრაფებები აქვთ და უფრო ძლიერ ეროტიკულ ლტოლვას საწინააღმდეგო სქესის მიმართ განიცდიან, ისტორიულმა და ეთნოლოგიურმა კვლევებმა არაერთხელ ცხადყო, რომ საპირისპირო სქესის მიმართ ლტოლვაც რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. რაც არ უნდა მიუღებლად გვეჩვენებოდეს მათი არსებობა, ვერაფერს ვიზამთ, რადგან მიუღებელია საკუთარი მისწრაფებებისა და შესაძლებლობების ფარგლებში ყველა ადამიანის ქცევის ერთიანი ნორმების დაწესება, ეს ხომ საკმაოდ რთული და ხშირ შემთხვევაში წარმოუდგენელიც კია. ფროიდი ვარაუდობდა, რომ ჰომოსექსუალობა ყოველი ადამიანის ბისექსუალობისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების შედეგია.










© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჰომოსექსუალობა






ჩვეულებრივ პირობებში, ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარება ჰეტეროსექსუალური გზით მიდის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ბავშვობაში ზედმეტად მიჯაჭვულობა დედასთან. ასეთი მიჯაჭვულობის პირობებში ბავშვი საკუთარ თავს აიგივებს დედასთან, ითვისებს მდედრობითი სქესისთვის დამახასიათებელი ქცევის მოდელებს და ამიტომ ლტოლვის ობიექტად ირჩევს მამრობით სქესს), ნორმალური განვითარება შესაძლოა „მოუმწიფებელ“ სტადიაზე შეჩერდეს. მისი აზრით „ჰომოსექსუალობა არ არის ღირსება, მაგრამ ამაში სამარცხვინოც არაფერია“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჰომოსექსუალობის წარმოქმნის მთავარ მიზეზად დაბადების შემდგომ მოვლენებს მიიჩნევენ, ბავშვის დაბადებამდე წარმოქმნილი ფაქტორების გათვალისწინებაც არ იქნებოდა ურიგო, თუმცა 1990 წელს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ცვლილება შეიტანა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში და ამოიღო ჰომოსექსუალობა დაავადებათა სიიდან, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს სექსუალური გამოხატვის მისაღები ფორმაა. ასე რომ, დღეს ჰომოსექსუალობას საზოგადოების გარკვეული ნაწილი პათოლოგიად აღარ მიიჩნევს და იგი, როგორც ჩანს, მაინც ნორმალური ქცევის ვარიაციას წარმოადგენს.

დღესდღეობით ჰომოსექსულებთან თანაცხოვრება პრობლემა არ არის, რადგან ყველას ჩვენი არჩევანი გვაქვს, უბრალოდ, ამ არჩევანით ერთმანეთის შეწუხება აბსოლუტურად გაუგებარია. მით უმეტეს, იმ რეალობაში, როცა, დღეს ბევრ რამეში ჩამოვრჩებით ცივილიზაციას, მაგრამ საქართველომ 21-ე საუკუნეს ფეხი თუ ვერ აუწყო, ეს პრობლემა ერთმანეთის ცემა-ტყეპით რომ არ გვარდება, იმედია ყველანი მალე მივხვდებით. თუმცა მეორე მხრივ, იმ ადამიანების გამოწვევა, რომლებიც ნამდვილად ვერანაირ ვალდებულებას ვერ ვგრძნობენ საზოგადოების ამ ნაწილის მიმართ, ვინც ასეთი ორიენტაცია აირჩია, ალბათ, მართლა გამაღიზიანებელია. „გაღიზიანებული და გაგიჟებული“ საზოგადოება კი საშიშია, საშიში იყო წინა 17 მაისსაც და საშიშია წელსაც. ვცადე საზოგადოების გარკვეულ ნაწილთან გამერკვია, რაში ხედავენ პრობლემას.

**ანი, 23 წლის (სტუდენტი):**

– ჰომოსექსუალების არსებობის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ პრობლემა ხელოვნურადაა პროვოცირებული. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა ჩემთვის თავისთავად გულისხმობს ნებისმიერი ინდივიდის დაცვას და ცალკე ხაზგასმას და ამით საზოგადოების გაღიზიანებას არ საჭიროებს, თუმცა ლგბტ-ების მიმართ ძალადობას სასტიკად ვგმობ.

**ქეთო, 21 წლის (სტუდენტი):**

– ანტიდისკრიმინაციული კანონი, ჩემი აზრით, მაინცდამაინც საჭირო არაა, რადგან ვთლი, რომ ისედაც აკრძალულია ნებისმიერი ადამიანის დისკრიმინაცია სიტყვიერადაც და ფიზიკურადაც, ეს ხომ თავისთავად ცხადია, მაგრამ თუ საზოგადოების დიდ ნაწილს ამისთვის კონკრეტული კანონი სჭირდება, მე მსგავსი კანონის მომხრე ყოველთვის ვიქნები.

წლევანდელ 17 მაისის მოლოდინთან დაკავშირებით კი საზოგადოების აქტიურმა წევრებმა საკუთარი აზრი, ჩემთან ინტერვიუში, სულ ცოტა ხნის წინ დააფიქსირეს.



**მიშა მშვილდაძე (პროდიუსერი):**

– წელს, როგორც ვიცი, არაფერი არ მოხდება, რადგან ადამიანების ის ნაწილი, რომელიც შარშან ცდილობდა ამ თარიღის აღნიშვნას, უსაფრთხოების თვალსაზრისით, აქტივობას აღარ აპირებს - ტაქტიკური მოსაზრებებით, ბუნებრივია, თუმცა სამოქალაქო განათლების ამაღლების თვალსაზრისით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და ყველაფერი ამ ერთი დღით არ უნდა შემოიფარგლოს. შარშანდელი 17 მაისი ვფიქრობ, 21-ე საუკუნის საქართველოს ყველაზე სამარცხვინო დღე იყო. მართალია, გარკვეული რაოდენობის სამარცხვინო დღეების დაგროვება ამ 14 წელიწადშიც მოვასწარით, რაც პრინციპში ნორმალურია, რადგან ვცხოვრობდით ამ დროის მანძილზე - ვფიქრობ, 17 მაისი და აგრესიისა და სიბნელის ის მასშტაბი, რომელიც მომავალში აუცილებლად გადასალახ პრობლემად ამოიხატა, ამ დღეს, ყველაზე საშიში და სამარცხვინო იყო. ძალიან მარტივადაა აქ საქმე - აბსოლუტურად ყველა ადამიანი თანასწორია და აქვს ზუსტად ერთნაირი უფლება, ჩაატაროს მანიფესტაცია, გადაადგილდეს თავისუფლად და უსაფრთხოდ და აკეთოს ის, რაც უნდა, კანონის ფარგლებში. თუ გვინდა, რომ სახელმწიფო გვერქვას, უნდა უზრუნველვყოთ, ამ უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდეს ყველას, უმრავლესობასაც და უმცირესობასაც. კანონზე მაღლა ვერ უნდა დადგეს ვერც ცალკე აღებული ერთი ადამიანი და ვერც ეგზალტირებული ბრბო.

17 მაისის ე.წ. „ტაბურეტკიან მამაოებზე“ კი თავისი დამოკიდებულება აქვს ჟურნალისტ და პუბლიცისტ დავით კოვზირიძეს ( მძიმე კაცს).



**დავით კოვზირიძე:**

– იმ დღეს წავიკითხე, რომ ჩვენ ვემზადებით, უფრო მეტიც ვიქნებით და უფრო მკაცრებიცო. რა ვიცი აბა, ყოველ 17 მაისს ხომ არ უნდა ვიხმალაოთ. ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ ეკლესიის შიგნით არის უზარმაზარი პრობლემა. მე რასაც ვხედავ, ბევრი, ვისაც ანაფორა აცვია, ან ძველი ბიჭი იყო, ან კრიმინალი. კი შეიძლება ადამიანი იყოს მორფინისტი, მოინანიოს და მართლა გახდეს მღვდელი, რომელსაც განათლება აქვს ზოგადიც და საეკლესიოც და შეუძლია ამ ყველაფრის დახმარებით ადამიანი სწორ გზაზე დააყენოს. ხომ ეგაა მღვდლის ფუნქცია, მეტი არაფერი. ტიპი რომ 200-ათასიან მანქანაში ზის, თვითონაც 200 კილოა, უჭირავს ოქროსფერი აიფონი, ვილაში ცხოვრობს და ჩვენ კიდევ გვეუბნება, რომ შესაწირი შევიტანოთ, შუქი არ გვაქვს და შიმშილით ვიხოცებითო, ასე არ გამოვა. მერე ეს ტიპი რომ ვიღაცას ურტყამს (ჯერ მღვდელი, რომ ვიღაცას ურტყამს, ეს ხომ საერთოდ ნონსენსია), იმიტომ, რომ ის არის გეი და ეგეთი დაიბადა თუ ეგეთია, ან უნდა რო ეგეთი იყოს, შენ ვინ გეკითხება, იმას ურტყამ იმიტომ, რომ ეგეთია, არ ვიცი რა... ეს 17 მაისი რომ ვნახე, საერთოდ დავკარგე იმედი, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება რაღაც მოხდეს.

როგორც ჩანს, ქართველებს ძალიან გვინდა კოსმოპოლიტობა და ჰუმანურობა, ახლა თითქოს მოდაა, რომ ზედმეტად მოწადინებულები ვართ, იმისთვის, რადგან ვითომდა „დიდმა განვითარებამ“ შემოალაჯოს საქრთველოში, თუმცა ფაქტია, რომ ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ერთ დიდ გაუნათლებელ ბრბოს წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით, რომ ხალხი დოსტოევსკის „იდიოტსა“ და „დეგენერატს“ ვერ არჩევს ერთმანეთისგან, ვერც „ბაკულას ღორებსა“ და „ბაკულას ქათმებს“, ჩვენ კიდევ ჰომოსექსუალების გამო ერთმანეთს „ვეხანჯლავებით“. მართლაც, ყველამ საკუთარ თავებს მივხედოთ და ვიცოდეთ, რომ სექსუალური ორიენტაცია, ისევე როგორც სქესი, რასა, რელიგია და ეროვნება, არ უნდა ქმნიდნენ ვინმეს თანასწორობის უარყოფის საფუძველს. ამასთანავე ვიცოდეთ, რომ ჰომოსექსუალების სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა იმსახურებს გამარჯვებას, იმ შემთხვევაში, თუ ამით ქვეყანაში საზოგადოების დიდ ნაწილს არ გავაღიზიანებთ. თუმცა, ზოგი, ალბათ, იმაზეც უნდა დაფიქრდეს, რომ ყველაფერი შეიძლება პირიქით მოხდეს და ამ ბრძოლის შედეგად ჰომოსექსუალების უმცირესობა მკაფიოდ განსაზღვრული და სამუდამოდ ჩამოყალიბებული განცალკევებული სოციალური ჯგუფი აღმოჩნდეს. სქესობრივი სეპარატიზმი, აბსოლუტური თანასწორობის შემთხვევაშიც კი, დამთრგუნველია, რადგანაც იგი ხელოვნურ საზღვრებს ქმნის და ადამიანებს ცრუ ალტერნატივის წინაშე აყენებს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟურნალისტების კონტრაქტიანი ქორწილი

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ამ ოჯახის შექმნას საფუძვლად სამსახურებრივი რომანი უდევს. გოგო სტაჟიორად მივიდა ტელევიზიაში, ბიჭს უკვე მყინვარი ჰქონდა დალაშქრული და „მანიაკის" სახელით იცნობდნენ „იმედში". ცოცხალი და ენერგიული სტაჟიორი სალომე არშბას მიაბარეს. ჯერ „ქრონიკის" 5-საათიანი გამოშვების კულტურის ბლოკი ჩააბარეს, მერე რუბრიკა „ქრონიკა +", ბოლოს კი „იმედზე" „ქრონიკა +" სალომესთან ერთად მიჰყავდა. ნათიკას და ალეკოს ერთმანეთი სალომე არშბამ გააცნო. „იმედის" ცნობილი „მანიაკი" გაცნობის მეორე დღეს ამერიკაში სასწავლებლად (ნიუ- იორკის კინოაკადემიაში) ხუთი თვით წავიდა. შტატებიდან დაბრუნებულს თავის სამეგობროსთან კარგად დაახლოებული დახვდა ნათიკა. ურთიერთობა მეგობრობით დაიწყეს. მეგობრობა სიყვარულში „პლავნად" გადავიდაო, „ტელევიზიონშიკური" ტერმინით ხუმრობენ. ეს ოთხი წლის წინ იყო.**



# ალეკო გაბუნიამ ნათიკა ბერძულს ხელი რომში სთხოვა

EXCLUSIVE

**ალეკო გაბუნია:** „მე ქმარი ვდებ პირობას, რომ არ ვიქნები „ყოველთვის მართალი". მოთმინებით დავესწრები მელოდრამებისა და მულტფილმების ყოველდღიურ სეანსებს. ჩემს ცოლსა და მეგობრებს არ გავცვლი „აიფონზე". გაგებით მოვეკიდები სავაჭრო ქსელში გატარებულ საათებს"

**ნათიკა ბერძული:** „მე ცოლი ვდებ პირობას, რომ არ ვიქნები „ყოველთვის მართალი". არ დავიძინებ დღე-ღამეში 12 საათზე მეტს. „ქენდი ქრაშს" არ დავუთმობ თავისუფალი დროის 5 პროცენტზე მეტს. არ ვაიძულებ ჩემს ქმარს ყოველთვის გამომყვეს მაღაზიებში. როდესაც გავიღვიძებ დილის 6-ის ნახევარზე, ვეცდები არ გავაღვიძო ახლადჩაძინებული ქმარი"









## ბუნებრივი ისტორია

**ნათიკა ბერძული:** -ერთხელაც, მომწონხარო - მითხრა.

**ალეკო გაბუნია:** - ჩემგან თავიდანვე იყო ნათიკას მიმართ სიმპათია. პრინციპში ერთდროულად დაიწყო მეგობრობაც და მოწონებაც. ჩვენ სამეგობროსთან ერთად ყველა საღამოს ერთად ვიყავით. მე და ბექა ელბაქიძეს გვქონდა ამოჩემებული ორი კაფე და ერთმანეთთან სახლებში შეკრებები. მერე, ნათიკა რომ შაბათსაც მენახა, „ჟურნალისტის დღიურის" მონტაჟი შაბათს გადმოვიტანე.

**ნათიკა:** - ასეთი ბუნებრივი ისტორია გვაქვს.

**- 7 თვე**

ამ ხნის განმავლობაში იყო გათიშვის პერიოდიც, როგორც ხდება ხოლმე, გარკვევის, თავში დარწმუნების, გადაფასების, ეგოს მიყურადების... შვიდი თვე ერთმანეთს არ დაკონტაქტებიან. ერთმანეთისგან დაისვენეს. ქალაქში შორიდანაც კი არ მოუკრავთ თვალი ერთმანეთისთვის.

**ალეკო:** - ცუდი იყო ის პერიოდი.

**ნათიკა:** - საჭირო იყო.

ალეკო: - ნებისმიერი ეტაპი უნდა გაიარო. ეგ პერიოდიც უნდა გაგვევლო. მერე უფრო უკეთ დავუმუღამეთ ერთმანეთს მინუს-პლიუსები. მერე ბევრი რამ გამარტივდა და კარგისკენ შეიცვალა. თვით დინებაზე აღარ მიგვიშვია რაღაცები.

## „მანიაკი"

„მანიაკს" ალეკო გაბუნიას გადაცემა „დროების" დროიდან ეძახიან. 19 წლის იყო მყინვარზე, ალპინისტებთან ერთად, ძველი ახალი წლის შესახვედრად რომ ავიდა.

**ალეკო:** - პროდიუსერი მეუბნებოდა არ წავსულიყავი. დიდთოვლობა, ზვავსაშიშროება იყო. ექსპედიციაში 16 ადამიანი ვიყავით. ბოლომდე მხოლოდ რვანი ავედით. მაშინ ზაზა ჩომახიძემ მიწოდა „მანიაკი" და მას შემდეგ ყველა ასე მეძახის.

ალეკოს სამსახურთა სიაშია: „ქრონიკა", „დროება", „ჟურნალისტის დღიური", „პიკზე" დოკუმენტური



ფილმები. ახლა „GDS"-ზე რეჟისორია. პარალელურად დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს, ჯერ არ ასახელებს - რაზე. ნათიკა კი ამჟამად „პირველ არხზე" „ჩვენი დილის" წამყვანია.

**- ნათიკა, რაშია ალეკო მანიაკი?**

- მანიაკია ყველაფრის მიმართ, რაც უყვარს. გიჟდება საავტორო კინოზე.

## რომაული და დაუვიწყარი

2014 წლის შესახვედრად რომში ბექა ელბაქიძესთან სტუმრად მეგობრები ჩავიდნენ. ნათიკას ხელი ალეკომ სწორედ რომის შუაგულში სთხოვა.





**ალეკო:** - რომში ჩავედით თუ არა, ბექას იტალიელ მეგობრებთან წავედით სტუმრად. იქედან რომ ვბრუნდებოდით, საცობში მოვხვდით. კოლიზეუმთან საახალწლო კონცერტი იყო და საცობიც იმისგან იყო გამოწვეული. შესრულდა 12 საათი. დადგა ახალი წელი, ჩვენ ქუჩაში ვიყავით.

**ნათიკა:** - და ტრევის შადრევანთან მთხოვა ხელი. არ ველოდი! ყველა მეკითხება, ამდენი ხნის შემდეგ რატომ იყო მოულოდნელიო? მაგრამ იყო, არ ველოდი. ვფიქრობდი, ოდესმე ერთად მივიღებდით ამ გადაწყვეტილებას. თან ერთად ვიყავით მეგობრები და არც მიფიქრია, ასე სიურპრიზად, ახალი წლის ღამეს თუ მთხოვდა ხელს.

## მაისი, ქორწილი, ტანგო

ცრურწმენა დააიგნორეს და ქორწილი 3 მაისს გადაიხადეს.

**ნათიკა:** - მაისი ყველაზე ლამაზი თვეა. გაზაფხული ძალიან მიყვარს, არც ცრურწმენის მჯერა და რა დააშავა მაისმა? ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ, ქორწილიც იქვე გვქონდა. ხელი წინა დღეს „GDS"-ზე „შუა დღეში" მოვაწერეთ.

**სალომე არშბა:** - ჩემთან ეთერში ხელის მოსაწერად დავპატიჟე. ნათიკა აღელდა, ხომ იცი, როგორ არ მიყვარს ეგეთი რამეებიო. ალეკო ადვილად დავიყოლიე. სრულყოფილი ხელის მოწერის ცერემონიალი იყო, თაიგულის გადაგდებით და მუსიკით.

**ნათიკა:** - მე ქორწილსაც ვერ წარმოვიდგენდი თუ გადავიხდიდი. რა ქორწილი და რა თეთრი კაბა-მეთქი, ვამბობდი. ჩვენი ქორწილი მხოლოდ სამეგობრო წრისთვის რომ დაიგეგმა, ეს მომეწონა, ქორწილიც მომინდა და ორგანიზატორობაც ვითავე. არ გამიაზრებია, რომ ჩემი ქორწილი იყო, ნეტა, როგორი კაბა გამოვა-მეთქი - არ მინერვიულია. საკუთარ ქორწილში ძალიან გავერთე.

ქორწილს თავისი ნომრები ჰქონდა. სამეგობრომ სიმღერა ჩაწერა და ნეფე-პატარძალთან ერთად რამდენიმეჯერ შესრულდა. ალეკომ და ნათიკამ სტუმრებს თავიანთი საქორწინო კონტრაქტიც კი წარუდგინეს. კონტრაქტის პირობებს ქვემოთ გაგაცნობთ. ნეფე-პატარძალმა არგენტინული ტანგო შეასრულა. ცეკვას ერთი თვის განმავლობაში სწავლობდნენ.

**ნათიკა:** - რომ უყურებ, ლამაზი და ადვილი გგონია საცეკვაოდ. მაგრამ შენ რომ ცეკვავ, აღარც ლამაზია და აღარც მარტივი. ჩვენ ვეცადეთ. ფონი იყო ემოციური. ბევრმა იტირა ჩვენ ტანგოზე.

**ალეკო:** - ტანგოს ცეკვისას რაღაც ილეთები „გავმაზეთ", მაგრამ ვერ ვხვდებით - რა ილეთები.

**ნათიკა:** - ყველა ველოდებით ქორწილში გადაღებულ ვიდეომასალას. არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც თავიდან ბოლომდე ახსოვს, რა ხდებოდა ქორწილში.

**ალეკო:** - მე, მაგალითად, ბარის მაგიდაზე არ მინახავს ნათიკას ცეკვა. რატომღაც არ მახსოვს იმ დროს სად ვიყავი.

## საქორწინო კონტრაქტი

ნათიკასა დ ალეკოს კონტრაქტს მთელი ქორწილი გაეცნო, ბანერზე კითხულობდნენ. თუმცა ახლად დაქორწინებულებს გამორჩათ მთავარი - ჯარიმების პუნქტი.

მე ცოლი ვდებ პირობას, რომ არ ვიქნები „ყოველთვის მართალი". არ დავიძინებ დღე-ღამეში 12 საათზე მეტს. ჩვენ სახლში სათანადო ადგილი დაეთმობა ანდრეი ტარკოვსკისა და კიმ კი-დუკის შემოქმედებას. „ქენდი ქრაშს" არ დავუთმობ თავისუფალი დროის 5 პროცენტზე მეტს. არ ვაიძულებ ჩემს ქმარს ყოველთვის გამომყვეს მაღაზიებში. გავუძლებ დისკუსიას ზოგად საკაცობრიო საკითხებზე ქუცასა და ჩემს ქმარს შორის თვეში ორჯერ. როდესაც გავიღვიძებ დილის 6-ის ნახევარზე, ვეცდები არ გავაღვიძო ახლადჩაძინებული ქმარი.

მე ქმარი ვდებ პირობას, რომ არ ვიქნები „ყოველთვის მართალი". ორზე მეტჯერ არ ჩამეძინება მაშინ, როდესაც მელოდებიან. მოთმინებით დავესწრები მელოდრამებისა და მულტფილმების ყოველდღიურ სეანსებს. ჩემს ცოლსა და მეგობრებს არ გავცვლი „აიფონზე". გაგებით მოვეკიდები სავაჭრო ქსელში გატარებულ საათებს. ცოლის თანდასწრებით არ ჩავერთვები ქუცასთან დისკუსიაში თვეში ორზე მეტჯერ. არ ვივლი მთელი დღე გაბმული სიგნალებითა და გინებით, იმაში დარწმუნებული, რომ მოძრაობის წესებს მთელ ქალაქში მხოლოდ მე ვიცავ.

გადაწყდა, რომ ყოველი წლის 3 მაისს ქორწილს აღნიშნავენ, კაბით, ტაშფანდურით, იგივე განწყობითა და ნომრებით.

**ალეკო:** - და კონტრაქტს დავხვეწთ.

## ერთ ჭერქვეშ

**- თვლით, რომ უკვე კარგად იცნობთ ერთმანეთს?**

**ალეკო:** - ნათიკა ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ. ბევრია 4 წელი, ბევრი რამ მოხდა კარგად გასაცნობად, ამიტომ კარგად ვიცნობ.

**- ერთმანეთის საყვარელი ფერი იცით?**

**ალეკო:** - ნათიკას ჭრელი ფერები უყვარს, ღია მწვანე და ღია ყვითელი არ უყვარს.

**ნათიკა:** - ალეკოს ლურჯი უყვარს. ხშირად იცვამს ლურჯ სამოსს.

**- თანაცხოვრების დაწყების შემდეგ რა შეიცვალა?**

**ნათიკა:** - ერთად ცხოვრების დიდი გამოცდილება ჯერ არ გვაქვს. ქორწილის მერე ეგვიპტეში ვიყავით, პენსიონერულად დავისვენეთ. ანუ იქ სხვა რეჟიმში ვიყავით.

**ალეკო:** - ნათიკა ექვს საათზე იღვიძებს, რაც ჩემთვის ფაქტობრივად წარმოუდგენელია. გვიან მიყვარს მუშაობა, ღამურა ვარ.

**ნათიკა:** - ერთ დილას 6 საათზე გაიღვიძა და გამაცილა სახლიდან. ეთერის წინა საღამოს მეგობრებმა იციან, რომ არ უნდა მოვიდნენ, ადრე ვიძინებ.

**ალეკო:** - დაძინების წინ რიტუალი აქვს. 10 საათზე იძინებს და ვთქვათ, 11-ის 7 წუთია. იწყებს დაძაბვას - 7 წუთი გადაცდაო და ვცდილობ, ამ პერიოდში არ მივეკარო. ღამე ნათიკას გაღვიძება სახიფათო რამაა.

**ნათიკა:** - არ ველოდი, სულ ჩუმად დადის და იპარება, რომ არ გამაღვიძოს.

**- სიყვარულმა შეგცვალათ?**

**ალეკო:** - ძირეულად არა, მაგრამ რაღაცები შეცვალა, ალბათ.

**ნათიკა:** - მე არ შევცვლილვარ...





„ტანგოს ცეკვისას რაღაც ილეთები „გავმაზეთ", მაგრამ ვერ ვხვდებით - რა ილეთები"




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# BRAVISSIMO.GE - ლიცენზირებული მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ვებპორტალი

**my View**
თამარ გონგაძე

**23 მაისს „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველოში პირველი, სრულიად ახალი და ნოვატორული პროექტის, ლიცენზირებული მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ვებგვერდის - BRAVISSIMO.GE-ს პრეზენტაცია შედგება. გვერდის დამფუძნებლები „ბრავო რექორდსთან“ ერთად საქართველოს უმსხვილესი ინტერნეტ პროვაიდერი „კავკასუსონლაინი“ და კომპანია „Branding.ge“-ია.**

პრეზენტაციის სპეციალური სტუმარი გახლავთ Sony Music Russia-ს მმართველი დირექტორი არინა სუხოვა. BRAVISSIMO.GE-მ უცხოური ქონთენთის ონლაინ გაყიდვაზე ლიცენზია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი რექორდ ლეიბლისგან Sony Music-სგან შეიძინა.

საქართველოში პირველად ამ ვებპორტალის მომხმარებელს საშუალება ექნება შეიძინოს ლიცენზირებული, მაღალი ხარისხის როგორც უცხოური, ასევე ქართული მუსიკა მსოფლიო ფასების სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ დაბალ ფასებში.

ვებგვერდზე მუშაობა სამი წელი მიდიოდა. როგორც „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელი, ბატონი ზაზა შენგელია ამბობს, „სონისგან“ ლიცენზიის უფლების მოპოვება რთული იყო. არც ქართველ კონტრაქტორებთან ურთიერთობების დალაგება ყოფილა ადვილი. დრო წაიღო გვერდის დიზაინზე და შინაარსზე მუშაობამ.

მსგავსი მუსიკალური ვებგვერდების ონლაინ სერვისების დიდი არჩევანი აქვთ უცხოეთში, ჩვენთან ეს სიახლეა და თანაც ისეთი მაგარი სიახლე, მერწმუნეთ, დარეგისტრირების შემდეგ ამ გვერდს ვერ მოშორდებით. მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია, რათა მისთვის მთელი სერვისი იყოს ხელმისაწვდომი, ფასიანიც და უფასოც. ვებსაიტი ინტერაქტიულია, აქვს გამოკითხვები, კონკურსები, ვიქტორინები. ყოველდღიურად დაიდება ქართული და უცხოური ცხელ-ცხელი ახალი ამბები. გვერდზე დაიდება ყოველდღიური აფიშა, რომელ დღეს რომელ რესტორანში რომელი შემსრულებელი მღერის, სად რა მუსიკალური ივენთია დაგეგმილი. თქვენ შეგეძლებათ ნახოთ ქართული და უცხოური მუსიკალური ჩარტები, ალბომების და სინგლების ყოველთვიური რეიტინგები. გადმოწერთ რინგბექტონებს მობილური ტელეფონებისთვის. გვერდს ექნება ქართული და უცხოური სიმღერების კრებულები. გარდა ამისა შეგიძლიათ კარაოკე ფართი მოიწყოთ და იმღეროთ რამდენიც გინდათ. ერთი იცი, რომ ამ გვერდზე ყველაფერი ლეგალური, ექსკლუზიური, ხარისხიანი, იაფი და ახალი იქნება. ნებისმიერი მელომანისთვის BRAVISSIMO.GE გართობის და ინფორმაციის წყარო იქნება. ვებგვერდი საქართველოში ამკვიდრებს მომხმარებლის მუსიკასთან ურთიერთობის ახალ კულტურას. გვერდი ხელმისაწვდომი იქნება უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრაციისთვის. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს: „63 ბიტი“, კარაოკე. ჯი და „ჯეოლაინი“. დანარჩენს თავად ბატონი ზაზასგან შეიტყობთ.

მომღერლების და მუსიკოსების უმეტესობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ სიახლეს.



**ზაზა შენგელია:**

**„ეს იქნება მუსიკალური თავშეყრის ადგილი, სადაც ყოფნა დღე-ღამის ნებისმიერ დროს ყველა მუსიკალური გემოვნების მომხმარებლისთვის სასურველი გახდება“**

## დააფასე მუსიკა!

**„ქართული სიმღერის ჩამოტვირთვა 50 თეთრი ეღირება, უცხოურის - 90 თეთრი, როცა უცხოურ საიტებზე 99 ცენტი ღირს. „BRAVISSIMO.GE-ზე მხოლოდ ლეგალური და ხარისხიანი მუსიკა გაიყიდება“**

## EXCLUSIVE



**ზაზა შენგელია:** - ეს ვებსაიტი ქართულ შოუბიზნესში დიდ გარდატეხას შეიტანს. ერთ-ერთი დიდი ბერკეტია, რომ შოუბიზნესი მომგებიანი გახდეს ჩვენთან. ეს იქნება მუსიკალური თავშეყრის ადგილი, სადაც ყოფნა დღე-ღამის ნებისმიერ დროს ყველა მუსიკალური გემოვნების მომხმარებლისთვის სასურველი გახდება. მთელ მსოფლიოში არის ტენდენცია - ონლაინ სერვისები მძლავრობს და დისკების ფიზიკური გაყიდვები ნელ-ნელა კვდება. ლეგიტიმური ლიცენზირებული პროდუქციის გაყიდვა სწორი გზაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მეკობრეობის აღმოფხვრაა. ეს ყველა ქვეყანაშია, მაგრამ საქართველოში ამ მიმართულებით უღრანი ტყეა. მთავრობამ, პარლამენტმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ჩვენ, მუსიკის სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა, უნდა აღმოვფხვრათ ეს პრობლემა. რაც უფრო მეტად იქნება მეკობრეობა აღმოფხვრილი, მით მეტად ამუშავდება ეს ვებსაიტი. ეს კიდევ ხელს შეუწყობს მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებას საქართველოში. სანამ ლიცენზიას მოვიპოვებდით, ამ სიტუაციის გამო შემექმნა თავიდან სირთულე „სონის“ მმართველ დირექტორთან. ერთ წელზე მეტი დაგვჭირდა, რომ შეთანხმებისთვის მიგვეღწია. საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციაში ხელმძღვანელობის გამოცვლის მერე სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ეს სფერო მაინც მიუხედავია. ინტერნეტში, შავ ბაზარზე 20 ლარიანი ალბომი სამ ლარად იყიდება. ეს ყოვლად დაუშვებელია. სამწუხაროდ, ამ მხრივ საავტორო უფლებების დაცვის ასოციაციაში პასიურები არიან.

**- რა იქნება მუსიკალური ალბომის ფასი საიტზე?**

- ჩვენ გავითვალისწინეთ მოსახლეობის და ახალგაზრდების შესაძლებლობა და ფასები იაფი გვექნება. ქართული სიმღერის ჩამოტვირთვა 50 თეთრი ეღირება, უცხოურის - 90 თეთრი („სონის“ ქონთენთი), როცა უცხოურ საიტებზე 99 ცენტი ღირს. BRAVISSIMO.GE-ზე მხოლოდ ლეგალური და ხარისხიანი მუსიკა გაიყიდება. ალბომების ფიზიკურ გაყიდვებზეც არ ვამბობთ უარს. „ბრავოს“ აქვს ყველაზე მაღალ ხარისხიანი და დაბალ ფასიანი პროდუქცია, სიდი ალბომები. იგივე ფასად, როგორადაც იყიდება მაღაზიებში, იქნება სიდის ალბომები სახლში მიტანით, უბრალოდ, გამოაკლდება მაღაზიის საფასური. ავტოგრაფიანი სიდი ათი ლარით მეტი ეღირება. „ბრავოს“ პროდუქციის გარდა, ის ხმის ჩამწერი სტუდიები, ვინც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს გამოხატავს, შესაძლებლობა ექნებათ მათი ალბომებიც გაიყიდოს.

**- ფიზიკური დისკების გაყიდვას ვებგვერდი ხელს შეუშლის?**

- მთელ მსოფლიოშია ამის პრობლემა. კვდება ფიზიკური დისკების გაყიდვა და ყველაფერი ონლაინ სერვისებზე გადადის. მსხვილი მუსიკალური ქსელები ან გაკოტრდნენ, ან გაკოტრების პირას არიან. შემსრულებლებთან კონტრაქტით გვაქვს ურთიერთობა მოწესრიგებული. ჩვენ გვერდზეა აფიშა. მაგალითად საღამოს გვინდა სადმე რესტორანში ან კლუბში წასვლა და არ ვიცით, ვინ სად მღერის. ამაზე ინფორმაცია ჩვენთან იდება. კარაოკე სახალისო გასართობი იქნება მომხმარებლისთვის. კარაოკეს ნაწილი უფასოა, ნაწილი ფასიანი. ლარს გადაიხდი და 24 საათის განმავლობაში იმღერებ. გვინდა ონლაინ კონკურსების გაკეთება. მათ შორის კარაოკეს განყოფილებაში. გამორჩეული მონაწილისთვის, რომლის ნამღერი „იუთუბიზე“ ყველაზე მეტ ნახვას დააგროვებს, სპეციალურად მისთვის დაიწერება სიმღერა და „ბრავო“ სინგლს გამოუშვებს. გვექნება მერჩენდაიზინგი - პოპულარული ქართველი და უცხოელი შემსრულებლების სახელზე გამოშვებული ფან-აქსესუარების გაყიდვა. აქსესუარები ამერიკაში და ბრიტანეთშია დამზადებული. ლიცენზირებული და მაღალი ხარისხის ფან-აქსესუარები მსოფლიო შოუბიზნესში სიახლეა. მუსიკოსების რექორდ ლეიბლები აქსესუარების გამოშვების ნებართვას აძლევენ და იმასაც კარნახობენ, როგორი უნდა იყოს ხარისხი და დიზაინი. ფასები უაღრესად ხელმისაწვდომია. ჩვენ გვინდა ჩვენი თინეიჯერები მივაჩვიოთ, რომ დაბადების დღეებზე ერთმანეთს უსახსოვრონ საყვარელი მუსიკოსების ფან-აქსესუარები.

**- როგორც ვიცი, ცნობილი ქართველი მუსიკოსების ნივთების შეძენა შეეძლებათ BRAVISSIMO.GE-ზე.**

- დიახ, მუსიკალური მემორაბილია. საინფორმაციოებით ვეცნობით ხოლმე „კრისტის“ და „სოტბის“ აუქციონზე რა ფასებად იყიდება ცნობილი ადამიანების ნივთები. გვინდა ჩვენი მელომანები მიმაჩვიოთ თავიანთ პირად კოლექციაში ჰქონდეთ ცნობილი მუსიკოსების ნაქონი ნივთები, რომელსაც სპეციალური სერთიფიკატი მოჰყვება, რომ ეს ნივთი ნამდვილად ეკუთვნოდა ამა თუ იმ მუსიკოსს. რაც დრო გავა, ამ ნივთებს ფასი მოემატება. ასე რომ, ეს ფულის დაბანდების უნიკალური საშუალებაა.

**- გადახდის სისტემა როგორი გექნებათ?**

- გადახდის სისტემა ძალიან მოქნილი და დაცულია. არის ონლაინ გადახდის და ოფლაინ გადახდის სისტემებით. უსაფრთხოების სისტემები რამდენიმე დონიანია და მკაცრადაა დაცული.

მომავალში ვებსაიტს ემატება კომპიუტერული თამაშები, ვიდეო ფილმები, ვიდეოკლიპები, ელექტრონული წიგნები მუსიკის შესახებ. სიმბოლურ საფასურს გადაიხდი და ლაივში უყურებ კონცერტს. უცხოეთიდანაც იქნება კონცერტების ცოცხლად ყურება შესაძლებელი. გვინდა ონლაინ კონცერტების გაკეთება ქართველი მუსიკოსების მეშვეობით. გვექნება მასტერკლასები, რომელსაც მომხმარებელთათვის, ქართველ მუსიკოსებთან ერთად, უცხოელებიც ჩაატარებენ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოპერის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის პრიორიტეტები

## my View

**თამარ გონგაძე**

**დავით კინწურაშვილმა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა არჩევნებში გამარჯვებით მოიპოვა. მეორე ტურში 305 ხმიდან 218 ხმა მიიღო. კულტურის მინისტრის მივლინებაში ყოფნის გამო მარტის ბოლოს გამარჯვებული კინწურაშვილის თანამდებობაზე დანიშვნა 6 მაისს მოხდა. ამ პერიოდში ბატონი დავითი ხვდებოდა იურისტებს, ეცნობოდა თანამშრომლებს, დაგეგმა სტრატეგიული სამუშაო გეგმა. დავითი ამ თეატრის რიგით მეოთხე სამხატვრო ხელმძღვანელია. 35 წლის დირიჟორის ბიოგრაფია პროფესიული თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია. დამთავრებული აქვს საგუნდო სადირიჟორო ფაკულტეტი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. შემდგომ კვალიფიკაცია აიმაღლა საორკესტრო დირიჟორობის და ორღანის განხრით. მიღებული აქვს მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სკოლის საორკესტრო დირიჟორის დიპლომი. ლატვიის კულტურის აკადემიაში, კულტურისა და მედიის მენეჯმენტში მინიჭებული აქვს მაგისტრის წოდება. იყო სტუმარი-სტუდენტი ჰამბურგის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს აკადემიაში საორკესტრო სადირიჟორო ფაკულტეტზე. სადირიჟორო მასტერკლასები გაიარა 2007, 2009 და 2010 წლებში პროფესორ კურტ მაზურის, პროფესორ დუგლას ბოსტოკისა და პროფესორ კრისტოფ პრიკის ხელმძღვანელობით. 2003-2014 წლებში დავით კინწურაშვილმა არა ერთ ორკესტრს უდირიჟორა, მათ შორის, მიუნხენის სიმფონიურ, ინგოლშტადტის ქართულ კამერულ, ესენის საოპერო თეატრის, მიუნხენის ფილარმონიის ახალგაზრდულ, ბავარიის ფილარმონიის კამერულ, მიუნხენის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი აკადემიის, ტაფელმიუზიკ ბაროკოს (კანადა), ბად რაიჰენჰალის ფილარმონიულ, ააგაუერის ფილარმონიულ (შვეიცარია), ვენის სიმფონიურ (ავსტრია), ჰამბურგის სიმფონიურ ორკესტრებს. მოწვეული დირიჟორის სტატუსით თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან თანამშრომლობს 2005 წლიდან. ჩატარებული აქვს ფესტივალები, მონაწილეობდა პროექტებში, კითხულობდა ლექციებს, ატარებდა მასტერკლასებს. 2013 წლიდან თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მენეჯმენტის ფაკულტეტზე უძღვება „მენეჯმენტის საფუძვლებისა“ და „მუსიკის მენეჯმენტის“ სალექციო კურსს.**



### დავით კინწურაშვილი: „საქართველოში სულ ვდირიჟორობდი და ამ სფეროს წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი. ზუსტად ვიცოდი, აქცენტები რაზე უნდა გამეკეთებინა. ამ თანამდებობაზე მიზანმიმართულად მოვედი“

**EXCLUSIVE**

ამბობს, რომ არჩევნების პერიოდი საინტერესო იყო მისთვის. „რატომ არ ღელავთო, მეუბნებოდნენ. ღელვით საქმეს ვერ გააკეთებ. ჩვენ, ქართველებს, გადამეტებული ემოცია გვაქვს. ეს საქმეს უშლის ხელს. წარმატებული საქმისთვის საჭიროა ობიექტური შეფასების უნარი. ამ თანამდებობაზე მიზანმიმართულად მოვედი. მოდი, გავხდები სამხატვრო ხელმძღვანელი-მეთქი, უბრალოდ, არ მომისინჯავს. საქართველოში სულ ვდირიჟორობდი და ამ სფეროს წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი. ზუსტად ვიცოდი, აქცენტები რაზე უნდა გამეკეთებინა. ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ ხალხი მხარს მიჭერს და მეხმარება. როდესაც არჩევნებზე შემოქმედებით კოლექტივს შევხვდი, მაშინ ვუთხარი - ოპერა არ არის თეატრი, ოპერა ადამიანებია-მეთქი. აქცენტი ადამიანებზე უნდა გაკეთდეს. ყველაზე მნიშვნელოვანია საუკეთესო პირობები იმ ხალხს შევუქმნათ, ვინც ოპერაში მუშაობს. პირველი, რასაც გავაკეთებთ, მათი უფლებების დაცვა იქნება, შრომითი ხელშეკრულებებისა და იურიდიული მიმართულებით. არ შეიძლება ადამიანები ისეთი კონტრაქტებით იმართებოდნენ, როგორც აქ დამხვდა. ეს მიმართულება ჩქარა უნდა გამოსწორდეს. დიდი აქცენტი გუნდზე უნდა გაკეთდეს, რისი დეფიციტიც იყო. ორკესტრი ერთადერთი უმნიშვნელოვანესი ჯგუფია ოპერაში. ჩვენ ბევრი ადამიანური რესურსი უნდა გამოვიყენოთ, უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე აქამდე ვმუშაობდით. გერმანიაში სწავლის შემდეგ რიგაში ლატვიის კულტურის აკადემიაში კულტურისა და მედიის მენეჯმენტი ვისწავლე. მინდოდა გამეგო, როგორ იყიდება მუსიკა.

**- რა მოგცათ გერმანიაში სწავლისა და ცხოვრების გამოცდილებამ?**

- გერმანიამ სტრუქტურული აზროვნება და სხვადასხვა ფაქტების ობიექტური დანახვა მასწავლა. ევროპელები სამსახურებში გუნდურად მუშაობენ. მნიშვნელოვანია კონფლიქტებთან მუშაობა. საქართველოში სამუშაო პროცესში შევსწრებივარ ფრაზას - მე მას არ ველაპარაკები, ან მაწყენინა. სამუშაო პროცესში ემოციების ასეთ დონეზე წამოწევა, ყოვლად დაუშვებელია. ამის მართვა უნდა ვისწავლოთ. „არ ველაპარაკები“ საერთო საქმეს აფუჭებს. ქართველის ეს თვისება მესმის. თუმცა ვიცი ისიც, რომ ქართველს საქმის კეთებაც ძალიან კარგად შეუძლია.

შემოქმედებითად უცხოეთში ბევრი რამ გავაჩერე. კონტაქტები მექნება ორკესტრებთან. არ შეიძლება დირიჟორის ერთ სფეროში ჩაკეტვა. მისი სამშობლოში მთლიანი დაბრუნება არ ხდება. იმედი მაქვს, აქაც ვიდირიჟორებ და უცხოეთშიც. მაგრამ, როგორც მენეჯერი, ბედნიერი ვარ, რომ აქ უნდა ვიმუშაო. საქართველოში ამ მხრივ ყველაფერი გასაკეთებელია. უცხოეთში ისეთი აწყობილია მენეჯმენტი, რომ სამუშაოდ მოსაწყენიც არის.

**- კაბინეტმა პირველადი პროფესიის შეწირვა იცის. ამის არ გეშინიათ?**

- ჩემს ბიოგრაფიაში მუსიკას იმდენად დიდი როლი უჭირავს, რომ შეუძლებელია მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი კაბინეტს შევწირო. ზუსტად ვიცი, ასე არ იქნება. ჩემი მთლიანი განხორციელება სცენაზე, სადირიჟორო პულტთან ხდება.

**- ჯანლუკა მარჩიანოს რა ბედი ეწევა?**

- ჯანლუკა ჩვენი თეატრის მთავარ დირიჟორად რჩება. ჩვენ მის კონტაქტებს და საუკეთესო თვისებებს გამოვიყენებთ. მას კარგა ხანია ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, კარგად ვითანამშრომლებთ.

**- ოპერის თეატრში როდის იგეგმება შესვლა?**

- შესვლა სექტემბერში იგეგმება. მერე თეატრში სცენაზე მორგებას დაეთმობა დრო და წლის ბოლოს იქნება გახსნა - „აბესალომ და ეთერით“. წელს „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმიდან 95 წელი შესრულდა. ეს ოპერა ჩვენთვის საამაყოა. საზოგადოება გახსნას ელოდება და ამ ტრადიციას გავაგრძელებთ. მთავრობის, კულტურის სამინისტროს დახმარების დიდი იმედი გვაქვს. დიდი ხელშეწყობა გვჭირდება. ოპერა კომპლექსურია, ბევრმა სამსახურმა უნდა იმუშაოს. ამიტომ ფინანსებია მნიშვნელოვანი.

**- როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის ქართული ოპერა?**

- ქართული ოპერა საქართველოს სავიზიტო ბარათი უნდა იყოს. 21-ე საუკუნეში აქცენტი ჩვენს ხელოვნებაზე უნდა გავაკეთოთ. ქართველების საუკეთესო რამ, რაც გვაქვს, ეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა. ამის განსაკუთრებული გვირგვინი კი საოპერო თეატრია. უნდა შევქმნათ თანამედროვე სამყაროზე მოწყობილი თეატრი და უნდა დავხვეწოთ. რადგან შემოქმედებითი პოტენცია დიდი გვაქვს, 21 საუკუნის ოპერის თეატრი საამაყო ობიექტი უნდა იყოს.





# კოტე თოლორდავას ქართულ-ამერიკულ ფილმში ვიხილავთ



**ივნისის დასაწყისში ქართულ-ამერიკული ფილმის გადაღებები იწყება. საქართველოში ჰოლივუდის მსახიობები ჩამოვლენ, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება. საქართველოს მხრიდან რეჟისორი ლევან ბახიაა. ფილმი ამერიკულ ბაზარზე გაიყიდება. ერთ-ერთი ქართველი მსახიობი, რომელიც ამ ქართულ-ამერიკულ კო პროდუქციაში მოხვდა კოტე თოლორდავაა.**

**კოტე თოლორდავა:** „საქართველოში ჰოლივუდის ვარსკვლავები ჩამოვლენ, საქართველოდან მთავარი როლის შემსრულებელი მხოლოდ მე ვიქნები. მართალია, უარყოფითი როლი მაქვს, მაგრამ ისეთ ხალხთან მიწევს მუშაობა, რომ ბევრ საინტერესო რაღაცას გავიგებ და ვნახავ. ჩემი ცოლის როლს ნანა კიკნაძე თამაშობს, მოსკოვში მოღვაწე ქართველი მსახიობი. მყავს პატარა გოგონა. გადაღებები ტყეში იქნება. წვერს ხელს ვერ ვკიდებ, სანამ გადაღებები არ დამთავრდება. ძალიან საინტერესო გამოწვევაა და ჩართული ვარ ბოლომდე. პრემიერა თბილისშიც იქნება და ყველა ნახავს“.



### „ლუკა ჩემ გარშემო ყველას მოსწონდა. ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც რატომღაც არ მომწონდა“

# მაკო კვიტაშვილი ბავშვობის მეგობარზეა შეყვარებული

**მომღერალმა მაკო კვიტაშვილმა თავისი ახალი ურთიერთობა „ფეისბუქზე“ გაასაჯაროვა. ექვსი თვეა მაკოს რჩეული ლუკა იოსელიანია. ლუკას 13 წლიდან იცნობს და აქამდე მხოლოდ მეგობრობდნენ.**

**მაკო კვიტაშვილი:** - ლუკა სწავლობს, არაფერი განსაკუთრებული, თუმცა ჩემთვის განსაკუთრებულია. მის ნიჭიერებას ვაფასებ. უნდა სარეჟისოროზე ჩააბაროს. ფსიქოლოგიაც აინტერესებს. ძალიან სიმპათიური ბიჭია, მაგრამ აქამდე არასდროს არ შემიხედავს მისთვის, როგორც ბიჭისთვის. ლუკა ჩემ გარშემო ყველას მოსწონდა. ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც რატომღაც არ მომწონდა. რაღაც პერიოდი არ ვურთიერთობდით და ექვსი თვის წინ უცებ დავახლოვდით. შეგვიყვარდათ ერთმანეთი. დედაც იცნობს. დედას ჩემს მეგობარ ბიჭებს ვაცნობ, არ ვმალავ. მომავალზე ჯერ არ ვფიქრობთ. თუმცა, რომ გავთხოვდე, არც ამის მეშინია. ჩვენ მაინც არ ვჩქარობთ. ვსწავლობთ ორივე და უცხოეთში წასვლა გვინდა.

**- რაზე სწავლობ?**

- სამხატვრო აკადემიაში დიზაინის ფაკულტეტზე. სიმღერას ვაგრძელებ. მაიკლ გურისთან ერთად სიმღერა ჩავწერე და კლიპიც გადავიღე. კლიპში მაიკლი ჩემი შეყვარებულია. ლუკა მაიკლს იცნობს და არ უეჭვიანია. ისე აქვს „ქართული მომენტები“. არ მეგონა, ასეთი თუ იქნებოდა.

**- რაში ავლენს ქართულ ხასიათს?**

- მაღაზიაში შორტი მოვიზომე და მოკლეაო... ხუმრობს, მაგრამ ვაფიქსირებ, არ სიამოვნებს რაღაცები. მაინც კაცია და როცა გიყვარს, ანგარიშიც უნდა გაუწიო.

**- „ორ ვარსკვლავში“ შენ მეწყვილე გივი ბერიშვილზე არ ეჭვიანობდა?**

- გივიზე როგორ უნდა იეჭვიანო? თანაც ცოლ-შვილი ჰყავს. მე და გივი ვმეგობრობდით. 24 საათი ერთად ვიყავით, მაგრამ ლუკას არ ჰქონდა ეჭვიანობის საბაბი.

**- რითი შეგცვალა სიყვარულმა?**

- დამამშვიდა. ჩემში ქალურმა სინაზემ გაიღვიძა. მხიარული და ცანცარა ვიყავი. ახლა თავშეკავებული, საყვარელი გოგო გავხდი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მარიკო ებრალიძე - „ამ ჩემი ერთი წარუმატებელი ნაბიჯისთვის ყველას ბოდიშს ვუხდი“

**my View**

**თამარ გონგაძე**

**„ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა წარუმატებლობა წარმატებად მექცა. ვიმედოვნებ, ეს წარუმატებლობაც წარმატებად მექცევა“- ეს სიტყვები „ევროვიზიიდან“ დაბრუნებულ მარიკო ებრალიძეს ეკუთვნის, რაზეც ასე მიუკომენტარეს - მხოლოდ შენ პირად წარმატებაზე რატომ ფიქრობო. მარიკო განაწყენდა.**

**მარიკო ებრალიძე:** - ჩემი წარმატება მხოლოდ ჩემი როგორ იქნება? სახლში ხომ არ ჩავკეტავ? ეს ხომ ქვეყნის წარმატება იქნება?! ამ ჩემი ერთი წარუმატებელი ნაბიჯისთვის ყველას ბოდიშს ვუხდი. ველოდები ძალიან დიდ წარმატებას, რომელიც ასევე ქვეყნის იქნება და არამხოლოდ მარიკო ებრალიძის.

ასეთი უხალისო მარიკო აქამდე არ მინახავს. „ევროვიზიაზე“ ძალიან შემართული წავიდა და მთლად კონკურს გარეთ დარჩენას არ ელოდა. გაოცებასთან ერთად სირცხვილის განცდაც აქვს. ჩემ გამო ნახევარი საქართველო, მე მგონი, წნევით იყო. მაპატიეთ, რა ვქნაო, ამბობს. საოცრად სწყინს, როდესაც უტაქტოები ლანძღავენ.

„მითხარი, მარიკო ცხვირში მღერი, ან ყელში მღერი და გამოვასწორებ. კრიტიკა იყოს, მაგრამ ნუ მლანძღავ. დებილები ხართო, ასე გვიწოდეს“.



„მარიკოს და „შინს“ ხუთეულში შევიყვანდი. თუ განსხვავებული უნდოდათ, ჩვენი სიმღერა იყო ასეთი. კონჩიტა არ იყო განსხვავებული“



„ჩემთვის კონჩიტა ახალი ხილი არ არის, ფურორს არ იწვევს. სად იყო კონჩიტა, როცა გეი ფრედი მერკურიმ 1983 წელს ქალის ტანსაცმლით, მაკიაჟითა და ულვაშით კლიპი გადაიღო? მაპატიეთ და კონჩიტას ვერც ჯორჯ მაიკლის, ვერც ელტონ ჯონის დონეზე ავიყვან“





### „მე და კონჩიტა ვართ მოკვდავები“

მარიკოსთვის დაძაბულობა რომ მომეხსნა, საქართველოში სუპერპოპულარულ კონჩიტაზე ჩამოვუგდე სიტყვა. არც ეს თემა აღმოჩნდა მისთვის სასიამოვნო :)

„ჩემთვის კონჩიტა ახალი ხილი არ არის, ფურორს არ იწვევს. სად იყო კონჩიტა, როცა გეი ფრედი მერკურიმ 1983 წელს ქალის ტანსაცმლით, მაკიაჟით და ულვაშით კლიპი გადაიღო?“

**- როგორი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა?**





- ჩაკეტილი ადამიანია. კონტაქტში არ შემოსულა. არ იჩენდა ინიციატივას და სურვილს ვინმესთან მისულიყო. მასთან ერთად ფოტოს გადაღების მსურველები იმდენი იყვნენ, არც სჭირდებოდა აქით ყურადღების გამოჩენა. როგორი ადამიანია არ ვიცი. ჩემთვის ჩვეულებრივი კონკურსანტი იყო. ვაიმე, კონჩიტა მოდის-მეთქი, ასეთი განცდა არ მქონია. მუსიკალურად, ვიზუალურად და ძალიან თამამი ნაბიჯებით ერთადერთი გეი მუსიკოსი მხოლოდ ფრედი მერკურია, მის გვერდით ვერავის დავაყენებ, მით უმეტეს კონჩიტას. მაპატიეთ და კონჩიტას ვერც ჯორჯ მაიკლის, ვერც ელტონ ჯონის დონეზე ავიყვან.

**- „ევროვიზიის“ გამარჯვებული რატომ გახდა?**

- მოსწონთ როგორც ვოკალისტი, მომღერალი.

**- თვლი, იმიჯმა არ იმუშავა?**

- ამბობენ, იმიჯია ეს ყველაფერიო. გეია და მისი სასცენო იმიჯია. კონკურსებში მონაწილეობდა, არ უმართლებდა და ამ „ობრაზით“ ორი წლის წინ გამოჩნდა. კონჩიტათი ავსტრია „ევროვიზიაზე“ გამოსასვლელად ორი წელია ემზადება. რამდენიმე წელია ავსტრია ფინალშიც ვერ გადადიოდა. ასე რომ, ეს ყველაფერი გათვლა იყო. სასცენო გაფორმება კარგი ჰქონდა, მაგრამ სიახლე არაფერი.

**- როგორც ვოკალისტი მოგეწონა?**

- მაგაზე კარგი ვოკალისტები იყვნენ კონკურსზე, მაგალითად, შვედეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის წარმომადგენელი. მაპატიოს მუსიკალურმა საზოგადოებამ, მაგრამ კონჩიტა ვოკალურად არ მომწონს. მისი სიმღერა პლაგიატიზმის ზეიმი იყო. სიმღერა მოპარული მელოდიებითაა შექმნილი. ჯეიმს ბონდის რომელიღაცა საუნდთრეკის მელოდიას მივამსგავსე. იმიჯიც მოპარული აქვს. არაფერი განსაკუთრებული არ ჰქონია. ჩემთვის ამ კონკურსანტს ინდივიდუალობა არ ჰქონდა.

**- კი გაიმარჯვა და...**

- ჩემთვის ინდივიდუალური არის ფრედი მერკური. ფრედი უკვდავია, მე და კონჩიტა ვართ მოკვდავები.

**„მითხარი, მარიკო ცხვირში მღერი, ან ყელში მღერი და გამოვასწორებ. კრიტიკა იყოს, მაგრამ ნუ მლანძღავ. დებილები ხართო, გვიწოდეს“**

### სცენა - ტრანსფორმერი

მარიკო ევროვიზიის სცენითა და მომსახურე პერსონალით შოკშია.

„სიბნელეში შედიხარ და უდიდესი ბურთი ჩნდება შუაში. ამ ბურთის შუაგულში სცენა იყო, საოცრად განათებული. ეს იყო სცენა ტრანსფორმერი. ტრანსფორმერი ადამიანები ჭიანჭველებივით დარბოდნენ. წამში ერთხელ მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ - ბედნიერი ხარ? ხომ კარგად გრძნობ თავს? ხომ საკმარისად გყოფნის ჰაერი? ხალიჩა ხომ კარგად არის დაგებული? თავი დამანებეთ, ბედნიერი ვარ-მეთქი, ვხაოდი ბოლოს. მეგონა მეკაიფებოდნენ. თიკო ბერძენიშვილმა მითხრა, შეირგე ეს ყველაფერი, შეიფერეო. გექცევიან, როგორც უმაღლესი დონის ვარსკვლავს. ყველა გასვლა-გამოსვლაზე გეკითხებიან, ხმა ხომ მოგეწონა? სულ რომ არ მოგწონდეს, კარგიაო უხერხულობისგან ეუბნები.

**- სცენაზე გასვლა გაიხსენე.**

- სცენაზე პირი გამიშრა. ჩემში გადალაგდა, დავიჯერე - ეს სცენა ჩემია-მეთქი. ყველა ამბობდა, ძალიან პატარა ვიყავი სცენაზე, წერტილიო. ეს არ უნდა მეფიქრა, პირიქით, მე ვარ აქაურობის ბატონ-პატრონი-მეთქი, თავი უნდა დამეჯერებინა. ჯერ ცარიელმა დარბაზმა შემაშინა, ეს უნდა გაივსოს-მეთქი? შევეხე სცენას, შევიგრძენი. იმდენი რეპეტიცია გავიარეთ კონცერტის წინ, რომ თვითონ კონკურსის დღეს მეგონა, რომ ისევ რეპეტიციაზე გავდიოდი. ბასა ფოცხიშვილი გაგიჟდა, მაგ შეგრძნებით არ გამოხვიდე, მთელი შემართებით გამოდიო.

**- კონკურსგარეთ დარჩენა ინერვიული?**

- აქედან დიდი მუხტით წავედით. დიდი იმედით და უცებ არაფრის გარეშე რომ დაბრუნდები, ცუდი განცდაა. კარგია შენ მიდიხარო, მეუბნებოდნენ და იმედებს რომ გაუცრუებ, საშინელებაა.

**- რაში იდანაშაულებ თავს?**

- ალბათ, იმდენად ძლიერი ვერ ვიყავი, ან სცენაზე შემეშალა რაღაც. ძალა დავაკელი. ძლიერი და მაღალი დონის მელოდია გვქონდა. სიმღერა რიტმული, მელოდიური, ინგლისურენოვანი იყო - ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა. ევროვიზიის ფორმატის არ იყოო, რომ ამბობენ, ევროვიზიის ფორმატი რა არის? ეს უკვე არავინ იცის. ისრაელის წარმომადგენელი ფორმატი იყო, თავზე დაგვალაგა ბარკლები, მაგარი სიმღერა ხარივით იმღერა. რატომ ვერ გადავიდა? თამრიკო ფოცხიშვილი შემოვიდა და რა მაგარი ყოფილხარო, მითხრა. ორ კაცს სლუკუნით გაჰყავს ისრაელის წარმომადგენელი, ისე განიცდის ვერ გადასვლასო. რა მაგარი ყოფილხარო რომ მითხრა, აი, ცხვირი ამეწვა, მაგრამ რომ არ ავტირებულიყავი, თავი გავიმაგრე.

ძალიან გაგვიკვირდა კონკურს გარეთ რომ აღმოვჩნდით. ორგანიზატორები მადლობას გვიხდიდნენ, ამ ორაკორდიან სიმღერებში უცებ დონე აწიეთ და ასეთი სიმღერა წარმოადგინეთო. ისეთი სიმღერაა, არ გბეზრდება. მრავალხმიანი იყო, ბახიც იყო, ქართული ხალხურიც იყო. ასეთი მუსიკა არავის არ ახსოვს ევროვიზიის ისტორიაშიო. იყო მეორე საკითხი - რამდენად გაიგებს ამ სიმღერას ევროპაო.

**- შენ ვის გაიყვანდი პირველ ადგილას?**

- აზერბაიჯანის წარმომადგენელმა რომ იმღერა, დამბურძგლა. ძალიან კარგი სიმღერა ჰქონდა შვედს.

**- ხუთეულში შეიყვანდი მარიკოს და „შინს“?**

- მარიკოს და „შინს“ ხუთეულში შევიყვანდი. თუ განსხვავებული უნდოდათ, ჩვენი სიმღერა იყო განსხვავებული. კონჩიტა არ იყო განსხვავებული.

**- რას აპირებ ახლა?**

- „შინთან“ დაკავშირებით გეგმები მაქვს. ვნახოთ...







„ევროვიზიის ფორმატის არ იყოო, რომ ამბობენ, ევროვიზიის ფორმატი რა არის? ეს უკვე არავინ იცის. ისრაელის წარმომადგენელი ფორმატი იყო, თავზე დაგვალაგა ბარკლები, მაგარი სიმღერა ხარივით იმღერა. რატომ ვერ გადავიდა?“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მებრძოლი სალომე ტეტიაშვილი თა

**my View**
თამარ გონგაძე



## „ვინც ქვას გესვრის, ყველას რომ გაეკიდო, წარმატებას ვერ მიაღწევ“

**სალომე 19 მაისს 20 წლის გახდა. ზოდიაქოს ნიშნით კუროა. ამბობს - მებრძოლი, ერთგული, მიზანდასახული ვარო. ბრძოლისუნარიანობა ცხოვრებამ ასწავლა. საეტაპო პერიოდი უდგას. „X ფაქტორი“ ტრამპლინია ჩემს ცხოვრებაში და ყველაზე დიდი ყურადღება აქეთ უნდა მივმართოო. ერთი შეხედვით უცებ გახდა პოპულარული, მაგრამ ტელევიზიით საჯაროდ გამოჩენამდე, სოციალური ქსელით სალომეს გარკვეულ წრეში უკვე იცნობდნენ. მახსოვს, რამდენიმე თვის წინ კოლეგა „მაძალებდა“, შედი „იუთუბიზე“ და სალომე ტეტიაშვილს მოუსმინე, რა მაგრად მღერისო. სამეგობროში მჯდარი გულში ჩამწვდომად მომღერალი გოგონას ხმა მართლა შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მერე ყველანი გავეცანით ქალბატონი თამარის ისტორიას, სალომეს დედის. სულ მალე კი კონკიას ისტორიაც ყველამ ზეპირად იცოდა. თვითონ არ მოსწონს, როდესაც მისი მისამართით კონკიას ამბობენ. აღმოვაჩინე, რომ „X ფაქტორამდე“ რამდენიმე მუსიკალურ კონკურსში უცდია ბედი.**

### „ჩემი თავით ვამაყობ“

**სალომე ტეტიაშვილი:** - აქამდე არ მიმართლებდა. საერთოდ, ძალიან მიზანდასახული ვარ. პირველად მუსიკალურ პროექტში მისვლა 2010 წელს გადავწყვიტე. კასტინგიდან გამოვვარდი. თუმცა ფარ-ხმალი არ დამიყრია. ვამბობდი, რაც კი კონკურსი გამოჩნდება, ყველგან ვცდი ბედს და მონაწილეობას მივიღებ-მეთქი. ჩემი მიზანი დიდ სცენაზე დგომა იყო. მოვიარე „საქართველოს ვარსკვლავი“, „ახალი ხმა“, „ჯეოსტარი“ და ბოლოს „X ფაქტორი“. თუმცა მანამდე ერთი წელი ჩავაგდე. ძალიან დიდი ფსიქოლოგიური მომზადება მჭირდებოდა იმისთვის, რომ გამოვსულიყავი. წინა კონკურსებზე ხმა მიწყდებოდა, ვერ ვმღეროდი... ბოლოს უკვე ხალხისგან წამოვიდა იმის მოთხოვნა, რომ მე „X ფაქტორზე“ გამოვსულიყავი. დედამაც, მეგობრებმაც მთხოვეს. მეც ვფიქრობდი, რაიმე ახალი რომ არ მეჩვენებინა, უკვე ჩავიძირებოდი. საზოგადოებისთვის პროგრესის ჩვენება მინდოდა. თუ რაიმე ახალი არ შესთავაზე, მიღწეული მალე ინაცვლებს უკანა პლანზე. მეც მოვიკრიბე ძალები და ფსიქოლოგიურად მოვემზადე, თორემ არც პედაგოგთან მივლია და არც არავისთან მოვმზადებულვარ. უფრო მეტად შინაგანად ვიმუშავე საკუთარ თავზე, ვიდრე ვოკალურად. მანამდე ნერვიულობა მიშლიდა ხელს. შინაგანი ფაქტორი მნიშვნელოვანი ყოფილა. დღეს უკვე ჩემი თავით ვამაყობ. კასტინგზე დაახლოებით 3 ათასი ადამიანი იყო და 16 ადამიანში რომ ხვდები, ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემთვის ეს იმხელა წარმატებაა, რომ მნიშვნელობა აღარ აქვს ლაივ კონცერტებზე ბოლომდე შემოვრჩები თუ არა პროექტს. მე ჩემი თავით ვამაყობ. თუმცა იმის ამბიციაც მაქვს, რომ პროექტში დიდი ხანი ვიყო.

### „ემოციური ვარ და ყველაფერი გულთან მიმაქვს“

სალომეს მენტორი სტეფანეა. ის ოთხეულშია და თავის ემოციებს გვიზიარებს.

„არ ვიცოდი მოვხვდებოდი თუ არა ოთხეულში - ეს ყველაზე საშინელი გრძნობაა, რაც კი ცხოვრებაში მქონია. ყველა კონკურსანტისთვის ყველაზე მძიმე ტური იყო. ასე არასდროს მინერვიულია. მოცემულ სამ წუთში ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა. კასტინგზე მეტად ამ ტურზე ვნერვიულობდით. სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვერ ვგრძნობდი. ყველაფერზე ერთად ვფიქრობდი, დედაზე, მეგობრებზე, ხალხზე. ყველა რომ მაქსიმუმს ელის შენგან და ეს მაქსიმუმი სამ წუთში უნდა აჩვენო. იმ რამდენიმე წუთში ყველანაირი აზრი დამიტრიალდა თავში. ემოციურად დატვირთული ვიყავი, ნახევარზე მეტი არ მახსოვს“.

**- შენ მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან აგრესია წამოვიდა, რადგან სტეფანემ თიკა ბალანჩინი გაუშვა პროექტიდან და იმ სკამზე შენ დაგსვა. როგორ აირიდე ეს აგრესია?**

- რთული იყო კრიტიკის მოსმენა. ძალიან ემოციური ვარ და ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს. მე თიკასთან ვმეგობრობ და მიყვარს. ადვილი არ იყო ამ აგრესიის მოსმენა. მაგრამ როდესაც იცი, რომ უსამართლოდ გაკრიტიკებენ, ეს გეხმარება იმაში, რომ ნაკლებად ინერვიულო. ამიტომ, არ მინერვიულია. მე და თიკას ერთმანეთში ამ თემაზე ლაპარაკი არ გვქონია. ხალხი ვერ აანალიზებს, რომ ჩვენ არ ვწყვეტთ იმ სკამზე ვინ დარჩეს. პირიქით რომ მომხდარიყო, აგრესია თიკასკენ წავიდოდა. ვინც ქვას გესვრის, ყველას რომ გაეკიდო, წარმატებას ვერ მიაღწევ.

**- ისწავლე ემოციის მართვა?**

- ვერ ვმართავ. უბრალოდ, ისეთ რამეზე, რაც ვიცი, რომ არ არის სიმართლე, არ ვნერვიულობ. ხალხს რაც უნდა, იმას დაწერს და იტყვის, ამიტომ იმას, რაც არარეალურია, ყურადღებას არ ვაქცევ. ემოციას ვერ ვთოკავ, როდესაც ოჯახზე წერენ ან ამბობენ რამეს. შინაგანად განვიცდი.

**- კონკიას ამბავს კიდევ განიცდი?**

- უფრო არ მომწონს, ვიდრე განვიცდი. ეს სახელი ხალხისთვისაც მოსაბეზრებელია. მეც მომბეზრდებოდა ერთსა და იმავე ადამიანზე ისტორია ამდენჯერ რომ მომესმინა. ეს იარლიყი მომაკრეს, რა ვქნა, არ ვიცი.



## „ქართველები ცნობისმოყვარე ხალხი ვართ. მე რომ ჩემს ცხოვრებაზე ვყვები, აღიზიანებთ და რა ვქნა? როცა ჟურნალისტი ოჯახზე მეკითხება, რაც რეალობაშია იმას ვპასუხობ. ხომ არ ვიტყვი სასახლეში ვცხოვრობ და ოთხი მამა მყავს-მეთქი“

**„დღეს უკვე ჩემი თავით ვამაყობ. კასტინგზე დაახლოებით 3 ათასი ადამიანი იყო და 16 ადამიანში რომ ხვდები, ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემთვის ეს იმხელა წარმატებაა, რომ მნიშვნელობა აღარ აქვს ლაივ კონცერტებზე ბოლომდე შემოვრჩები თუ არა პროექტს“**

## „ბიოგრაფიას ვერ შევიცვლი. ამიტომ ვყვები, ხუთი წლის ვიყავი მამამ რომ მიმატოვა, მე და დედამ მძიმე ცხოვრება გამოვიარეთ-მეთქი. იმისთვის, რომ მაყურებელი არ გაღიზიანდეს, ტყუილს ვერ ვიტყვი“

### „ბიოგრაფიას ვერ შევიცვლი“

- პოპულარობა გინდოდა?

- ვერ ვიტყვი, რომ პოპულარობა მინდოდა. ხალხი მანამდეც მიცნობდა, მაგრამ არც მაშინ მიფიქრია ამაზე. სიმღერაზე პროფესიულ დონეზე არასდროს ვფიქრობდი. მეუბნებოდნენ, რომ მონაცემები მქონდა და რამდენჯერმე ვცადე. არც სოციალურ ქსელში პოპულარობა იყო ჩემი სურვილი.

**- ახლა მოგწონს?**

- ყურადღება ყველას მოსწონს. მომწონს ძალიან ბევრ სიყვარულს და სითბოს რომ ვიღებ, მომწონს ჩემს ფოტოებს ბევრი გულებითა და სითბოთი რომ აკომენტარებს. მომწონს ქუჩაში უცხო ადამიანები რომ მეხუტებიან და მეუბ-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# მებრძოლი სალომე ტეტიაშვილი თავისი ცხოვრებისეული პრინციპებით

**EXCLUSIVE**



ნებიან, საამაყო შვილი ვარ და კარგი მშობელი მყავს. ეს ძალიან მაგარი გრძნობაა და გამორიცხულია ვინმეს არ მოსწონდეს. ამ ყველაფერს მწარე რეპლიკებიც ახლავს, მაგრამ მცირე დოზით და მას დიდი სიყვარული ფარავს. ქართველებს ერთმანეთში ნაკლის პოვნა გვიყვარს, რაც არ უნდა წარმატებული იყოს ადამიანი, მას მაინც გამოუძებნიან ნაკლს და ბოლმას მიანთხევენ.

**- რა, მწარე რეპლიკებს გესვრიან?**

- ამბობენ, რა ტვინი წაიღო ამ გოგომ, რომ გაჭირვებულია, რა გული შეაწუხა იმით, რომ მამამ მიატოვაო... როცა ჟურნალისტი ოჯახზე მეკითხება, რაც რეალობაშია, იმას ვპასუხობ. ხომ არ ვიტყვი სასახლეში ვცხოვრობ და ოთხი მამა მყავს-მეთქი. რაც არის, იმას ვყვები. ბიოგრაფიას ვერ შევიცლი. ამიტომ ვყვები, ხუთი წლის ვიყავი მამამ რომ მიმატოვა, მე და დედამ მძიმე ცხოვრება გამოვიარეთ-მეთქი. იმისთვის, რომ მაყურებელი არ გაღიზიანდეს, ტყუილს ვერ ვიტყვი. თავს გვაცოდებსო, ამბობენ. თავს ნამდვილად არავის ვაცოდებ. როცა „იუთუბიზე“ ჩემი სიმღერა ათასობით ადამიანმა მოისმინა, მაშინ ჩემი ისტორია საჯაროდ არ მქონდა მოყოლილი. ხალხმა ისე შემიყვარა, რომ არაფერი იცოდნენ ჩემზე. როცა უკვე ცნობილი ხდები, ჟურნალისტები ყველა ტიპის კითხვებს სვამენ. გადაცემაში მივედი, თუ პროექტის სიუჟეტი იყო, შენი ცხოვრების ყველა დეტალით ინტერესდებიან. ქართველები ცნობისმოყვარე ხალხი ვართ. ჩემს ცხოვრებაზე ვყვები და აღიზიანებთ, რა ვქნა? ვერ ვმღერი, ყრუ ვარ, უვიცი ვარ და რახან გაჭირვებაში გავიზარდე, ამიტომ ვარ „X ფაქტორის“ კონკურსანტი? ასე არ არის და ამას ყველა ხედავს.

**- მამა შეგეხმიანა?**

- არა.

**- არც ნათესავები?**

- არა, ნამდვილად.

**- როგორ ფიქრობ, რომ არა ის ცხოვრება, რაც გაიარე და ყველაფერი მზამზარეული გქონოდა, ისეთივე ფხიანი და მებრძოლი იქნებოდი, როგორიც ახლა ხარ?**

- აწყობილი ცხოვრება რომ მქონოდა, შეიძლებოდა ასეთი არ ვყოფილიყავი. როცა განებივრებული ხარ და ყველაფერი გაქვს, სხვანაირი მენტალიტეტი და ხასიათი გიყალიბდება. ყველაფრისთვის რომ ბრძოლა გიწევს და რაიმეს რომ მიაღწიო, ყველაფრის გატანა კბილებით გიწევს, მებრძოლი ხასიათი გიყალიბდება.

**„სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვერ ვგრძნობდი. ყველაფერზე ერთად ვფიქრობდი, დედაზე, მეგობრებზე, ხალხზე. ყველა რომ მაქსიმუმს ელის შენგან და ეს მაქსიმუმი სამ წუთში უნდა აჩვენო. იმ რამდენიმე წუთში ყველანაირი აზრი დამიტრიალდა თავში“**



### სიყვარული

შეყვარებულს სამი თვის წინ დაშორდა. თითქმის ერთი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

„ოჯახები ინგრევა, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სიყვარული არ იყო. ხდება ისე, რომ რაღაც დროის მერე ადამიანთა ინტერესები და სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები არ ემთხვევა. როდესაც გვერდზე ადამიანი გყავს, რომლისაც აღარ გესმის და თქვენი შეხედულებები განსხვავდება, რთულია მასთან ყოფნა. გვერდით ისეთი ადამიანი უნდა გყავდეს, ვინც გიგებს და გეხმარება. ბოლო დროს, ჩვენ შემთხვევაში, ასე აღარ იყო და ადამიანურად გავწყვიტეთ ურთიერთობა.

**- ვინ არის?**

- ის გამოჩენის წინააღმდეგი იყო და ვერც ახლა ვაწყენინებ.

**- სამი თვის წინ შენც არ ჩანდი და ის როგორ უნდა გამოჩენილიყო?**

- სოციალური ქსელიდან ხომ მაინც იყო ჩემ მიმართ დიდი ინტერესი.

**- ახლა არ შეგეხმიანა?**

- არა, არ გამოჩენილა...

**- აღარც შენ გახსოვს?**

- როგორ არ მახსოვს?! პირველი ადამიანი იყო, ვის გვერდითაც ვიყავი. მაინც პირველი დასამახსოვრებელია, ალბათ, - გინდათ სევდით, გინდათ სიხარულით...

**- გაგაძლიერა?**

- იმ პერიოდში ყველაზე სუსტი არსება ვიყავი. არაფერს ვაკეთებდი და ამ გრძნობაზე ვიყავი გადართული. მერე მივხვდი, რომ კარიერა და ცხოვრება უნდა შეიქმნა. აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, ვინც გიპოვის და ისეთს შეგიყვარებს, როგორიც ხარ. ახლა მხოლოდ კარიერაზე ვარ გადართული. სიყვარულის თემა ტაბუდადებული მაქვს. არც არის ჯერ ისეთი ადამიანი, ვისზეც ვიფიქრებ.

**- თაყვანისმცემლები მოგიმრავლდებოდნენ.**

- კი, მაგრამ მხოლოდ სოციალური ქსელით და პატარ-პატარა წერილებით შემოიფარგლებიან. ჩემგან სიმპათია არავის მიმართ არ არის.

### დედა

**- დედა რას ამბობს შენ, ასეთ წარმატებაზე?**

- დედა იყო პირველი, ვინც მითხრა, შვილო, შენ სმენა გაქვს და მინდა იმღეროო. ეს იყო ბაღში. იქედან მოყოლებული სულ სიმღერისკენ მიბიძგებდა. სულ უნდოდა დიდ სცენაზე ვენახე. დღეს ძალიან ბედნიერია... ჩემში რა შრომაც ჩადო, ნელ-ნელა უფასდება. ყველაფერს ზედმეტად განვიცდი და დედა მარიგებს. რაც უფრო ცნობილი ხარ მით მეტი ტალახის სროლა მოგელის და უნდა გამაგრდეო. დედა პიროვნულად ძალიან ძლიერი ქალია, ხასიათი აქვს გადამდები. მისი გაფრთხილებაა - სალომე, ყველაფერს ზედმეტად ნუ განიცდი. წარმატებისთვის იშრომე და ყველას ნუ აქცევ ყურადღებასო... ის ჩემი მეგობარია.

### მოგება

**- მოგება ძალიან გინდა?**

- სადაც აქამდე მოხვედი, შუაში არ უნდა გაჩერდე. ყველა ამისთვის იბრძვის. ალოგიკურია ვინმემ ახლა, ამ ეტაპზე თქვას - აღარ ვიბრძვიო. ყველამ ბოლომდე უნდა იბრძოლოს. ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ ვაკეთებ იმას, რაც ყველაზე მეტად მიყვარს - ვმღერი. ის, რაც ჰობი იყო, ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. ამისთვის არაფერს დავიშურებ. პროექტის მერე? დიდი სიყვარული დამრჩება, იმედი მაქვს პატარა შემოთავზებებს სამომავლოდ მუსიკალურ კარიერასთან დაკავშირებით მივიღებ. დამრჩება მეგობრობა ბევრ ადამიანთან. კარიერის ასაწყობად დიდი ნაბიჯი მექნება გადადგმული. ასეთი მუსიკალური შოუები ამ სფეროში ტრამპლინია. იმედი მაქვს ბევრი კარგი რამ მოხდება.

**- ცხოვრება რა არის?**

- ჩემთვის ცხოვრება ბედნიერებისთვის და წარმატებისთვის ბრძოლაა.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა პრობლემების წინაშე დგანან პროფსასწავლებლების სტუდენტები




## სად მიდის სახელმწიფოსგან გამოყოფილი მილიონები?

**„ჩემი ხელობაა ხეზე მუშაობა, მაგრამ მასალები საკმარისი არ არის, თანაც, შეუძლებელია სახელოსნოში მუშაობა, როცა ვჩარხავთ, ვაშალაშინებთ ხეს, საშინელი მტვერი დგება. ვენტილაცია არ არის, ამას ჩვენ ვსუნთქავთ, რაც ჯანმრთელობისთვის ცუდია. ზოგიერთი ხის მასალა ჭიანია, თან თხელია. დირექტორი არც ჩამოდის აქ“**





**„პრობლემის გარეშე ვერც ერთ პროფესიულ სასწავლებელს ვერ ნახავთ. ვენტილაციის პრობლემაა. ამას ნამდვილად არ უარვყოფ, მაგრამ სამუშაო ინვენტარის პრობლემა არ არის“**





სალომე გოგოხია

**ამას წინათ, ჩემი მეგობარი შემხვდა, რომელიც ერთ-ერთ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯში დურგლის ხელობას ეუფლება. შემომჩივლა, ცუდ პირობებში გვიწევს მუშაობა, სამუშაო მასალები საკმარისი არ არის, სახელოსნოში ისეთი მტვერი დგება, რომ თვალებში ვერ ვიხედებით, სუნთქვა შეუძლებელიაო. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რადგან ბოლო ხანებში განათლების სამინისტროსგან მუდმივად გვესმის, პროფესიულ განათლებისთვის დაფინანსება იზრდება. წინ მიიწევენ და ა.შ.**

მართალია, ისეთ ქვეყნებს, როგორიც გერმანიაა ვერ შევედრებით, რადგან, პრაქტიკულად, მათი პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულები ჩამოყალიბებული პროფესიონალები არიან და საწარმოებში მუშაობას გადამზადების გარეშე იწყებენ. თუმცა, როცა წლიდან წლამდე პროფესიული განათლებისთვის სახელმწიფო საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფს, სხვა თუ არაფერი, უხერხულია როცა სტუდენტს ელემენტარული სამუშაო პირობები არ აქვს.

ცნობისთვის, შარშან პროფგანათლებისთვის სახელმწიფომ 11,2 მილიონი ლარი გამოყო, ხოლო 2014-2015 სასწავლოს წლისთვის დაფინანსება ბევრად გაიზარდა და 28,2 მილიონი ლარი შეადგინა. წესით, არ უნდა უჭირდეთ საჭირო ინვენტარის თუ ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა.

დღესდღეობით, საქართველოში 18 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელია. 2012 წლიდან სწავლებას სახელმწიფო აფინანსებს. სახელმწიფო, განათლების სამინისტრო, პროფესიული განათლებისთვის არც პიარს იშურებს და არც შთამბეჭდავ ხარჯებს, თუმცა, ჩვენთან საუბარში პროფსასწავლებლების სტუდენტები მუშაობისთვის არახელსაყრელ პირობებზე საუბრობენ.

სახელმწიფო პროფსასწავლებლებს შორის ერთ-ერთია „სპექტრი“, სადაც სტუდენტების ნაკადი სწორედ უფასო სწავლების შემდეგ გაიზარდა. კოლეჯი აფრიკაში მდებარეობს. „პრაიმტაიმი“ ადგილზე იმყოფებოდა, იქაურობა დავათვალიერეთ, სტუდენტებსაც და პედაგოგებსაც გავესაუბრეთ.

პრობლემები არის და ამას არც მალავენ.

„მე დურგლის ხელობას ვეუფლები. თავად გადავწყვიტე პროფკოლეჯში ჩაბარება. მოტივაცია ნამდვილად მაქვს, მაგრამ კოლეჯში არსებული პირობები ხანდახან ამ მოტივაციას მიკარგავს. ჩემი ხელობაა ხეზე მუშაობა, მაგრამ მასალები საკმარისი არ არის, თანაც, შეუძლებელია სახელოსნოში მუშაობა, როცა ვჩარხავთ, ვაშალაშინებთ ხეს, საშინელი მტვერი დგება. ვენტილაცია არ არის, ამას ჩვენ ვსუნთქავთ, რაც ჯანმრთელობისთვის ცუდია. ზოგიერთი ხის მასალა ჭიანია, თან თხელია. დირექტორი არც ჩამოდის აქ. თუმცა, იცის, რომ ცუდ პირობებში გვიწევს სწავლა-მუშაობა. ელემენტარული მასალები არ არის, რომ ვიმუშაოთ, გამოიზოგეთო, გვეუბნებიან. ჩვენი შემთხვევა დაახლოებით იმ ანეკდოტს ჰგავს, კარგად თუ მოიქცევით აუზში წყალს ჩაგისხამთო“, - გვითხეს კოლეჯის სტუდენტებმა.

დაახლოებით ანალოგიური პრობლემაა „მღებავებში“. მართალია, სახელოსნო ლამაზად გამოიყურება, მაგრამ საღებავებს აქაც „უფრთხილდებიან“.

„მასალა ბევრი არ არის, ამიტომ, მოზომილად უნდა გამოვიყენოთ. ერთი სიტყვით, უნდა დავზოგოთ. ერთი მითხარით, როგორ უნდა ვისწავლოთ „მალიარობა“ თუ ამის პრაქტიკა არ გვექნება? ვინ აგვიყვანს სამსახურში? ისედაც, სამუშაოს დეფიციტია და უცოდინარი ვის რაში სჭირდება“,- ამბობენ „სპექტრის“ სტუდენტები.

კოლეჯში არსებულ პრობლემებს არც ლექტორები უარყოფენ. ერთ-ერთ სახელოსნოში, სადაც შემდუღებლის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება, ახლა მუშაობა შეჩერებულია. წვიმის დროს სახურავიდან წყალი ჩამოდის, ტექნიკის ნაწილი გატანილია, რომ წვიმამ არ დააზიანოს.

**მურმან გამეზარდაშვილი:**, „შემდუღებლის პროფესია მოთხოვნადია. აქ ვინც ამთავრებს, უმუშევარი არ რჩება. პრაქტიკებზე ვუშვებთ და იტოვებენ. ერთ-ერთი გერმანული კომპანია დაგვეხმარა და საჭირო ინვენტარი გადმოგვცა. აქ ბავშვებს ვასწავლით გაზით ჭრას, შედუღებას. გაზით ჭრა უკვე მოძველებულია, რადგან ბევრად უკეთესი, დახვეწილი ტექნიკა გამოვიდა. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვთხოვეთ დახმარება, განვიხილავთო, დაგვპირდნენ. ჯერ კიდევ მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა, ამასობაში ახალ ტექნიკას გამოუშვებენ და ის უკვე დაძველდება. ჩვენ რომელიც გვინდა ის ლაზერულ ჭრას ახორციელებს, ბევრად კომფორტულია. თანაც ძვირი არ ღირს, 2 000 დოლარია. ეს თანხა გლეხისთვისაც კი კაპიკებია, არათუ სახელმწიფოსთვის. მარტო განათლების სამინისტრო ამ პრობლემას ვერ გაწვდება. საჭიროა სახელმწიფოს ნება. მე წამოვაყენე წინადადება, რომ კანონში ჩაიდოს სპეციალური მუხლი, რომ კერძო მეწარმეებმა მოგების ერთი პროცენტი პროფესიულ განათლებაში ჩადონ. დამერწმუნეთ, ამ შემთხვევაში ისეთ კონტინგენტს გამოვუშვებთ, რომელიც პირდაპირ საწარმოში შეძლებს მუშაობას და არანაირი გადამზადება არ დასჭირდება“, - გვითხრა კოლეჯის ლექტორმა მურმან გამეზარდაშვილმა.

სახელოსნოში, სადაც დურგლობას ასწავლიან, 2007 წელს შეძენილი იტალიური ჩარხები დგას. აქ მუშაობა საკმაოდ რთულია. შენობას ვენტილაცია არ აქვს, მუშაობის დროს მტვრის ბუღი, ნახერხი ჰაერში ტრიალებს და მოსწავლეებს სერიოზულ პრობლემას უქმნის.

„სამუშაო მასალებს სასწავლებელი ყიდულობს. საკმარისი არის, მაგრამ ზომებშია პრობლემა, თან თხელია. ჩვენ სქელი „ნაჭრები“ გვინდა. ერთი მაგიდა გამოვჩარხეთ და ფეხები ხის ორი ნაჭრისგან გავაკეთეთ, რადგან ძალიან თხელი იყო. შენობაში ვენტილაცია არ არის. კი დაგვპირდნენ, გავაკეთებთო, ვნახოთ. იტალიური ჩარხები გვიდგას, ამათ გამწოვი თუ არ ექნა, ყველაფერი შიგნით გროვდება, რაც საბოლოო ჯამში დანადგარს დააზიანებს. გვაქვს ძველი დანადგარები, მართალია, ძველია, მაგრამ კარგი ხარისხისაა“,- გვითხრა ერთ-ერთმა ლექტორმა.

ჩვენთან საუბარში „სპექტრის“ დირექტორი არსებულ პრობლემებს არ უარყოფს. თუმცა, იმ ფაქტს, რომ სამუშაო ინვენტარი არასაკმარისია, კატეგორიულად უარყოფს.

„პრობლემის გარეშე ვერც ერთ პროფესიულ სასწავლებელს ვერ ნახავთ. კერძო კომპანიები გვეხმარებიან. სამი გერმანული კომპანიაა, რომელმაც კოლეჯის ლაბორატორიები თანამედროვედ აღჭურვა. ვენტილაციის პრობლემაა. ამას ნამდვილად არ უარვყოფ, მაგრამ სამუშაო ინვენტარის პრობლემა არ არის. უფრო სისტემური პრობლემებია. ქვეყანაში შრომის ბაზრის სტატისტიკა არ არის. მუშავდება სტრატეგიული გეგმა. კონტროლის პალატამ დასკვნა დადო, რომ თანხები არაეფექტურად დაიხარჯაო. მათ დასკვნა ზედაპირულად, ციფრების საფუძველზე მოამზადეს. პრობლემის სიღრმისეული შესწავლა არ მომხდარა“, - ამბობს ტაკიძე.

შეგახსენებთ, რომ ორი თვის წინ აუდიტის სამსახურმა საკმაოდ სკანდალური დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის თანახმად, პროფესიულ განათლებაში 2 მილიონი ლარი არაეფექტურად დაიხარჯა.

ასევე, დასკვნაში ნათქვამია, რომ პროფსასწავლებლების კურსდამთავრებულთა მხოლოდ 23% ახერხებს თავისი პროფესიული ცოდნის რეალიზებას.

პროფესიული განათლება ახალი და ძველი მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. თუმცა, „შრომის ბაზარზე არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს მის მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან“, - ნათქვამია დასკვნაში.

თუმცა, განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ თანხების განაწილება რაციონალურად მოხდა.

ფაქტია, რომ პროფესიული განათლებისთვის სახელმწიფო თანხებს არ იშურვებს. თუმცა, გაუგებარია, გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, პროფსასწავლებლების სტუდენტების სამუშაო პირობები და შესაბამისი აღჭურვილობა რატომ ვერ უმჯობესდება.

21-დან 24 მაისის ჩათვლით პროფესიული განათლების ნამუშევრების გამოფენა გაიმართება. მასში სხვადასხვა კოლეჯები მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლოა, იქ მისულ სტუმარს რამდენიმე ლამაზად გაფორმებულმა ნაკეთობამ თვალიც მოსტაცოს. თუმცა, ბევრისთვის უცნობი დარჩება, რომ ლამაზი ნივთების მიღმა ეს ახალგაზრდები, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის ფონზე ცდილობენ ელემენტარული ნამუშევრის შექმნას.

და ბოლოს, რამდენიმე კვირის წინ განათლების სამინისტრომ პროფესიული კოლეჯებისთვის შესაძენ ინვენტარზე ტენდერი გამოაცხადა. როგორც პროფკოლეჯების მესვეურებმა გვითხრეს, მათ ამის შესახებ არ სმენიათ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N19 (269) ორშაბათი, 19 მაისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



# ჟურნალისტების ქორწინება კონტრაქტით

**exclusive**

## ალეკო გაბუნიამ ნათიკა ბერძულს ხელი რომში სთხოვა



# ოპერის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის პრიორიტეტები

**დავით კინწურაშვილი:** „საქართველოში სულ ვდირიჟორობდი და ამ სფეროს წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი. ზუსტად ვიცოდი, აქცენტები რაზე უნდა გამეკეთებინა. ამ თანამდებობაზე მიზანმიმართულად მოვედი“

# EXCLUSIVE






**ზაზა შენგელია:** „ეს იქნება მუსიკალური თავშეყრის ადგილი, სადაც ყოფნა დღე-ღამის ნებისმიერ დროს ყველა მუსიკალური გემოვნების მომხმარებლისთვის სასურველი გახდება“

# BRAVISSIMO.GE

## ლიცენზირებული მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ვებპორტალი

## ლანა ღოღობერიძის პრაიმტაიმი



## მეოცე საუკუნის რომეო და ჯულიეტა – „ტელეგრეიკებსა“ და „კალოშებში“

**EXCLUSIVE**

## მარიკო ებრალიძე: „ამ ჩემი ერთი წარუმატებელი ნაბიჯისთვის ყველას ბოდიშს ვუხდი“



„მარიკოს და „შინს“ ხუთეულში შევიყვანდი. თუ განსხვავებული უნდოდათ, ჩვენი სიმღერა იყო განსხვავებული. კონჩიტა არ იყო განსხვავებული“

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება